ბ. ნადირაძე

# ნიკოლოზ ურგნელი— საქართველოს ისტორიის მკვლევარი

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1973

901 (с41)
90(47.922) (ურბნელი)
ნ 162

*მიძღვნილია შოთა*
*მესხიას ნათელი*
*ხსოვნისადმი*

ნაშრომში გაშუქებულია ცნობილი ქართველი მეცნიერის — ნიკოლოზ ურბნელის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებები, ისტორიული კონცეფცია, კვლევის მეთოდები, ნაჩვენებია მისი მეცნიერული შემკეიდრეობის მნიშვნელობა საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის.

წიგნი განკუთვნილია საქართველოს ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1973

1-6-1
М — 609

# წინასიტყვაობა

ქართულ ისტორიულ მეცნიერებას მრავალსაუკუნოვანი და მდიდარი ტრადიციები გააჩნია. ამის დადასტურებაა ძველი ქართული საისტორიო მწერლობის ისეთი ბრწყინვალე ნიმუშები, როგორიცაა „ქართლის ცხოვრებაში“ შესული თხზულებები დავით ალმაშენებლის ისტორიკოსისა, თამარის ისტორიკოსებისა, ჟამთააღმწერლისა და სხვ.

ქართველი ხალხი თავისი ცხოვრების ყველაზე უფრო ძნელბედობის ხანაშიც ახერხებდა ეროვნული საისტორიო მწერლობის შექმნას. XVIII საუკუნეში ვახუშტი ბაგრატიონის მეცნიერულმა ნაშრომებმა ახალი მიმართულება მისცა ქართულ ისტორიოგრაფიას. მაგრამ სამშობლოდან მოწყვეტილ ვახუშტი ბაგრატიონსა და მის თანამოაზრეებს არ შეეძლოთ აქტიურად შეეწყოთ ხელი საქართველოში ისტორიკოსთა ახალი თაობის აღზრდისათვის. „ძნელბედობასთან ერთად ეს გახდა იმის ერთი მიზეზი, რომ ვახუშტის შემდეგდროინდელმა ისტორიკოსებმა მისი მდიდარი ტრადიციები ვერ აითვისეს. ქართული ისტორიოგრაფიის განვითარება შეფერხდა. ასე გაგრძელდა XIX ს-ის 40-იან წლებამდის“.[1]

მიუხედავად ამისა, მეცნიერული საქმიანობა საქართველოში სავსებით როდი გაიყინა. ამის დადასტურებაა დავით და ბაგრატ ბატონიშვილების შრომები საქართველოს ისტორიის საკითხებზე, შემდგომ კი ნ. დადიანის მოღვაწეობა, რომლის შრომასაც („ქართველთა ცხოვრება“) დიდად აფასებდა აკადემიკოსი ს. ჯანაშია[2].

განსაკუთრებით აღსანიშნავია თეიმურაზ ბატონიშვილის შრომები, რომლებშიც შეიმჩნევა „ვახუშტისაგან ნაანდერძევი ძველი

---

1 მ. დუმბაძე, ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, 1950, გვ. 93.

2 ს. ჯანაშია, გიორგი შერვაშიძე. კულტურულ-ისტორიული ნარკვევი. 1946, გვ. 37—38.

მეცნიერული ტრადიციების აღდგენისა და მისი განვითარების ცდები“.[1]

თეიმურაზ ბატონიშვილი სიფრთხილეს იჩენდა ისტორიული მოვლენების შეფასებისას. „მას მთელი არსებით შეგნებული ჰქონდა ამა თუ იმ ერის ისტორიის აღწერის სიძნელე, წყაროების გამოყენების და წესიერად მოთხრობის პასუხისმგებლობაც“.[2]

მ. ბროსე დიდ მნიშვნელობას აძლევდა თეიმურაზ ბატონიშვილის დამსახურებას. რუსეთის საიმპერიო აკადემიის საერთო კრებაზე 1838 წელს მარი ბროსეს განუცხადებია: „მე არ შემიძლია განუცვიფრებლად წარმოვსთქვა თეიმურაზის სახელი, რომელშიაც მაღალი ზნეობა შეერთებულია გან.ათლებულ გონებასა და ვრცელ მეცნიერებასთან, რომელიც მწერლობით შრომაში პოულობს კეთილშობილურს გასართობს, რომლის მიზანი არის თავისი შრომით უკვდავყოს ხსენება თავის ერისა, რომლის მდაბალ მოწაფედ სვინდისის ქვეშ უნდა ვთქვა — აღვიარებ ჩემს თავს“.[3]

თეიმურაზ ბატონიშვილმა საქართველოს ისტორიის ბევრი ახალი საკითხის შესწავლა დააყენა დღის წესრიგში. მისმა შრომებმა მიუხედავად მნიშვნელოვანი ნაკლოვანებისა, ხელი შეუწყო საქართველოს ისტორიისადმი ინტერესის გაღვიძებას. როგორც პროფ. შ. მესხია მიუთითებს, თეიმურაზი „საკმაო გავლენით სარგებლობდა სხვა მკვლევარებზედაც, თვით ბროსეზედაც“ [4]. რაც ბროსეს ზემოაღნიშნული სიტყვებიდანაც ჩანს.

ჩვენი აზრით, სწორად მიუთითებს მ. დუმბაძე, რომ „თეიმურაზ ბატონიშვილი, ვახუშტი ბაგრატიონის შემდეგ, წარმოადგენდა ერთგვარ გარდამავალ საფეხურს ძველი ისტორიოგრაფიიდან ახალი ისტორიოგრაფიისაკენ“ [5].

როგორც პროფ. ა. კიკვიძე წერს, თეიმურაზ ბატონიშვილის დამსახურებაა „უცხოური წყაროების გამოყენება, კერძოდ, ბერძნულისა. იგი იცნობს ჰეროდოტეს, სტრაბონს და კიდეც იყენებს მათ ცნობებს“ [6].

საქართველოს ისტორიის საკითხების შემდგომ კვლევას საგრძ-

---

1 მ. დ უ მ ბ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 98.

2 შ. მ ე ს ხ ი ა, თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა: მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, 1939, ნაკვ. 1, გვ. 49.

3 ციტირებულია შ. მესხიას დასახელებული ნაშრომიდან, გვ. 19.

4 შ. მ ე ს ხ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 78.

5 მ. დ უ მ ბ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 100.

6 ა. კ ი კ ვ ი ძ ე, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1951, ნაკვეთი 29, XIX ს. ქართული ისტორიული აზროვნება, გვ. 2.

ნობლად შეუწყო ხელი პლატონ იოსელიანის შრომებმა. პლ. იოსელიანმა დიდი ყურადღება მიაქცია ძველი ქართული ძეგლების შესწავლას. იგი ცდილობდა მეფის რუსეთის ოფიციალური ისტორიოგრაფიის მოთხოვნები დაეკმაყოფილებინა, რაც, რა თქმა უნდა, ობიექტურობას უკარგავდა მის ნაშრომებს და, მიუხედავად ამისა, მისმა მოღვაწეობამ ხელშესახები ახალი მასალები შესძინა ქართულ ისტორიულ მეცნიერებას. იმ დროს, როცა საქართველოს ისტორიისათვის ახალი მასალების ძიებას და გამოვლინებას თითქმის არ ექცეოდა ყურადღება. პლ. იოსელიანის მოღვაწეობას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარების საქმეში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მარი ფელისიტე ბროსეს, რომლის სახელთანაა დაკავშირებული ქართველოლოგიის მეცნიერულ დისციპლინად ჩამოყალიბება ევროპაში. ბროსეს შრომები უდავოდ პასუხობს იმდროინდელი ისტორიული მეცნიერების განვითარების დონეს.[1] ბროსემ ყურადღება მიაქცია არა მარტო პოლიტიკურ მოვლენებს, არამედ სოციალურ ისტორიასაც. მაგრამ ისტორიის მთავარ შინაარსს იგი მაინც პოლიტიკურ მოვლენათა განვითარებაში ხედავდა. ქართული საისტორიო წყაროების კრიტიკაც ბროსესთან საკმაოდ მკრთალადაა მოცემული. ბროსეს მრავალმხრივმა და ნაყოფიერმა შემოქმედებამ დიდად შეუწყო ხელი ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებას, რამაც, ბუნებრივია, ნაყოფიერი ნიადაგი შექმნა ქართული მეცნიერული ისტორიის ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში.

მარი ბროსესაგან დიდადაა დავალებული XIX საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი ქართველი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე. რომლის მეცნიერული მოღვაწეობა 1850 წლიდან იწყება.

დ. ბაქრაძეს კარგად ესმოდა, რომ დრომ ახალი ამოცანები დააყენა საქართველოს ისტორიის მკვლევართა წინაშე და ისიც თავდაუზოგავად შეუდგა აქამდე უცნობი მნიშვნელოვანი მასალების გამოვლინება-შესწავლას. „XIX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში დიმიტრი ბაქრაძე პირველი იყო, რომელმაც საფუძვლიანად გაარჩია მოპოვებული სიგელ-გუჯრები და შეუფარდა ისინი ისტორიულ სინამდვილეს“.[2]

დ. ბაქრაძე ისტორიული მასალების მხოლოდ შემგროვებელი

---

[1] მ. ბროსეს მდიდარ მეცნიერულ მემკვიდრეობას შესანიშნავი გამოკვლევა უძღვნა შ. ხანთაძემ. იხ. შ. ხ ა ნ თ ა ძ ე, მარი ბროსე, თბ., 1966.

[2] ა. კ ი კ ვ ი ძ ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 3—4.

როდი იყო. ეგი ნიჭიერი და მეცნიერული ცოდნით აღჭურვილი მკვლევარია, რომელმაც საგრძნობლად გაუსწრო თავის წინამორბედ საქართველოს ისტორიის მკვლევართ. მისი ნაშრომების უმრავლესობა დიდი შენაძენი იყო ქართული ისტორიოგრაფიისათვის.

დ. ბაქრაძე იყო პირველი მკვლევარი, რომელმაც სერიოზული ნაბიჯი გადადგა საქართველოს მეცნიერული ისტორიის შესაქმნელად. „XIX საუკუნის მეორე ნახევარი საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობის პერიოდია. რუს ხალხთან ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული კავშირის შედეგად საქართველო ჩაება პროგრესული საზოგადოებრივი ურთიერთობის სისტემაში. სამოღვაწეო სარბიელზე გამოვიდა ბურჟუაზია. ახალმა კლასმა XIX საუკუნის 60-იან წლებში ბურჟუაზიის ნაციონალური საკითხი წამოაყენა. ამ პერიოდში ახლის ბესიტყვედ გამოდის ილია ჭავჭავაძე და მისი ჯგუფი — თერგდალეულები. ისინი რუსეთის მოწინავე, რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობისა და პროგრესული აზროვნების, აგრეთვე, ქართული დემოკრატიული იდეების და პატრიოტიზმის დიად ტრადიციებზე აღიზარდნენ".[1]

XIX საუკუნის 80—90-იან წლებში თერგდალეულები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ საქართველოს ისტორიის პრობლემებისადმი. აკად. ნ. ბერძენიშვილის მოხდენილი თქმით, გლეხობა „ქართლის ცხოვრებაში" პირველად დიდმა ილიამ მოიკითხა[2]. და მართლაც. ილია ჭავჭავაძის მეთაურობით თერგდალეულებმა დიდი ყურადღება მიაქციეს ერის სრულყოფილი ისტორიის შესაქმნელად სოციალური საკითხის შესწავლას.

ილია ჭავჭავაძე კარგად იცნობდა თავისი დროის რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ისტორიულ მეცნიერებათა მიღწევებს. მას ისტორია როგორც მეცნიერება, ვერ წარმოედგინა არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ლინგვისტიკის გარეშე და ეს იყო იმის მიზეზი, რომ ყოველი ღონით ზრუნავდა ამ დარგების განვითარებისათვის.

ქართველი სამოციანელები თავგამოდებით ილაშქრებდნენ ცარიზმის პოლიტიკის წინააღმდეგ. მათი მართებული აზრით, ასეთ პირობებში განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა ისტორიული მეცნიერების განვითარებას, რადგან ხალხის გათვითცნობიერებას დიდად შეუწყობდა ხელს საკუთარი ისტორიის შესწავლა-შეფასება.

რა თქმა უნდა, „სამოციანელები ისტორიული მეცნიერების მოშარჯვებით არა მარტო ქართველთა ეროვნული თვითცნობიერების

---

[1] ი. კაკაბაძე, ქართული ისტორიოგრაფიის საკითხები, 1962, გვ. 37—38.

[2] აკად. ექვთიმე თაყაიშვილი, კრებული, 1966; ნ. ბერძენიშვილი, შესავალი, გვ. 7.

განმტკიცებას უწყობდნენ ხელს, არამედ წინ სწევდნენ და ავითარებდნენ ისტორიულ მეცნიერებას, განსაზღვრავდნენ მის საგანსა და ამოცანებს, მეთოდსა და მეთოდოლოგიას, იძლეოდნენ კონკრეტულ-ისტორიული საკითხების ბრწყინვალე გადაწყვეტის ნიმუშებს რეოლუციურ-დემოკრატიზმის პოზიციებიდან" [1].

ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისი ისტორიული მეცნიერების მნიშვნელობის შესახებ ქართველ სამოციანელთა საერთო რეოლუციურ-დემოკრატიული აზრის გამოხატულებაა. ილია ჭავჭავაძის აზრით, ერის ისტორიის შესწავლით შესაძლებელია არა მარტო მოცემული ერის წარსულის ან აწმყოს შემეცნება, არამედ მომავლის გათვალისწინებაც.

ქართველი სამოციანელების უდავო დამსახურებაა, რომ მათ აუცილებლად მიიჩნიეს სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების შესწავლა და მტკიცედ დადგნენ რუსეთისა და დასავლეთ ევროპის მოწინავე ისტორიული აზრის პოზიციებზე.

მიუხედავად ცალკეულ საკითხთა ნათელი გაგებისა, ქართველ სამოციანელებს არ შეეძლოთ ისტორიის მატერიალისტურ გაგებამდე ამაღლებულიყვნენ და უტყუარი ქართული მეცნიერული ისტორია შეექმნათ. მაგრამ XIX საუკუნის მეორე ნახევრის სახელოვანი ისტორიკოსების თავდადებულმა და უანგარო შრომამ ქართული ისტორიოგრაფია ბევრი შესანიშნავი ნაშრომით გაამდიდრა.

ამავე ხანის ისტორიკოსების დიდ ღვაწლად უნდა ჩაითვალოს ისეთი შრომატევადი და რთული საქმის შესრულება, როგორიცაა საქართველოს ისტორიისათვის სათანადო მასალების შეგროვება-გამოქვეყნება. ამ მხრივ მათ უპირველესი და ფასდაუდებელი სამსახური გაუწიეს ქართული ისტორიული მეცნიერების შემდგომ განვითარებას.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ისეთ სახელოვან ქართველ ისტორიკოსთა შორის, როგორიცაა დ. ბაქრაძე, ა. ცაგარელი, მ. ჯანაშვილი, ა. ხახანაშვილი, ს. ბარათაშვილი და სხვები, განსაკუთრებული ადგილი უპირავს ნ. ურბნელს, რომელსაც თავის დროზე სახელოვანმა ქართველმა ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ სამართლიანად უწინასწარმეტყველა „დიდი მკვლევარის" მომავალი [2].

ვფიქრობთ, წინამდებარე ნაშრომი განსაზღვრულ წელილს შეიტანს ქართული ისტორიული აზრის განვითარების შესწავლის მნიშვნელოვან საქმეში.

---

[1] ი. კაჭარავა. დასახ. ნაშრომი, გვ. 17.
[2] მ. დუმბაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 57.

# შესავალი

ნ. ურბნელი — ნიკოლოზ თადეოზის ძე ხიზანაშვილი, ცნობილი პუბლიცისტი, ისტორიკოსი, მეცნიერი და იურისტი — XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის თვალსაჩინო მოღვაწე იყო. ნ. ურბნელმა დატოვა შესანიშნავი მეცნიერული მემკვიდრეობა, რომელიც დღემდე ინარჩუნებს დიდ ღირებულებას საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიის, იურისპრუდენციისა თუ ყოფის სხვადასხვა სფეროს მეცნიერული შესწავლისათვის. მისი ნაწერები, გარდა რამდენიმე ცალკე დაბეჭდილი წიგნისა, რომლებიც დიდი ხანია ლიტერატურულ იშვიათობას წარმოადგენენ, გაბნეულია 80—90-იანი წლების პერიოდულ პრესაში და ამდენად ძნელად ხელმისაწვდომია ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

ნ. ურბნელმა თავისი შესანიშნავი შემოქმედებით დიდი სამსახური გაუწია ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებას და ამ მხრივ ღირსეული ადგილი დაიკავა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძისა და გიორგი წერეთლის გვერდით.

ძნელია დავასახელოთ იმდროინდელი საქართველოს ცხოვრების ისეთი მხარე, რომელსაც ნ. ურბნელი არ შეხებოდეს და საღი აზრი არ გამოეთქვას აღძრული პრობლემების შესახებ. იგი შესანიშნავად ერკვეოდა ეპოქის მოთხოვნილებებში და საკუთარი აზრი გააჩნდა საზოგადოებრივი ცხოვრების მიერ აღძრულ საკითხთა ირგვლივ.

ნათელი გონება, კარგი განათლება. შრომისმოყვარეობა, მხატვრული შემოქმედების ნიჭი ნ. ურბნელს საშუალებას აძლევდა მხარი აება ქართველი ხალხის იმ საუკეთესო შვილებისათვის, რომელნიც ქართული კულტურის სფეროში „თერგდალეულთა“ სახელით არიან ცნობილი.

ნ. ურბნელი ყოველთვის მზად იყო სამსახური გაეწია თავისი ერისათვის, თავი დაედო საერთო ეროვნული საქმისათვის, იგი დაუღალავად მუშაობდა მეცნიერების სხვადასხვა დარგში. თავგამოდებით თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებში და ეს მაშინ, როცა

ასეთი რთული საქმის შესასრულებლად ნორმალური მუშაობის პირობებიც კი არ გააჩნდა. ურბნელი წლობით მოწყვეტილი იყო დედაქალაქს და უბრალო მოხელედ მსახურობდა კავკასიის სხვადასხვა რაიონში, მაგრამ დიდი ენთუზიაზმი და საქმის სიყვარული იყო ის წყარო, რომელმაც განაპირობა მისი, როგორც მკვლევრის არა ერთი შემოქმედებითი გამარჯვება.

სამწუხაროდ, ამ დიდ მოღვაწეს ჯერაც არა აქვს მიჩენილი თავისი ადგილი ჩვენი სამშობლოს იმდროინდელ ჰეშმარიტ შვილთა შორის.

ნ. ურბნელის ტრაგიკულად დაღუპვის ორი წლისთავზე გ. ყიფშიძე გულისტკივილით აღნიშნავდა „თავისი ერის უკეთესი წარმომადგენლის“ უხმაუროდ წასვლას ამ „სოფლიდან“, მის ჩუმ, ნაღვლიან დაკრძალვას, იმდროინდელი პრესის სიჩუმეს, მიუხედავად დიდი მამულიშვილის დაკარგვისა, მაგრამ იმედიანად კი შესცქეროდა ნ. ურბნელის მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლის საქმეს მომავალში. დღემდე ამ მეტად საჭირო საკითხს საგანგებო ყურადღება მიაქცია აკადემიკოსმა გიორგი ჩიტაიამ, რომელმაც 1940 წელს ცალკე წიგნად გამოსცა ნ. ურბნელის „ეთნოგრაფიული ნაწერები“.

ნ. ურბნელის „ეთნოგრაფიული ნაწერების“ აკად. გ. ჩიტაიას წინასიტყვაობით გამოცემა იყო ერთადერთი სერიოზული ნაბიჯი შესანიშნავი მკვლევრის ნაშრომთა პოპულარიზაციისა და ამ ნაშრომთა შესწავლა-გამოყენების აუცილებელი და კეთილშობილური განზრახვის შესასრულებლად. მართალია, სხვადასხვა დროს ნ. ურბნელის შემოქმედებას ბევრი ქართველი მკვლევარი შეეხო და სამეცნიერო ლიტერატურაში არა ერთხელ არის უარყოფილი ან დამოწმებული ნ. ურბნელის ესა თუ ის შეხედულება, მაგრამ ეს, ასე ვთქვათ, კანტი-კუნტი შეფასება ძალზე მკრთალად წარმოგვიდგენს ნ. ურბნელის, როგორც მკვლევრისა და პუბლიცისტის, მნიშვნელოვნად სერიოზულ შემოქმედებას.

როგორც აღვნიშნეთ, ნ. ურბნელი მრავალმხრივი მკვლევარია. მან მეცნიერული ღირებულების ნაშრომები შექმნა სამართლის, ეთნოგრაფიის, ისტორიის დარგში და წლების მანძილზე ქართულ პერიოდულ პრესაში თანამშრომლობით გაბედული, ნიჭიერი, პატიოსანი პუბლიცისტის სახელი დაიმკვიდრა. ნ. ურბნელის კალამს ეკუთვნის მრავალი შრომა, რომლებიც გაბნეულია იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში. ცალკე წიგნად კი გამოიცა მისი შემდეგი ნაწარმოებები: „მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო“ (ისტორიული მონოგრაფია), ტფილისი, 1894 წელი; „გიორგი ბრწყინვალე, მეფე საქართველოსი“, ტფილისი, 1889 წ., „ძეგლისდება მეფე გიორგი

ბრწყინვალესი", ტფილისი, 1890 წ.; „ათაბაგი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი", ტფილისი, 1890 წ. და „ეთნოგრაფიული ნაწერები". თბილისი, 1940 წ.

თავი რომ დავანებოთ ნ. ურბნელის მრავალმხრივ საინტერესო პუბლიცისტურ წერილებს, რომლებშიც მოცემულია განსხვავებული პროფილის მეცნიერული საკითხების გაშუქება, მისი ცალკე შრომებად გამოცემული წიგნების დასახელებაც ნათელს ხდის, რომ ჩვენ ვერ დავიკვეხნით თითქოს ნ. ურბნელის შემოქმედება მეცნიერული სისრულით გვქონდეს შესწავლილი. ამჯერად ჩვენ მიზნად ვისახავთ მისი მეცნიერული ნააზრევისა და იდეური მემკვიდრეობის მხოლოდ ერთი უბნის შესწავლას, საკითხთა გარკვეული ნაწილის წარმოჩენით. მოცემულ პირობებში ჩვენ შესაძლებლად მივიჩნიეთ განვიხილოთ ნ. ურბნელის კვლევის მეთოდები, ისტორიული კონცეფცია, საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი და, რაც მთავარია, საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი საკითხების ურბნელისეული კვლევის სიღრმე და მათი მეცნიერული მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის ისტორიის შესწავლისათვის. მართალია, ნ. ურბნელის შემოქმედებას მკვლევარნი არაერთხელ შეხებიან, მაგრამ გაკვრით, რაც ბუნებრივია, ვერ გვაძლევს სათანადო წარმოდგენას მისი, როგორც მკვლევრის, ავკარგიანობის შესახებ.

ჩვენი მიზანია გამოვიკვლიოთ ნ. ურბნელის მეცნიერული და იდეური მემკვიდრეობის ზემოაღნიშნული განსაზღვრული უბანი, რითაც, ვფიქრობთ, წვლილს შევიტანთ ნ. ურბნელის შემოქმედების შესწავლისა და სათანადოდ შეფასების აუცილებლად საჭირო საქმეში.

ვიდრე დასახული მიზნის განხორციელებას შეუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია გავარკვიოთ და შეძლებისდაგვარად გავასწოროთ ზოგიერთი უზუსტობა, რომელიც ხელს უშლის ნ. ურბნელის ბიოგრაფიისა და შემოქმედების ნორმალურ შესწავლას.

ნ. ურბნელი — ნიკოლოზ თადეოზის ძე ხიზანაშვილი — დაიბადა 1851 წელს სოფ. მაღლადოვლეთში, მღვდელ თადეოზ ხიზანაშვილის ოჯახში. ურბნელმა 1870 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია და 1871 წელს სწავლა განაგრძო ოდესის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. იგი უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა. ნ. ურბნელს თავისი პროფესიისათვის არასოდეს უღალატნია; მუშაობდა გამომძიებლად ზანგეზურში, ცხინვალში, სურამში, თიანეთში, სიცოცხლის უკანასკნელ ხანს კი თბილისში მომრიგებელი მოსამართლის მოადგილედ.

ნ. ურბნელი არ იყო, თუ შეიძლება ასე ითქვას, ისეთი უმნიშ-

ვნელო მოღვაწე, რომ მკვლევარს, ვინც შეეხება XIX საუკუნის 80—90-იანი წლების ქართული აზროვნების საკითხს, მისი არცოდნა არცოდვად ჩაეთვალოს და მისი გვარის ან ლიტერატურული ფსევდონიმის წინ სხვისი სახელის დასმა ეპატიოს, რაც, სამწუხაროდ, ხდება ხოლმე. მაგალითად, პროფ. გ. ზარდალიშვილს დ. ხიზანაშვილი და ნ. ურბნელი (ხიზანაშვილი) ერთი და იგივე პიროვნება ჰგონია, იგი იხსენიებს „ივერიაში" გამოქვეყნებულ წერილს „ზეზვა და ბახტრიონის აღება" (უნდა იყოს „ზეზვა და ბახტრიონის ციხე") და მის ავტორად დ. ურბნელს მიიჩნევს.[1] სინამდვილეში კი დავით ხიზანაშვილი სულ სხვა პიროვნება იყო, რომელიც კრებდა და იმ-დროინდელ პრესაში ბეჭდავდა ხალხურ ლექსებს (ეს ცნობა ნ. ურ-ბნელსაც აქვს ერთ თავის წერილში).[2]

სწორედ ამ დავით ხიზანაშვილს აიგივებს პროფ. გ. ზარდალი-შვილი ნიკოლოზ ხიზანაშვილთან (ნ. ურბნელი).

ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე არ არის დადგენილი, თუ როგორ უნდა იწერებოდეს ნ. ურბნელის გვარი. ზოგი მკვლევარი წერს ხიზანიშვილს, ზოგი ხიზანაშვილს. ძნელია წარმოვიდგინოთ, რომ ისეთ განათლებულ პიროვნებას, როგორიც ნ. ურბნელი იყო, არ სცოდნოდა საკუთარი გვარის გენეალოგია და მართლწერა. მართა-ლია, იგი ლიტერატურულ-სამეცნიერო ასპარეზზე ფსევდონიმებით მოღვაწეობდა, მაგრამ არსებობს საბუთები, რაზედაც მას ნამდვილი გვარი აქვს მოწერილი. მაგალითად, ხელნაწერთა ინსტიტუტში და-ცულია დადგენილება ისტორიკოს დ. ბაქრაძის სასარგებლოდ შეკრებილი ფულის მოხმარების შესახებ[3]. აღნიშნულ ოქმს სხვა მო-ღვაწეებთან ერთად ხელს აწერს ნიკოლოზ თადეოზის ძე ხიზანაშვი-ლიც. ხ ი ზ ა ნ და შ ვ ი ლ ი გადაბმული ასოებით წერია, ხოლო მათ შორის „ა" თითქოს საგანგებოდაა გამოყოფილი. ჩვენ ვიცით, რომ ნ. ურბნელს თანამედროვენიც კი ზოგჯერ ხიზანიშვილად, ზოგ-ჯერ ხიზანაშვილად წერდნენ. ბუნებრივია, ნ. ურბნელს არ სიამოვ-ნებდა ეს გარემოება და შესაძლოა ზემოაღნიშნულ დოკუმენტზე მის მიერ ხელის მოწერის დროს ასო „ა"-ს საგანგებო გამოყოფა სწორედ ამის შედეგი იყოს. ანგარიშსაწევია ისიც, რომ ნ. ურბნე-ლი თავის მოგვარე დავითსაც ხიზანაშვილად იხსენიებს, ვფიქრობთ, აღნიშნული არგუმენტები უფლებას გვაძლევს ნ. ურბნელის ნამდ-

---

[1] გ. ზ ა რ დ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, „ვინ თქვა — „ადეილ", ჟურნ. „ცისკარი", № 11, 1968, გვ. 157.

[2] ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი. ეთნოგრაფიული ნაწერები. 1940, გვ. 110.

[3] დიმიტრი ბაქრაძის პირადი საარქივო ფონდი, № 11 (ყოფილი 5—5264), ხელნაწერთა ინსტიტუტი.

ვილ გვარად მივიჩნიოთ ხიზანაშვილი და არა ხიზანიშ-ვილი.

ნ. ურბნელი მოკლეს 1906 წელს, 28 დეკემბერს[1]. იაკობ მანსვეტაშვილის „მოგონებათა“ რედაქტორის შენიშვნებში კი ვკითხულობთ — ნ. ხიზანაშვილმა ტრაგიკულად დაასრულა თავისი სიცოცხლე, 1907 წელსო.[2]

ვლ. აბრამიშვილი წერილში — „ილია ჭავჭავაძე და ნიკო ხიზანიშვილი“ — საკუთრებით სწორად მიუთითებს, რომ ნ. ურბნელი სასიკვდილოდ დაჭრეს 1906 წ. 28 დეკემბერს და, ემყარება რა გაზეთ „მეგობრის“ იმავე 16 (29) დეკემბრის ნომრის ცნობას, იმასაც აღნიშნავს, რომ დაჭრილი იმ საღამოსვე გარდაიცვალა.

შემდეგ ვლ. აბრამიშვილი წერს, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კრება, რომელიც 1906 წლის 19 დეკემბერს ჩატარებულა, ილია ჭავჭავაძეს მწუხარედ გაუხსნია და დამსწრეთათვის ფეხზე ადგომა უთხოვია ნ. ხიზანაშვილის ხსოვნის პატივსაცემად[3]. (ვლ. აბრამიშვილს ნ. ურბნელის გარდაცვალების თვის რიცხვი ახალი სტილით აღნიშნავს, წ.—კ. გამავრცელებელ საზოგადოების კრებისა კი — ძველი სტილით, თუმცა ამის შესახებ მითითებული არა აქვს).

1969 წელს გამომცემლობა „ნაკადულმა“ ცალკე წიგნად გამოსცა თედო სახოკიას „ჩემი საუკუნის ადამიანები“, რომელშიც თავმოყრილი მოგონებანი აეტორის მიერ სხვადასხვა დროს ცალ-ცალკე იყო გამოქვეყნებული პერიოდულ პრესაში. წიგნში აღნიშნულია, თითქოს ნ. ურბნელი და ილია ჭავჭავაძე 1903 წელს ერთად წასულიყვნენ საზღვარგარეთ[4], რაც არ შეეფერება სიმართლეს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძე მხოლოდ ერთხელ იყო საზღვარგარეთ და ისიც 1900 წელს (გერმანიაში).

ნ. ურბნელი კი საზღვარგარეთ 1903 წელს გაემგზავრა. აი, რას გადმოგვცემს ამ ფაქტის შესახებ ნ. ურბნელის მეუღლე, ცნობილი ქართველი მსახიობი, ელისაბედ ჩერქეზიშვილი: „ნიკო ხიზანიშვილი უჩიოდა ავადმყოფობას, ასტმა ჰქონდა. ნიკომ გადაწყვიტა საზღვარგარეთ წასვლა სამკურნალოდ... ილიამ (ჭავჭავაძემ — გ. ნ.) და

---

1 იხ. გაზ. „მეგობარი“, 1906, № 68, 16 (29) დეკემბერი; ამავე წლის გაზ. „მეგობარი“, № 69, 17 (30) დეკემბერი: „ძველი საქართველო“, ტ. I, თბ., 1909, გვ. 8.

2 ი. მანსვეტაშვილი, მოგონებანი, თბ., 1936, გვ. 260.

3 ვლ. აბრამიშვილი, ილია ჭავჭავაძე და ნიკო ხიზანიშვილი. „მნათობი“, № 7, 1968, გვ. 141.

4 თ. სახოკია. ჩემი საუკუნის ადამიანები. თბ., 1969. გვ. 32.

ქვეყნდა ვლ. აბრამიშვილის წერილი „ვაჟა-ფშაველას ერთი ფსევდონიმისათვის", სადაც სათანადო მასალებზე დაყრდნობით დასაბუთებულია გასაზიარებელი აზრი, რომ გაზეთ „დროებაში" 1885 წელს 87-ე და 169-ე ნომრებში გელა ხინკალეამიაშვილის ფსევდონიმით გამოქვეყნებული ორი კორესპონდენცია სათაურით „თიანეთი" და „ხმა მთიდამ" ეკუთვნის ნ. ურბნელს და რომ ეს კორესპონდენციები შეცდომით შეტანილია ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა X ტომში [1].

ჩვენ არ შეგვიძლია გავიზიაროთ არტურ ლაისტის აზრი, თითქოს ნ. ურბნელის „კრიტიკას სალიტერატურო მნიშვნელობა აკლდა ზომიერების უქონლობის გამო" და თითქოს იგი „თუკი ვინმე არ მოსწონდა, დაუნდობლად შოლტავდა" [2].

შეიძლება, როგორც მოსაუბრე ნ. ურბნელი მართლაც ასეთი იყო, მაგრამ როცა მის კრიტიკულ წერილებს ვკითხულობთ, არ შეიძლება „ზომიერების უქონლობა" ვუსაყვედუროთ. ეს რომ ჭეშმარიტებაა, ამაში გვარწმუნებს ნ. ურბნელის კრიტიკული წერილების გულდასმით გაცნობა და ამ წერილების სამართლიანი და მოკრძალებული ტონიც კი. მაგალითისათვის მოვიტანოთ ერთი ადგილი ნ. ურბნელის კრიტიკული წერილიდან ა. ხახანაშვილის „გუჯრების" შესახებ, რომელიც იშვიათი ზომიერების ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს: „ავტორის მოსაზრება ჩამაფიქრებელია და კამათისათვის დიდს ანგარიშს თხოულობს. რასაკვირველია, ცილობა შეიძლება, მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, თითოეული მთავარი აზრი ავტორისა პატივსადებია და საბუთებით შეიარაღებული" [3].

ასეთი მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, თუ როგორი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ნ. ურბნელი სხვის კრიტიკას და რა მოთხოვნას უყენებდა საკუთარ თავს.

რა თქმა უნდა, სხვადასხვა ავტორის მიერ დაშვებული ზემოთ აღნიშნული ყველა შეცდომა უნებლიეა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ეს შეცდომები ხელს უშლის ნ. ურბნელის ბიოგრაფიის თუ მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლას. სწორედ ამის გამო ვცანით საჭიროდ საგანგებოდ გაგვემახვილებინა ყურადღება აღნიშნული საკითხის მიმართ და შეგვეტანა იგი შრომის შესავალში.

---

[1] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, თხზ., სრული კრებული 10 ტომად, ტ. X, კორესპონდენციები, პუბლიცისტური წერილები, სხვადასხვა დამატებანი, 1964.

[2] ა რ ტ უ რ ლ ა ი ს ტ ი, საქართველოს გული, თბ., 1963, გვ. 25.

[3] ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი, „გუჯრები" ა. ხახანაშვილისა, „იმერია", № 63, 1892.

# თ ა ვ ი I

## ნ. ურბნელის კვლევის მეთოდები, ისტორიული კონცეფცია

ნ. ურბნელმა, როგორც ცნობილია, დაამთავრა ოდესის უნივერსიტეტი და არ გაუვლია, თუ შეიძლება ასე ითქვას, პეტერბურგის რევოლუციურ-დემოკრატიული „სკოლა", რომელიც იმ დროისათვის რუსეთის თვალუწვდენელ იმპერიაში საზოგადოებრივი აზროვნების ცენტრად ითვლებოდა. მიუხედავად ამისა, ნ. ურბნელი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების კეთილმყოფელ გავლენას განიცდიდა, რევოლუციონერ-დემოკრატებისა, რომელთა მებაირახტრე იყო ჩერნიშევსკი, რომლის შესახებ ვ. ი. ლენინი საგანგებოდ აღნიშნავს: „ის რევოლუციურ გავლენას ახდენდა თავისი ეპოქის ყველა პოლიტიკურ მოელენაზე, ატარებდა, მიუხედავად ცენზურის მრავალგვარი დაბრკოლებისა, გლეხთა რევოლუციის იდეას, ყველა ძველი ხელისუფლების დასამხობად მასების ბრძოლის იდეას".[1]

ნ. ურბნელი კარგად იცნობს დასავლეთ ევროპის განმანათლებლებს —ვოლტერს, რუსოს, მონტესკიეს და სხვებს. ბუნებრივია, ამ ფაქტსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისი, როგორც მოაზროვნის ჩამოყალიბებისათვის, მაგრამ ნ. ურბნელის მსოფლმხედველობის განმსაზღვრელი მთავარი ძალა მაინც მშობლიური ნიადაგი იყო. მის შემოქმედებას დიდ ზემოქმედებით ძალას ანიჭებდა თავისი სამშობლოს წარსული ისტორიის, თავისი ხალხის ზნე-ჩვეულებების ტრადიციების შესანიშნავი ცოდნა, რაც აუცილებელი პირობა იყო ყველა იმ ქართველი მოღვაწისათვის, ვისაც სურდა თვალნათლივ ეჩვენებინა მტერმოყვარესათვის ქართველი ხალხის მდიდარი ისტორიული კულტურა.

ილია ჭავჭავაძის უასლოესმა პირადმა მეგობარმა და მისი სულიერი ღელვის უშუალო მოწმემ ნ. ურბნელმა კარგად იცოდა, რომ

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 17. მე-4 გამოცემა, გვ. 129—130.

„დიდ-ბუნოვან კაცთა და სახელოვან გმირთა მაგალითებით ისტორია წურთნის ერსა, ზრდის, და დიდებულნი საქმენი კიდეე გულს უკეთებენ მოქმედებისათვის, აქეზებენ, ამხნევებენ“.[1] იგი ხედავდა, რომ კოლონიური ჩაგვრის პირობებში ქართველი ხალხის ეროვნული თავმოყვარეობა შელახული იყო და ათასი ჯურის „ლიტერატორები“ თუ „ისტორიკოსები“ ქართველ ხალხს უკულტუროებსა და ველურებს ეძახდნენ. ასეთ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის დიდი კულტურული წარსულის მზის სინათლეზე გამოტანას, მისი გმირული ისტორიის პროპაგანდას. ამ კეთილშობილურ საქმეს მოახმარა თავისი შემოქმედებითი მუშაობა ნ. ურბნელმა.

საინტერესოა ნ. ურბნელის, როგორც პუბლიცისტის მსოფლმხედველობის განვითარება. ნ. ურბნელი სამწერლო ასპარეზზე გამოსელის პირველ პერიოდში აქტიური წევრი იყო ქართული ხალხოსნური ჟურნალის — „იმედის“. ჟურნალში ნ. ურბნელი სისტემატურად აქვეყნებდა წერილებს, რომლებშიც დიდ ადგილს უთმობდა ქართველი გლეხობის უფლებრივი და ეკონომიური მდგომარეობის გაშუქებას. ნ. ურბნელმა ჟურნალ „იმედში“ გამოქვეყნებული წერილებით ნათელი გახადა, რომ საქართველოში მუდამ არსებობდა წოდებათა შორის ბრძოლა, რომელსაც ეკონომიური ფაქტორი განსაზღვრავდა. ჟურნალ „იმედის“ დახურვის შემდეგ ნ. ურბნელი „დროებაში“ თანამშრომლობდა და რადიკალურად ილაშქრებდა თავადაზნაურების წინააღმდეგ. მაგრამ გავიდა სულ მცირე დრო და ნ. ურბნელი სხვა რადიკალურ ხალხოსნურ მოღვაწეებთან ერთად ილია ჭავჭავაძის და მისი „იკერიის“ უახლოესი თანამშრომელი გახდა. და უკვე 900-იან წლებში, „ივერიაში“ „პლებსის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულ წერილებში ნ. ურბნელი ამტკიცებდა, რომ წოდებათა არსებობა საზოგადოებრივ კანონს წარმოადგენს და ამდენად ბუნებრივი და მისაღებიაო. მსოფლმხედველობის ასეთი ცვალებადობა საერთოდ დამახასიათებელი მოვლენა იყო იმდროინდელი ქართული რადიკალურ-ხალხოსნური ინტელიგენციისათვის.

ნ. ურბნელი წინააღმდეგი იყო ყოველი აზრის, თუ შეხედულების უკრიტიკოდ მიღება-გაზიარებისა, წინააღმდეგი იყო უცხოურიდან საქართველოს სინამდვილისათვის შეუფერებელი საზოგადოებრივი მოვლენების მექანიკურად გადმოტანა-„შემოღებისა“. იგი ყოველთვის საგანგებოდ აღნიშნავდა. რომ მოღვაწემ, მეცნიერმა. თუ მას სურს იყოს თავის სამშობლოსათვის სასარგებლო, უპირვე-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. თხზულებათა სრული კრებული, ტ. II, 1941, გვ. 511.

ლეს ყოვლისა, უნდა შეისწავლოს კულტურა, ისტორია, ზნეჩვეულება, ტრადიცია თავის ერისა და ყველაფერი ეს გაითვალისწინოს ყოველივე ახლის შემოღება-დანერგვის დროს.

„ევროპული მეცნიერება მიუცილებლად საჭიროა, მაგრამ მარტო ასეთი მეცნიერებით ჩვენებური მკვლევარი საქართველოს სოციალურ ევოლუციას ვერც თავს გაუგებს და ვერც ბოლოს"-ო[1], — წერს ნ. ურბნელი და დასძენს, — რომ „დიდად საჭიროა ჩვენი წარსულისა და აწმყო ცხოვრების შესწავლა და ცოდნა".[2]

ნ. ურბნელი ეროვნული კულტურის აღორძინების უპირველეს პირობად მიიჩნევს ეროვნული ტრადიციების, წეს-ჩვეულებების, ადათების, ერთი სიტყვით, ყველა იმის დაცვა-შენარჩუნებას, რაც ერთ ერს მეორისაგან განასხვავებს, მაგრამ არა ყოველგვარი ეროვნული განმასხვავებელი ნიშნის დაცვა-გაძლიერებას, არამედ მხოლოდ ისეთებისა, რომელთაც პროგრესის მოტანა შეუძლიათ.

„იქნება გეგონოთ, რომ ჩვენ გვსურს ყველა ჩვეულების დაცვა. არა, ჩვეულებასაც თავისი აზრი და მნიშვნელობა აქვს და, თუ იგი ხალხის ვინაობის გამომხატველია და ამასთანავე ზნეობით კანონს არ ეწინააღმდეგება, მისი დაცვა ყოველად საჭიროა. სხვათა შორის, სწორედ ასეთი ჩვეულება აძლევს ხალხს განსაკუთრებითს ფერს, პიროვნულ ხასიათს. როგორც ყველა ცალკე პირისათვის საჭიროა მისი პიროვნული თავისებურება, ვინაობა, ისე ხალხისათვის საჭიროა გონივრული ხალხისნური ჩვეულება. სადაც ასე არ არის, იქ არც პროგრესია შესაძლო" — აცხადებს ნ. ურბნელი.

რა თქმა უნდა, მას, ისევე როგორც მარქსამდელ ყველა მოღვაწეს, არ შეეძლო წარმოედგინა ის დრო, როცა ეროვნებები აღარ იარსებებენ, როცა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის ცნებები თავიანთ მნიშვნელობას დაკარგავს და მსოფლიოს საერთო კულტურას დასაბამს მისცემს ყველა ერიდან აღებული კულტურული საუნჯენი.

მიუხედავად იმისა, რომ ნ. ურბნელი თავის მეცნიერულ ნაშრომებში ძირითადად საღი აზრების და დებულებების ავტორია, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ზოგჯერ მისი აზრები უარსაყოფი და მიუღებელია. ნ. ურბნელი განიცდის იმდროინდელი ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის გავლენას. იგი „რუსულ და ევროპულ მწერლობაში გაბატონებული სოციოლოგიური და შედარებითი სკოლის და

---

[1] ნ. ურბნელი, ჩვენი ცხოვრების ევოლუცია, „ივერია", 1902, № 5.
[2] იქვე.
[3] ნ. ხიზანიშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, გვ. 4.

მეთოდის მიმდევარი იყო“ [1] და ამ სკოლის როგორც უარყოფითი, ისე დადებითი გავლენა აშკარად შეიმჩნევა მის შემოქმედებაში.

იგი ადამიანის ჩამოყალიბებაში, მის სულიერ თუ ფიზიკურ ფორმირებაში გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებს ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოს. მაგალითად, როდესაც ფშაველის ან ხევსურის ცხოვრებას ეხება, მთიელი მას „უმანკო ქმნილებად“ მიაჩნია და ამბობს: „თავისი ხასიათით, მიმართულებით, მთელის თავის არსებით მთიელი ისეთივე უმანკო ქმნილებაა, როგორც მის გარშემო მოძრავი ბუნება“ [2].

ნ. ურბნელი მათ მხარეზეა, ვინც თაყვანისცემით იხსენიებს იმ დროს ,როცა კაცი ბუნებრივად ცხოვრობდა“ [3]. მისი აზრით. „ბუნებრივი კანონების“ უპირატესობა ნათელია, როცა მთიელს და ბარელ გლეხს ერთმანეთს ადარებ და ეს იმიტომ, რომ ბუნება მთაში ქმნის ადამიანის უმანკო და შეურყვნელ ხასიათს. „ვაკე ქართლში გლეხი ყველას წინ კისერს იხრის, თუ მეტადრე იმის მოპირდაპირეს რაიმე ძალა და უფლება აქვს, მთიელზედ სულ სხვა უნდა ითქვას. აქაური თავისუფალი ბუნების შვილი ამპარტავანია, თავის თავის ყადრი იცის. ყველასთან და ყველგან თავისუფლად უპირავს თავი. თავისუფლად იქცევა, თითქოს ყველანი ერთნი იყვნენ... მთიელს ვერ შეაშინებს ვერც ძალა და ვერც უფლება“ [4] — წერს ნ. ურბნელი.

რა თქმა უნდა, გეოგრაფიულ გარემოს და კლიმატურ პირობებს მართლაც აქვს გავლენა ადამიანის ფიზიკურ ჩამოყალიბებაზე, მის ჩვევებზე, გემოვნებაზე, მაგრამ მთიელისა და ბარის გლეხის სულიერი სხვადასხვაობა ხსენებულ ეპოქაში უნდა აიხსნას, უპირველეს ყოვლისა, მათი სოციალური ადგომარეობით.

ნ. ურბნელი, მართალია, შესამჩნევად განსხვავდება ძველი სკოლის ისტორიკოსებისაგან და მიაჩნია, რომ ერის ისტორიაში უპირველესი ადგილი უნდა მიენიჭოს უბრალო ხალხის სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების შესწავლას. მაგრამ თავის შრომებში მან ვერ დააკმაყოფილა ისტორიკოსისათვის მართლაცდა აუცილებელი ეს მოთხოვნა. მისთვის უცხო არაა ისტორიული მოვლენებისადმი ანალიზურ-სინთეზური მიდგომა. იგი არასოდეს არ შეზღუდულა მხოლოდ ფაქტების უბრალო აღწერით და მუდამ მიზეზ-შედეგობრივი

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I, 1928. შესავალი. გვ. 1.

[2] ნ. ხიზანიშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, გვ. 2.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 4.

კავშირის მაძიებელი ისტორიკოსი იყო, მაგრამ ზოგჯერ თავს ვერ ართმევს ისტორიკოსისათვის დაკისრებულ რთულ ამოცანას. მართალია, ნ. ურბნელის მოღვაწეობის ხანაში „საისტორიო კვლევა-ძიება მეთოდოლოგიურად ძალიან დაქვეითებული იყო"[1], მაგრამ აღნიშნულ ფაქტს მარტო ნ. ურბნელის, როგორც ისტორიკოსის, მეთოდოლოგიური სისუსტით ვერ აუხსნით. ამ შემთხვევაში აუცილებლად გასათვალისწინებელია იმ დროისათვის ისეთი დამხმარე მეცნიერების ძალზე სუსტი განვითარება, როგორიცაა პალეოგრაფია, დიპლომატიკა, ლინგვისტიკა, არქეოლოგია და ეთნოგრაფია. მარტო ის ფაქტი, რომ ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარების მთელ მანძილზე თვითონ ნ. ურბნელი იყო პირველი სერიოზული ეთნოგრაფი და „ქართული სამართლის ისტორიის ერთადერთი მკვლევარი".[2] ბევრს ლაპარაკობს მისი მეშაობის ძნელ პირობებზე.

ნ. ურბნელმა, როგორც ისტორიკოსმა, გამოამჟღავნა ისტორიული წყაროებისადმი კრიტიკული დამოკიდებულების შესანიშნავი უნარი. მან კარგად იცის, რომ ხელოვნებით გამოყენება ამა თუ ის საბუთისა, მისი უკრიტიკოდ მიღება და გაზიარება უიმედო საქმეა. ამიტომ არის, რომ იგი „ქართლის ცხოვრების" შესახებ ამბობს: „ქართლის ცხოვრება არ არის ჯერ კრიტიკულად განხილული და ამიტომაც ბევრი არა დაეჯერება რაო"[3].

ჩვენ სულაც არ გვსურს იმის თქმა, თითქოს ნ. ურბნელმა პირველად მიაქცია ამ საკითხს ყურადღება, მაგრამ ერთი უდავოა — ნ. ურბნელი ჩვენს იმ წინაპართა რიცხვს ეკუთვნის, რომლებმაც აღნიშნეს „ქართლის ცხოვრების" უკრიტიკოდ სარგებლობის შეუწყნარებლობა და თავიანთი მუშაობით ამ მხრივ ხელი შეუწყვეს ქართველი ხალხის შესანიშნავ ისტორიულ თხზულებათა კრებულის მეცნიერულად შესწავლა-დაჭეშვებას.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ „ქართლის ცხოვრების" შესახებ ნ. ურბნელს მეტად მართებული აზრები აქვს გამოთქმული. მან იცის, რომ ამ კრებულში „ჩვენს წარსულს შინაური წეს-წყობილებაზედ მეტად ცოტაა ნათქვამი და ნაამბობი. მატიანე უფრო პოლიტიკურსა და გარეგანს ცხოვრებას მოგვიყვრობს"[4]. ნ. ურბნელს ესმის „ქართლის ცხოვრების" ეს ნაკლი და აღნიშნავს კიდეც, როგორც ფაქტს. მაგრამ ამ ნაკლისათვის როდი საყვედურობს ძეგლის

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, დასახელებული ნაშრომი, შესავალი, გვ. 1.

[2] იქვე.

[3] ნ. ურბნელი, მესხური კილო და მისი მოსარჩლე. „ივერია", № 205. 1888.

[4] ნ. ურბნელი, „გუჯრები" ა. ხახანაშვილისა, „ივერია", № 68, 1892.

ავტორებს. ჩანს, მან იცის, რომ: „ქართლის ცხოვრება“ მთლიანად და საესებით ფეოდალური ისტორიოგრაფიის ნაყოფს წარმოადგენდა და იქ არც შეიძლებოდა ასეთი (ე. ი. სხვანაირი, ვიდრე არის — გ. ნ.) გაშუქება ყოფილიყო წარმოდგენილი“ [1].

ნ. ურბნელს მიაჩნია, რომ ისტორია რთული მეცნიერებაა და ისტორიკოსისაგან მოითხოვს საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალი დარგის ცოდნას. იგი სამართლიანად აღნიშნავს: „საკმაო როდია, როცა ქართველმა მხოლოდ თავისი პოლიტიკური თავგადასავალი იცის. არა, უფრო მეტად საჭიროა იმის ცოდნა, თუ რა ზნე-ჩვეულებაა, რა წესი და სამართალი, ეკონომიური განწყობილება, როგორი გამგეობა და მმართველობა ასულდგმულებდა და ძალღონით ჰმოსავდა საქართველოს“ [2].

ნ. ურბნელის მართებული აზრით, თუ კაცს ასეთი ცოდნა არა აქვს, იგი ვერასოდეს ვერ გაიგებს წარსულს, და თუ ასეთი უცოდინარი ან ნახევრადმცოდნე „მწერალიც“ არის, მაშინ იგი „მრუდე გზისაკენ მიჰმართავს მსმენელს საზოგადოებას“ [3].

ერთი სიტყვით, ურბნელი მოითხოვს, რომ ისტორიკოსს უნდა შეეძლოს „არა მხოლოდ მოვლენების გადმოცემა, არამედ მოვლენათა განსჯაც, — არა იმიტომ, სხვათაშორის, რომ ისტორიკოსს უნდოდა თავისი აზრი გამოეთქვა ამ მოვლენაზე, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ მან ხელი მოჰკიდა მათს გადმოცემას“ [4].

ყურადღების ღირსია ნ. ურბნელის კრიტიკული წერილები ქართული მხატვრული ლიტერატურის შესახებ და ეს მით უფრო საინტერესოა, რომ იმდროინდელი ქართული სალიტერატურო კრიტიკა ერთგვარად ჩამორჩენილი იყო. ი. ჭავჭავაძემ ამ საკითხზე საგანგებო წერილიც კი გამოაქვეყნა სათაურით „რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს“. აღნიშნულ წერილში ი. ჭავჭავაძემ მოგვცა ყოველგვარი „იზმებისაგან“ თავისუფალი, სადა და ნათელი განსაზღვრა ლიტერატურული კრიტიკის მაღალი მნიშვნელობისა: „ლიტერატურა თავისის ფართო მნიშვნელობით გონების ნაჭირნახულევი ხვავია, საცა წმინდა ხორბალიც არის და ბალახ-ბულახის თესლიცა, რაც ცხავია ხვავისათვის, ისიც კრიტიკაა ლიტერატურისათვის“ [5].

ნ. ურბნელს კარგად ესმოდა კრიტიკის ასეთი მნიშვნელობა. იგი ყოველთვის ცდილობდა ნაწარმოების ობიექტური შემფასებელი

---

[1] კ. გრიგოლია, ახალი ქართლის ცხოვრება, 1954, გვ. 83.
[2] ნ. ურბნელი, „გუჯრები“ ა. ხახანაშვილისა, „ივერია“, № 68, 1892.
[3] იქვე.
[4] ბ. ბელინსკი, რჩეული ფილოსოფიური თხზ., თბ., 1948, გვ. 491.
[5] ი. ჭავჭავაძე, თხზ., სრული კრებული, ტ. II, თბ., 1941, გვ. 112.

ყოფილიყო და მუდამ მზად იყო, მისეული კრიტიკა კეთილისმყოფელი „ცხავი“ ყოფილიყო ნიჭიერი ავტორის თხზულებისათვის. აი, რას წერდა, მაგალითად, ნ. ურბნელი ალ. ყაზბეგის დრამის — „ქეთევან წამებულის“ შესახებ: „ზოგჯერ მის მოქმედ პირებს ეტყობათ ხასიათის შეუმუშავებლობა. ეს გარეგანი ლიტერატურული ფორმის ნაკლოვანებაა და მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ნიჭი ჩაგრავს ბატონ მოჩხუბარიძეში ლიტერატურულ განვითარებას, გავარჯიშებას. საქმე ნიჭია, მკითხველო, და ლიტერატურული ფორმის შესწავლა, ხელოვნების თეორიის ყალიბზე წერა ადვილად შეიძლება... ნიჭი ხომ უხვად რგებია მოჩხუბარიძეს. აი, ეს არის ჩვენთვის ძვირფასი დიდი განძი“.[1]

რასაკვირველია, ისეთი კრიტიკა, სადაც გარკვეულია ნაწარმოების ნაკლი, დანახული და შექებულია ნიჭი შემოქმედისა, სასარგებლო იქნებოდა ავტორისთვისაც და მკითხველი საზოგადოებისთვისაც.

ლიტერატურა ნ. ურბნელისათვის ის იდეოლოგიური იარაღია, რომელსაც საზოგადოება პროგრესისაკენ მიპყავს. მისი მართებული გაგებით, ლიტერატურა უნდა ემსახურებოდეს ერის სასიცოცხლო ძალების გამოღვიძებას და იგი უნდა იყოს რეალისტური. მაშინ აქვს მას მოქალაქეობრივი უფლება და მისი დანიშნულებაც გამართლებულია.

როგორც ცნობილია, ქართველი სამოციანელები დიდ ყურადღებას უთმობდნენ ქართული სალიტერატურო ენის საკითხს. მათ კარგად ჰქონდათ შეგნებული, რომ „პირველი ნიშანი ერის ვინაობისა ენაა“ (ილია). ეს ჰეშმარიტება კარგად ესმოდა ნ. ურბნელს და მან თავის ნიჭიერად დაწერილ წერილებში დიდი ადგილი დაუთმო ქართული სალიტერატურო ენის საკითხს. უპირველეს ყოვლისა, ნ. ურბნელი მოხიბლული იყო იმ ფაქტით, რომ საზოგადოებაში „ტრიალებდა“ სჯა-ბაასი, კამათი ენის „გაფაქიზებისა“ და „განკარგების“ შესახებ.

სალიტერატურო ენის შესახებ ნ. ურბნელი იმ აზრისა იყო, რომ ენა უნდა ვითარდებოდეს და იზრდებოდეს, რომ საერო სალიტერატურო ენა უნდა ითვისებდეს „სათემო კილოდან“ ყველაფერს კარგს. იგი წერდა, რომ: „საერო ენა, რაც კი რამ მშკენიერია სათემო კილოში, ითვისებს, ისაკუთრებს. სხვათა შორის, ამ შეთვისებაზეა დამოკიდებული საერო ენის აღორძინებაც. საერო ენა მაშინ შედის წარმატებაში და ყოველთვის განკარგების გზას ად-

---

[1] ნ. ურ ბ ნ ე ლ ი, ლიტერატურული მიმოხილვა, „დროება“, 1883, № 112.

გია, როცა კავშირს არ სწყვეტს ხალხის ცოცხალ ენასთან".[1] ნ. ურბნელმა კარგად იცის, რომ სიტყვის შემოტანა სალიტერატურო ენაში დაუმუშავებლად, გრამატიკის კანონების გარეშე, დაუშვებელია. „ხალხური" ენა, მისი აზრით, „მასალაა მწერლობისათვის და არა მზა იარაღი. იმას დამუშავება და განვითარება სჭირდება და უამისოდ იმისი მწერლობაში ხმარება სრულიად არ მოასწავებს სამწერლო ენის განდიდებას და წარმატებას".[2] ეს დღეისათვის ჭეშმარიტებაა, მაგრამ მაშინ, როცა აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა, და, ერთი იმდროინდელი მოღვაწის თქმით, ვინც რომელი კუთხიდან იყო, იმ თემის ენაზე წერდა და ასეთ „ქართულს" აწვდიდა მკითხველ საზოგადოებას, გასაგებია, რომ ნ. ურბნელის ზემოაღნიშნულ მოსაზრებებს დიდი მნიშვნელობა ექნებოდა.

ნ. ურბნელი თავის პუბლიცისტურ წერილებში მრავალ საინტერესო საკითხს შეეხო და არასოდეს არ ჰგავდა იგი ფანტაზიასაყოლილ მწერალს. იგი ყოველთვის ცდილობდა, თუკი ამის რეალური შესაძლებლობა იყო, საბუთით განემტკიცებინა და ისე მიეწოდებინა მკითხველისათვის თავისი აზრები. საბუთიანობა არასოდეს უკარგავდა მის ნაწერს მხატვრულ შნოსა და ლაზათს, თუმცა ზოგჯერ იგი არ უთითებს წყაროს, თუ საიდან სარგებლობს, მაგრამ მკითხველი გრძნობს, რომ ავტორს საბუთი მზადა აქვს.

საქართველოს ისტორიაში კარგად ცნობილი კრწანისის ბრძოლის ასი წლისთავზე „ივერიაში" (№ 194) გამოქვეყნდა ნ. ურბნელის წერილი — „კრწანისის ბრძოლა". აღნიშნულ წერილში ავტორი მკითხველს უსურათებს აღა-მაჰმადხანის ფიზიონომიას და წერს: „წარმოიდგინეთ სახე გამხდარი დალმანჭული უწვერულვაშო, თოთხმეტ-ხუთმეტი წლის ბავშვის მსგავსი მოხუცი, ყმაწვილობითვე დასაჭურისებული, მუდამ ბრაზიანი, გულაღრენილი... ამას ზედ დაურთეთ უსაზღვრო თავმოყვარეობა, უზომო ბატონობის სურვილი, სიფლიდე, ყოველგვარი სიმზაკვრე და თქვენს წინ აღა-მაჰმადხანის ნამდვილი სურათი იქნება"[3].

აღა-მაჰმადხანის ურბნელისეული დახასიათება თითქმის მთლიანად ემთხვევა ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსის მალკოლმის მიერ

---

[1] ნ. ურბნელი, ეხლანდელი ქართული სამწერლო ენა, „ივერია", № 166, 1888.

[2] ნ. ურბნელი, ეხლანდელი ქართული სამწერლო ენა, „ივერია", № 177, 1888.

[3] ნ. ურბნელი, კრწანისის ბრძოლა, „ივერია", № 194, 1895.

ალა-მაჰმადხანის გარეგნობის აღწერას, რომელიც პროფ. ი. ცინცაძეს საგანგებოდ მოაქვს თავის წიგნში[1].

ეპეგარეშეა ნ. ურბნელს ხელთ ჰქონდა წყარო, რომლითაც იგი ხელმძღვანელობდა ალა-მაჰმადხანის დასახასიათებლად.

წყაროებზე დაყრდნობა ნ. ურბნელისათვის, როგორც ისტორიკოსისა და პუბლიცისტისათვის, მიუცილებელ დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს. ამიტომაც მისი ნაშრომები უმეტეს შემთხვევაში ნდობასა და მხარდაჭერას იმსახურებს.

ნ. ურბნელი დიდ ადგილს ანიჭებს საზოგადოებრივი იდეების როლს ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისათვის, მისი გაკეთილშობილებისათვის, პროგრესისათვის. მას მიაჩნია, რომ ყოველი ახალი იდეა, ცხოვრებისეული საჭიროებით წარმოშობილი, აუცილებელი მოვლენაა, რომ სწორედ ძველი და ახალი იდეების ბრძოლა აძლევს სტიმულს საზოგადოების განვითარებას. მისი აზრით, დიდი იდეები შობენ დიდ საზოგადოებრივ მოვლენებს. მას მიაჩნია, მაგალითად, რომ „საფრანგეთის დიდი რევოლუცია ღვაძლი შვილი და მემკვიდრე იყო წარსული საუკუნის ფილოსოფიისა"[2]. ნ. ურბნელმა კარგად იცის, რომ დროის ცვლასთან ერთად იცვლება ადამიანთა შეხედულებები. საზოგადოებაში ჩნდება ახალი მოთხოვნილებანი და ეს მოთხოვნილებები აპირობებს ახალი იდეის წარმოშობას. მან იცის, რომ იდეები, მოთხოვნილებები, ლტოლვა კლასობრივ საზოგადოებაში სხვადასხვანაირია, მაგრამ მან ისიც იცის, რომ ახალი იდეები მხოლოდ მაშინაა ღირებულებიანი და მისაღები, როცა იგი გამიზნულია სრულყოფილი სოციალური ურთიერთობის დამყარებისათვის.

აი, რას წერს ნ. ურბნელი აღნიშნული მოვლენის შესახებ: „ცხოვრების მოძრაობას თან მოსდევს „თაობა". რისთვის? მისთვის, რომ ცხოვრების ცვლილება ხალხის გულში და გონებაში შობს ახალ იდეალებს ,აზრებსა და თვით თაობა აუცილებელი შედეგია ცხოვრების ცვლილებისა"[3]. ნ. ურბნელმა იცის, რომ ძველისა და ახლის ბრძოლა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების აუცილებელი და უპირველესი ნიშანია. უამისოდ „მთელი საქართველო დიდ უბედურებაში იქნებოდა ჩავარდნილი"[4]. როცა ამას ამბობს ნ. ურბნე-

---

[1] ი ა ს ე ც ი ნ ც ა ძ ე, ალა-მაჰმად-ხანის თაედასხმა საქართველოზე, თბ., 1959, გვ. 71.

[2] ნ. ურ ბ ნ ე ლ ი, საფუძვლები სახალხო განათლებისა: „რეფორმა", № VII, 1861, გვ. 51.

[3] ნ. ურ ბ ნ ე ლ ი, ძველი და ახალი თაობა, გაზ. „დროება". № 94, 1863.

[4] იქვე.

ლი, ცხადია, იგი სხვა ხალხთა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების შესახებაც ამავე აზრისაა. სადავო არაა, რომ ურბნელი ამ შემთხვევაში მტკიცედ დგას მატერიალისტურ პოზიციებზე და თითქმის ისეთივე შეხედულება აქვს საზოგადოებრივი აზრის ევოლუციის შესახებ, როგორიც მარქსისტ მეცნიერებს.

ნ. ურბნელი თავგამოდებული ქომაგი და დამცველია ცხოვრების განვითარების მიერ ნაკარნახევი ახალი და პროგრესული იდეებისა იმ სამოციანელთა მსგავსად, რომლებმაც „არა მარტო განავითარეს თავისი დროისათვის მეტად პროგრესული შეხედულება საზოგადოებრივი იდეებისა და საზოგადოებრივი პრაქტიკის ურთიერთობის შესახებ, არამედ აღიარეს ამ იდეების მეტად აქტიური უკუქმედებითი როლი მათ წარმომშობ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე"[1].

ნ. ურბნელმა იცის, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებას თავისი კანონები გააჩნია და ამ კანონებს ემორჩილება ცხოვრების განვითარება. მან იცის, რომ ბუნების კანონების ცოდნა აუცილებელია ადამიანის მიერ ბუნების დამორჩილებისათვის და თავის სასარგებლოდ მისი გამოყენებისათვის.

ნ. ურბნელი საზოგადოებრივი საჭირბოროტო საკითხების გაშუქებისას წარმატებით აანალიზებს დასავლეთ ევროპის ქვეყნების შინაური ცხოვრების მაგალითებს და მათი მეოხებით საქართველოს სინამდვილისათვის დამახასიათებელი საკვანძო საკითხების გაშუქებას ცდილობს, რასაც არც თუ ისე იშვიათად წარმატებით ართმევს თავს.

ნ. ურბნელის აზრით, როცა ეკონომიური უთანასწორობა არსებობს, იურიდიული თავისუფლება კარგავს თავის ცხოველმყოფელ ძალას და ეს საერთო კანონია ყველა ერის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

„რას იზამს საწყალი ხალხი თავისუფლების ძალით? რა ნაყოფი მოაქვს მას ხალხისათვის?" — კითხულობს ნ. ურბნელი და თვითონვე პასუხობს: — „ბევრი არაფერი, თითქმის არა რაიმე და რომ ეს მართალია, აშკარად გვიმტკიცებს თითონ ინგლისი. იქ პოლიტიკურმა თავისუფლებამ (თუმცა ბევრი სხვა მიზეზითაც არის) საშინელი და საოცარი ეკონომიური მონობა დაბადა... ამგვარად თვით ეს თავისუფლება ღარიბი ხალხის დამჩაგვრელ ძალად გადაიქცა და

---

1 ვ. დ ო ნ ა ძ ე, ქართველი სამოციანელები ახალი ისტორიის პრობლემათა შესახებ, 1970, გვ. 65.

გსურთ ჭეშმარიტება? — ინგლისის საოცარი სიმდიდრე აშენებულია ხალხის სიღარიბეზე, მის სიღატაკეზე".[1]

როგორც ვხედავთ, ნ. ურბნელის კონცეფციით ეკონომიკაა საზოგადოების განვითარების მთავარი ძალა და თავისი მოსაზრების დასამტკიცებლად ინგლისის მაგალითს იშველიებს იგი.

ნ. ურბნელი თავის თხზულებებში მრავალჯერ შეეხო საკითხს, თუ რა როლს ასრულებს პიროვნება ისტორიაში, და მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისტორიის მთავარ მამოძრავებელ ძალად მას ხალხის მასები მიაჩნია. ნ. ურბნელი არც ცალკეული პიროვნების როლს უარყოფს ისტორიაში. პირიქით, მის დამსახურებას ისტორიის წინაშე საგანგებოთაც კი აღნიშნავს, მაგრამ პიროვნების მოქმედებას და მის პირად წარმატებას ისტორიის ასპარეზზე არსებულ პოლიტიკურ-ისტორიული მომენტით ხსნის და აცხადებს, რომ „მეფისა თუ სხვა საზოგადოებრივის მოღვაწის საქმეთა განხილვა და განსჯა შესაძლოა ისტორიულ გარემოებათა მიხედვით. დროთა ვითარებას დიდი გავლენა აქვს საზოგადო ცხოვრების ბრუნვაზე".[2]

როგორც ვხედავთ, ნ. ურბნელის კონცეფციით ისტორიის შექმნისათვის აუცილებელია არსებობდეს საზოგადოებრივი პირობები, შესაფერისი „დროთა ვითარება". ნ. ურბნელის აზრი, ეფიქრობთ, საშუალებას გვაძლევს განვაცხადოთ, რომ იგი თავისი თვალსაზრისით ახლო დგას ისტორიის შექმნის მარქსისტულ განსაზღვრასთან: „ადამიანები თვით ქმნიან საკუთარ ისტორიას. მაგრამ ქმნიან არა თვითნებურად, არა ნებაყოფლობით, არჩეულ პირობებში, არამედ უშუალოდ არსებულს, მოცემულს და გადმოცემულ პირობებში"[3]. ნ. ურბნელის აზრით, დიდი ისტორიული პიროვნება იმას უნდა ეწოდოს, ვინც თავისი მოქმედებით ხელს უწყობს საზოგადოებრივ პროგრესს, მხარს უჭერს საზოგადოების წინსვლას. ის პიროვნება კი, ვისი მოქმედებაც მიმართულია პროგრესის წინააღმდეგ, არ შეიძლება დიდი იყოს, მიუხედავად მისი ბუნებრივი ნიჭისა და დიდი გონებრივი ჰორიზონტისა.

ერთი სიტყვით, ნ. ურბნელის კონცეფციით დიდი პიროვნების როლი ისტორიაში მხოლოდ მისი მოღვაწეობის დიდი დადებითი შედეგებით ფასდება. წინააღმდეგ შემთხვევაში კი პიროვნება, მიუხედავად დიდი გონებრივი ნიჭისა, გასაკიცხი და შესაჩვენებელია. ამ თვალსაზრისიდან გამოდის ნ. ურბნელი, როცა იგი ნაპოლეონ ბო-

---

[1] ნ. ურბნელი, საფუძვლები სახალხო განათლებისა, ჟურნ. „იმედი", 1882, № 10.

[2] ნ. ურბნელი, მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო, 1894, გვ. 20.

[3] კ. მარქსი, თერმიდორი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა, თბ., 1932, გვ. 9.

ნაპარტეს „გაიძვერა“ და „ფლიდ“ გმირს უწოდებს და კიცხავს იმისათვის, რომ მან „დემოკრატიას პანღური ამოკრა და საფრანგეთში დააარსა ისეთი პოლიტიკური სისულელე, როგორიც ცეზარიზმი იყო“ [1].

ნ. ურბნელს ხალხის სახელოვან შვილად მიაჩნია ისეთი პიროვნება, რომელიც შთამომაელობას უტოვებს კარგ მაგალითს თუ როგორ უნდა იცხოვროს, იშრომოს და რა სამსახური უნდა გაუწიოს ადამიანმა თავის სამშობლოს, თავის ერს. ასეთი პიროვნება, ნ. ურბნელის აზრით, შექმნილია მარადიული უკვდავებისათვის. იგი განაგრძობს სიცოცხლეს მომავალ თაობათა საზოგადოებაში, რადგან მის პატივსაცემად და საცნობლად მისიცე „საქმენი დარჩნენ“ [2].

ნ. ურბნელი ისტორიას, როგორც მეცნიერებას, დიდ საზოგადოებრივ მნიშვნელობას ანიჭებს .მისი აზრით, კულტურული ცხოვრებისათვის აუცილებელია „ჯანმრთელი“ სული. ადამიანის სულის გაკეთილშობილებას კი, პირველ ყოვლისა, ხელს უწყობს კაცობრიობის გამოცდილების ცოდნა. მისი აზრით, ისტორიის ცოდნა, წარსულის შესწავლა დიდი გარანტიაა აწმყოს უკეთ მოწყობისათვის.

ნ. ურბნელი ისტორიული მაგალითების შესწავლაში ხედავს „ახალი“ თაობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საუკეთესო საშუალებას და ეროვნულ დანაშაულად თვლის, როცა სამშობლოს საუკეთესო შვილების ღვაწლთა შესწავლა დავიწყებულია თანამედროვე თაობისათვის. აი, რას წერს იგი კრწანისის გმირების შესახებ: „ჩვენთვის ღირს-სანატრელი და სამარადისოდ საგონებელია ის თაეგანწირული, აღფრთოვანებული წმინდა მამულის-შვილობა, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა კრწანისის ველზედ გამოიჩინეს და სათაკილოდ უნდა მიგვაჩნდეს მხოლოდ... როცა დუმილნი ფარავენ ერთგულთა ძეთა“ [3].

ნ. ურბნელი სიძულვილს ვერ მალავს მათდამი, ვისაც ისტორიის გაკვეთილი არაფრად უღირს. მისი აზრით, ასეთი პიროვნება ან „უმეცარია“, ან „მზაკვარი“ [4].

ნ. ურბნელი დაუნდობლად კიცხავს საზოგადოების იმ ნაწილს, ვისაც თავისი ცხოვრების მიზნად უაზრო დროსტარება და ქეიფი გაუხდია, ვინც არ იცის და არც უნდა იცოდეს თავისი ხალხის წარ-

---

[1] ნ. ურბნელი, საფუძელები სახალხო განათლებისა. ჟურნ. „იმედი“, № VII, 1882, გვ. 65—66.

[2] ნ. ურბნელი, მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო. 1894, გვ. 113.

[3] ნ. ურბნელი, კრწანისის ბრძოლა, გაზ. „ივერია“, № 194, 1895.

[4] იქვე.

სული, მისი ისტორია და კრწანისის მიდამოებს მხოლოდ იმით იცნობს, რომ იქ საქეიფო ადგილებია.

„ბრძოლისა და ვაჟკაცობის ადგილი უაზრო ქეიფმა და სამარცხვინო ხანჯლის ტრიალმა დაიჭირა... სალხინო და სასიამოვნო კრწანისის ბაღები ყველა თბილისელმა იცის და ის კი არ ახსოვთ, რომ ასის წლის წინათ კრწანისის ველი, სადაც ეს ბაღებია, წითლად შეიღება გმირთა უმანკო სისხლით, რომელიც სამშობლოსათვის დაინთხა. აქ ამ მწვანე წალკოტთა ადგილას ძველმა ქართულმა გმირობამ და ქველობამ ააგო ის უხილავი ტაძარი, სადაც არა ერთი თავდადებული მამულიშვილი მდუმარებს"[1] — წერს ნ. ურბნელი და მკითხველისათვის ნათელი ხდება, თუ რა დიდ საზოგადოებრივ მნიშვნელობას ანიჭებდა იგი ისტორიას, როგორც მეცნიერებას საზოგადოებრივი ცხოვრების აწმყოსა და მომავლის დადებითი პერსპექტივისათვის.

ნ. ურბნელს თავისი გარკვეული აზრი აქვს სამართლიანი და უსამართლო ომების შესახებ. მას ეაჩნია, რომ ისტორია მარტო გამარჯვებულებს არ აჯილდოებს. მისი მართებული აზრით, გამარჯვება მხოლოდ მაშინ არის ზეიმის ღირსი, როცა გამარჯვებისათვის ბრძოლის მიზანი ჰუმანური და სამართლიანია. მისი კონცეფციით დამარცხება ზოგჯერ საპატიოა და ისტორია მას შარავანდედით მოსავს. გამარჯვებულს კი იგივე ისტორია კიცხავს, ვინაიდან მის მოქმედებას განაპირობებს მხოლოდ არაჰუმანური საწყისები. აღნიშნული საკითხის ასეთ გაგებას გულისხმობს ნ. ურბნელი, როცა წერს:

„თქვენ მიპასუხებთ, რომ კრწანისის ველზედ საქართველოს გმირობა შთაინთქა და დამარცხდა. თაყვანსაცემი აქ რა არისო. მაგრამ ამისთანა პასუხი ხომ უგნურება იქნება. დამარცხებაც სხვა და სხვა გვარია. ზოგჯერ დამარცხება უფრო შარავანდედს ჰფენს თვით დამარცხებულს, ვიდრე გამარჯვებულს"[2].

ნ. ურბნელის აზრით, ისტორია როგორც მეცნიერება ყოველგვარი მეცნიერული დარგის განვითარებისათვის აუცილებელი წყაროა. ამა თუ იმ დისციპლინის განვითარება გარკვეულად დამოკიდებულია ამავე დისციპლინის განვითარების ისტორიის ცოდნაზე. ნ. ურბნელი მკაცრი სარკაზმით წერს მათ შესახებ, ვინც ნებისმიერი დისციპლინის აეკარგიანობაზე მსჯელობის დროს არ იცის ან შეგნებულად გვერდს უვლის სამსჯელო საგნის ისტორიის ცოდნას. მისი აზ-

---

[1] ნ. ურბნელი, კრწანისის ბრძოლა, გაზ. „ივერია", № 194, 1895.
[2] იქვე.

რით, ვისაც ისტორია მკვდარი საგანი ჰგონია, მას საერთოდ არ აქვს გაგების უნარი.

1888 წელს ნ. ურბნელი „ივერიაში“ წერდა, რომ, როცა ქართული სალიტერატურო ენის ან საერთოდ ენის შესახებ ვმსჯელობთ და მისი „გაკეთილშობილება“-„განკარგებისთვის“ ვიბრძვით, აუცილებლად უნდა ვიცოდეთ მისი წარმოშობის დრო, პირობები, განვითარების საფეხურები, ერთი სიტყვით, ენის ისტორია. იმას კი, ვისაც არ „ეჭაშნიკება“ ენის ისტორიაზე მსჯელობა, ურბნელის აზრით, არც უნდა ჰქონდეს პრეტენზია, საერთოდ, ენათმეცნიერების პრობლემებზე მსჯელობისა. ზოგიერთებს „არ ეჭაშნიკებათ ბაასი ჩვენის ენის ისტორიაზედ! . . მკვდარი საგანია ვერა გავიგეთ-რაო. საგნისა კი რა მოგახსენოთ და გაუგებრობა — კი დასაჯერებელია“ [1] — წერს ნ. ურბნელი.

ნ. ურბნელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საზოგადოებრივი აზრის განვითარებისა და წარმატებისათვის იმ როლს, რისი შესრულებაც შეუძლია ხალხების ურთიერთკულტურულ გავლენას. მისი აზრით, ადამიანს უკვე ბავშვობის წლებში სკოლამ უნდა შეუქმნას სრული წარმოდგენა, თუ რა დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია ერთი ხალხის კულტურულ მიღწევას მეორე ხალხის კულტურულ ბედზე. სკოლა უნდა ეხმარებოდეს სხვადასხვა ხალხების „შეკავშირებას“.

„ისტორია ამტკიცებს, რომ თუ პედაგოგიურის გზით ერთი ხალხის შეკავშირება მეორესთან გვსურს, სკოლის საფუძვლად უნდა აღიარონ კულტურული ფაველენა ერთი ხალხისა მეორეზე“ [2].

ნ. ურბნელი დიდ ყურადღებას აქცევს ეკონომიურ ფაქტორს საზოგადოების ნორმალური განვითარებისათვის. მისი აზრით, გლეხი, რომელიც განიცდის მიწის ნაკლებობას. არ შეიძლება აღფრთოვანებული იყოს სოფლის მეურნეობაში ახალი ტექნიკის დანერგვით. 1883 წლის „დროებაში“ ნ. ურბნელი შეეხო „ახალი გუთნების გასინჯვის“ საკითხს. ცხინვალის მაზრის ერთ-ერთმა მებატონემ სულხანოვმა ოდესიდან მიიღო გენის გუთანი და საჯაროდ გამოსცადა იგი იმ მიზნით, რომ დაემტკიცებინა ახალი გუთნის უპირატესობა ქართულ გუთანთან შედარებით. გამოცდას გლეხებიც დაესწრნენ და, როგორც ურბნელი აღნიშნავს, მათი დამოკიდებულება ამ გასინჯვისადმი გულგრილი იყო. „ამ გულგრილობით გლეხი პირდაპირ აცხა-

---

[1] ნ. ურბნელი, შესხური ყილო და მისი მოსარჩლე: „ივერია“, № 205, 1888.

[2] ნ. ურბნელი, ქართული ენის შემოღების გამო, „დროება“, № 187, 1883.

დებდა, ოღონდაც მამული საკმაო მქონდეს და ახალი გუთანი საჭირო არ არისო“ [1].

ნ. ურბნელი ასე აყენებს საკითხს: ეკონომია თუ აგრონომია — რა უფრო საჭიროა გლეხისათვის? და მიაჩნია, რომ, უპირველეს ყოვლისა, გლეხი უნდა დაკმაყოფილდეს მიწით. წინააღმდეგ შემთხვევაში განვითარებული „აგრონომია“ „ხელს უწყობს უამისოდაც შემძლებელს მებატონეებს“ [2].

ნ. ურბნელი ხალხის ზნეობრივი აღზრდისათვის განუზომელ მნიშვნელობას ანიჭებს კანონებს. მისი აზრით. სახელმწიფოში მოქმედი კანონები პატივს უნდა სცემდეს ხალხის უფლებას, უნდა აკმაყოფილებდეს მათს საჭიროებებს, მოთხოვნილებებს. სამართალი უნდა გამოდიოდეს ჰუმანური საფუძვლებიდან. „თუ გსურთ ხალხის ზნეობრივი აღზრდა, თუ გნებავთ, რომ ხალხმა სისხლად და ხორცად გარდაიქცეოს სიყვარული თანასწორობისა, მიეცით იმას ისეთი სამართალი, რომელიც ხალხის გემოვნებას ეთანხმება, იმის საჭიროებას აკმაყოფილებს, ისეთი სამართალი. რომელიც ნამდვილ ხალხს სურს“ [3].

როგორც ვხედავთ. ნ. ურბნელის შეხედულებები, მისი ისტორიული კონცეფცია არაა შორს რევოლუციურ-დემოკრატიული მსოფლმხედველობისაგან. მის ნაშრომებში ხშირად ვხვდებით ისტორიული მატერიალიზმის მეთოდის მომარჯვება-გამოყენებას. იგი შომხრეა ყოველგვარი პროგრესულისა. მას კარგად ესმის ხალხის მასების როლი ისტორიაში და შესანიშნავად აქვს წარმოდგენილი ცალკეული პიროვნებების როლი საზოგადოების განვითარებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ნ. ურბნელი თავისი იდეური მემკვიდრეობით ახლო დგას ქართველ სამოციანელებთან, მას ახასიათებს აზროვნების მტკიცე ინდივიდუალობა და თავისთავადობა, რაც, ბუნებრივია, ორიგინალობას ანიჭებს მის ნააზრევს.

ნ. ურბნელმა საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ დაწერა შესანიშნავი გამოკვლევა — „მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო“ (რომელიც ქართულ ენაზე დაიბეჭდა თბილისში 1894 წელს).

აუცილებელია განვიხილოთ, რა წყაროებით სარგებლობს ავტორი თავისი შრომის წერისას და როგორია მისი დამოკიდებულება

---

[1] ნ. ურბნელი, ეკონომია თუ აგრონომია? „დროება“. № 248, 1883.

[2] იქვე.

[3] ნ. ურბნელი, ჩვენი გლეხკაცობა და ახალი სამართალი, „იმედი“, № 3. 1882.

წყაროებისა და, საერთოდ, გამოყენებული ლიტერატურის მიმართ ან რამდენად სანდოა გამოყენებული წყაროები თანამედროვე ისტორიოგრაფიის თვალსაზრისით.

ნ. ურბნელს, როგორც დავით აღმაშენებლის ეპოქის მკვლევარს, ეპირველეს ყოვლისა, სამართლიანად მიუჩნევია საყრდენად ერთადერთი ორიგინალური პირველწყარო — „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი". ამ თხზულების ანონიმ ავტორს ქართულ ისტორიოგრაფიაში დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს უწოდებენ. დავითის ისტორიკოსი მეფის თანამედროვე და მის მიერ აღწერილი ბევრი ამბის მომსწრე და თვითმხილველია,[1] რაც აძლიერებს ნდობას მისი თხზულების მიმართ.

ბუნებრივია, მხოლოდ აღნიშნული მოტივი არ გამოდგება დავითის ისტორიკოსის თხზულების მნიშვნელობის წესაფასებლად. მაგრამ ამ წყაროდან კარგად ჩანს, რომ ისტორიკოსი განათლებული. შორსმჭვრეტელი და, რაც მთავარია, ძირითადად ობიექტური და პრინციპული მეისტორიეა. როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს, „ჩვენი მემატიანე მარტო თვით-მხილველი თანამედროვე კი არა ყოფილა, იგი, როგორც ეტყობა, მეფის მახლობელ კაცად უნდა ჩაითვალოს".[2]

პროფ. შ. მესხია კი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „დავითის ისტორიკოსი არა მარტო მეფის ახლობელი პირი ყოფილა, არამედ მის მომხრეთა დასის აქტიური წევრი და სამეფო ხელისუფლების პოლიტიკის თაედადებული დამცველიც. ისტორიკოსის ასეთი მიკერძოებული დამოკიდებულება მეფისა და მისი პოლიტიკისადმი, ბუნებრივია, დაღს ასვამს ამ საისტორიო თხზულებას და მონათხრობს იშვიათ შემთხვევაში ობიექტურობის ელფერს უკარგავს"[3].

ნ. ურბნელი, როგორც დაკვირვებული და ნიჭიერი მკვლევარი, ითვალისწინებს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის აღნიშნულ ნაკლს, მაგრამ მას სამართლიანად მიაჩნია, რომ ყველაზე სრულ და სანდო წყაროდ დავით აღმაშენებლის ეპოქის შესასწავლად მაინც რჩება „ქართლის ცხოვრებაში" დაცული თხზულება „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი".

იგი წერს: „დროთა ვითარების გამო აქობამდე მაინც ეს მატიანეა უმთავრესი მასალა და წყარო ისტორიკოსებრ ძიებისა ყოფისთ-

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1945, გვ. 14.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 209.

[3] შ. მ ე ს ხ ი ა, დიდგორის ბრძოლა, 1965, გვ. 5.

ვის“ [1]. ნ. ურბნელს კარგად აქვს შემჩნეული, რომ დავითის ისტორიკოსის ცნობების სიმართლე ხშირად დასტურდება სხვა წყაროებთან შეჯერებით და მისგან განსხვავებული მონაცემები ძალზე ცოტაა დავითის ეპოქის შესახებ არსებულ იმ შრომებში, რომლებიც უცხოელ ავტორებს ეკუთვნის. „მატიანე ნამდვილ ამბებს მოგვითხრობს და სინამდვილე ზოგჯერ სხვა საბუთებითაც მტკიცდება“-ო [2], წერს ნ. ურბნელი. შემდეგ კი აღნიშნავს, რომ „უცხოელ მეისტორიეთა ნაწერებში, რაც არ უნდა იყოს, მეტად ცოტაა ახალი ცნობები დავით აღმაშენებელზედ“ [3].

ნ. ურბნელმა, რა თქმა უნდა, იცის, რომ არაქართულ წყაროებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიის საკითხების შესასწავლად, მაგრამ სამართლიანად მიუთითებს მათი შინაარსის არამთლიანობასა და ცალმხრივობაზე. იგი წერს: „სომეხთა და მაჰმადიანთა ისტორიკოსებმა მცირე და ნაწყვეტ-ნაწყვეტი ამბები დაგვიტოვეს დავით აღმაშენებელზე. ეს ამბები უმეტეს ნაწილად მეფის სამხედრო მოღვაწეობას შეეხებიან“ [4].

ნ. ურბნელის აზრით, დავითის ისტორიკოსი განათლებული პიროვნებაა. იგი ისტორიკოსს მეფის მახლობელ კაცად მიიჩნევს და სწორედ ეს მახლობლობა მიაჩნია მას იმის ხელშემწყობ პირობად, რომ ყოველთვის ობიექტური იყოს მეფის ცხოვრების აღწერის დროს. „მემატიანე მეფის თანამედროვე და დაახლოებული კაცი ყოფილა. თუმცა ამ მემატიანეს არც სწავლა-განათლება აკლია, თითქო კლასიკური მწერლობაც უსწავლია და ისტორიის მცოდნეც არის. . . ცხადად ეტყობა, რომ მემატიანე იმდროინდელი რიტორი უნდა იყოს. „ქებათა-ქების“ კილოთი წერს. თუმცა დიდ ცოდვად კი მიაჩნია ტყუილის თქმაო“ [5], წერს ნ. ურბნელი და, ცხადია, ასეთი დასკვნის გაკეთება მას შეეძლო მხოლოდ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულების დაკვირვებული ანალიზის შემდეგ, რაც ნათლად ჩანს ნ. ურბნელის შრომიდან, რადგან იგი დავითის ისტორიკოსის მიმართ თავისი შეხედულების დასადასტურებლად წარმატებით იმოწმებს მემატიანის თხზულებიდან ამოღებულ სათანადო ადგილებს. მაგალითად, როცა ნ. ურბნელი ამბობს, რომ მემატიანეს „დიდ ცოდვად—კი მიაჩნია ტყუილის თქმაო“, იქვე იმოწმებს იმ ადგილს ქართლის ცხოვრებიდან, სადაც წერია „და ვთქვა სხვაცა

---

[1] ნ. ურბნელი, მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო, 1894. გვ. 4.
[2] იქვე.
[3] იქვე. გვ. 5.
[4] იქვე. გვ. 4.
[5] იქვე.

საქმე... რომელსა შინა არა იყოს-რა ტყუვილი, ვინაითგან წარსწყმიდეს უფალი ყოველთა, რომელნი იტყვიან სიცრუესა"... [1].

როგორც ვხედავთ, ნ. ურბნელს მართებულად ესმის დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულების დიდი მნიშვნელობა დავითის ეპოქის შესასწავლად, მაგრამ მას არც ის ავიწყდება, რომ ისტორიკოსი მეფის ახლობელი პირია და უმნიშვნელო გამონაკლისის შემთხვევაში შეიძლება მაინც სუბიექტური იყოს მეფის მოღვაწეობის შეფასებისას. ნ. ურბნელი დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ნაკლად მიიჩნევს რომ იგი მეფის ბავშვობის წლებისა და აღზრდის შესახებ არაფერს აღნიშნავს: „მატიანეში სრულიად მოხსენებული არ არის, როგორ აღიზარდა მეფე, რა გარემოებას ჰქონდა გავლენა იმის ხასიათსა და მიმართულებაზე, პატარაობისას რა მდგომარეობაში იმყოფებოდა, რანაირი იყო მისი საოჯახო ყოფა-ცხოვრება და სხვ. ეს ნაკლი მით უფრო სამწუხაროა, რომ მემატიანე მეფის თანამედროვე და დაახლოებული კაცი ყოფილა" [2].

ნ. ურბნელს ვერ შეუნიშნავს ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება. კერძოდ ის, რასაც აკად. ივ. ჯავახიშვილმა საგანგებოდ მიაქცია ყურადღება. სახელდობრ, ის, რომ დავითის ისტორიკოსის თხზულებების შესავალი და დასაწყისი დაკარგულია [3]. შეიძლება თხზულების სწორედ დაკარგულ ნაწილში იყო დაცული ცნობები მეფის ბავშვობისა და აღზრდის წლებზე. ყოველ შემთხვევაში, ნ. ურბნელს რომ თხზულების არასრულობა შეემჩნია, ასეთ ვარაუდს ალბათ არ გამორიცხავდა.

ნ. ურბნელი იცნობს და თავისი შრომის გასამართავად [4] დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ისეთ წყაროს. როგორიცაა „ანდერძი წმიდისა მეფისა დავით აღმაშენებლისა, პანკრატონ დავითიანისა, რომელი წარმოუთხრა მოძღუარსა თჳსსა არსენის ეამსა გარდაცვალებისა თჳსისასა ყოველთათჳს დიდებულთა თჳსთა" [5].

დავით აღმაშენებლის ეპოქის შესახებ საინტერესო ცნობები მოეპოვება XII საუკუნის პირველი ნახევრის ბომეხ ისტორიკოსს მათე ურჰაელს და უნდა ითქვას, რომ ნ. ურბნელი იცნობს და წარმატებითაც იყენებს მის ცნობებს. მაგალითად. როცა ნ. ურბნელი

---

[1] ნ. ურბნელი, მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო, 1894, გვ. 4.

[2] იქვე, გვ. 3—4.

[3] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 13.

[4] ნ. ურბნელი, მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო, გვ. 10,20.

[5] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ეორდანიას მიერ, II, 1897, გვ. 51.

ებება დიდგორის ბრძოლაში ქართველთა ლაშქრობის რაოდენობასა და მისი ნაციონალური შემადგენლობის საკითხს, სამართლიანად იზიარებს მათე ურჰაელის ცნობებს, რომლებიც, ჩვენი აზრით, ყველაზე უფრო სწორია.

ნ. ურბნელი შესანიშნავად იცნობს სომეხ ისტორიკოსს ვარდან ბარძრბერდეცის წიგნს — „Всеобщая История" და არაერთხელ იმოწმებს მას თავის შრომებში.

ჯვაროსნულმა ომებმა, როგორც ცნობილია, ერთგვარად გაარღვია შუა საუკუნეების ევროპის ზღუდეები და მისი ხალხები ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან მიიყვანა.

თურქ-სელჯუკთა წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში გაიცნეს ერთმანეთი ევროპელებმა და ქართველებმა. ბუნებრივია, რომ ევროპელთა უძველეს ცნობებში საქართველოს შესახებ აისახა სწორედ ამ ბრძოლის მომენტები... ანტიოქიის ჯვაროსნული სამთავროს კანცლერი, ანტიოქიის ომების მონაწილე გოტიე იძლევა დიდგორის ომისა და ამ ომში ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვების აღწერას" [1].

ნ.ურბნელი იცნობს გოტიეს ცნობებს დიდგორის ბრძოლის შესახებ და საგანგებოდ და სამართლიანად მიუთითებს, რომ გოტიეს გაზეიადებული აქვს თურქთა კოალიციური ლაშქრის სიმრავლე დიდგორის ბრძოლაში [2].

დავით აღმაშენებლის პიროვნების დახასიათებისას ნ. ურბნელი იყენებს რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მიერ მიღებული ცნობილი „ძეგლის წერის" ტექსტს და აღნიშნული ტექსტიდან იმოწმებს შემდეგ ადგილს: „მყუდრო და მშვიდ, სახიერ და ტკბილ, მოწყალე და ძვირ უხსენებელ" [3].

უნდა აღინიშნოს, რომ დავით აღმაშენებლის ეპოქის შესახებ წყაროები მოიპოვება არაბულ და ლათინურ ენებზეც კი. მაგრამ ნ. ურბნელს არ შეეძლო არსებული ყველა წყაროს გამოყენება. მაგრამ, როგორც პროფ. შ. მესხია სამართლიანად მიუთითებს, „ნ. ურბნელმა იმ დროისათვის მის განკარგულებაში არსებული წყაროების მიხედვით, საკმაოდ ვრცლად განიხილა დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის ყოველი მხარე" [4]

როგორც ცნობილია, ქართველოლოგია ევროპაში დაკავშირებუ-

---

[1] შ. ხანთაძე, ნარკვევი ევროპული ქართველოლოგიის ისტორიიდან: ქართული ისტორიოგრაფია, 1968, გვ. 106.

[2] ნ. ურბნელი, მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო, გვ. 65.

[3] იქვე, გვ. 17.

[4] შ. მესხია, დიდგორის ბრძოლა, 1965, გვ. 13.

ლია შესანიშნავი მეცნიერის — მარი ბროსეს სახელთან, რომელმაც სხვა დიდი მნიშვნელობის შრომებთან ერთად საქართველოს ისტორიის შესახებ თავის ფრანგულ ენაზე დაწერილ წიგნში „დამატებანი და განმარტებანი საქართველოს ისტორიის შესახებ" გამოაქვეყნა სხვადასხვა ეროვნების ისტორიკოსთა ცნობები დავით აღმაშენებლის ეპოქის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ცნობები ნაწყვეტების სახითაა გამოქვეყნებული ბროსეს ნაშრომში, ეს ცნობებს მაინც დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია აღნიშნული ეპოქის შესასწავლად.

ნ. ურბნელი, რა თქმა უნდა, იცნობს ბროსეს აღნიშნულ შრომას და სათანადო კრიტიკული ანალიზის შემდეგ წარმატებით იყენებს თავისი შრომის შესასრულებლად. ნ. ურბნელის კვლევის მეთოდისათვის წყაროებზე დაყრდნობა აუცილებლობას წარმოადგენს; მას კარგად ესმის იმ სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინების აუცილებლობა, რომელიც ეხება დავით აღმაშენებლის ეპოქას და რომელიც, რა თქმა უნდა, მისთვის ხელმისაწვდომი იყო.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი ღვაწლი დასდო ვახუშტი ბაგრატიონმა საქართველოს ისტორიის საკითხების შესწავლას. მან თავის წიგნში „საქართველოს ისტორია", რომელიც პირველად 1885 წელს გამოქვეყნდა, მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო დავით აღმაშენებლის ეპოქას და, ბუნებრივია, ნ. ურბნელმა ეს წყაროც გამოიყენა თავის შრომებში. მართალია, ვახუშტიმ ძირითადად გაიმეორა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობა, მაგრამ ზოგჯერ მის შრომაში ეხვდებით განსხვავებულ ცნობებსაც, რისი აღნიშვნაც ნ. ურბნელს საჭიროდ მიუჩნევია.

ვახუშტის „საქართველოს ისტორიას" დართული აქვს ცნობილი ისტორიკოსის დ. ბაქრაძის განმარტებები და შენიშვნები, სადაც გათვალისწინებულია საქართველოს ისტორიის შესახებ ახლად მოძიებული მასალები.

ნ. ურბნელი დიდ მნიშვნელობას აძლევს დ. ბაქრაძის აღნიშნულ შენიშვნებს და სათანადო ანგარიშს უწევს მათაც. მაგალითად, როცა მას სურს დაამტკიცოს, რომ დავით აღმაშენებლის ანდერძში მოხსენებული ცვატა უფლისწულ ვახტანგის პატარაობის სახელია, იშველიებს ბაქრაძის მოსაზრებას [1], რომელიც შეტანილია სწორედ ვახუშტის საქართველოს ისტორიის შენიშვნებში [2]. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ნ. ურბნელი განსაკუთრებული გულისყურით

---

[1] ნ. ურბნელი, მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო, გვ. 20.

[2] ვახუშტი, საქართველოს ისტორია, 1885, ტფილისი, გვ. 187.

ეკიდება დ. ბაქრაძის მეტად საყურადღებო ნაშრომებს საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ და არაერთხელ მიუთითებს მათ ავ-კარგზე თავის შრომებში.

ნ. ურბნელი კარგად იცნობს მ. საბინინის წიგნს — „საქართველოს სამოთხე", რომელიც 1882 წელს დაიბეჭდა. იმ წერილში [1], სადაც ნ. ურბნელი მსჯელობს რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მნიშვნელობის შესახებ, სამართლიანად არის გაკრიტიკებული „საქართველოს სამოთხეში" მოცემული ზოგიერთი დებულება.

წიგნში — „მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო" აშკარაღ ჩანს, რომ ნ. ურბნელი კარგად იცნობს თავის წინამორბედ ქართველ ისტორიკოსთა შრომებს, შესწევს უნარი სათანადო მეცნიერული ანალიზის შემდეგ მიიღოს ან არ მიიღოს აღნიშნულ ისტორიკოსთა თვალსაზრისი საკელევი საკითხის შესახებ და გამოიტანოს თავისი (უმეტეს შემთხვევაში — მართებული) დასკვნები.

---

[1] ნ. ურ ბ ნ ე ლ ი, ჩვენი საეკლესიო სჯულმდებლობა „ძველის წერაზ", „ივერია", № 46, 1888.

## თავი II

### 6. ურბნელის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი

6. ურბნელის ნიჭმა მის სიცოცხლეშივე პოვა აღიარება. სიცოცხლეშივე შეიძინა მან თაყვანისმცემლები, რომელთა შორის ერთ-ერთი ილ. ჭავჭავაძე იყო — „ეს დედაბოძი ჩვენი გონებითი მოძრაობისა" (ურბნელისეული გამოთქმა); ილიას აზრი 6. ურბნელის შემოქმედებაზე კარგად არის გამოხატული ურბნელისადმი გაგზავნილ მისსაეე ბარათში, რომელიც საგანგებოდ გვინდა მოვიტანოთ:

„მოწყალეო ხელმწიფევ! გაზეთებიდან მოსსენებული გექნებათ, რომ პირველი იანვრიდან 1866 წელს გამოვა ყოველდღიური ქართული გაზეთი „ივერია", რომლის რედაქტორობა ვიკისრე მე. რასაკვირველია, ამისთანა მძიმე ტვირთს მე ვერ ვიკისრებდი თუ სახეში არ მქონოდა დახმარება და შემწეობა თქვენისთანა პატივცემულ მოღვაწეთაგან, მე დარწმუნებული ვარ, რომ ეგ იმედი, რომელმაც ასეთი მძიმე საქმე გამაბედინა, არ გამტყუნდება. გაზეთის საქმე საერთო საზოგადო საქმეა, იქნებ სხვაგან ისე არა, როგორც საკუთრივ ჩვენში. თქვენი წარსული, თქვენი ყოფილი მოღვაწეობა ჩემთვის უტყუარი საბუთია მისი, რომ სადაც საერთო, საზოგადო ,საქმეა იქ თვითონ თქვენი გული იძულებულგყოფთ მხურვალე მონაწილეობა მიიღოთ. მაშასადამე აქ თხოვნა მეტია. მე მარტო საჭიროდ ვრაცხ მოგახსენოთ, რომ თქვენი კალმის ნაწარმოებისათვის ჩვენი რედაქციის კარი ყოველთვის ღია იქნება და თქვენი თანამშრომლობა ყოველთვის სასიამოვნო და სასურველი.

გაზეთი გახლდებათ „დროებაზედ" უფრო მომეტებულის ზომისა. თქვენდა საყურადღებოდ მომირთმევია პროგრამა გაზეთისა.

თქვენი თანამშრომლობის მოიმედე

თქვენი გულითადი პატივისმცემელი ილია ჭავჭავაძე (1885 წ.)" [1].

---

[1] ელ. აბრამიშვილი, ილია ჭავჭავაძე და ნიკო ხიზანაშვილი, „მნათობი", 1968, გვ. 131.

ასეთი წერილებით მიმართა ილია ჭავჭავაძეს 1885 წელს იმ-დროინდელ ზოგიერთ ქართველ მოღვაწეს და მათ შორის ნ. ურბ-ნელსაც, როცა „ივერია“ ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთდა.

ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძე დიდი სიფრთხილით და დაკვირ-ვებით ეკიდებოდა თავის ყოველგვარ ნაწერს, თხზულება იყო ეს, პუბლიცისტური წერილი, თუ პირადი ბარათი.

იგონებს რა ილიას ამ საუკეთესო თვისებას, ე. თაყაიშვილი თა-ვის „მოგონებებში“ წერს: „მახსოვს გიორგი ჟურულის ნაამბობი (გიორგი ჟურული ილ. ჭავჭავაძის ახლობელი კაცი იყო. ილია მას ძალიან მფარველობდა, თან წაიყვანა პეტერბურგში, სახელმწიფო საბჭოს წევრად რომ აირჩიეს).

> „ერთხელ ილიასთან ვიყავი, იაკობ გოგებაშვილის წერილი მოუვიდა. რაღაცას ეკითხებოდა და მაშინვე უნდა გაეცა პა-სუხი. დაჯდა ილია. დაწერა ერთი პატარა წერილი და დახია. დაწერა მეორე და ისიც დახია. მე ვუთხარი რა ამბავია ამ ერთი ბეწო წერილისათვის ამდენი წვალება მეთქი? მიპასუხა „კაცო პატარაა თუ დიდია, მაინც დოკუმენტია და ზერელედ წერა არ შეიძლებაო“ [1].

რა თქმა უნდა, ილია ჭავჭავაძე გრძნობდა თავის ავტორიტეტს და კარგად ესმოდა, რა პასუხისმგებლობა იყო საჭირო მისი თითო-ეული სტრიქონისათვის. ამიტომ საჭიროდ მიეჩნიეთ საგანგებოდ მოგვეტანა ილიასეული წერილი ნ. ურბნელის, როგორც მოღვაწე მამულიშვილის, დასახასიათებლად.

ვინც ცოტათი მაინც იცნობს ნ. ურბნელის მრავალმხრივ შემოქ-მედებას და რაიმე დაუწერია მის შესახებ, ერთხმად აღნიშნავენ მის დიდ ნიჭიერებას, ფართო განათლებას, მკვლევრისათვის აუცილე-ბელ ალღოსა და პოლემიკის საოცარ უნარს. ნ. ურბნელის თანამედ-როვე ჟურნალისტი და ლიტერატურის კრიტიკოსი ხომლელი (რო-მანოზ ფანცხავა) უდიდეს შეფასებას აძლევდა მას, უწოდებდა რა „ახალი ქართული ლიტერატურის მნათობს“ და ასახელებდა ი. ჭავ-ჭავაძის, ა. წერეთლის, ნ. ნიკოლაძის გვერდით.

მოვუსმინოთ ხომლელს: „1894 წლის იანვრის თვიდან, ჩვენ მიერ დაარსებულმა „ქართული წიგნების გამომცემელმა ამხანაგო-ბამ“ დაიწყო თბილისში თვიური ჟურნალის „მოამბის““ გამოცემა. 1885 წელს რომ ილიას ჟურნალი „ივერია“ მოისპო, მას შემდეგ ქართველებს თვიური ჟურნალი არ ღირსებია 8 წლის განმავლობა-

---

[1] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, მოგონებები. „მნათობი“, № 1, 1959, გვ. 167—168.

ში, 1894 წ-მდე, ახალ ჟურნალს ქართველობა შეხვდა ისე, როგორც არაბეთის უდაბნოში ქარავანი შეხვდება წყალს.

ახალი ქართული ლიტერატურის დიდი მნათობნი ერთად თავმოყრით მოგროვდნენ ამ ახალი ჟურნალის ირგვლივ. ჟურნალში დიდი ხალისით თანამშრომლობა დაიწყეს: ნიკო ნიკოლაძემ, ილია ჭავჭავაძემ, აკაკიმ, პროფესორმა ვასილ პეტრიაშვილმა [1], ნ. ურბნელმა[2].

დიდი ივანე ჯავახიშვილი, რომელსაც ცუდ-უბრალოდ სიტყვა არ დასცდენია თავისი დიდებული მოღვაწეობის გრძელ გზაზე, ნ. ურბნელის შესახებ თავისებური მეცნიერული სიძუნწით წერს: „ნ. ურბნელი (ხიზანიშვილი) იყო XIX საუკუნის 80-იანი წლების მოღვაწე, რომელმაც ქართული სამართლის ისტორიაში არა ერთი მონოგრაფია გამოაქვეყნა. იგი ნიჭიერი დამკვირებელი იყო. მის ნაშრომებში არაერთი საგულისხმო საკითხია გაშუქებული“ [3]. ივ. ჯავახიშვილისეულ ამ შეფასებას ჩვენ ეკითხულობთ მისივე წიგნის „ქართული სამართლის ისტორიის“ შესავალში და, გასაგებია, რომ ამ შემთხვევაში ურბნელი დახასიათებულია, როგორც სამართლის ისტორიის მკვლევარი.

1940 წელს პროფესორმა გიორგი ჩიტაიამ ცალკე წიგნად გამოსცა ნ. ურბნელის „ეთნოგრაფიული ნაწერები“. ამ წიგნის წინასიტყვაობაში პროფესორი გ. ჩიტაია დიდ შეფასებას აძლევს ნ. ურბნელის შრომებს ეთნოგრაფიის დარგში და იმ პერიოდის „ყველაზე თვალსაჩინო“ წევრს უწოდებს: „ნ. ხიზანაშვილი ქართველი ეთნოგრაფების იმ პლეადას ეკუთვნოდა, რომელმაც ი. ჭავჭავაძის ხელკურთხევით დაიწყო მოღვაწეობა და ქართული ეთნოგრაფიის გაუტეხელ ყამირს ღრმა კვალი გაავლო. ეს ადამიანი, მისი დროის შესაფერისად კარგად მომზადებული, რომელსაც ჭკუა და ნიჭი უჭრიდა და კალამი ემორჩილებოდა, რომელიც ხალხის ზნე-ჩვეულებების ოსტატი-დამკვირვებელი და გონებამახვილი მკვლევარი იყო, ამ პლეადის ყველაზე მეტად თვალსაჩინო წევრია. ამიტომ არის.

---

[1] სხვათა შორის, ვ. პეტრიაშვილის მოღვაწეობას უდიდეს შეფასებას აძლევდა აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი — „ქართულ ენასა და მწერლობას მაშინ გაუმაგრდება ნიადაგი, თუ ჩვენი ახალი თაობა პატ. პროფ. ვ. პეტრიაშვილს მიბაძავს. გულწრფელად და თავგანწირულად ეცდება ქართულ სამეცნიერო (ყველა დარგისა) თანამედროვე მოთხოვნილების შესაფერისი მწერლობა შექმნას“. ი. ჯავახიშვილი, „მამულიშვილობა და მეცნიერება“, 1904, გვ. 19.

[2] ხ ო მ ლ ე ლ ი, რჩეული ნაწერები, 1963, გვ. 443.

[3] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, „ქართული სამართლის ისტორია“, წ. I, შესავალი, 1928.

რომ მის ეთნოგრაფიულ ნაწერებს, რაც დრო გადის უფრო მეტი შეფასება ეძლევა[1].

განაგრძობს რა ურბნელის მეცნიერული დებულებების ავკარგიანობის შესახებ მსჯელობას, პროფესორი გ. ჩიტაია ამავე წინასიტყვაობაში მეცნიერულად აზუსტებს ურბნელის ზოგიერთ დაშსახურებას: „ხიზანაშვილი აღიარებს ქართველ ტომებში „წინათ კერძო საკუთრების მაგივრად საზოგადო, საგვარეულო საკუთრება იყო“ და რომ შემდგომში გვარმა ადგილი დაუთმო პირს, საზოგადოებამ კერძოობას, ასე ვთქვათ, იურიდიულმა „მე-მ სძლია იურიდიულ „ჩვენს“. თუ ამას იმასაც დავსძენთ, რომ ნ. ხიზანაშვილი ქართველი ტომების წარსულში მატრიარქატის არსებობას ფაქტად მიიჩნევდა, ის ორი შესანიშნავი დებულების ავტორად გვეევლინება, სახელდობრ, იმ დებულებებისა, რომლებიც შემდეგში მ. კოვალევსკიმ საქართველოს და კავკასიის შესახებ წამოაყენა და ზოგად საშეცნიერო ლიტერატურაში კოვალევსკის აღმოჩენადაა ცნობილი“[2]. პროფესორი გ. ჩიტაია მიუთითებს იმ გარემოებასაც, რომ ეთნოგრაფიის შესწავლის ურბნელისეული მეთოდები ზოგ შემთხვევაში ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე ეთნოგრაფიის მოთხოვნებს, მაგრამ ამაში გასაკვირი არაფერია, ეთნოგრაფია მაშინ ახლად ფეხადგმული მეცნიერება იყო ჩვენში. ამიტომაც პროფესორი გ. ჩიტაია დიდ შეფასებას აძლევს ნ. ურბნელს, როგორც ეთნოგრაფს.

პროფ. გ. ჩიტაია სავსებით სამართლიანად მიუთითებს, რომ ურბნელმა ილია ჭავჭავაძის „ხელკურთხევით“ დაიწყო მოღვაწეობა.

ილია ჭავჭავაძე დიდი მოამაგე იყო თავისი სამშობლოს ისტორიისა. მისთვის ისტორია ყველაფერი იყო და მან ბრძნული აზრი გამოთქვა ერის ვინაობისათვის ისტორიის როლის შესახებ: „არ ვიცით, სხვა როგორ ჰფიქრობს და ჩვენ კი ასე გვგონია, რომ ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს. როგორც კაცად არ იხსენიება ის მაწანწალა ბოგანო, ვისაც აღარ ახსოვს ვინ არის, საიდან მოდის და სად მიდის, ისეც ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყრომია და თავისი ისტორია არ ახსოვს. რა არის ისტორია? იგია მთხრობელი მისი რომ თუ რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც“[3].

---

[1] ნ. ხ ი ზ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, „ეთნოგრაფიული ნაწერები“, გ. ჩიტაიას შესავალი წერილი, 1940, გვ. 7.

[2] ი ქ ვ ე.

[3] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. დაეით აღმაშენებელი, გაზ. „იბერია“, № 17.

ერის ტკივილით გულშეძრულ დიდ მამულიშვილს ილია ჭავჭავაძეს აწუხებდა და სტანჯავდა ქართული ეროვნული ისტორიის ჩრდილში ყოფნა, მისი არად ჩაგდება ზოგიერთი ვიგინდარას მიერ და, პირველ ყოელისა, ეძებდა ხალხს, ნიჭიერ ადამიანებს, რომელთა ნამოღვაწარიც სხივს ᲫᲝᲰᲤᲔᲜᲓᲐ ჩვენი მრავალტანჯული სამშობლოს ისტორიას.

ასეთ პიროვნებად მიაჩნდა მას ნ. ურბნელი. „ილია დიდ პატიკს სცემდა ნ. ხიზანაშვილს იმ შრომისათვის, რომელიც მან საქართველოს სიძველეთა გამოკვლევებს უძღვნა“ [1].

ნ. ურბნელი თავისი პუბლიცისტური პოღვაწეობის ადრეულ პერიოდში დიდ პატივს არ სცემდა ისტორიას, როგორც მეცნიერებას. უფრო მეტიც: სერიოზულ საქმედ არ მიაჩნდა ასეთი „მეცნიერული ვარჯიშობა“. აი, საბუთიც: „სწორედ რომ კარგი დრო შეურჩევია ბატ. ბაქრაძეს თავისი შრომის დასაბეჭდად. „ივერიაში“ ჩვენი დრო მეტად ხელს უწყობს არხეოლოგიურ და სხვა ამგვარ საზოგადოებათა კრებას და კრებაზე თავისუფლად, თამამად ბაასს. ამისათვის ხშირად იკრიბებიან, თავისუფლად სჯიან კიდეც. ასე გასინჯეთ. მთელ დრო-გამოშვებით მწერლობასაც არხეოლოგიური, არხივური ფერი დაედო, სწავლულთა კაბინეტის ხელი დაეტყო. ჩვენს გონებით მოძრაობასაც თანდათან ემატება ეს ფერი. „ტერმინების კომისია“, „ვეფხისტყაოსნის“ შესწორება, სხვა ამნაირი სხდომანი ხშირად გვიჩვენებენ თუ ჩვენს მეცნიერულ ვარჯიშობას არა, ამ ვარჯიშობის მიბაძვას მაინც. არხეოლოგს ბატონ ბაქრაძეს უშოვნია ორ ვარიანტი სახარებისა ქსნისა და უბნისისა და მათ შეეხება მთელი მათი რეფერატი. მკითხველისათვის ამ რეფერატს ინტერესი არ აქვს და თუ იგი დაბეჭდილია ჟურნალში, ალბათ იმიტომ, რომ „ივერიას“ მასალა შემოჰკლებია“ [2].

ურბნელი არაფერს ამბობს ბაქრაძის შრომის ავკარგიანობაზე. არამედ უადგილოდ მიაჩნია ამგვარი შრომების გამოქვეყნება და დაასკვნის, რომ „ივერიას“ ალბათ მასალა შემოჰკლებიაო“.

ასეთი იყო მისი თვალსაზრისი ადრე, მაგრამ როცა ილიას დაუახლოვდა, თავგამოდებული მკვლევარი და ქომაგი გახდა ეროვნული ისტორიისა და უკვე 1892 წელს ეხებოდა რა საქართველოს ისტორიისათვის საჭირო მასალების გამოვლენის დიდ მნიშვნელობას. ალ. ხახანაშვილის მიერ გამოცემული ქართული „გუჯრების“ შე-

---

[1] ᲐᲠᲗᲣᲠ ᲚᲐᲘᲡᲢᲘ, საქართველოს გული, 1963, გვ. 51.

[2] ნ. ᲣᲠᲑᲜᲔᲚᲘ, ლიტერატურული მიმოხილვა, გაზ. „დროება“, № 172. 1883.

სახებ იეერიაში წერდა: „საზოგადოდ ეს გუჯრები ძვირფასი მასალაა მცოდნე და განვითარებული ქართველისათვის, რომელსაც ჩვენი ისტორიის შესწავლა სურს.

ხოლო იმ ჯურის „ინტელიგენტი", რომელიც წყალწყალა ფელეტონების კითხვას დაჩვეულა და ვისაც გონების საზრდოდ და ვარჯიშად მსუბუქი და გასართობი ნაწერი მიაჩნია, არ წაიკითხავს გუჯრებს და არც ავტორს იმის წასაკითხად დაუბეჭდია თავისი შრომა" [1]. განსაკუთრებული ალღო არ არის საჭირო. რომ ამ სასწაულებრივ გარდაქმნაში ილიას ხელი დავინახოთ.

ნ. ურბნელის ადრინდელ წერილებს (80-იანი წლების დასაწყისი) ნაროდნიკული აზროვნების დაღი აზის. მათში გამოსჭვივის ქართველი ნაროდნიკების ნიჰილისტური დამოკიდებულება ეროვნული ისტორიისა და, საერთოდ, წარსულისადმი. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ურბნელი მოღვაწეობის ადრინდელ პერიოდში ნაროდნიკი იყო, ზოგი კი ფიქრობს, რომ იგი ახლოს იდგა ნაროდნიკებთან. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ, როცა მკვლევრები ეხებიან ქართველ ნაროდნიკთა მსოფლმხედველობას, აუცილებლად მიაჩნიათ მაგალითისათვის დაასახელონ ურბნელის ის შრომები, რომლებიც სისტემატურად ქვეყნდებოდა ნაროდნიკულ ჟურნალში „იმედი" (1881-1883 წწ.). პროფესორი ს. ხუნდაძე, ეხებოდა რა ქართველი ნაროდნიკების შეხედულებებს, წერდა: „იმედის" ჯგუფმა ნათლად დაინახა ის ღრმა უფსკრული და ბრძოლა, რომელიც არსებობდა სოფლად მემამულეთა და გლეხთა შორის. ამ ბრძოლის უმთავრეს მიზეზი, ნაროდნიკების გაგებით, ეკონომიურ პირობებში ემარხა. იმ დროს (80-იან წლებში) ნაროდნიკის ურბნელის ეკონომიური ხასიათის ნარკვევები გარკვეულ პასუხს იძლევიან მის შესახებ, თუ საიდან, რა წყაროებიდან მომდინარეობდა წოდებათა ბრძოლა ჩვენში" [2].

შემდეგ პროფესორი ლ. გორგილაძე იმოწმებს ადგილებს ნ. ურბნელის შრომებიდან და წერს: „აქ მოტანილი ამონაწერები საკმაოდ კარგად ახასიათებენ ქართველი ნაროდნიკების შეხედულებებს იმის შესახებ, რომ რუსეთთან ერთად საქართველოც უნდა დაეყრდნოს გლეხობასა და სოფლის მეურნეობას" [3].

ჟურნალ „იმედის" საზოგადოებრივ-ეკონომიური შეხედულე-

---

[1] ნ. ურბნელი, „გუჯრები" ა. ხახანაშვილისა, „იეერია", № 68, 1892,

[2] ს. ხუნდაძე, სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტ. II. 1927, გვ. 66.

[3] ლ. გორგილაძე, „ნაროდნიკობა საქართველოში". უნიეერსიტეტის შრომები, XXXII, 1947, გვ. 178.

ბების შესასწავლად დოკუმენტი ე. ჩადუნელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ნ. ურბნელის ნარკვევებს. იგი აღნიშნავს, რომ „იმედის პუბლიცისტები გამოდიოდნენ როგორც დამონებული მშრომელი გლეხების ინტერესების დამცველნი. მთელი მათი შეძოქმედებითი ენერგია, როგორც სიტყვით ისე საქმით, მიმართული იყო მშრომელი ხალხის განთავისუფლებისაკენ“ [1].

თავისი აზრის დასადასტურებლად ჩადუნელს მოაქვს ამონაწერი ჟურნალ „იმედიდან“. „იმედი“ წერდა: „იქ სადაც გლეხი დროებით ვალდებულია თავისი ბატონისა, კანონის წინაშე თანასწორობას უფრო თეორეტიკული მნიშვნელობა აქვს, ვიდრე პრაქტიკული. იქ თანასწორობა მშვენიერი სიტყვაა და არა განხორციელებული პრინციპი. თანასწორობისათვის საჭიროა თავისუფლება ეკონომიური და სხვაგვარი“ [2]. აქ მოტანილი ამონაწერის ავტორია ნ. ურბნელი. როგორც ვხედავთ, საკმაოდ ავტორიტეტულ ავტორებს ნაროდნიკული მსოფლმხედველობის დასახასიათებლად აუცილებლად მიაჩნიათ გამოიყენონ ურბნელის ის ნარკვევები, რომლებიც სისტემატურად იბეჭდებოდა ჟურნალ „იმედის“ ფურცლებზე. ამიტომ თუ არ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ნ. ურბნელი ნაკლებ მონაწილეობას იღებდა ნაროდნიკების პრაქტიკულ საქმიანობაში. შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი ნაროდნიკია თავისი სამწერლო მოღვაწეობის დასაწყისში.

მაგრამ როდესაც ნაროდნიკები „მოშინაურდნენ და გადაგვარდნენ, მათ ღაკარგეს თავიანთი სახე და „ივერიისა“ და „დროების“. მიმართულებაში გაითქვიფენ“ [3].

ურბნელის მსოფლმხედველობაც შეიცვალა და მისმა ნაშრომებმა „ივერიასა“ თუ „დროებაში“ სხვა ფერ-ხორცი შეიძინა.

ჩვენთვის საინტერესოა, რომ რის შესახებაც არ უნდა ეწერა ურბნელს, „მის ნაწერებს ეტყობოდა არა მცირედი ნიჭი და კარგი გონებრივი მომზადება, ენა ჰქონდა შნოიანი, მისი ნაწერი საესეა ჭკუით, ცოდნითა და გამოცდილებით“ [4].

ჭეშმარიტად, ურბნელის ნაშრომებს თითქმის ყოველთვის ახლდა ჩამოთვლილი ყველა ღირსება.

---

[1] ე. ჩ ა დ უ ნ ე ლ ი, ჟურნ. „იმედის“ საზოგადოებრივ-ეკონომიური შეხედულებანი, 1961, გვ. 17.

[2] ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი, ხევნი გლეხკაცობა და ახალი სამართალი, ჟურნ. „იმედი“, № 3, 1882.

[3] ლ. გ ო რ გ ი ლ ა ძ ე, „ნაროდნიკობა საქართველოში“, უნივერსიტეტის შრომები, XXXII, გვ. 174.

[4] გ. ყ ი ფ შ ი ძ ე, ხიზანაშვილი და მისი სალიტერატურო მოღვაწეობა, „ალმანახი“. „ქართველი ერი“, № 1, 1909, გვ. 10—11.

მისი, როგორც შემოქმედის საუკეთესო თვისებაა ლოგიკური აზროვნება. საკითხის ბოლომდე გარკვევა და ჭეშმარიტების დადგენის დაუოკებელი სურვილი. ჭეშმარიტება მისთვის არ არის უბრალო აქსიომა. მისი დადგენა, შეგნება ურბნელს რჩეულთა ხვედრად მიაჩნია. აი, რას წერს იგი ამის შესახებ: „ჭეშმარიტება ისეთი რამ არის, მას კაცის გონება ადვილად ვერ მისწვდება და თუ მისწვდება, მაინც ძნელად აღიარებს.

დიახ, ჭეშმარიტების გაგებას დიდი აზრი, პატიოსნება უნდა“ [1]. როგორც ვიცით, ჭეშმარიტება სინამდვილის სწორი ასახვაა. თითქოს აქ სადავო არაფერია, ყველამ უნდა გაიგოს და შეიგნოს, მაგრამ ნ. ურბნელმა კარგად იცის, რომ არსებობს ჭეშმარიტების საყოველთაოდ აღიარებული გაგებისაგან განსხვავებული გაგება. მას ესმის, რომ აუცილებელია ჭეშმარიტების საფუძვლების შესწავლა, და ამ შესწავლისათვის, დიდი „აზრის“ გარდა. პატიოსნებაც საჭიროა.

პროფესორი ა. კიკვიძე ერთგან მიუთითებს [2], რომ ჟურნალ „იმედს“ ფრიად საყურადღებო წერილებში გაცილებით უფრო სწორი პოზიცია ეჭირა, ვიდრე „ივერიას“. უპირველეს ყოვლისა, აქ იგულისხმება ნ. ურბნელის წერილები და მათ ‘ბორის შესანიშნავი გემოვნებით და ცოდნით დაწერილი ნაშრომი „საფუძვლები სახალხო განათლებისა“.

როგორც ცნობილია, 1878 წელს კავკასიაში სასწავლო ოლქის უფროსად დაინიშნა კირილე პეტრეს ძე იანოვსკი, რომელიც ოცი წლის განმავლობაში, როგორც იტყვიან, „ტყავიდან ძვრებოდა“, რათა საქართველოში და მთელ კავკასიაში დაენერგა „პუროშკევიჩის, გუჩკოვის და სტრუეეს წინაპართა — პობედონოსცევის, კატკოვის და მსგავსთა ველიკორუსული კულტურა. ქართველი ხალხი იბრძოდა შეძლებისდაგვარად ასეთი „კულტურის“ წინააღმდეგ და მასთან ბრძოლაში იყენებდა რუსი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლების — პუშკინის, ჩერნიშევსკის, ნეკრასოვის, პლეხანოვის ველიკორუსულ კულტურას“ [3]. და, მართლაც, როგორც ლენინი აღნიშნავს: „ყოველ თანამედროვე ერში არის ორი ერი... არის ორი ეროვნული კულტურა ყოველ ეროვნულ კულტურაში. არის ველიკორუსული კულტურა პურიშკევიჩებისა, გუჩკოვებისა და სტრუეე-

---

[1] ნ. ურ ბ ნ ე ლ ი. გაზ. „დროება“, № 129, 1883.

[2] ა. კ ი კ ვ ი ძ ე. საქართველოს ისტორია XIX—XX სს., ტ. II, 1959, გვ. 135.

[3] ტ. ხ უ ნ დ ა ძ ე, ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში, 1951, გვ. 92.

ების, — მაგრამ არის აგრეთვე ველიკორუსული კულტურა, რომელიც ხასიათდება ჩერნიშევსკის და პლეხანოვის სახელით“ [1].

თავისი პროგრამის განხორციელებას იანოვსკი შეუდგა 1881 წლის სასწავლო გეგმით, რაც ითვალისწინებდა სახალხო სკოლებიდან დედა ენის განდევნას და დაწყებით სკოლაშიაც კი რუსულ ენაზე სწავლებას.

იანოვსკის ამ ყოვლად მიუღებელი და გაუმართლებელი საქმიანობით აღშფოთებულმა ქართველმა მოღვაწეებმა პირველი მკაცრი საპროტესტო წერილები დაბეჭდეს გაზეთ „დროებაში“, ბრძოლა დიდხანს გრძელდებოდა იანოვსკისა (რომელსაც, რა თქმა უნდა, მხარს უჭერდა მეფის მთავრობა) და ქართველ მოღვაწეთა შორის. ამ ბრძოლის ერთი ეპიზოდია ურბნელის გამოსვლა ჟურნალ „იმედის“ ფურცლებზე, სადაც მან წამოაყენა და დაიცვა ფრიად საუცხოო და საინტერესო აზრები სახალხო განათლების საკითხების შესახებ. ურბნელს კარგად ესმოდა სკოლის დიდი როლი ადამიანის გონებრივ ჩამოყალიბებაში, მაგრამ მან ამავე დროს კარგად იცოდა, რომ განათლებას, რაგინდ ფართო მასშტაბისა არ უნდა იყოს იგი, ფასი ეკარგება, თუ მას ჰუმანიზმიც არ ახლავს. კულტურულს ვერ დავარქმევთ ადამიანს, რომელსაც კეთილშობილება ღალატობს. რომ განათლება მაშინ იძენს ცხოველმყოფელ ძალას, როცა ზნეობრივი სიწმინდე ახლავს, ხოლო სკოლების რიცხვი ვერასოდეს ასახავს განათლების დონეს, თუ ამ სკოლებში ზნეობრივი პრინციპებ მოიკოჭლებს.

ნ. ურბნელი წერდა: „სკოლის გამრავლება არ შობავს ხალხის კეთილდღეობას. ამასთან უპირველეს საჭიროა, რომ სახალხო განათლების შენობა ამოყვანილი იყოს ზნეობრივი პრინციპების საძირკველზე. ეს პრინციპები უნდა იყვნენ სული და გული სახალხო სკოლისა“ [2].

არ შეიძლება არ დაეთანხმო ამ ჭეშმარიტად ნათელ აზრს და არ აღიარო, რომ მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმდროინდელი საზოგადოებრივი აზროვნებისათვის. უფრო გვიან, ამ საკითხს რომ ეხებოდა ილია, წერდა: „ჭეშმარიტი განათლება განვითარებულ გონების და გაწურთვნილის ზნე-ხასიათის ერთმანეთთან შეუღლებაა განუყრელად“ [3]. ურბნელის აზრით, თუ სკოლა განიცდის სა-

---

[1] ლენინი ლიტერატურის შესახებ, 1945, გვ. 13.

[2] ნ. ურ ბ ნ ე ლ ი, საკითხები სახალხო განათლებისა, ჟურნ. „იმედი“, 1882, გვ. 71.

[3] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. პედაგოგიის საფუძვლები, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1941, გვ. 564.

ხელმწიფოს უხეშ გავლენას, მაშინ იგი „გონების ციხეა“ და ვერასოდეს უზრუნველყოფს კეთილშობილი მოქალაქის აღზრდას: „სახალხო სკოლების რიცხვით პრუსია მაღლა დგას ყველა სახელმწიფოზე. მაგრამ რა? აქ აუარება ხროვაა „ფილისტერებისა“. აქ უნივერსიტეტები გონების ციხეები არიან, სახალხო სკოლები კიდეე წარმოადგენენ ერთ უშველებელ ყაზარმას, სადაც ხალხის გონება სამხედრო საზრდოთი იკვებება. ასე გასინჯეთ ესტეტიკა, მუზიკაც კი მოტკეს შტაბს ემორჩილება“ [1].

სხვა ადგილას ურბნელი წერდა: „ეხლაც როგორც წინათ, სახალხო სკოლა სახსარია პოლიტიკური სისტემის დამყარებისა. სკოლა მსხვერპლია პოლიტიკისა“ [2].

ეს დიდი და მარადიული ჭეშმარიტებაა. ჩვენთვის კი ისიც არის საინტერესო, რომ ნ. ურბნელი საღად აზროვნებდა და უშიშრად გამოთქვამდა მეტად რადიკალურ აზრებს მეფის რუსეთის ბიუროკრატიული ხელისუფლების დროს.

აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში მისი აზრები დღესაც ინარჩუნებს ხელშეუხებლობის უფლებას და სასიამოვნოდ გვაიძულებს მოკრძალებით მოვეკიდოთ მათ.

მეტად საგულისხმოა ის გარემოება. რომ ნ. ურბნელს სწორად ესმოდა ყველა ერის წვლილი საერთო საკაცობრიო კულტურის შექმნაში. აი, რას წერს იგი ამის შესახებ: „არ მოიპოვება ისეთი ხალხი თუ ერი, რომელიც ერთი რომელიმე ღირსებით მაღლა არ იდგეს სხვა ხალხზედ. რაც უნდა დაეწყებული და თვალუურმოშორებული ერი აიღოთ, თუ კი ამის ცხოვრებასა და ეინაობას დაკვირდებით, უეჭველია ერთს მაინც ისეთს თვისებას იპოვნით. ზნეობითს თუ გონებითს, რომლითაც ის მარგალიტივით გამოსჭვივის. ეს ობოლი მარგალიტი ყოველი ისტორიული ერისა, ეს ხალხის „გენია“, დიდად პატივსაცემი და ყურადღების ღირსია და ნეტავი იმ სახელმწიფოსაც ამ პატივისცემას და ყურადღებას რომ არ ივიწყებს. სახელმწიფოს სარგებლობა ითხოვს ყველა ერის განათლებას, რადგანაც ამით მას ძალა და პროგრესული მოძრაობა ემატება. ეს მაშინაა კარგი, როცა თვითონ განათლება „ეროვნულ ნიადაგზედ „მკვიდრად იქნება აშენებული“ [3]

ურბნელმა კარგად იცის, რომ ყველა ერს აქვს თავისი მარგა-

---

1 ნ. ურბნელი, საფუძვლები სახ. განათლებისა, „იმედი“, № VII, 1892. გვ. 70.

2 იქვე. გვ. 73.

3 ნ. ურბნელი, საფუძვლები სახალხო განათლებისა, ჟურნ. „იმედი“. № V, 1882, გვ. 13.

ლიტები, ზნეობრივი თუ გონებრივი, და იდეალურია ის სახელმწიფო, რომელიც პატივს სცემს თითოეული ერის ღირსებას, ხელს უწყობს მის განვითარებას. ურბნელი ილაშქრებს ყოველგვარი შოვინიზმის წინააღმდეგ და მიაჩნია, რომ ყოველ ერს აქვს უფლება გააჩნდეს ეროვნული სიამაყის კანონიერი გრძნობა.

19 წლის შემდეგ ილიაც შეეხო ამ მნიშვნელოვან საკითხს და საჭიროდ ჩათვალა, თითქმის იგივე გაემეორებინა: „რა თქმა უნდა. ერს რომ გზა შეუკრან წარმატებისა, — რაც გინდა პატარა ერი იყოს, — არავისთვის არც მოსაწონია, არც გამოსაყენებელი. არ არის ქვეყანაზე იმისთანა ერი... რითიმე გამოსადეგი არ იყოს სახელმწიფოში, რაც გინდა დიდი სახელმწიფო იყოს... ნიჭი, სიკეთე ცალკე ადამიანისა, თუ მთელი ერისა ისეთი რამ არის, რომ, რაც გინდა ნამეტანი იყოს ვისთვისმე, მეტი ბარგი არ არის, თუ საკუთარს სხვისაც ზედ წაემატება. ამიტომაც დიდი ცოდვაა ადამიანს, ლუნდ ცალკე პატარა ერს, ნიჭი ზეუკრა. შეუკოკო, სიკეთის ღონე შეუხუთო“ [1].

აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილს არასოდეს დასჭირდებოდა ეთქვა ის საკვანძო ნ. ურბნელისათვის, რომელიც გოგებაშვილს უთხრა და სადაც გატარებულია ის აზრი, რომ ყველა ერს აქვს უფლება შეინარჩუნოს თავისი დედა ენა, კულტურა და არა მხოლოდ მათ, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ, ვისაც მხოლოდ ბრწყინვალე წარსული აქვს [2].

ნ. ურბნელის თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ეროვნული კულტურა უნდა ვითარდებოდეს ეროვნულ ნიადაგზე, რომ სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ამ პროცესს, რადგან ეს სახელმწიფოს გაძლიერების წყაროა, საოცრად ახლოს დგას თანამედროვეობასთან. ერებისადმი ასეთი დამოკიდებულება სოციალისტური სახელმწიფოს წმინდათა წმინდა მოვალეობაა. კომუნისტური საზოგადოების მორალურ კოდექსში წერია: „სსრ კავშირის ყველა ხალხის მეგობრობა და ძმობა, შეუწყნარებლობა ეროვნული და კლასობრივი მტრობისადმი“.

დიდი ერუდიცია, განათლება, ჭეშმარიტების მიგნების უნარი, ნ. ურბნელს უფლებას აძლევდა არ „შინებოდა“ დიდი ავტორიტეტებისა — ვოლტერის, რუსოსი, ჰეგელისა. ამ მეცნიერებს იგი აკრიტიკებს ზოგიერთი მათი უმართებულო აზრისათვის. თუმცა,

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. II, 1941, გვ. 457.

[2] ივ. ჯავახიშვილი. „მამულიშვილობა და მეცნიერება“, III, 1904, გვ. 11.

ნ. ურბნელს სიმპათია ფრანგი განმანათლებლებისადმი მუდამ ჰქონდა. ვოლტერის შესახებ იგი აღნიშნავდა: „თვითონ ვოლტერიც კი არ გრძნობდა დაბალი ხალხის განათლების საჭიროებას და აი, რას წერდა: „ხალხს წინამძღოლობა უნდა და არა სწავლა, ხალხი ემსგავსება ხარებს, რომლებიც საჭიროებენ ჯოხს, უღელსა და თავლას" [1].

რუსოს შესახებ კი ურბნელი აღნიშნავდა, რომ მან მეტად შეავიწროვა ხალხის ცნება და ხალხს მხოლოდ სოფლელებს უწოდებდა, რომ იგი მიეიდა პარადოქსამდე და განაცხადა — „ფიქრი არის ბუნების საწინააღმდეგო მდგომარეობა და მოაზროვნე კაცი წამხდარი ცხოველიო".

ნ. ურბნელის აზრით, მეცნიერება ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, თუ იგი სახელმწიფოს სამსახურში დგას, შეზღუდულია, თუ მეცნიერს „მუნდირი "აცვია, იგი მუდამ იმსახურებს ანტიპათიას. სწორედ მუნდირისათვის კიცხავდა იგი ჰეგელს. „დიდი ხანი არ არის, რაც მათი აღმატებულება ჰეგელი პრუსიის სამხედრო ბანაკსა და ყაზარმას მოწიწებით, ლმობიერად თავს უკრავდა. საკმეველს უკმეოდა" [2].

ნ. ურბნელს კარგად ესმოდა, რომ ეს მეცნიერები თავიანთ დარგებში დიდი მოაზროვნენი არიან. ამისათვის ეთაყვანებოდა მათ, მაგრამ, ამასთან ერთად, ისიც იცოდა, რომ ვერც ერთმა მათგანმა თავი ვერ დააღწია შეცდომებს. ცნობილია, რომ ჰეგელის ამ ნაკლს აღნიშნავდა ენგელსიც, როცა წერდა: „თავიანთ დარგებში როგორც გოეთე, ისე ჰეგელიც ოლიმპიელი ზეესნი იყვნენ, მაგრამ ვერცერთმა მათგანმა თავი ვერ დააღწია გერმანულ ფილისტერობას" [3].

როგორც ვხედავთ, ნ. ურბნელი საკმაოდ საღად მსჯელობდა ვოლტერის, რუსოსა და ჰეგელის აზრების შეფასებისას.

XIX საუკუნის 80-იან წლებში ქართველმა მოღვაწეებმა წამოაყენეს დებულება, რომ ჩვენი ეროვნული ვინაობის დაცვისათვის აუცილებელია ყველა მიმართულების გაერთიანება, რომ ყველას ვალია წოდებათა მიუხედავად ერთი დროშის ქვეშ დარაზმვა.

ასეთი იდეა ხშირად დაბადებულა სხვა ერებშიც, როცა მათ გარეშე ძალა ემუქრებოდა. მაგალითად, ჯერ კიდევ XVI საუკუნეში გერმანელმა ჰუმანისტმა ულრიხ ფონ ჰუტენმა ასეთივე იდეა წამოაყენა რომის პაპის წინააღმდეგ საბრძოლველად (რომელსაც ის

---

[1] ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 54.
[2] ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრომი, „იმედი", № 8, 1882.
[3] მარქსი, ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 438.

გერმანიის ნაციონალურ მტრად მიიჩნევდა) და თავის დიალოგში („ავაზაკები") წოდებათა ერთი მიზნისათვის გაერთიანება იქადაგა[1]. რამდენად რეალური იყო ამის განხორციელება გერმანიაში XVI საუკუნეში ან საქართველოში XIX საუკუნის დასასრულს, „როცა კაპიტალიზმის განვითარების შედეგად ეროვნული ერთიანობა იქმნებოდა და მხოლოდ გზა ეხსნებოდა კლასების მიხედვით გამიჯვნას"[2] ეს სხვა საკითხია. ჩვენთვის კი საინტერესოა ის გარემოება, რომ როცა ქართველმა მოღვაწეებმა მოინდომეს ზემოაღნიშნული იდეის დანერგვა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, მათ ამ აზრს გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგენი და მათ შორის ნ. ურბნელი.

როცა სერგეი მესხს აქებდნენ იმისათვის, რომ მუდამ ცდილობდა შეერიგებინა სხვადასხვა მიმართულების მწერლები, ურბნელი სულაც არ თელიდა ასეთ მოქმედებას სასარგებლოდ. პირიქით, მას სჯეროდა, რომ ლიტერატურული ბრძოლა აუცილებელი იყო ლიტერატურული განვითარებისათვის, და გულისწყრომით აღნიშნავდა: „არა, ბატონებო, ამგვარი ბრძოლა არავის არ დაასუსტებს. არათუ დაგვასუსტებს, არამედ უფრო აგვამაღლებს, სულითა და გრძნობით განგვავითარებს. სასტიკი ლიტერატურული ბრძოლა შედეგია ხალხის გონების წარმატებისა და საჭიროა ეს ბრძოლა ჩვენშიაც ჯალე დაარსდეს, ვინც ამ ბრძოლის აღორძინებას უშლის, ის მტერია ლოგიკისა"[3]. ნ. ურბნელის ეს აზრი სადავო არ არის .იგი სიზუსტით გამოხატავს „ლიტერატურული ბრძოლის" მაღალ მნიშვნელობას ლიტერატურის პროგრესისათვის.

როცა ილია ჭავჭავაძემ საზოგადოებრივ კლასებს მოუწოდა „საერთო ნიადაგზე" თანამშრომლობისაკენ, მას მხარი დაუჭირეს დიდმა ავტორიტეტებმა — აკაკიმ და იაკობ გოგებაშვილმა. საერთო ნიადაგზე თანამშრომლობის შესაძლებლობა რომ უფრო რეალური გაეხადათ, ზოგიერთმა მწერალმა, პუბლიცისტმა დაიწყო მტკიცება, რომ საქართველოში წოდებათა ბრძოლა არასოდეს ყოფილა და მათ შორის მუდამ მამაშვილური დამოკიდებულება არსებობდაო. ნ. ურბნელმა სასტიკად გაილაშქრა ამ აზრის წინააღმდეგ და აღშფოთებით საესე წერილები გამოაქვეყნა ჟურნალ „იმედსა"

---

[1] Гуттен, Диалоги, Публицистика, Письма.

[2] ლ. გორგილაძე, იდეოლოგიური ბრძოლის ისტორიიდან საქართველოში, 1963, გვ. 11.

[3] ნ. ურბნელი, „ჩვენს ლიტერატურულ კეთილსინდისიერებაზედ", გაზ. „დროება", 1883, № 99.

და გაზეთ „დროებაში“ [1], საერთოდ კი „იმედის“ თანამშრომლებმა. წინააღმდეგ ერთიანი ნაკადის თეორიის ავტორებისა, დაასაბუთეს არა მარტო კლასობრივი ბრძოლის გაძლიერების ფაქტი..., არამედ დასახეს კიდეც ამ მდგომარეობის გაუმჯობესების გზებიც“ [2].

ნ. ურბნელი კარგად ხედავდა წოდებათა ბრძოლას საქართველოს წარსულში. იგი ბექა და აღბუღას სამართლის შესახებ მსჯელობდა და აღნიშნავდა: „სამართლიდამ სჩანს, მაგალითად, რომ ყმისა და ბატონის დამოკიდებულება გამწვავებულა. საჭირო იყო „ყამთა სიავისათვის“ ყურადღება მიექციათ და აღბუღამ სწორედ ამ განზრახვით დაურთო პაპის განაჩენს „სხვადასხვა უწესოთა საქმეთა სამართალი“ [3]. ნ. ურბნელმა კარგად იცოდა აგრეთვე შინასოციალური ბრძოლის არსებობაც და ამ ფაქტზე დაყრდნობით მოვლენების ახსნასაც კი ცდილობდა. „თვით ეს ბრძოლა იყო სხვათა შორის მიზეზი იმ საყურადღებო მოვლენებისა, რომ ჩვენმა სახელმწიფომ არ იცოდა უკიდურესი ფორმა ბმართველობისა, რომელსაც ვპოვებთ დასავლეთ ევროპაში. ფეოდალობა თავს უპერდა მეფობას, მეფობა — ფეოდალობას. ვერც ერთმა მათგანმა სახელმწიფოში სამუდამოდ ვერ დათრგუნა მეორე“ [4]. სხვა საკითხია, თუ რამდენად სწორია ურბნელის ეს მოსაზრება. ჩვენ ამ შემთხვევაში გვაინტერესებს ის ფაქტი, რომ ურბნელი დიდ ადგილს უთმობდა თავის შემოქმედებაში წოდებათა ბრძოლის საკითხს საქართველოში. ჩვენი აზრით, ურბნელს კარგად ესმოდა, რომ ერის ისტორიისათვის სოციალური ბრძოლა დადებითი მოვლენა იყო. რომ ამ ბრძოლის მიჩქმალვა, მისთვის „ქვის“ დაფარება, წოდებათა შორის „მამაშვილური“ დამოკიდებულების ქადაგება ჩვენი სათნოებისა და ნიჭის დამამტკიცებელი როდია, პირიქით...

აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა წოდებათა შორის „მამაშვილური“ დამოკიდებულების თეორიის მავნე ხასიათზე. იგი წერდა: „ბევრს ჰგონია რომ ეს ვითომც და ჩვენი ისტორიის თვი-

---

1 ნ. ურბნელი, უფლება და კანონი ძველ საქართველოში, ჟურნ. „იმედი“, № 11, 1883, № 12, 1883; მისივე, ჩვენი გლეხკაცობა და ახალი სამართალი, ჟურნ. „იმედი“, 1882, № 3.

2 ანთელავა ი., საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან საქართველოში, თბ., 1967, გვ. 197.

3 ნ. ურბნელი, ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, 1890, გვ. 4.

4 ნ. ურბნელი, უფლება და კანონი ძველ საქართველოში, „იმედი“, № 11, 1882.

სება ჩვენის განსაკუთრებულ სათნოებისა და ნიჭის დამამტკიცებელი იყოს. ის კი არ იციან, რომ ევროპელ მეცნიერებს სწორედ ამ წოდებათა შორის ბრძოლით მოაქვთ თავი. ისინი ამტკიცებენ, რომ მხოლოდ ინდოევროპულთა ერებს შესწევთ იმდენი ნიჭი და საზოგადოებრივი ცხოვრების უნარი, რომ სოციალური თავისუფლების მოსაპოვებლად წოდებრივი ბრძოლით ესარგებლათო.

გამოჩენილი ისტორიკოსი ლინდნერი ამტკიცებს, რომ ალმოსავლეთმა და საზოგადოდ აზიის ერებმა არ იციან, რა არის წოდებრივ უფლებათა მოსაპოვებლად ატეხილი ბრძოლაო" [1].

შემდეგ კი ივ. ჯავახიშვილი დასძენს: „როგორც ვხედავთ, დიდად საქებარი არ ყოფილა ეს ვითომდა ქართველების თვისება, „მამაშვილური განწყობილება წოდებათა შორის" [2].

როგორც აღვნიშნეთ, ნ. ურბნელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა წოდებათა შორის ბრძოლის საკითხის გარკვევას და წყაროებზე დაყრდნობით არცთუ მკრთალად წარმოუდგენია შინაკლასობრივი თუ კლასობრივი ბრძოლა საქართველოს წარსულსა თუ აწმყოში. მას მიაჩნდა, რომ ეკონომიური უთანასწორობა არასოდეს იძლევა საბაბს საზოგადოებრივ კლასებს შორის „მამაშვილური" დამოკიდებულებისათვის.

ნ. ურბნელმა კარგად იცოდა, რომ ყოველგვარი მეცნიერება შემოქმედებითია, რომ ის საზოგადოების განვითარებასთან ერთად უნდა ვითარდებოდეს. მეცნიერება „ყურს უნდა უგდებდეს" ეპოქის სუნთქვას, ითვალისწინებდეს ახალ მიღწევებს. სხვანაირად ჩამორჩება, გაიყინება. დაჰკარგავს მნიშვნელობას. ამიტომ, — ამბობს იგი, — ცხოვრებაში მოქმედი ყველა კანონი „მეცნიერებას უნდა ყურს უგდებდეს და მეცნიერების უკანასკნელი სიტყვით ხელმძღვანელობდეს" [3].

ნ. ურბნელი დიდ ყურადღებას აქცევს პიროვნების როლს საზოგადოებრივ საქმიანობაში. ის ფიქრობს, რომ საზოგადოების ყველა წევრი ვალდებულია იღვწოდეს საზოგადოების უკეთ მოწყობისათვის, მისი გაკეთილშობილებისათვის. ნ. ურბნელის აზრით, საზოგადოება არ უნდა ელოდოს მოწყალების „დეკრეტებს" მმართველობისაგან, თვითონ უნდა იჩენდეს თაოსნობას. ჩვენ არ შეგვიძლია თავი გავიმართლოთ იმით, ამბობს ურბნელი, რომ „თაოსნობას ფრთები შეკვეცილი აქვს და საზოგადოებრივი ძალა მეტად ვიწ-

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, „მამულიშვილობა და მეცნიერება", 1904, გვ. 15.

[2] ი ქ ე ვ ე, გვ. 16.

[3] ნ. ურ ბ ნ ე ლ ი. შრომა—იურიდიული სიბრძნე, გაზ. „დროება", № 105, 1883.

რო კალაპოტშია მოთავსებული. ამგვარი შეხედულება მარტო ჩვენს თავმოყვარეობას აკმაყოფილებს“ [1].

როგორც ვხედავთ, ნ. ურბნელს კარგად ესმოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოების დიდ შეგნებას ერის სასიცოცხლო ძალების ასაღორძინებლად. იგი კარგად ასაბუთებდა და ნერგავდა იმ აზრს. რომ საზოგადოების თითოეული წევრის ვალია მხოლოდ პირადი კეთილდღეობისათვის არ იღვწოდეს. უფრო გვიან ამ საკითხს შეეხო ი. ჭავჭავაძეც „ივერიაში“ გამოქვეყნებულ წერილში „თავად-აზნაურობის გულგრილობა სწავლა-განათლების საქმეში“ [2], სადაც მისი აზრები ნ. ურბნელის აზრებს ემთხვევა. ნ. ურბნელს, როგორც ჭეშმარიტ პატრიოტს, აწუხებდა სამშობლოს სავალალო ბედი, საშინელი აწმყო და ხალხის გათელილი უფლება. იგი საყვედურობს პოეტებს, მწერლებს, მეცნიერებს იმისათვის, რომ ისინი მხოლოდ ბუნების და ადამიანის სილამაზეს ხედავენ და მას უმღერიან. ადამიანთა არაადამიანური, არაკაცური ცხოვრების გამო კი სიტყვას იშვიათად სძრავენ. იგი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ გულგამხმარი, ცხოვრებაზე ხელაღებული ჰეგელი თავის ესთეტიკურ თეორიას კავკასიელის იდეალურ მშვენიერებაზე ამყარებს და კავკასიის მხოლოდ მშვენიერება იტაცებს. რას იზამ, ყველას მშვენიერება ელანდება. ამიტომ, მისი აზრით, ცუდია, როცა საქართველოში უცხოელ მოგზაურებს მარტო ეგზოტიკა იზიდავს.

უფრო ცუდია, როცა ჩვენებსაც კი ესთეტიკური მხარე აინტერესებთ და სიზმარში თუ ცხადში სულ ბუნების სიმშვენიერე ელანდებათ. „ჩვენი აპოლონის ჩამომავალნი თვალებს გვიბზეევენ, გონებით გვაძინებენ, მარტო სმენას გვიტკბობენო [3]. ნ. ურბნელი ფიქრობს (და სამართლიანადაც!), რომ ასეთ პოეზიას, ასეთ მწერლობას ნაკლები მოქალაქეობრივი უფლება აქვს. იგი პოლიტიკური წინააღმდეგობის უნარს უკარგავს ხალხს. პოეტის, მწერლის, მეცნიერის მოვალეობაა ხელი შეუწყონ ერის სასიცოცხლო ძალების გამოღვიძებას. მისი აზრით, სირცხვილია, პოეტი უმღეროდეს ბუნებას, ვარსკვლავებს, ცას, როცა ცის ქვეშ ამდენი უკუღმართობა და უბედური ადამიანია [4]. ლიტერატურა ნ. ურბნელისათვის ის იდეო-

---

[1] ნ. ურბნელი, ხმა პროვინციიდან, გაზ. „დროება“, № 166, 1893.

[2] ი. ჭავჭავაძე. თავად-აზნაურობის გულგრილობა სწავლა-განათლებას საქმეში, თხზ. სრული კრებული, ტ. 11, 1941, გვ. 597.

[3] ნ. ურბნელი, მგზავრის შენიშვნებიდან, „დროება“, № 129. 1883.

[4] იქვე.

ლოგიური იარაღია, რომელიც საზოგადოებას პროგრესისაკენ უბიძგებს.

ურბნელს კარგად ესმის, რომ შიშველი ძალა, მახვილი რეპრესიები ვერ იქნება სახელმწიფოს ძლიერების საიმედო წყარო. თუ ხალხს არა აქვს რწმენა თავისი მთავრობისადმი, არ სჯერა მისი. იარაღით, ჩინოვნიკებითა და ჯარით ვერ შეაშინებ. ვინც საწინააღმდეგოს ფიქრობს, ურბნელი მას პასუხის ღირსადაც არა თვლის. აი, რას წერს ამის შესახებ: „მთელი ჩვენი ცხოვრება ანტი ტეზებს წარმოადგენს, ვუთხარი ერთ ჩემ კომპანიონს ექიმს. თქვენ ექიმი ბრძანდებით და ცდილობთ ხალხი უდროო სიკვდილისაგან დაიხსნათ. ამდენი აფიცრობა კი სხვისთვის არიან გაჩენილნი, ჩვენ კი გვარწმუნებენ, რომ მათ საერთო საგანი აქვთო. რას იტყვით ამაზე? თქვენ ჯერ ახალგაზრდა ბრძანდებით, რა ძალა დაიმორჩილებს ამ ველურ ხალხს თუ არა ჯარი?—მრისხანედ მიპასუხა ექიმმა. თუ არა ჩინოვნიკი, მაშ ვინ დაიცავს წესს, დაუმატა მან. მე გავჩუმდი“ [1].

ნ. ურბნელის აზრით, თუ მეცნიერება ბრმადაა გადმონერგილი ადგილობრივი პირობების გაუთვალისწინებლად, გაჭმობა უწერია. იგი მიუთითებს, რომ აუცილებელია კელევის დროს მონათესაეე საკითხების შესწავლაც. იგი საყვედურობს მკვლევარებს. რომლებსაც მარტო ევროპულ მეცნიერთა თხზულებანი წაუკითხავთ, საჭიროდ არ თვლიან ეროვნული კულტურის შესწავლას და „თავმომწონედ ვარჯიშობენ“ მაღალ სამეცნიერო სფეროში.

როცა ნ. ურბნელი ეხება სოციოლოგიის, როგორც ცალკე მეცნიერების, განვითარებას საქართველოს სინამდვილეში, აღნიშნავს მის აუცილებლობას და ამბობს — სოციოლოგმა უნდა იცოდეს საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების წარსული და აწმყო. ურბნელმა იცის, რომ ევროპული მეცნიერება აუცილებლად საჭიროა, მაგრამ მხოლოდ ასეთი ცოდნით ჩვენებური მკვლევარი საქართველოს სოციალური ევოლუციის ვერც თავს გაიგებს და ვერც ბოლოს [2]. შემდეგ იგი დაასკვნის, რომ „ამ ფილოსოფიურ წყლის ნაყვას ბოლო არ მოეღება, ვიდრე სოციოლოგნი არ მიმართავენ ჩვენი წარსულის და აწმყოს შესწავლას“ [3].

ნ. ურბნელი დიდ ყურადღებას აქცევდა და კრიტიკულად აფასებდა ცხოვრებისეულ მოთხოვნილებათა აუცილებლობით წარმოშობილ ყოველგვარ ახალ იდეას. მან კარგად იცოდა, რომ ახალი და

---

[1] ნ. ურბნელი. დასახელებული წერილები.
[2] ნ. ურბნელი. ძველი და ახალი თაობა, გაზ. „დროება“, № 94. 1883.
[3] იქვე.

საღი იდეა ყოველთვის სიცოცხლისუნარიანია. რაც ახლად იბადება, მას სრული უფლება აქვს არსებობისა, ძველს ყოველთვის ახალი ცელის და უცელელი სამყაროში არაფერია. ნ. ურბნელი ხედავს, რომ როცა საზოგადოების შიგნით სხვადასხვა შეხედულებები, აზრები, იდეები არსებობს, ეს საწინდარია საზოგადოების პროგრესისა. მას ახარებს ახალი თაობის დაბადება, რადგან ეს ახალი იდეების მომტანია. ძველი და ახალი თაობების ბრძოლა კანონზომიერ აუცილებელ მოვლენად მიაჩნია და ამ ბრძოლაში მისი სიმპათია ახალი თაობის მხარეზეა. იგი კარგად ასაბუთებს აზრს, რომ თაობათა შორის ბრძოლა ხელს არ უშლის მამულის სიყვარულს. რომ ყველა ადამიანისათვის სამშობლოს სიყვარული უპირველესი მოვალეობაა და სწორედ სამშობლოს ინტერესები მოითხოვს ახალი და ძველი თაობის, ახალი და ძველი იდეების ბრძოლას. ამ ბრძოლაში, მისი აზრით, ყოველთვის იმარჯვებს ახალი და ჯანმრთელი იდეა, რომელზედაც დამყარებულია საზოგადოების კეთილდღეობა.

ნ. ურბნელი ილაშქრებს ყველას წინააღმდეგ, ვინც ცდილობს ძველი და ახალი თაობა შეარიგოს, ვინც საერთოდ ვერ ხედავს, ან-და არ უნდა დაინახოს ეს ბრძოლა. „არასოდეს არ შეიძლება, — ამბობს ნ. ურბნელი, — რომ ძველი და ახალი თაობა მოგონილი სიტყვა იყოს და, მაშასადამე, უსაფუძვლო. მაშინ ხომ მთელი საქართველო დიდ უბედურებაში იქმნებოდა ჩავარდნილი. ცხოვრების მოძრაობას თან მოსდევს „თაობა“. რისთვის? მისთვის, რომ ცხოვრების ცვლილება ხალხის გულში და გონებაში შობს ახალ იდეალებს, აზრებს და თვით თაობათა მიუცილებელი შედეგია ცხოვრების ცვლილებისა“ [1].

ნ. ურბნელის აზრით, ბრძოლა ძველსა და ახალს შორის ოდნავადაც არ წარმოშობს რაიმე საფრთხეს, რომელიც სამშობლოს სიყვარულს ავნებს. ამიტომ აღნიშნავს იგი: „იქნება ჰგონიათ, რომ ჩვენში ძველი და ახალი თაობა მოგონილი სიტყვაა იმიტომ, რომ ყველას ერთი და იგივე მიზანი წინ მიგვიძღვის. ყველა ჩვენგანს ერთი და იგივე საღვთო მოვალეობა აწევს კისერზე მამულის წინაშე! საოცარი ლოგიკაა! საერთო მოვალეობა არაფერ შუაშია, თვი-

[1] ნ. ურ ბ ნ ე ლ ი, ძველი და ახალი თაობა, გაზ. „დროება“, № 94, 1883.

თეულს თაობას თავისი საკუთარი გზა აქვს ამორჩეული და მოქმედების თავისი პროგრამა გაიჩნია“ [1].

როგორც ვხედავთ, ნ. ურბნელს სწამს, რომ ახალმა თაობამ უნდა შეიტანოს ხალხში მოწინავე საზოგადოებრივი იდეები, რაც აუცილებელია ცხოვრების პროგრესისათვის. ეს აუცილებლობა მას „ცხოვრების საზოგადო“ კანონად წარმოუდგენია და მის წინააღმდეგ წასვლას სიბრმავედ და ულოგიკობად მიიჩნევს.

---

[1] ნ. ურბნელი, ძველი და ახალი თაობა, გაზ. „დროება“, № 94, 1883.

## თავი III

### ნ. ურბნელი დავით აღმაშენებლისა და მისი დროის შესახებ

„რამეთუ მეფე იქმნა რა დავით, მოოხრებულ იყო ქართლი და თჳნიერ ციხეთა სადამე არა სადა იყო კაცი სოფელსა შინა, არცარა შენებულობა“[1].

ასე იწყებს 16 წლის დავით IV ტახტზე ასელის თხრობას მისი ისტორიკოსი, ხოლო იგივე მემატიანე დავით აღმაშენებლის გარდაცვალების დროისათვის წერს: „და აქუნდა ყოველით-კერძი მშჳდობა და დაწყნარება სამეფოთა მისთა“[2]. დიახ, მტრისაგან აოხრებული, მოშლილი და დასუსტებული ქვეყანა მიიღო მემკვიდრეობით 1089 წელს 16 წლის დავით აღმაშენებელმა, 1125 წელს კი მან ძლიერი, აყვავებული, მტერთაგან თავისუფალი სახელმწიფო დაუტოვა თავის ძეს, დემეტრე I.

ბუნებრივია, ისმის კითხვა: რა ისტორიულმა გარემოებებმა შეუწყო ხელი ამ სასწაულებრივ გარდაქმნას და რა ღვაწლი მიუძღვის ამაში დავით მეოთხეს, რომელსაც ხალხმა და ისტორიამ აღმაშენებელი უწოდა.

ეს საკითხი აინტერესებდა და აინტერესებს დავით აღმაშენებლის დროიდან მოყოლებული ყველა ქართველ და არაქართველ ისტორიკოსს, რომელიც კი შეხებია საქართველოს ისტორიის ზემოაღნიშნულ მცირე, მაგრამ მეტად მნიშვნელოვან მონაკვეთს.

1894 წელს თბილისში ქართულ ენაზე ცალკე წიგნად გამოვიდა ნ. ურბნელის შესანიშნავი ისტორიული მონოგრაფია „მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო“, რომელშიც ავტორს ვრცლადა აქვს განხილული დავით აღმაშენებლის მეფობისა და მოღვაწეობის ყველა

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 324. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ.

[2] იქვე, გვ. 361.

მხარე. ამისათვის მას გამოუყენებია იმდროისათვის მოძიებული თითქმის ყველა წყარო როგორც ქართული, ისე უცხოური.

ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნული მონოგრაფიის შესახებ გამოთქმულ აზრებს მხოლოდ კანტი-კუნტად ვხვდებით და იქიდან. ბუნებრივია, ბევრს ვერაფერს გავიგებთ ნაშრომის ავკარგიანობისა და, მით უმეტეს, ნ. ურბნელის როგორც ისტორიკოსის შესახებ.

ჩვენი მიზანია, შეძლებისამებრ წარმოვაჩინოთ ნ. ურბნელის მონოგრაფიის—„მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო" დადებითი და უარყოფითი მხარეები და შევაფასოთ ავტორის დამსახურება საქართველოს ისტორიის კვლევის საქმეში.

ნ. ურბნელი თავის მონოგრაფიას მეტად თავისებურად იწყებს და გაკვირვებას გამოთქვამს იმის გამო, რომ თამარ მეფის ხსოვნას უფრო ინახავს ხალხი და მეტი პატივით ეპყრობა მის სახელს, ვიდრე დავით აღმაშენებლისას. იგი წერს: „საქართველოს ისტორიულ პანთეონში თუმცა თამარ მეფის გვირგვინი უფრო ბრწყინავს და ელვარებს, მაგრამ დავით აღმაშენებლის სამეფო კვერთხს მაინც უპირატესობა აქვს. ამის დასამტკიცებლად საჭიროა მოკლედ მაინც შევადაროთ თამარ მეფის და დავით აღმაშენებლის პირადი ღვაწლი და ღირსება"[1].

ნ. ურბნელი ფიქრობს, რომ თამარისათვის გაცილებით ადვილი იყო ქვეყნის მართვა, რადგან მას გადასცეს „ძლიერი და კარგად განწყობილი სახელმწიფო"[2]. უდავოა, რომ თამარ მეფეს მართლაც გაცილებით კარგ ისტორიულ პირობებში მოუხდა ტახტზე ასვლა, ვიდრე მის სახელოვან წინაპარს. მან მემკვიდრეობით მიიღო ის, „რაც დიდი ხნისა და მედგარის მუშაობის წყალობით საქართველოს კეთილდღეობისა და წარმატებისათვის თამარის წინაპრებმა შეჰქმნეს"[3].

მაგრამ თამარ მეფის და მისი სამეფო კარის მნიშვნელობის დამცირება იქნებოდა, გაგვეზიარებინა აზრი, თითქოს „თვითეულმა კერძოდ და ყველამ საერთოდ მხოლოდ ის შეასრულა, რაც ანდერძად და სახელმძღვანელოდ დასტოვა გონებით შორსმჭვრეტელმა მეფემ"[4]. ჩვენ, რა თქმა უნდა, იმის თქმა არა გვსურს, თითქოს დავით აღმაშენებლის პოლიტიკური კურსის, მისი „ანდერძის" დაცვა და ცხოვრებაში გატარება თამარის, როგორც მეფე პოლიტიკოსის მნი-

---

[1] ნ. ურბნელი, მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო, 1894, გვ. 1.

[2] იქვე.

[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, 1965, თბ., გვ. 246.

[4] ნ. ურბნელი, მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო, 1894, თბ., გვ. 1.

შვნელობას ამცირებდეს, პირიქით. მაგრამ საქმის ისე წარმოდგენა, თითქოს თამარს და მის სამეფო კარს დიდი არაფერი ჰქონდა გასაკეთებელი და სათაოსნო, სწორი არ იქნებოდა. მართალია, საქართველო „მაშინ უკვე ძლიერ, სახელგანთქმულ სახელმწიფოდ ითვლებოდა, მრავალ და ვრცელ ქვეყნების ბატონად, სხვადასხვა მოდგმისა და სარწმუნოების ხალხის შერძანებლად, ამიტომ საქართველოს სახელმწიფო ცხოვრების ხელმძღვანელთათვის იმ დროს დიდი სიფრთხილე და წინდახედულობა. სიბრძნე და შორსგამჭვრეტელობა იყო საჭირო“ [1].

ნ. ურბნელს შესანიშნავად ჰქონია წარმოდგენილი ისტორიის კვლევისა და, კერძოდ, ამ შემთხვევაში, თავისი მონოგრაფიის დანიშნულება. იგი წერს: „უეჭველია, საეროვნო თვითცნობიერების აღორძინება და წარსული ცხოვრების ცოდნა ნათელს მოჰფენს დავით აღმაშენებლის დიად საბეს და ჯეროვან განჩინებას დასდებს იმის დიდებულ მოღვაწეობას, ამეამად კი ორიოდე ამბავი თუ იცის ხალხმა თავის უდიდეს მეფეზედ“ [2].

და მართლაც, მისი ისტორიული მონოგრაფია პირველი სერიოზული შრომა იყო ქართულ ისტორიოგრაფიაში, დავით აღმაშენებლის ეპოქის შესასწავლად. ნ. ურბნელი აღნიშნავს და უჩივის იმ გარემოებას, რომ საისტორიო წყაროები ძუნწად მოგვითხრობს დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის ზოგიერთ მხარეზე და, მეტადრე, მისი „კერძო“ და „შინაური ცხოვრების“ შესახებ, რაც ხელს უშლის საკითხის ნათლად გაშუქებას. ამ მხრივ გაჭირვებას ვერ ასცდება ვერავინ, რომელიც კი, თეიმურაზ ბატონიშვილის თქმისაებრ, „ისტორიკოსებრ ჰყოფს ძიებასა-ო“ [3] — სამართლიანად წერს ნ. ურბნელი. იგი ხაზს უსვამს იმ მძიმე და არასახარბიელო მემკვიდრეობას, რომელიც დავით აღმაშენებელმა მიიღო მტრისაგან შეეიწროებული, პოლიტიკურად სუსტი სამეფო სახით და იქვე ხატოვნად წარმოგვიდგენს ნიჭიერი და მებრძოლი მეფის პიროვნებას: „დაშლილსა და დარღვეულს სამეფოს განახლება და აღშენება ესაჭიროებოდა. ჭაბუკმა მეფემაც პირველადვე სამეფოს ბურჯი და საძირკველი განაახლა და შემდეგ ზედ ამოიყვანა მკვიდრი სამეფო შენობა. ხუროთ-მოძღვრება თვით მეფემ იტვირთა, შენობის დადგმა და მოწყობაც იმის საქმე იყო... და შესანიშნავი კიდევ ის არის, რომ ყველგან და ყვე-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, ტ. II, 1965, თბ., გვ. 245.

[2] ნ. ურბნელი. მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო. 1894, გვ. 2-3.

[3] იქვე, გვ. 3.

ლაფერში მოსჩანს მეფის ხელმძღვანელობა, თაოსნობა, თვითეულს საქვეყნო საქმეს იმის დიდ-ბუნებნობის ბეჭედი ამჩნევია. მის ძლიერის სულის გავლენა ატყვია“ [1].

აუცილებლად აღნიშვნის ღირსია, რომ ურბნელს საკუთარი სწორად ესმის პიროვნების როლი ისტორიაში. მას მიაჩნია, რომ ტალანტის გამოვლინებისათვის, მისი განვითარებისათვის აუცილებლად საჭიროა პირობები. ამ პირობებს კი ისტორიული ვითარება და საზოგადოებრივი ცხოვრების ხასიათი განსაზღვრავს. მისი მართებული გაგებით, დავით აღმაშენებლის წარმატებას ხელი შეუწყო არსებულმა პირობებმა და იმდროინდელმა მნიშვნელოვანმა მოვლენებმა „მეფის თუ სხვა საზოგადოებრივის მოღვაწის საქმეთა განხილვა და განსჯა შესაძლოა ისტორიულ გარემოებათა მიხედვით. დროთა ვითარებას დიდი გავლენა აქვს საზოგადო ცხოვრების ბრუნვაზე“ [2]. სხვა ადგილას კი იგი წერს: „თვით ცხოვრების მსვლელობა უადვილებდა მეფეს მძიმე ტვირთს, მაგრამ მაინც დიდი გონებრივი ძალა იყო საჭირო ამის საზიდელად“ [3].

ნ. ურბნელის აზრით, სწორედ ის პიროვნებაა დიდი, მას სცემს ისტორია პატივს, ვისაც ჰყოფნის ნიჭი და უნარი, ხელმოცარული არ დარჩეს იქ, სადაც ადვილი არაა „ძლევა და გამარჯვება, თორემ გონებრივს გამჭრიახობას მოკლებული და ხასიათით სუსტი ყოველთვის ქედს იხრის ცხოვრების ბრძოლის მოედანზედ და ხელცარიელი რჩება მაშინაც კი, როცა ადვილია ძლევა და გამარჯვება“ [4]. მეფის უნარს, მის ნიჭსა და უნიჭობას კი აუცილებლად ჰქონდა დიდი მნიშვნელობა ფეოდალური საზოგადოებისათვის. მით უმეტეს, რომ თვითმპყრობელ მეფეს ტახტს არა სამეფო გვარიდან გამოსული თუნდაც გენიოსიც ვერ შეეცილებოდა. დავით აღმაშენებლის ყველა მეისტორიე ერთხმად აღნიშნავს მის დიდ განათლებას და განსწავლულობას მეცნიერების სხვადასხვა დარგში, რაც ნათლად დასტურდება მეფის მთელი მოღვაწეობით. ხოლო მისი ისტორიკოსი საგანგებოდ აღნიშნავს დავითის საარაკო გატაცებას მწიგნობრობით [5].

ნ. ურბნელის მართებული აზრით, განსწავლულობამ, განათლებამ, ისტორიის ცოდნამ და ისტორიის ანალიზის დიდმა უნარმა განაპირობა დავით აღმაშენებლის შესანიშნავი წარმატებანი პოლიტიკურ თუ სახელმწიფოებრივ სარბიელზე.

---

[1] ნ. ურ ბ ნ ე ლ ი, მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო, 1894, გვ. 2.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 20.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 21.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 20.

[5] ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 350.

ნ. ურბნელის აზრით, დავითის მასწავლებელი იყო არსენ იყალთოელი. „სარწმუნო და დასაჯერებელია, როცა თეიმურაზ ბატონიშვილი ამბობს, რომ დავით აღმაშენებელს ასწავლიდა გამოჩენილი ფილოსოფოსი და ხვთისმეტყველი არსენ იყალთოელი. იმ დროს სხვა უკეთესი მასწავლებელი არც მოიპოვებოდა“ [1]. თუ ვინ იყო დავით აღმაშენებლის მასწავლებელი, ამ საკითხზე ქართულ ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა აზრი არსებობს და ნ. ურბნელის აზრის გაზიარება მხოლოდ იმ მოტივით, რომ იგი თეიმურაზ ბატონიშვილს იმოწმებს, სწორი არ იქნებოდა. ჩანს, თვითონ ურბნელსაც ეს საბუთი საკმარისად არ მიაჩნდა და არსენ იყალთოელის მისაძართით წერდა: „სიკვდილამდე მეფეს პატივი და ნდობა არ მოუკლია ოსტატისათვის. სიკვდილის დროსაც კი თავის „ანდერძი“ არსენის „პირით“ დაადგინა — „ჩვენ მიერ უნდოსა და უღირსისა მლოცველისა მამისა ბერისა პირითაო“ — წერია იმ ანდერძში“ [2].

მოტანილი ადგილიდან აშკარად ჩანს, რომ ნ. ურბნელს ეჭვიც არ ეპარება, რომ არსენ იყალთოელი და დავითის ანდერძებში—„ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმისადმი“ [3] და „ანდერძი დავით აღმაშენებლისა“ [4] მოხსენიებული არსენ ბერი ერთი და იგივე პიროვნებაა. ნ. ურბნელი არ მიუთითებს, თუ რა საბუთზე დაყრდნობით შეიძლებოდა ასეთი აზრის მტკიცება.

ეხებოდა რა აკად. კ. კეკელიძე დ. აღმაშენებლის ისტორიკოსის ვინაობის საკითხს, წერდა, რომ დავითის ცხოვრების ავტორი „არის თანამედროვე დავითისა, მასთან და მის კართან ძალიან დაახლოებული პირი, მისი „მოძღვარი“. ეს უნდა იყოს არსენ ბერი საღირის ძე...ო“ [5]. როგორც ვხედავთ, აკადემიკოს კ. კეკელიძეს მიაჩნია, რომ არსენ იყალთოელი და არსენ ბერი, მისი განცხადებით — „საღირის ძე“, სხვადასხვა პიროვნებაა.

გარდა ამისა, როგორც პროფ. ს. კაკაბაძე აღნიშნავს, არსენ იყალთოელი მიცვალებულადაა მოხსენიებული რუის-ურბნისის ძეგლის წერის დროს 1103 წ. [6] ცხადია, ასეთ შემთხვევაში 1123 და

---

[1] ნ. ურბნელი, მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო. 1894. გვ. 10.

[2] იქვე, გვ. 10.

[3] ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმისადმი. ქართული სამართლის ძეგლები, 1965, გვ. 12.

[4] იქვე, გვ. 18.

[5] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, ფბ., 1958, გვ. 262.

[6] ს. კაკაბაძე, დავით აღმაშენებლის მემატიანის ვინაობა. 1913. ტფ., გვ. 1.

1125 წწ. დავით აღმაშენებლის ანდერძში მოხსენიებული არსენი, არსენ იყალთოელი ვერ იქნებოდა. 1966 წელს ივ. ლოლაშვილმა გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც იგი აანალიზებს XII საუკუნის ამ საკითხთან დაკავშირებულ ისტორიულ წყაროებს და იზიარებს რა ამ აზრს არსენ ბერისა და არსენ იყალთოელის იგივეობის შესახებ. წერს: „ამ ტრადიციული ცნობების სისწორეს ადასტურებს იყალთოელის და არსენ ბერის შრომების ანალიზი, აგრეთვე მათი ბიოგრაფიული დეტალების დამთხვევა, საიდანაც ირკვევა, რომ არსენ ბერი და არსენ იყალთოელი ერთი და იგივე პიროვნებაა“ [1]. ჩვენ მიზნად არა გვაქვს დასახული ვარკვიოთ, თუ ზემოხსენებული ავტორებიდან ვისი აზრია მისაღები ან უარსაყოფი. უბრალოდ იმის აღნიშვნა გვსურდა, რომ ნ. ურბნელი ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელმაც აღნიშნა, რომ არსენ იყალთოელი და არსენ ბერი ერთი და იგივე პიროვნებაა. ამიტომ, როცა თანამედროვე მკვლევარი ეხება არსენ ბერის ვინაობის საკითხს და წერს, რომ იგი „ერთხანს“ არსენ იყალთოელად მიაჩნდათ ზ. ჭიჭინაძეს და ა. ხახანაშვილს-ო, აქვე უნდა იყოს მოხსენებული ნ. ურბნელიც [2].

ნ. ურბნელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფო მოღვაწის ზნეობრივ მხარეს. მას მიაჩნია, რომ მეფე. რომელიც წინ უძღვის ერს, აუცილებლად უნდა გამოირჩეოდეს ზნეობრივი სიწმინდით. „გულის სისპეტაკით“. მან კარგად იცის, რომ „ზნეობრივი მოძღვრების ქვაკუთხედი ურთიერთი სიყვარული და სათნოებაა“, მაგრამ ურბნელი მიუთითებს, და სამართლიანადაც. რომ დიპლომატიური ურთიერთობის დროს მეფე ყოველთვის ვერ დაიცავს ზნეობრიობას. რომ იგი ზოგჯერ იძულებულია უღალატოს ყოველდღიურ ზნეობრივ ეთიკას. ამიტომ იგი დავით აღმაშენებლის მისამართით წერს: „მტერთან სპასპეტს გულ-ახდილი და წრფელი დამოკიდებულება არ შეშვენის. იქნებ ესრეთი საქციელი წინააღმდეგი იყოს ზნეობრივის კანონისა, მაგრამ მიუცილებლად საჭიროა სპასპეტისათვის, რომელიც ლაშქრობის დროს, უნებლიედ ემორჩილება სხვა გვარს ზნეობას“ [3].

ერთი სიტყვით, ნ. ურბნელს მშვენივრად ესმის, რომ „დავითიც

---

[1] ივ. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, არსენ ბერისა და დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ვინაობისათვის. ჟურნ. „ისტორია, საზოგადოთმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში“, 1966, № 3, გვ. 23.

[2] სხვათა შორის, სერგი მაკალათიაც ფიქრობს, რომ არსენ ბერი და არსენ იყალთოელი ერთი და იგივე პიროვნება იყო. ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, დავით აღმაშენებელი, თბ., 1944, გვ. 17.

[3] ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი. მეფე დავით აღმაშენებელი და მისი ღრო, 1894, გვ. 56.

ისევე დაუნდობლად იბრძოდა, როგორც მისი მოწინააღმდეგენი. ღალატი, აჯანყება, მტრის მხარეზე გადასელა.... ბრძოლის ასეთ საშუალებებს, დიდი აზნაურები რომ მიმართავდნენ, დავითი უსასტიკესი ზომებით უპასუხებდა — დაპატიმრება, ექსორია, სიკვდილით დასჯა"[1]. და იგი აღმაშენებელ მეფეს ამისათვის აქებს კიდეეაც, რადგანაც მან იცის, რომ მეფე, პოლიტიკოსი — სპასპეტი, ვერ იქნება აბსოლუტურად ზნეობრივი, თუ მას სურს იყოს გამარჯვებულთა შორის.

ნ. ურბნელი შეეხო დავით აღმაშენებლის ცნობილ ანდერძს[2], რომელიც დღემდე საკამათოდ რჩება ქართულ ისტორიოგრაფიაში. ჩვენ საგანგებოდ გვინდა განვიხილოთ ანდერძის ის ნაწილი, რომლის შესახებაც თავისი თვალსაზრისი ჩამოაყალიბა ნ. ურბნელმა, და ვაჩვენოთ, შეიძლება თუ არა ურბნელისეული აზრის გაზიარება აი, რას წერს იგი განსახილველი საკითხის შესახებ: „პირველადვე შევნიშნეთ, რომ მეფის შინაური ცხოვრება სიბნელით მოცულია. მატიანე ამბობს — „მიიყვანა სანატრელი და ყოველად განთქმული სიკეთითა გურანდუხტ დედოფალი, შვილი ყივჩაღთა უმთავრესისა ათრაქა შარაღანისა ძისა, სჯულიერად მეუღლედ თვისად და დედოფლად ყოელისა საქართველოისა". მაგრამ ეს ზოგადი ცნობა არაფერს არ ნიშნავს. ამას გარდა, თუ სომეხ მეისტორიებს დავუჯერეთ, მეფეს სომხის ქალი უნდა ჰყოლოდა მეუღლედ, რომელმაც ჰშობა ტახტის მემკვიდრე, დიმიტრი მეფე... მატიანე კი მხოლოდ გურანდუხტს იხსენიებს და იმის მეუღლედ მოყვანა პოლიტიკური მოსაზრების გამო უნდა მომხდარიყო; შორსმჭვრეტელი მეფე ჰხედავდა, თუ რა სასარგებლო იქნებოდა მოყვრული დამოკიდებულება ყივჩაღთა უმთავრესთან... ვგონებთ, ცხადია, რომ გურანდუხტზე წინათ სხვა მეუღლე ჰყავდა, თუმცა ძნელია სათქმელად, ვინ და საიდან, ხოლო ეჭვს გარეშეა, რომ უფროსი შვილი, ტახტის მემკვიდრე დიმიტრი მეფე, გურანდუხტისაგან არ იყო შობილი. აი, რომელი საბუთით: როცა მეფემ ყივჩაღნი მოიწვია, მაშინ ეაკიშვილი ვახტანგ დაიბადა და შემდეგ თავის „ანდერძში" უფროს შვილს დაავალა „რათა ძმა თჳისი ცვატა" აღზარდოს და თუ ინებოს ღმერთმან და ვარგ იყოს, შემდგომ მისსა მეფე ჰყოს მამულსა ზედა". ეს საანდერძო განკარგულება ძირეულად სცვლიდა მემკვიდრეობის წესსა. ცხადია, რომ ცვატა გურანდუხტისაგან იშვა და მეფეს ჰსურდა ცვატას მემკ-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. I, 1965. გვ. 31.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, 1965, გვ. 18.

ვიდრეობა საპოლიტიკო მოსაზრებისა და ყივჩაღთა გულის მოსაგებლად"[1].

როგორც ვხედავთ, ნ. ურბნელს უდავო ჭეშმარიტებად მიაჩნია, რომ დავით აღმაშენებელს დედოფალ გურანდუხტისაგან ჰყავდა ვაჟი ვახტანგი. და სწორედ ეს ვახტანგია დავით აღმაშენებლის ანდერძში მოხსენებული ცვატა. ურბნელი გაკვირვებულია, თუ რად უნდა შეეცვალა მემკვიდრეობის წესი დავით აღმაშენებელს და ცდილობს ახსნას მეფის ასეთი საქციელი მისი მოსაზრებით დავით აღმაშენებლის საანდერძო განკარგულება ცვატას ტახტზე ასვლის შესახებ გამოწვეული უნდა იყოს „საპოლიტიკო" მოსაზრებით, კერძოდ, ყივჩაღთა დასაშოშმინებლად და გულის მოსაგებად. ვიდრე ურბნელის ამ მოსაზრებას გავიზიარებდეთ ან უარვყოფდეთ, აუცილებლად მიგვაჩნია, განვიხილოთ ეს საკითხი უფრო დეტალურად.

ურბნელი წერს, როცა მეფემ ყივჩაღნი მოიწვია, ძაშინ ვაჟიშვილი ვახტანგ დაებადაო. ბუნებრივია ისმის კითხვა, რა საბუთს ეყრდნობოდა იგი ასეთი კატეგორიული განცხადებისათვის? ვფიქრობთ, ქართლის ცხოვრების იმ ადგილს, სადაც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მოგვითხრობს ყივჩაღების გადმოყვანაზე საქართველოში, და წერს: „ხოლო მაშინ ოვსეთს ყოფასა მიიცვალა გიორგი ჭყონდიდელი, თავ-ადგა სიყრმითგანთა პატრონისა ძისაჲურებათათჳს; და პატივითა დიდითა წარმოგზავნა მონასტერსა ახალსა და მუნ დაემარხა. რომელი იგლოვა ყოველმან სამეფომან და თვით მეფემან. ვითა მამა და უმეტესცა მამისა, შემოსითა შაეისათა ორმოც დღე. ვიდრემდის იშვა ვახტანგ, რომელისა ხარებითა დაიღესნა გლოვა"[2].

მართალია, ისტორიკოსს არა აქვს სათქვამი, რომ ვახტანგი დავით IV ვაჟია, მაგრამ რის გამო უნდა დამთავრებულიყო ჭყონდიდელის გარდაცვალებით გამოწვეული გლოვა, თუ არა მეფისწულის დაბადების გამო. იქნებ დავით აღმაშენებლის შვილიშვილის დაბადებამ გამოიწვია ასეთი სიხარული, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ დემეტრეს არ ჰყოლია ვახტასგად წოდებული შვილი, დაბოლოს, საეჭვოა, რომ მემატიანეს საგანგებოდ არ აღენიშნა, საქმე რომ სხვის დაბადებას შეეხებოდეს და არა უფლისწულისას. მაგრამ დავით აღმაშენებლის ანდერძში დავითის ძის, დემეტრეს, ძმად მოხსენებულია ცვატა და არა ვახტანგი. XIX საუკუნის ცნობილი ქართველი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე ვახუშტის „საქართველოს ის-

---

[1] ურბნელი, მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო, 1894, თბ., გვ. 19—20.

[2] ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 327.

ტორიის“ შენიშვნებში წერს — „ცვატა ჩვენის მოსაზრებით უნდა იყოს თვით ვახტანგი მეტ-სახელით წოდებული“-ო[1]. ვფიქრობთ, დ. ბაქრაძის ეს მოსაზრება ეჭვს არ უნდა იწვევდეს, თუმცა აკად. ნ. ბერძენიშვილი დავით აღმაშენებლის ზემოდასახელებულ ანდერძს ყალბს უწოდებს[2]. ხომ არ შეიძლებოდა, ანდერძში. თუნდაც ყალბში, არარსებული უფლისწული მოეხსენებინათ.

ბუნებრივია, იბადება კითხვა — რა ბედი ეწვია უფლისწულ ვახტანგს. ამ საკითხის შესახებ ჩვენ მოგვეპოვება, როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი ამბობს, მხოლოდ „ერთადერთი“, „მოკლე“ და „ბუნდოვანი“ ცნობა, რომელიც სომეხ ისტორიკოსს ვარდანს ეკუთვნის. ვარდანის მოთხრობა დემეტრე დავითის ძის წინააღმდეგ აჯანყებისა ბუნდოვანია, მაგრამ, როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი ამბობს, „ცხადია მხოლოდ, რომ ივანე აბულეთის ძეს დემეტრე მეფის ღალატი განუზრახავს, მაგრამ პირადი განზრახვით კი არა, არამედ დემეტრე მეფის ძმისათვის, რომელიც თურმე ეძიებდა მეფობასა“[3]. ივ. ჯავახიშვილს დამოწმებული აქვს ვარდანის წიგნი სომხურ ენაზე, და ასე აქვს თარგმნილი „უფლის წულ (და) ივანე აბულეთის ძეს უნდოდა(თ) დემეტრე (მეფისა) და თავის ძმის მოკვლა. მაგრამ ივანეს მამამ აბულეთმა თავისი (შვილის) წინაშე ჭაღარა გაიშალა და (განზრახულის აღსრულება) დაუშალა. ძმათა შორის (ჩამოვარდნილ) მზაკვრობის წყალობით ორივენი დმანისის ციხეში დაამწყვდიეს. როდესაც დემეტრე (მეფემ) ეს (ამბავი) შეიტყო, (მივიდა დმანისის ციხეში და) ივანეს (დაცინვით) უთხრა: აჰა შემიპყარ!-ო. ხოლო მან სინანულით უპასუხა არა მეფეე, მე ხელთ მოგვეცით თქვენი ძმა, რომელიც თქვენს მეფობას ეძიებს. (მეფემ) შეიპყრა იგი (ძმა?), (თვალი) დაუბნელებინა და გაანთავისუფლა“-ო[4].

ჩვენი აზრით, ვარდანის ეს ცნობა შემდეგნაირად უნდა იქნეს კაგებული: ივანე აბულეთის ძემ და უფლისწულმა ვახტანგ დავითის ძემ გადაწყვიტეს ვახტანგის ძმის, მეფე დემეტრე დავითის ძის მოკვლა, მაგრამ შეთქმულება გამომჟღავნდა და დამნაშავენი დმანისის ციხეში ჩაამწყვდიეს. როცა მეფე დემეტრემ ნიშნის მოგებით უთხრა ივანეს — აჰა შემიპყარო, ივანემ სინანულით უპასუხა: არა მეფეე, მე თქვენ აჯანყებული ძმა ჩაგიგდეთ ხელში, რომელსაც თქვენი ტახტის ხელში ჩაგდება სურდაო. ნ. ემინის მიერ რუსულად

---

[1] ვახუშტი, საქართველოს ისტორია, 1885, ტფ., გვ. 187.

[2] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 133.

[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. ტ. II, 1965, გვ. 224.

[4] იქვე, გვ. 223.

თარგმნილ, ამავე წიგნშიც მკაფიოდ და გასაგებადაა ნათქვამი, რომ ივანე აბულეთის ძე მეფეს აჯანყებია დემეტრეს ძმისთვის, რომელიც ტახტს ეცილებოდა მეფეს. მართალია, ვარდანი დემეტრეს ძმად გიორგის ასახელებს და არა ვახტანგს, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ დემეტრეს შვილს ერქვა გიორგი და არა ძმას. ჩვენი აზრით, ვარდანს აქ შეცდომა მოსდის — ვახტანგის მაგიერად დემეტრეს ძმად გიორგის ასახელებს. მეფე დემეტრეს აჯანყებული ძმა დაუბრმავებია. გასაგებია, რომ იგი არც ივანე აბულეთის ძეს დატოვებდა დაუსჯელად და, მართლაც, ლაშა გიორგის დროინდელ მემატიანეს ნათქვამი აქვს, რომ: „დემეტრე აბულეთის ძესა ივანეს თავი მოჰკუეთა ჩხერეს მერეს მეოცესა წელიწადსა მეფობისა მისისასა და მეტეხთა დადვა ფიცის არ გატეხისათჳს"[1]. მოტანილი ადგილიდან ცხადად ჩანს, რომ დემეტრეს მოღალატე ივანესათვის თავი მუკეეთია. რაც შეეხება მემატიანის სიტყვებს „მეტეხთა დადვა ფიცის არ გატეხვისათვის". აკად. ივ. ჯავახიშვილი მათ ასე განმარტავს: „ცხადია, რომ „ფიცი" და სიმტკიცე შეუძლებელია დამარხვის თაობაზე ყოფილიყო დადებული და დემეტრე მეფის უკანასკნელი საქციელი ალბათ მხოლოდ გატეხილი ფიცის დასაფარავად მოგონილი გარეგნული თვალმაქცობა და ხრიკი იქნებოდა"[2]. აკად. ივ. ჯავახიშვილის ეს აზრი მით უფრო სარწმუნოა, რომ დემეტრე მეფეს „თვალმაქცობა" და „ხრიკი" ალბათ საკუთარი ძმის დასჯის მისაფუჩეჩებლად ესაჭიროებოდა. სომეხი ისტორიკოსი ვარდანი აღნიშნავს, თითქოს დემეტრე მეფეს საკუთარი ძმა 1130 წელს დაუსჯია. ლაშა გიორგის დროინდელ მემატიანეს კი ივანე აბულეთის ძის დასჯა მოცემული აქვს დემეტრეს მეფობის „მეოცესა წელიწადსა", ე. ი. 1145 წელს (დემეტრე ტახტზე 1125 წელს ავიდა). საფიქრებელია, რომ ვახტანგ დავითის ძის და ივანე აბულეთის ძის დასჯა სწორედ 1145 წ. უნდა მომხდარიყო[3]. ეს იმიტომ, რომ 1130 წელს ვახტანგი ბავშვი იქნებოდა და მაშინ ივანე აბულეთის ძეს ასე ხელაღებით არ შეეძლო ათი-თერთმეტი წლის ბავშვის მისამართით ეთქვა — დამნაშავე მე კი არა, შენი ძმა არისო, „მე გაძლევ შენ ხელში ძმას, რომელიც ეძიებს შენს ტახტს"-ო[4]. გარდა ამისა, თუ აჯანყება, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა ივანე აბულეთის ძე 1130 წელს მოხდა, საეჭვოა

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 367.

[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, 1965, თბ., გვ. 224.

[3] ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული აზრი იმის შესახებ, თითქოს ვახტანგი მცირეწლოვანი გარდაცვლილიყოს, არ უნდა იყოს სწორი.

[4] ვ ა რ დ ა ნ დ ი დ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 150.

რომ 1131 წელს იგი თავისუფალი ყოფილიყო და გარნისზე გაელაშქრნა. 1132 წელს კი ზემოთ აღნიშნული ბრალდებისათვის მოეკვლევინებინა მეფეს, როგორც ვარდანი გადმოგვცემს. ივანე აბულეთის ძის თავისუფლება მით უფრო დაუჯერებელია, რომ ვარდანისავე სიტყვით დემეტრეს თავის ძმა დაუბრმავებია. მაშ რატომ უნდა დაენდო ივანე?

აკად. ივ. ჯავახიშვილს საგანგებოდ აქვს განხილული ვარდანის ის ცნობა, სადაც ხაზგასმულია დემეტრე მეფის წინააღმდეგ აჯანყება ივანე აბულეთის ძისა, რომელიც მეფის ძმას მიმხრობია და. ვფიქრობთ, სომეხი ისტორიკოსის (რომელიც უფრო ობიექტური იქნებოდა დემეტრე მეფის საქციელის მეფასებისას) აზრს გაიზიარებდა, რომ ჩვენთვის გაუგებარი მიზეზის გამო თვითონვე ეჭვი არ შეეტანა ვასტანგ დავითის ძის არსებობაში. აი, რას წერს ივ. ჯავახიშვილი ვარდანის ცნობის განხილვისას: „თვით დანაშაულობის შესახებ ჩვენ ვარდანის მოთხრობის მეტი სხვა არავითარი წყარო არ მოგვეპოვება, რომ ვარდანის მოკლე და ბუნდოვანი აღწერილობა შეგვევსო და საქმის ნამდვილი ვითარება გაგვეგო. ცხადია მხოლოდ, რომ ივანე აბულეთის ძეს დემეტრე მეფის ღალატი განუზრახავს, მაგრამ პირადი განზრახვით კი არა, არამედ დემეტრე მეფის ძმისადმი, რომელიც თურმე ეძიებდა მეფობას[1]. დავით აღმაშენებლის „ცხოვრებაში" დემეტრეს გარდა, დიდებული მეფის სხვა შვილი მოხსენიებული არ არის. მაგრამ არც ის არის ნათქვამი, რომ დემეტრე მხოლოდშობილი ძე იყო; მაშასადამე, შესაძლებელია დემეტრეს ძმები თუ არა, ერთი ნახევარძმა, ყიჩაღთა მთავრის ასულისაგან შობილი, მაინც ჰყოლოდა. ან იქნებ განდგომის მოთავე უფლისწული, დემეტრეს ძმად წოდებული, დემეტრეს ბიძაშვილი ყოფილიყო. დავით აღმაშენებლის იმ ძმის შვილი, რომელსაც, მათე ურჰაელის სიტყვით, „თოტორმე" რქმევია"[2].

როგორც ვხედავთ, აკად. ივ. ჯავახიშვილმა იმიტომ არ დაადასტურა ვარდანის ცნობა ვახტანგის აჯანყების და მისი დასჯის შესახებ, რომ ასეთი უფლისწულის არსებობაში ეჭვი შეიტანა.

---

[1] სხვათა შორის, მკვლევარმა ჯ. სტეფნაძემ თავის საკანდიდატო დისერტაციაში საგანგებოდ აღნიშნა, რომ მისი აზრით, 1330 წელს დემეტრე დავითის ძის წინააღმდეგ აჯანყდა უფლისწული ვახტანგ დავითის ძე, ე. ი. დემეტრეს ძმა ათრაქას შვილიშვილი და არა დავით დემეტრეს ძე.

ჯ. სტეფნაძე. საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა კავკასიის ხალხთან XII საუკუნეში, თბ., 1970, გვ. 175 (საკანდიდატო დისერტაცია ინახება ისტორიის ინსტიტუტში).

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, 1965, გვ. 224.

ჩვენი აზრით, მეფე დემეტრე დავითის ძეს აჯანყებია ვახტანგ დავითის ძე და, ბუნებრივია, ამ აჯანყების იურიდიულ საბუთად უფლისწული თავისი მამის — დავით აღმაშენებლის — ანდერძს ეოიშველიებდა, სადაც გარკვევითაა ნათქვამი „და მივანდვენ შვილნი და დედოფალნიცა, შუამდგომლობითა ღმრთის თა, რათა ძმა მისი გაზარდოს. და თუ ინებოს ღმერთმან და ვარგ-იყოს ცვატა, შემდგომად მისსა მეფე-ჰყოს მამულს ზედა“ [1]. ანდერძის ამ ნაწილს უნდ: გულისხმობდეს აკად. ნ. ბერძენიშვილი, როცა იგი ლაპარაკობს დავით II ყალბი ანდერძის შესახებ ვახტანგის გამეფების თაობაზე [2]. ან «завещание (подложное?) Давида сыну, царю Димитрию, относительно воцарения после себя второго сына Давида — Вахтанга» [3]

ძნელი წარმოსადგენია, რომ ისეთი ძლიერი, ჭკვიანი და მკაცრ: მეფე, როგორიც დემეტრე იყო, ვინმეს მისცემდა საშუალებას. ყალბი და უხეირო საბუთებით ებრძოლა მის წინააღმდეგ. ჩანს ანდერძში იმთავითვე იყო ლაპარაკი ცვატას (ვახტანგის) გამეფების შესახებ, რისი დამალვაც დემეტრეს გასაგები მიზეზის გამო არ შეეძლო. სწორედ ამ ანდერძზე დაყრდნობით ცდილობდნენ ვახტანგი და მისი მომხრეები, რომ მეფის წინააღმდეგ აჯანყება კანონიერად მოენათლათ.

ჩვენი აზრით, დაუჯერებელი არაფერია იმაში, რომ დავით IV ანდერძად დაეტოვებინა, „თუ ინებოს ღმერთმან და ვარგ-იყოს ცუატა, (დემეტრემ) შემდგომად მისსა მეფე ჰყოს [illegible]ულსა ზედა“. თავი რომ დავანებოთ საქართველოს იმდროინდელ მეზობელ სამეფოთა კარის ამბებს, თვითონ მეფე დემეტრემაც ტახტის მემკვიდრეობომ უმცროსი შვილი არჩია. დავით აღმაშენებლის საქციელი კი მით უფრო არაა გასაკვირი, რომ მან კატეგორიულად კი არ მოითხოვა ვახტანგის გამეფება, არამედ საგანგებოდ აღნიშნა, „თუ ინებოს ღმერთმან და ვარგ-იყოს ცვატა, მხოლოდ იმ შემთხვევაში გამეფონო. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ნ. ურბნელიც გაკვირვებულია, თუ რატომ დასჭირდა დავით აღმაშენებელს შეეცვალა „სამემკვიდრეო“ წესი, და ცდილობს ამ მოვლენის ახსნას.

ნ. ურბნელის მოსაზრება იმის შესახებ, რომ საქართველოში დედოფლად გურანდუხტის მოყვანა პოლიტიკური მოსაზრების გამო უნდა მომხდარიყო, რომ შორსმჭვრეტელი მეფე ხედავდა, თუ რა

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, 1965, გვ. 19

[2] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, 1965. გვ. 133.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 145.

სასარგებლო იქნებოდა მოყვრული დამოკიდებულება ყივჩაღთა „უმთავრესთან“ [1] ხომ ახლოა ვეშმარიტებასთან. მაშ, რატომ არ შეიძლება ურბნელის მიერ მინიშნებული მოტივი (რომ ცვატა გურანდუხტისაგან იშვა და მეფეს სურდა მისი გამეფება პოლიტიკური მოსაზრებით — ყივჩაღთა გულის მოსაგებად) [2] დავასახელოთ იმ მიზეზთა შორის, რომლებმაც დავით აღმაშენებელს უკარნახეს ცვატას (იგივე ვახტანგის) ტახტზე ასვლა შესაძლებლად დაეშვა? ჩვენი აზრით, ურბნელის ეს თვალსაზრისი გაზიარებული უნდა იქნეს. ხომ საყოველთაოდ ცნობილია, რომ ყივჩაღები ვერ ისვენებდნენ დავით აღმაშენებლის დროსაც კი. სად იყო იმის გარანტია, რომ მისი ძლიერი ხელის შემდეგ თავს არ აიშვებდნენ. ამიტომ მიგვაჩნია შესაძლებლად, რომ დავითს ყივჩაღებისათვის მიეცა იმედი მათივე ნათესავის ტახტზე ასვლისა, რაც მეფის პოლიტიკიურ თვალსაწიერს კი არ ამცირებს, პირიქით. ვარდანის ცნობაში, რომ დემეტრე პირველს ძმა აჯანყებია. არაფერია დაუჯერებელი, მაგრამ აჯანყების თარიღის სისწორე (1130 წელი) ეჭვს იწვევს. ლაშა ვიორგის დროინდელი მემატიანის მიერ მოცემული თარიღი ივანე აბულეთის ძის სიკვდილით დასჯისა სარწმუნოა, რადგან ივანე რომ ცოცხალია 1130 წლის შემდეგაც. ეს კარგად ჩანს წყაროებიდან. აჯანყება დემეტრეს წინააღმდეგ უნდა მომხდარიყო 1145 წ. და ამ აჯანყების მოთავე უნდა ყოფილიყო უფლისწული ვახტანგი — დემეტრეს ძმა — და არა დავით დემეტრეს ძე .ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული აზრი, რომ დავითი დემეტრეს ოთხჯერ აჯანყებია, ბოლოს კი 1155 წელს, სამეფო გვირგვინიც წაურთმევია[3], თითქმის დაუჯერებელია. დაუჯერებელია, რომ ყოველი აჯანყების შემდეგ უფლისწული თავისუფალი რჩებოდა და კვლავ და კვლავ ეძლეოდა აჯანყების საშუალება. მით უმეტეს, რომ მაშინ, როცა დავით V დემეტრეს ძემ მამას ტახტი წაართვა, თურმე „როგორც ისტორიკოსი არ მალავს, მამაც კი ეეედრებოდა ღვთაებას, მისი უმადური და უღირსი შვილისათვის სიცოცხლე შეემოკლებინა[4]. მართლაც, დავი[illegible] მეხუთემ ერთ წელსაც ვერ იმეფა და „გარდაიცვალა“. თუ დავი[illegible]

---

[1] ნ. ურბნელი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 19.

[2] იქვე, გვ. 20.

[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II. 1965, გვ. 363—364; ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, ი. კაკაბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, 1958, გვ 125.

[4] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II. 1965. გვ. 364.

დემეტრეს ძე თავის დღით არ მომკვდარა, რაც ნაკლებ საეჭვოა, მაშინ მის სიკვდილს „ღვთის განაჩენს“ ვერ დავაბრალებთ.

საერთოდ, ნაკლებ სარწმუნოა, რომ დემეტრე პირველი, რომელიც, როგორც ჩანს, განსაკუთრებულ სინაზეს არ იჩენდა უფროსი შვილის მიმართ, ვერ გამონახავდა საშუალებას, რომ გაუთავებელი აჯანყებების სურვილი და შესაძლებლობა მოესპო მისთვის. მით უმეტეს, რომ სამეფო კარზე გამეფებული არეულობა აშკარად შეუშლიდა ხელს საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკურ ზრდა-განკითარებას და გამოიწვევდა გარეშე მტრების გამოცოცხლებას. მარტო ამიტომაც იმსახურებდა დავით დემეტრეს ძე მკაცრ სასჯელს. ერთი სიტყვით, ჩვენი აზრი აღნიშნული აჯანყების შესახებ ასეთია: 1130 წელს აჯანყება არ მომხდარა დემეტრეს წინააღმდეგ, ვარდანს კი 1145 წლის აჯანყება 1130 წლით დაუთარიღებია. აჯანყება უნდა მომხდარიყო 1145 წელს, რომელიც: მოაწყვეს დიდებულებმა დემეტრე I წინააღმდეგ ვახტანგის გამეფების საბაბით და ამ აჯანყების იურიდიულ საბუთად გამოიყენეს დავით აღმაშენებლის ანდერძში დაცული მეფის სურვილი ცვატას, ანუ ვახტანგის გამეფების შესახებ. სავარაუდოა, რომ აჯანყება მომზადდა მას შემდეგ, როცა დემეტრეს სიმპათია უმცროსი შვილის — გიორგის მიმართ აშკარად გამოიკვეთა და დემეტრე მეფის პოლიტიკით უკმაყოფილო დიდებულებმა გიორგი დემეტრეს ძე მამის პოლიტიკის გამტარებელ მომავალ მეფედ წარმოიდგინეს. დავით აღმაშენებლის ანდერძში გარკვევით წერია, რომ ცვატა „შემდგომად მისსა მეფე—ჰყოს მამულსა ზედა“. როცა დემეტრემ „შემდგომად მისსა“ ტახტს გიორგი დაუმზნა, აჯანყებაც სწორედ მაშინ უნდა მომხდარიყო. ბუნებრივია. აჯანყების კანონიერად „მონათვლაც“ გაადვილდებოდა, რაც აუცილებლად სჭირდებოდა აჯანყების მოთავე პარტიას. ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანის ცნობა, რომ დემეტრე I ივანე აბულეთის ძეს თავი მოეკვეთა სწორედ ამ წელს, დაკავშირებული უნდა იყოს ძმის წინააღმდეგ დავით IV ძის ვახტანგის აჯანყებასთან, რომელსაც მიმხრობია ივანე აბულეთის ძე. თუ ვარდანის ცნობას იმის შესახებ, რომ დემეტრეს ძმა დაუბრმავებია, დავუკავშირებთ ქართველი ისტორიკოსის ცნობას ივანე აბულეთის ძის თავის მოკვეთის შესახებ, ვფიქრობთ, შეიძლება ასეთი დასკვნის გაკეთება: 1145 წლის აჯანყების მოთავე ვახტანგი და მისი მომხრე ივანე აბულეთის ძე დემეტრე მეფეს სასტიკად დაუსჯია. რაც შეეხება დავით დემეტრეს ძეს, ის თავის მამას უფრო გვიან აჯანყებია და ტახტიც წაურთმევია. ვარდანს ერთი საყურადღებო ცნობაც აქვს მოცემული: როცა დავით დემეტრეს ძე ტახტზე ასულა, მას დემეტრე მეფის მიერ დას-

ჯილი ივანე აბულეთის ძის შვილი თირქაში გაუთავისუფლებია და ამირსპასალარად დაუნიშნავს[1]. ვფიქრობთ, ეს ცნობა არ გამოდგება იმის დასამტკიცებლად, თითქოს დავითმა თირქაში იმიტომ გაათავისუფლა, რომ იგი შვილი იყო ივანესი, რომელიც მას აჯანყების დროს ეხმარებოდა. გასაგებია, რომ ტახტის აჯანყებული პრეტენდენტი, რომელმაც გაიმარჯვა, „იზრუნებდა" მათ ბედზე, ვინც წინამორბედმა მეფემ დასაჯა. ისტორია სავსეა მსგავსი შემთხვევებით.

ნ. ურბნელს საგანგებოდ აქვს ხაზგასმული დავით აღმაშენებლის მიერ რჯულშემწყნარებლობა, რასაც, მისი აზრით, ფრიად უწყობდა ხელს მეფის კარგი განათლება და მწიგნობრობის სიყვარული. საყურადღებოა, რომ ურბნელი, საერთოდ, რჯულშემწყნარებლობას განათლებისა და კულტურის გავლენით ხსნის. იგი ამბობს, რომ „იმ დროის განათლებამ შესცვალა მაჰმადიანების ველური ხასიათი, ოდესმე მრისხანე და მძვინვარე მაჰმადის მწვანე დროშა ცოტა არ იყოს დამშვიდდა და შეუბრალებლად აღარ სდევნიდა ქრისტიანებსო" და სამართლიანად აღნიშნავს, რომ დავით აღმაშენებელმა ამ მხრივ დროს წინ გაუსწრო"[2]. მაგრამ ურბნელი დავითის ამ თვისებას მხოლოდ მისი ზნეობრივი სიწმინდით და ჰუმანიზმით ხსნის. დავით IV „თავის თავს ქრისტეს მახეილს უწოდებდა, მაგრამ ამავე დროს მუსულმანებს, სუფიებს და პოეტებს თავშესაფრებს უშენებდა, საცხოვრებელს აძლევდა, „აჯილდოებდა"[3]. ყველაფერი ეს ფაქტია. მაგრამ ამ ფაქტების ახსნა მხოლოდ „ჰუმანიზმით" და „ზნეობრივი სიწმინდით" არ შეიძლება, თუმცა თვით მოქმედება არც ერთს და არც მეორეს არ გამორიცხავს. საქმე ის იყო, რომ „საქართველოს ინიციატივით შექმნილ მრავალეროვან სახელმწიფოში, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო ქვეყნის მრავალეროვანი საზოგადოებრივი ურთიერთობის მოწესრიგება მხოლოდ ქრისტიანულ მოძღვრებაზე დამყარებული სარწმუნოებრივი პოლიტიკის მიხედვით"[4]. ეს კარგად ესმოდა ჭკვიან მეფეს და ამით უნდა აიხსნას დავით აღმაშენებლის რჯულშემწყნარებლობის პოლიტიკა. ურბნელი ეხება რა მახლობელ აღმოსავლეთში თურქთა გაძლიერების საკითხს, აღნიშნავს, ეს მას შემდეგ მოხდა, როცა ბიზანტიამ აღმოსავლეთს

---

[1] Всеобщая история Вардана Великого, М., 1861, стр. 154.

[2] ნ. ურ ბ ნ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 18.

[3] მიხ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, თხზ. სრული კრებული, ტ. VI, 1967, გვ. 65.

[4] ვ. ა ბ ა შ ი ძ ე, ნარკვევები საქართველოს პოლიტიკური მოძღვრების ისტორიიდან, თბ., 1969, გვ. 207.

ქვეყნების უზარმაზარი ტერიტორია დათმო, რითაც საქართველოს ერთი ,ზღუდე მოეშალა ,ამ გარემოებამ ხელი შეუწყო მტერს-ო[1]. მას, რა თქმა უნდა, მხედველობაში აქვს 1074 წლის თურქეთ-ბიზანტიის ხელშეკრულება, რომლის შედეგებმა საქართველოს რეალური საფრთხე შეუქმნეს და „მართლაც, 1080 წლიდან ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებით გაძლიერდა თურქთა შემოსევა-ჩაძოსახლებანი, დაიწყო „დიდი თურქობა". ამ დროს საქართველოში გიორგი მეორე მეფობდა"[2]. ნ. ურბნელი გიორგი მეორეს „უთაოსნო" და „დაუდეევარ კაცს" უწოდებს, მაგრამ იქვე აღნიშნავს, რომ „მარტო გიორგი მეფის სუსტმა ხასიათმა არ დაამცირა მეფობა. აქ თურქთა ბატონობასაც გავლენა ჰქონდა"[3]. მას კარგად აქვს შეგნებული, რომ გამარჯვებული მტერი ყოველთვის ხელს უშლიდა მეფის ხელისუფლების გაძლიერებას და წყალს მუდამ გამდგარი ერისთავების წისქვილზე ასხამდა. ნ. ურბნელმა იცის, რომ საქართველოს ესაჭიროებოდა თურქთა წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის ორგანიზატორი. გიორგი მეფე საამისო პირად ღირსებებს მოკლებული იყო[4]. იგი წერს: საქართველო საშინელ სურათს წარმოადგენდა, მაგრამ ქართველობა მაინც სულით არ იყო დაცემული და საკმაო ზნეობრივი ძალა მოეპოვებოდა. საჭირო იყო მხოლოდ ერის გამხნევება, სასოების და იმედის აღდგენა. გარემოება თხოულობდა, უპირველეს ყოვლისა, მეფობის უფლება და ღირსება აღდგენილიყო და ჭაბუკმა გვირგვინოსანმაც წინადვე ამას მიაქცია „ყურადღება"[5]. ნ. ურბნელის აზრით, ერთადერთი ხსნა საქართველოს სინამდვილისათვის იყო მეფის ხელისუფლების განდიდება-განმტკიცება, „ნამდვილი თვითმპყრობელობის" დამყარება და „გენიოსი ჭაბუკის" სწორედ ასეთი პოლიტიკური კურსი მიაჩნია მის დიდ დამსახურებად. იგი წერს: „დავით აღმაშენებლის უდიდესი ღვაწლიც, სხვათა შორის, ის არის, რომ თვითმპყრობელობაზე დაამყარა საქართველოს დიდება. მართალია, წინადაც მეფე თვითმპყრობელად იწოდებოდა, მაგრამ ეს მარტო ცალიერს სახელს შეადგენდა"[6]. ძნელი არაა იმის მიხვედრა, რომ ურბნელს

---

[1] ურბნელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

[2] შ. მესხია, დიდგორის ბრძოლა, თბ., გვ. 23, 27.

[3] ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 27.

[4] ნ. ბერძენიშვილი, ე. დონდუა, მ. დუმბაძე, ი. კაკაბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, ს. რატიანი, საქართველოს ისტორია, 1958, გვ. 106.

[5] ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 26—27.

[6] იქვე, გვ. 27.

მხედველობაში აქვს შეუზღუდველი მონარქია, და სამართლიანად მიაჩნია, რომ სწორედ დავით IV დროს ჩაეყარა საფუძველი საქართველოში „ნამდვილ თვითმპყრობელობას", რასაც თავის დროზე ყველა ფეოდალური ქვეყნის ისტორიაში პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა და დავით აღმაშენებლის მეფობის მთელი პერიოდიც ამისი ერთი საუკეთესო მაგალითია. საყოველთაოდ ცნობილია თუ საქართველოს სამეფოს მთლიანობასა და სიმტკიცეს როგორ უშლიდა ხელს შინაური აშლილობა — ფეოდალური შუღლი, მტრობა და არც თუ ისე იშვიათად „ერის „თავკაცთა" ზნეობრივი სიწამხდრე, ამ გარემოებას ნ. ურბნელი მტრის ზემოქმედებითაც ხსნის და ამბობს, რომ „მტრის ბატონობამ ზნეობრივადაც დაარღვია საქართველოს სამეფო" [1]. ასეთ განცხადებაში მხოლოდ ჭეშმარიტება შეიძლება დაინახოს კაცმა და უნებლიეთ გახსენდება გამოჩენილი ქართველი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის მიერ შემაძრწუნებლად დახატული უბედურება დამარცხებული ერისა: „დავრდომილის, დამარცხებულის სხეულში და ტანზეც მუდამ ჩნდება ათასნაირი შხამიანი ბაცილა, მუწუკი და ჭირი. ჩვენი შინაური რღვევა და აღრევაც, მზაკვრობა და მუხანათობაც, „ყიყვი" და „ეჭვაკიც" მუდამ შედეგი იყო ჩვენ დამარცხებისა გარეშე მტერთაგან, იმედდაკარგული და გამწარებული ორგანიზმი იწყებს საკუთარივე თავის ღრღნას და ჭამას. ამიტომ მოსდევდა ხოლმე ჩვენს დამარცხებას ანარქია, სიმშილი, ეპიდემია; ზნეობრივი გახრწნა, განდგომა, კონდოტიერობა და დაშლა პროვინციებად" [2].

ურბნელს სავსებით სწორად ესმის, რომ „სელჩუკების ბატონობამ ხელი შეუწყო საქართველოს დიდაზნაურთა თავგასულობას და ურჩობას.... თავის ძალ-ღონე მეფემ აშლილ ქვეშევრდომთა დამშვიდებას შეალია და ეს მაშინ, როცა სამშობლოს მძვინვარე მტერი თავს ეხვია და სიცოცხლეს უსპობდა, მაგრამ გიორგი მეფემ მაინც ვერ დათრგუნა მოღალატე ერისთაეობა" [3]. მას ესმის, რომ სწორედ გიორგი მეფის „უუნარობამ" და „დაუდევრობამ" დაბადა საქართველოს სამეფო კარზე პოლიტიკური გადატრიალების იდეა, რის შედეგადაც საქართველოს სამეფო ტახტზე დაჯდა დავით მეოთხე. „გენიოს ჭაბუკს ცხადად წარმოდგენილი ჰქონდა სამეფოს მდგომარეობა, იცოდა რა იყო საჭირო და რომელ გზას უნდა დასდგომო-

---

[1] ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 29.
[2] მ ი ხ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 72.
[3] ნ. ურ ბ ნ ე ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 31.

დაო“ [1]—ამბობს ურბნელი და ეს ჰეშმარიტება დავით მეოთხის შესახებ დღესაც ძალაშია.

ნ. ურბნელი დავით აღმაშენებლის მოღვაწეობას ორ პერიოდად ყოფს, მაგრამ არა ისე, როგორც ეს თანამედროვე ისტორიოგრაფიაშია მიღებული (ცერძოდ, მისი მეფობის პირველი პერიოდი გრძელდება 1097 წლამდე) [2]. მისი აზრით, დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის პირველი პერიოდი უნდა მთავრდებოდეს კახეთ-ჰერეთის შემოერთებით, ე. ი. 1104 წელს. რადგან სწორედ ამ წელს დაიკავა მეფემ კახეთ-ჰერეთი „და „იგი საქართველოს ერთიან სახელმწიფო ორგანიზაციაში შემოიყვანა“ [3]. მეორე პერიოდი კი იწყება 1104 წელს და ვრცელდება 1125 წლამდე, ე. ი. დავითის გარდაცვალებამდე. ნ. ურბნელის აზრით, დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის „პიველ ნაწილს შეადგენს შინაური მტრის დამორჩილება და კახეთ-ჰერეთის შემოერთება, ხოლო მეორეს — გარეშე მტერთან ბრძოლა და სამშობლოს განთავისუფლება [4]. ზოგიერთი თანამედროვე მკვლევარიც დავით აღმაშენებლის მოღვაწეობას სწორედ ასევე ყოფს ორ პერიოდად — 1104 წლამდე და მის შემდეგ ვიდრე გარდაცვალებამდე. მაგალითად, რ. მეტრეველი წერს: „დავით აღმაშენებლის მეფობას თუ ორ ხანად გავყოფთ, პირველი მოდის 1089—1104 წწ., ხოლო მეორე პერიოდი იწყება 1104 წელს და გრძელდება მის გარდაცვალებამდე“ [5]. რადგან სწორედ 1104 წლისათვის თავგასული საერო (ლიპარიტი, რატი, ძაგანი და სხვა) თუ სასულიერო (1103 წელს რუის-ურბნისის საეკლესიო კრების დადგენილებით რომ განიდევნენ) ფეოდალები დათრგუნვილი იყვნენ და ჰერეთ-კახეთი საქართველოს სამეფოს შემოუერთდა [6], ამიტომ ჩვენც უფრო მართებულად მიგვაჩნია დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის ორ პერიოდს შორის ზღვრად ზემოაღნიშნული 1104 წელი დაგვედო.

ნ. ურბნელის აზრით, მტერზე გამარჯვებისათვის აუცილებელი პირობაა, კარგად იცოდე მტრის სურვილი, „ზნე“ „ხასიათი“ და ამ ცოდნაზე უნდა იყოს დამყარებული „მხედართმძღვანიც“ „სტრატეგიკოსის“ სალაშქრო წესი და ჩვეულება. დავით აღმაშენებლის ის-

---

[1] ნ. ურბნელი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 26.

[2] ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა და სხვ., საქართველოს ისტორია, 1958, გვ. 106.

[3] იქვე, გვ. 108.

[4] ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 39.

[5] რ. მეტრეველი, საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხის დათარიღებისათვის, ჟურნ. „მნათობი“, 1970, № 6, გვ. 172.

[6] იქვე.

ტორიკოსიც ხომ აღნიშნავს, რომ ქართველების დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ ისინი „თურქთა მიმართ წყობისა ყოველად უმეცარნი და ფრიად [illegible]“ [1] იყვნენო, ნ. ურბნელს დავით აღმაშენებლის დამსახურებად მიაჩნია, რომ მეფე, უპირველეს ყოვლისა, კარგად გაერკვია მტრის ავკარგში და „რომ მტრის სისუსტის შეგნება ძლიერი საშუალებაა ომში გასამარჯვებლად. სხვათა შორის, სწორედ ამ საშუალებით ხელმძღვანელობდა დიდებული სპასპეტი“ [2].

ურბნელმა კარგად იცის, რომ დავით აღმაშენებლის საშინაო რეფორმები ეს იყო მზადების პერიოდი დიდი საქმის შესასრულებლად. სამშობლოს განსათავისუფლებლად, თურქ-სელჯუკთა ბატონობის დასამხობად და ამ პროგრამის შესასრულებლად მოქმედება სწორედ ერწუხის ბრძოლით დაიწყო. „ერწოს ბრძოლით იწყება დავით აღმაშენებლის სამხედრო ძლევამოსილება, ამისი საკვირველი ლაშქრობა, და ყოველთვის მეფის წინამძღოლი „დიდი ჯვარი“ სძღვოდა მწვანე ბაირაღზე გამოხატულ მთვარესა... საქართველოც მტრის სისხლით შეიღება და რაინდის მეფის მერანი ჰუხლებამდე წითელ მორევში ცურავდა“ [3]. და მართლაც ერწუხის ბრძოლამ თვალნათლივ დაანახა მტერსაც და მოყვარესაც, რომ საქართველოს უკვე შესწევდა ძალა ბრძოლისა და გამარჯვებისა.

დავით აღმაშენებლის მიერ გატარებულ რეფორმათა შორის, რომლებმაც „სამეფო ხელისუფლებას შესაძლებლობა მისცა მომდევნო წლებში ქვეყნის მთლიანობის აღდგენისა და თურქ-დამპყრობელთა განდევნის მიზნით გადამწყვეტი ნაბიჯები გადაედგა“ [4], ნ. ურბნელი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს 1103 წლის რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მიერ გატარებულ საეკლესიო რეფორმას და მის შედეგებს, რომლის მნიშვნელობის გაზვიადება მართლაც ძნელია. ჩვენ გვინდა საგანგებოდ განვიხილოთ ნ. ურბნელის შეხედულება ამ რთული და საინტერესო რეფორმის შესახებ.

რუის-ურბნისის საეკლესიო კრების შესახებ მსჯელობისას მკვლევრები, რა თქმა უნდა, ძირითადად ემყარებიან ამ კრების ოქმს, რომელიც „ძეგლის წერის“ სახელითაა შემონახული. ნ. ურბნელი, რომელსაც კარგად ესმის „ძეგლის წერის“ მნიშვნელობა, მიუთითებს, რომ „ძეგლის წერამ“ დროებით მაინც აღადგინა დაცემული ზნეობა ერისა. შინაგანი ცხოვრება განაახლა; წარმატების გზაზე,

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 358.
[2] ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 47—48.
[3] იქვე, გვ. 39.
[4] შ. მესხია, დიდგორის ბრძოლა, 1965, გვ. 30.

დააყენა[1]. საინტერესოა, რომ ურბნელს ძირითადად მართებული აზრები აქვს გამოთქმული რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მნიშვნელობის შესახებ. მან კარგად იცის, რომ საეკლესიო კრება გამიზნული იყო საქართველოს სამეფოს, როგორც ცენტრალიზებული სახელმწიფოს, გაძლიერება-განმტკიცებისაკენ. იგი აკრიტიკებს იმ ავტორებს, რომლებიც ნებით თუ უნებლიეთ აძცირებენ კრების მნიშვნელობას და მკითხველის ყურადღებას მიაქცევენ იმ უმნიშვნელო საკითხებისადმი, რომლებიც კრებაზე მართლაც განიხილეს, მაგრამ სრულიადაც არ წარმოადგენენ ამ კრების ძირითად მიზანს. ნ. ურბნელს მიაჩნია (და სამართლიანადაც), რომ „ძეგლის წერა" ორიგინალური ძეგლია, რომ იგი სუფთა „ეროვნული ნაწარმოებია, ჩვენი საკუთარი აზროვნების და მსჯელობის ნაყოფია"[2].

ნ. ურბნელი „ძეგლის წერის" ტექსტსაც კი კრიტიკულად ეპყრობა. მისი მტკიცებით, „მართალია, ძეგლის წერა იხსენიებს, რომ დავითმა სხვებს მიბაძა და კრება მოიწვიაო, მაგრამ ამ კრების დადგინება მიბაძვა არ იყო. კრება საკუთარი აზრით სჯიდა, თავისუფლად მოქმედებდა"[3].

ჩვენ საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ნ. ურბნელმა კარგად იცოდა გიორგი მთაწმინდლის მოღვაწეობის შესახებ. ივ. ჯავახიშვილის თქმით, გიორგი მთაწმინდლის „უცილებელი ღვაწლია, რომ დემოკრატიული პრინციპი და პირადი ღირსების უპირატესობა საგვარეულო და წოდებრივ უპირატესობასთან შედარებით პირველად მან წამოაყენა საქართველოში"[4]. მკვლევართათვის აშკარაა, რომ გიორგი მთაწმინდლის „იდეები გასდევდა დავით აღმაშენებლის საეკლესიო რეფორმებს, რაც თვით „ძეგლის წერის" ტექსტიდანაც ჩანს"[5]. გიორგი მთაწმინდლის იდეების გავლენა რუის-ურბნისის საეკლესიო კრების დროს უფრო აძლიერებს ნ. ურბნელის აზრს იმის შესახებ, რომ „ძეგლის წერა" ქართული ეროვნული ნაწარმოებია, „ჩვენი საკუთარი აზროვნების და მსჯელობის ნაყოფია". მას კარგად ესმის „ძეგლის წერის" საერთო მნიშვნელობა და, როგორც პროფ. ვ. აბაშმაძე მიუთითებს, „ამ მხრივ არ შეიძლება არ იქნეს გაზიარებული ნ. ურბნელის მოსაზრება". აქვე ვ. აბაშმაძეს მოჰყავს

---

[1] ნ. ურ ბ ნ ე ლ ი, ჩვენი საეკლესიო სჯულმდებლობა „ძეგლის წერა"; „ეეერია", № 38, 1888.

[2] ი ქ ვ ე.

[3] ი ქ ვ ე.

[4] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბ., 1965, გვ. 191.

[5] რ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, დავით აღმაშენებელი, თბ., 1965, გვ. 43.

სათანადო ამონაწერი ნ. ურბნელის შრომიდან, რომელშიც ავტორი ეხება „ძეგლის წერის“ დიდ მნიშვნელობას: „მართალია ძეგლის წერა უფრო სასულიერო და საეკლესიო წესწყობილებას აპყრობს ყურადღებას, იგი უფრო ებრძვის ზნეობრივს სენს და უკანონობას, რომელიც სასულიერო წოდებაში იყო გავრცელებული, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ძველ დროს ეს წოდება ძვიდროდ შეკავშირებული და შეხორცებული იყო მთელს ერთან, სასულიერო წოდების წყლული და სენი მთელი ხალხის სენსა და წყლულს შეადგენდა. ამ მხრივ ძეგლის წერას საზოგადო მნიშვნელობა ჰქონდა, იგი საზოგადო კანონი და სჯული იყო მთელი ერისათვის“ [1].

როგორც ვიცით, რუის-ურბნისის საეკლესიო კრებას დავით აღმაშენებელი ესწრებოდა, მაგრამ ესწრებოდა როგორც „მონა“ და არა როგორც მეფე. ყოველ შემთხვევაში გარეგნულად ასე ჩანდა, სინამდვილეში კი, თავისივე თაოსნობით მოწვეული ამ კრების მსვლელობაზე დავითის ძლიერ პიროვნებას და მის სურვილს არ შეიძლებოდა გადამწყვეტი გავლენა არ მოეხდინა. ნ. ურბნელმა კარგად იცის, თუ რატომ არ შეეძლო დავითს ჩარეულიყო კრების ოფიციალურ ნაწილში, როგორც მეფე, იგი წერს: „კრებაზე დავით აღმაშენებელიც დაესწრო, მაგრამ, როგორც ამბობს ვახუშტი, „არა ვითარცა მეფე, არამედ ვითარცა მონა“. რად? საქმე ისაა, რომ ძველ საქართველოში მეფესა და კათალიკოზს შორის რაიმე დამოკიდებულება არ იყო. ისინი ერთმანეთს არ ექვემდებარებოდნენ, ემორჩილებოდნენ, ერთი ხორცის მეფე იყო, მეორე სულისა. სამოქალაქო სამართალიც ამას აღიარებდა“ [2]. ნ. ურბნელი როცა ასე მსჯელობს, საგანგებოდ ვახტანგის კანონებსაც იმოწმებს. მისთვის სავსებით გასაგებია მეფის პოზიცია კრების მსვლელობის დროს. მან კარგად იცის, რომ კრება მოწოდებული იყო უღირსი დიდგვაროვანი „მოღვაწეების“ წინააღმდეგ, რომლებმაც ძალით დაიპყრეს მაღალი საეკლესიო თანამდებობანი და მეფეს ოპოზიციაში ჩაუდგნენ. მეფისთვის „ეს კრება პოლიტიკური იარაღი იყო, კრების სახელითა და შემწეობით მეფეს სწადდა გაეძლიერებინა საშეფო ტახტის მნიშვნელობა, ფეოდალების ძალა მოესპო, მთავარნი და ერისთავნი დაესუსტებინა და დაემორჩილებინა [3], დიახ, „დავითმა სცადა მოესპო არისტოკრატიუ-

---

[1] ვ. აბაშმაძე. ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, 1969, გვ. 43.

[2] ნ. ურბნელი, ჩვენი საეკლესიო სჯულმდებლობა. „ძეგლის წერა“. „ივერია“, № 38, 1888.

[3] იქვე.

ლი გავლენა ეკლესიაშიც (1103 წ.), რომელიც, ამ დროისათვის საკ-
სებით ფეოდალური ორგანიზაცია იყო" [1]. ნ. ურბნელმა იცის, რომ
დავით აღმაშენებლის ეს სურვილი მხოლოდ ნაწილობრივ შესრულ-
და. მან იცის, რომ „წმინდა კრებამ" მხოლოდ დროებით ალაგმა
ზნეობრივი სიწამხდრე და პირში ბურთი ჩასჩარა თავგასულ ფეოდა-
ლებს. იგი კარგად ხედავს, რომ „ძეგლის წერამ" სამუდამოდ ვერ
შეასრულა დასახული მიზანი, მაგრამ მაინც დიდი კვალი დააჩნია
ჩვენს წარსულს ცხოვრებას [2]. ნ. ურბნელს კარგად ესმის, რომ გალ-
ღებული და ურჩი არისტოკრატია მხოლოდ დროებით შევიდ-
ჩრდილში და ხელსაყრელ დროსა და პოლიტიკურ ამინდს ელოდ-
ფეოდალების სოციალ-ეკონომიური საფუძვლების უცვლელად
დატოვება იმის სრულ გარანტიას იძლეოდა, რომ დავით აღმაშენებ-
ლის მტკიცე ხელის შემდეგ კვლავ თავს წამოჰყოფდა მუდამ მომხვე-
ჭი და თავნება არისტოკრატია. ნ. ურბნელი წერს „დავით აღმაშენ-
ებელმა თუმცა ურიცხეს თავის გარეგანს მტრებს სძლია და განა-
ძევა იგინი საქართველოდან, მაგრამ შინაური მტერი, გალაღებული
და ურჩი არისტოკრატია, ისევ თავის ადგილას დარჩა, ფეოდალური
წყობილება არა თუ შეირყა და დასუსტდა. შემდეგ ახალი ძალ-
მოიცა" [3]. „ფეოდალური არისტოკრატია ვერ იქმნა საბოლოოდ მო-
ტეხილი, პირიქით იგი დავითის მემკვიდრეობის დროს იზრდება და
მტკიცდება" [4].

სავსებით მართალია ურბნელი, როცა ფეოდალების დამორჩი-
ლებაზე ლაპარაკობს და დაასკვნის, რომ საბოლოოდ „დიდებულმა
მეფემ ვერ შეასრულა თავისი გულის განზრახვა". თუმცა დავით აღ-
მაშენებელმა „დიდ აზნაურთა პოლიტიკურ მიდრეკილებებს გონიე-
რულად შეუტია, მაგრამ აზნაურობის სოციალურ-ეკონომიური სა-
ფუძვლები მაინც ხელუხლებელი დასტოვა. XII საუკუნეში კი ქვეყ-
ნის სწრაფი განვითარება იმ გზით წავიდა, რომ დიდ აზნაურთა შემ-
დგომი სოციალურ-ეკონომიური ვაძლიერება გარდუვალი გახდა"
ეს აზრი ნ. ურბნელმა ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს მიაწოდა
ქართველ მკითხველს. რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მნიშვნე-
ლობის შესახებ ნ. ურბნელამდე არსებობდა აზრი (მაგ., პლ. იოსე-

---

[1] ს. ჯანაშია, შრომები. ტ. II, 1952, გვ. 426.

[2] ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრომი. 65.

[3] იქვე.

[4] ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრომი. გვ. 427.

[5] ნ. ბერძენიშვილი, მ. დუმბაძე, ვ. დონდუა, გ. მელიქი-
შვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, ტ. I, თბ., 1968,
გვ. 188.

ლიანისა), თითქოს კრების მთავარი საკითხი იყო ერეტიკოსთა დაგმობა[1]. ასეთი მოსაზრება, ბუნებრივია, ამცირებს რუის-ურბნისის საეკლესიო კრების დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას. ამიტომაც იყო, რომ ნ. ურბნელმა გაილაშქრა ზემოაღნიშნული მოსაზრების წინააღმდეგ და პირველმა ქართულ ისტორიოგრაფიაში საფუძვლიანად დაამტკიცა, რომ დავით აღმაშენებელს სრულიადაც არ ჰქონდა წადილი და დრო ასეთი წერილმანი ვარჯიშობისათვის[2]. იგი შესანიშნავად ასაბუთებს პლ. იოსელიანის აზრის უსაფუძვლობას და წერს:

„საქართველოს ეკლესიის ავტორს გონია, ვითომ დავით აღმაშენებელმა „წმინდა კრებას" იმიტომ მოუწოდა, რომ მართმადიდებლობა დაეხსნა მწვალებლობისაგან. იმ დროსაო, — ამბობს ჩვენი ეკლესიის მეისტორიე. — ძლიერ გავრცელდა მთლად აზიაში ნესტორიანების და აკეფალების მწვალებლობა, ურიცხვი ბერები დაძრწოდნენ საქართველოში და ხალხში მწვალებლობას ავრცელებენო... მკითხველს ეს აზრი შეიძლება პირველ შეხედულებაზე საბუთიან და საფუძვლიან აზრად მოეჩვენოს, რადგან თვით ძეგლის წერის შესავალი ხელს უწყობს, დაჯერეს ამ აზრის სინამდვილე. ძეგლის წერა საქართველოს სასულიერო წოდებას მიმართავს შემდეგი სიტყვებით: ამა შეკრებათა წმინდათა და საეკლესიო კანონთა მტკიცედ პყრობა უხმობს ყოველთა წინამძღვართა. ერთბაშად ყოველსა კრებასა მართლმადიდებელთა ეკლესიისასა. ამ საბუთის და მოსაზრების გამო მკითხველს, რასაკვირველია, შეუძლიან იფიქროს, ვითომ წმინდა კრება შემოკრბა იმიტომ, რომ გაენდევნა საქართველოში გავრცელებული მწვალებლობა. ჩვენ, ეს აზრი შეცდომად მიგვაჩნია და აი რისთვის და რად: ჩვენ არ უარვყოფთ, რომ „წმინდა კრების" დროს საქართველოში მწვალებლობა ვრცელდებოდა. ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ არც კრება და არც ძეგლი მწვალებლობას არ ებრძოდა. მწვალებლობა არ შეადგენდა ისეთ მწვავე სენს, რომლისთვისაც საჭირო იყო კრების მოხდენა. ასე რომ ყოფილიყო, „ძეგლის წერა" პირდაპირ მოიხსენიებდა, რომ მწვალებლობას წინ აღუდგა კრება, ძეგლის წერა უკანასკნელ მუხლში, ისიც გაკვრით, იხსენიებს მხოლოდ ხატის შეგინებას, მაგრამ ძირითადი სწავლა, დოგმატური დედა აზრი ნესტორის მწვალებლობისა სხვა

---

[1] П. Иоселиани, Краткая история грузинской церкви. СПб., 1843. стр. 73.

[2] ნ. ურბნელი, ჩვენი საეკლესიო სჯულმდებლობა „ძეგლის წერა", „ივერია", № 46, 1888.

იყო და არა ხატის შეგინება. დავით აღმაშენებლის დიდბუნებობა. მთელი მისი არსება საკმაო საბუთს გვაძლევს იმისათვის, რომ ჩვენს მეფეს სრულიადაც არ ჰქონდა წადილი და მოცალეობა ასეთის წვრილმანი ვარჯიშობისათვის. მან სახელმწიფო მაღლა დააყენა ეკლესიასა და სასულიერო წოდებაზედ. ამის გამო, ვფიქრობთ, რომ პოლიტიკური იდეალი ნებას არ აძლევდა მეფეს და არ მისცა ასეთის წვრილმან საქმისათვის მოეკიდა ხელი, როგორიც სქოლასტიკური ვარჯიში და სჯაა სხვადასხვა დოგმატზედ"[1].

ნ. ურბნელი ცდილობს გაარკვიოს, თუ სად ჩატარდა რუის-ურბნისის საეკლესიო კრება და უარყოფს „საქართველოს სამოთხის" ავტორის მ. საბინინის მოსაზრებას, თითქოს კრება ჩატარდა მცხეთის საკათალიკოსო ეკლესიაში[2]. მ. საბინინის მოსაზრების უარყოფისას ჩვენ გვაინტერესებს ურბნელის საბუთიანობა. აი, რას წერს იგი: „ავტორი საქართველოს სამოთხისა ბ.-ნი საბინინი ფიქრობს, რომ წმინდა კრება მცხეთის საკათალიკოსო ეკლესიაში იყოვო. პირველი შეხედულებით მკითხველმა იქნებ კიდეც დაიჯეროს ავტორის აზრი. მაგრამ, ძიებისა და გამოკვლევის შემდეგ, იგი აზრი უსაფუძვლო აღმოჩნდება. აი რისთვის, პირველად ესაა, რომ კრება იყო მახლობლად საეპისკოპოსთა ურბნისისა და რუისისა, მცხეთა კი არც ერთზე და არც მეორეზე „მახლობლად" არ არის. მეორე, მცხეთაში კრება შეუძლებელი იყო, რადგანაც თბილისი ჯერ ისევ ძლიერი მტრის ხელში იმყოფებოდა და ამ მტერს ხელთ ეჭირა მთელი ადგილი ტფილისიდამ ს. ავჭალამდე. ძნელად დასაჯერებელია, რომ დიდ კრებას, რომელზედაც ყველა სასულიერო კაცნი დაესწრნენ, თავი მოეყარა მტრის მახლობლად, სიფრთხილე დაევიწყებინა"[3].

როგორც ვხედავთ, ნ. ურბნელი საფუძვლიანად ეხება რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მნიშვნელობის საკითხს და მას ბევრი მართებული აზრი აქვს გამოთქმული აღნიშნული კრების და ამ კრების „ძეგლის წერის" შესახებ. ნ. ურბნელმა კარგად იცის, რომ კრების დღის წესრიგის უმთავრესი საკითხი იყო ეკლესიიდან განედევნათ უღირსნი და მათ ადგილზე აერჩიათ პირადი ღირსების მიხედვით შემკული საეკლესიო თანამდებობის პირები. რა თქმა უნდა, კარგ პირად ღირსებებში იგულისხმება მეფის, ამ შემთხვევაში დავით აღმაშენებლის პოლიტიკური მიზნების გაზიარებაც, განსაკუთრებით იმ

---

1 ნ. ურბნელი, ჩვენი საეკლესიო სჯულმდებლობა „ძეგლის წერა", „ივერია", № 46, 1888.

2 მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, 1882, გვ. 523.

3 ნ. ურბნელი. ჩვენი საეკლესიო სჯულმდებლობა „ძეგლის წერა", „ივერია", № 38, 1888.

პირის მიერ, ვინც საქართველოს ეკლესიის საშეთმპყრობელი გახდებოდა. ეკლესია აუცილებლად უნდა დამორჩილებოდა სახელმწიფოს. მართალია, ეკლესია ფორმალურად ინარჩუნებდა ავტონომიას, მაგრამ უკვე, როგორც ურბნელი აღნიშნავს, სახელმწიფოს რუის-ურბნისის საეკლესიო კრების შემდეგ საშუალება ჰქონდა თვალყური ედევნებინა ეკლესიისათვის და ყოველთვის ზუსტად ყოფილიყო ინფორმირებული ყველაფრის შესახებ, რაც ეკლესიაში ხდებოდა.

როგორც ცნობილია, დავით აღმაშენებელმა აღნიშნულ წარმატებას მიაღწია იმით, რომ გააერთიანა ეკლესიის მეთაურის ჭყონდიდელის და მწიგნობართუხუცესის თანამდებობა, რამაც დასაბამი მისცა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის ინსტიტუტის შემოღებას, რომელსაც დიდი სახელმწიფოებრივი უფლებები მიენიჭა. ჩვენთვის გაუგებარი და აუხსნელია ის გარემოება, რომ ისეთ ნიჭიერ და დაკვირვებულ მკვლევარს, როგორიც ნ. ურბნელია, რატომ დარჩა შეუმჩნეველი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანამდებობის შემოღება.

მიუხედავად იმისა, რომ დავით აღმაშენებელმა ქართული ლაშქრის მეოხებით არაერთი დიდი საქმე შეასრულა, კერძოდ, ალაგმა ოპოზიციონერი დიდაზნაურები და დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის ციხე-ქალაქები საქართველოს სამეფო კარს დაუმორჩილა, თურქებთან მოსალოდნელი გენერალური ბრძოლის საკითხი კი არ მოხსნილა ,პირიქით, იგი დღე და დღე ახლოვდებოდა. ეს იმიტომ. რომ თურქები დავით აღმაშენებლის ღონისძიებებს შიშით შეჰყურებდნენ და ვარაუდობდნენ, რომ მისთვის ფრთები შეეკვეცათ. საქართველოს მეფე კი თავის გეგმებს უფრო და უფრო აფართოებდა და მტრის საბოლოოდ დამარცხებაზე ზრუნავდა. ასეთ პირობებში. ბუნებრივია, საქართველოს პოლიტიკური წრეების წინაშე დადგებოდა საკითხი ჯარის გამრავლება-გაწრთვნისა. მაგრამ მხოლოდ საქართველოს მცხოვრებთა ხარჯზე ასეთი ჯარის შექმნა დაკავშირებული იყო დიდ სიძნელეებთან, რადგან ქვეყანას მწარმოებელი ძალა მოაკლდებოდა და შეიქმნებოდა ეკონომიური დაქვეითების რეალური საფრთხე. ეს კარგად ესმოდა დავით აღმაშენებელს. ამიტომ, როგორც ნ. ურბნელი წერს, მეფემ „აღიღო მაღლად თავი თვისი და მიმოავლო თვალი გონებისა თვისისა ჟამთა ვითარებასა და დაასკვნა, რომ დიდი საქმისათვის საჭიროა დიდი ღონე"[1] ამ დიდი ღონის მომ-

---

[1] ნ. ურბნელი, მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო, 1894, ტფ., გვ. 53.

ცემის ძიებისას არჩევანი ყივჩაღებზე შეჩერდა. ბუნებრივია, მკვლევრები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს, თუ რა იყო ასეთი არჩევანის მიზეზი და რა გარემოება ხდიდა სასურველს, რომ მაინცა და მაინც ყივჩაღები გადმოესახლებინათ საქართველოში. მკვლევართა უმრავლესობის აზრით, ეს განაპირობა, უპირველეს ყოვლისა, დავით აღმაშენებლის მოყვრობამ ყივჩაღთა „უმთავრესთან"[1]. ამ ფაქტის, როგორც ყივჩაღთა გადმოყვანის ხელშემწყობი მიზეზის უარყოფა არ შეიძლება. მაგრამ მთავარი მაინც სხვა იყო და ეს გარემოება კარგად აქვს დანახული დავითის ისტორიკოსს[2]. ნ. ურბნელი იზიარებს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის აზრს აღნიშნულ საკითხზე და ყივჩაღთა გადმოსახლების ძირითად მიზეზად მიიჩნია, რომ „დავით აღმაშენებელმა უწყოდა მათი სიმხნე წყობათა შინა, სისუბუქე მიმოსვლისა, სიფიცხე მიმართებისა, ადვილად დასამჭირვებლობა და ყოველთურთ მომზაველობა ნებისა თვისისა. ამის გარდა, მეფე სიძე იყო ყივჩაღთა მთავრის ათარქასი, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა თავის ხალხზე"[3].

როგორც ვხედავთ, ურბნელი დავით აღმაშენებლის მოყვრობას ათარქასთან ბოლოხარისხოვან როლს აკუთვნებს და სამართლიანადაც. როგორც სწორად მიუთითებს რ. მეტრეველი, „ყივჩაღთა მთავართან საქართველოს მეფის ნათესაური კავშირი მხოლოდ ბოლოხარისხოვანი მიზეზი უნდა ყოფილიყო ამ დიდი გეგმის შესასრულებლად"[4]. ყივჩაღების გადმოსახლება საქართველოში დიდ პოლიტიკურ გამარჯვებას უქადდა საქართველოს სამეფო კარს, რაც ისტორიამ ნათლად დაადასტურა. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ძნელად „გასაწვრთნელნი" იყვნენ და, როგორც ურბნელი ამბობს, ზოგჯერ „ომის დროსაც კი შფოთსა და უწესობას არა სტოვებდნენ, ყივჩაღებმა საქართველოს მაინც დიდი სარგებლობა მოუტანეს"[5].

როცა ყივჩაღების საქართველოში გადმოსახლების სარგებლიანობის შესახებ ვლაპარაკობთ, ჩვენი აზრით, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ამიერიდან „როქის სპას" საქართველოს ჯარის ორგანიზაციაში ეპიზოდური ხასიათი ექნებოდა, რაც, ბუნებრივია, კეთილ გავლენას მოახდენდა საქართველოს სამხედრო ბიუჯეტზე. ნ. ურბნელს კარგად აქვს შეგნებული, რომ ყივჩაღთა

---

[1] ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართველი ერის ისტორია, ტ. II. 1965, გვ. 199; ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, დავით აღმაშენებელი. 1944. გვ. 25 და სხვ.

[2] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 336, 1955.

[3] ნ. ურ ბ ნ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 53.

[4] რ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, დავით აღმაშენებელი, 1965, გვ. 68.

[5] ი ქ ვ ე. გვ. 55.

გადმოსახლების პრობლემამ საქართველოში დავით აღმაშენებელი აიძულა გაემაგრებინა ჩრდილოეთის საზღვრები, დაეპყრო დარიალისა და კავკასიონის სხვა კარნი, დაეპირა მთელი ხეობისა და „კავკასიონის" გზები [1]. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი კი, რომელიც ამართლებს მეფის პოლიტიკას, მის მიერ გადადგმულ ნაბიჯს დიდ სიკეთედ მიიჩნევს და ამბობს: „ესრეთ ადვილად შეაერთნა ორნივე ნათესავნი და ყო შორის მათსა სიყუარული და მშიდობა ვითარცა ძმათა" [2].

დავით მეფისა და ჭყონდიდელის „ოესეთის" წასელა იმთავითვე ითვალისწინებდა, რომ ოსები ქართველი მეფის ყმები უნდა გამხდარიყვნენ, რაც საქართველოს სამეფოს ჩრდილოეთის ზურგს გაუმაგრებდა და დავით აღმაშენებელს შესაძლებლობას მისცემდა, „მთელი თავისი ყურადღება და საქართველოს შეერთებული მხედრობა მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთ-დასავლეთისაკენ მიემართა" [3]. ამოცანა ბრწყინვალედ იქნა გადაწყვეტილი. „მარტო ის რადა ღირდა, რომ ჩრდილოეთის ყველა კართა ციხენი ამიერთაგან საქართველოს ხელმწიფის ხელში იქმნებოდა" [4].

ნ. ურბნელი შეეხო დავით აღმაშენებლის საქმიანობას ლაშქრის ორგანიზაციისათვის და აღნიშნა, რომ ამ მხრივ მეფემ არნახული ღონისძიებები გაატარა, რამაც საქართველოს სამეფო კარს შესაძლებლობა მისცა წარმატებით ებრძოლა მოძალებული მტრის წინააღმდეგ. „დავით აღმაშენებელმა უფრო შესანიშნავი ცვლილება სამხედრო გამგეობაში მოახდინა. მემატიანე ამბობს, რომ მეფის მოვალეობას, სხვათა შორის, შეადგენს მხედართა განწესება, სპათა დაწყობა, ღონიერი მიმართება და სხვა, და ყველა ამ საქმეში არც ერთი მეფე, არც ძველი და არც ახალი, არ შეედრებოდა დავით აღმაშენებელსაო. მართლაც-და უმთავრესი ყურადღება მეფემ სამხედრო გამგეობას მიაქცია და ისეთი შემოქმედებითი ძალა გამოიჩინა, რომ მის მიერ დაარსებული სამხედრო გამგეობა სამაგალითო შეიქმნა. მის სამხედრო სკოლაში აღიზარდნენ და გაიწვრთნენ სახელოვანი გმირნი და სპასალარნი, რომელთაც დაამშვენეს ჩვენი სამხედრო ისტორია და დიდება მოუპოვეს სამშობლოს [5] — წერს ნ. ურბნელი.

ნ. ურბნელი ეხება მეფის მიერ საომარი ტაქტიკის შეცვლასაც და

---

[1] ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 54.

[2] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 336.

[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, 1965, გვ. 199—200.

[4] იქვე, გვ. 199.

[5] ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 108.

მიაჩნია, რომ ამ დროს საქართველოს არმიის საომარი ტაქტიკა განსხვავდებოდა ადრინდელი ტაქტიკისაგან. მისი აზრით, „დავით აღმაშენებლის დროს ქართველებს მიღებულ ჰქონდათ ბიზანტიისა ანუ რომის საომარი დაწყობა ჯარისა, ე. წ. მწკრივებრივი ტაქტიკა. ეს ტაქტიკა თხოულობდა, რომ რამდენიმე რაზმი ორ მწკრივად დაწყობილიყო, ჭადრაკის კაცების მსგავსად. ორსავე მწკრივის რიცხვი თანასწორი უნდა ყოფილიყო. პირველი იერიშით მიდიოდა და თუ სიგრძით მტრის მოწინავე ჯარს აღემატებოდა, მაშინ ფრთებს შლიდა და ორმხრივ მოეხვეოდა მოწინააღმდეგეს. მეორე მწკრივი პირველს შველოდა. დავით აღმაშენებელმა შეცვალა ეს სატაქტიკო წესი, — ორის მაგიერ სამი მწკრივი შემოიღო, თითოეულს საკუთარი დანიშნულება ჰქონდა. პირველს შეადგენდა წინამძღოლი ჯარი, მეორეს ყოლბი ანუ თავი და თავი ჯარი, რომელსაც თვით მეფე წინ უძღოდა“ [1].

ნ. ურბნელის მთელი ეს მოთხრობა, როგორც პროფ. აბ. კიკვიძე აღნიშნავს. „უმეტესად მოსაზრებებს ემყარება და არა საბუთებს“ [2]. დიახ, მაგრამ ურბნელი სხვანაირად ვერც მოიქცეოდა, რადგან „სათანადო წყაროების უქონლობის გამო ძნელია გადაჭრით იმის თქმა, თუ რა სიახლენი იქნა შეტანილი საქართველოს ლაშქრის ტაქტიკაში“[3]. ჩვენთვის საინტერესო ის არის, რომ ნ. ურბნელმა ყურადღება მიაქცია საკითხს ლაშქრობის ტაქტიკის შესახებ და აღიარა, რომ არ შეიძლებოდა დავით აღმაშენებელს არ შეეცვალა საომარი ტაქტიკა. თავი რომ დავანებოთ ისტორიკოსის საკმაოდ გასაგებ განცხადებას: „ხოლო თჳთ მეფე არა თუ ვითარცა სხუა ვინმე ზურგით ედგა ოდენ სპათა თჳსთა, ანუ შორით უზახებდა, ვითარცა ერთი მთავართაგანი ვინმე, არამედ უპირატეს ყოველთასა თჳთ წინა უვიდოდა. და ვითა ლომი შეუზახებდა ჴმითა მაღლითა“ [4]. მაინც საგულისხმოა. რომ საომარი ტაქტიკის შეცვლაც უნდა ყოფილიყო მიზეზი დავით აღმაშენებლის ძლევამოსილი გამარჯვებით აღსავსე სალაშქრო მოღვაწეობისა.

თუ დავუკვირდებით ისტორიკოსის სიტყვებს, რომ მეფე ზურგში კი არ უდგა თავის „სპას“, როგორც სხვა ვინმე, არამედ „უპირატეს ყოველთასა თჳთ წინა უვიდოდა“, როგორც ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი რ. მეტრეველი ფიქრობს, შეიძლება რაიმე ახალ

---

1 ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 109—110.

2 აბ. კიკვიძე, დავით აღმაშენებელი, 1942, გვ. 40.

3 რ. მეტრეველი, დავით აღმაშენებელი, 1965, გვ. 61.

4 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 329.

ტაქტიკურ ჩანაფიქრზე მიუთითებდეს[1]. და, მართლაც, რატომ დასჭირდებოდა დავითის ისტორიკოსს საგანგებოდ აღენიშნა, მეფე დავითი წინა რიგებში იბრძოდა ყოველთვისო. თუ სხვა მეფეებიც ასევე იქცეოდნენ?

როდესაც საქართველოს ნიჭიერი მეფის და უბადლო სპასპეტის დავით აღმაშენებლის ხელში ზედიზედ გადადიოდა თურქთაგან მიტაცებული ციხეები, ფეოდალური ხანის პოლიტიკური ბატონობის ეს საუკეთესო საშუალება, როცა საქართველოში მოძალებული თურქების ფეხქვეშ ქართულმა მიწამ რყევა დაიწყო და თურქთა წინაშე მათივე ბატონობის დასასრულის რეალური საფრთხე აღიმართა არა მარტო საქართველოში, არამედ მის მოსაზღვრე ქვეყნებშიც, აი სწორედ მაშინ გახდა გარდაუვალი გენერალური ბრძოლა. ეს ბრძოლა თურქულ სამყაროსა და საქართველოს სამეფოს შორის ისტორიაში შეევიდა დიდგორის ბრძოლის სახელწოდებით. დიდგორის ბრძოლამ ქართველ ხალხს მოუპოვა გამარჯვება იმ მრავალწლიან ომებში, რომელთაც თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ აწარმოებდა საქართველოს სამეფო კარი გიორგი II და დავით IV დროს. დიდგორის ბრძოლის მნიშვნელობა განუზომელია ქართველი (და არა მარტო ქართველი) ხალხის ცხოვრებაში. ამ ბრძოლამ შარავანდედით შემოსა საქართველოს სახელმწიფოს ავტორიტეტი საერთაშორისო არენაზე და დიდი ხნით დაუკარგა ხალისი საქართველოს მტრებს მისი მიწა-წყლის ხელყოფისა. მკვლევარი, რომელიც შეხებია ან ოდესმე შეეხება დავით აღმაშენებლის ეპოქას, გვერდს ვერ აუვლის დიდგორის ბრძოლას და, ბუნებრივია, ნ. ურბნელიც, ავტორი წიგნისა, რომელსაც ეწოდება „მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო", შეეხო კიდეც საქართველოს სამხედრო ცხოვრების ისტორიაში ამ დიდმნიშვნელოვან მოვლენას და, უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე საფუძვლიანად XIX საუკუნის ისტორიკოსთა შორის.

ნ. ურბნელმა იცის, რომ დიდგორის ბრძოლას ერთი პირველთაგანი ადგილი უჭირავს საქართველოს სამხედრო ისტორიაში, რომ „თავის დროზე ამ ბრძოლამ აზიის ყურადღება მიიპყრო და მისი ამბავი თვით ევროპაშიც კი გაისმა, უცხოელი მეისტორიენი აღტაცებით მოგვითხრობენ დიდგორის საოცარს ლაშქრობაზეო" — წერს ნ. ურბნელი[2], მაგრამ დიდგორის ომზე მსჯელობისას იგი ძირითადად მაინც დავითის ისტორიკოსს ეყრდნობა. ეს იმიტომ, რომ ქართული წყარო უფრო სანდოდ მიაჩნია. თუმცა სათანადო კრიტი-

---

[1] რ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 60.
[2] ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 61.

კული ანალიზის შემდეგ უმეტეს შემთხვევაში წარმატებით იყენებს ისეთი ავტორების ცნობებსაც, როგორიცაა მათე ურჰაელი, გოტიე და, რა თქმა უნდა, მაჰმადიანი მეისტორიე მწერლები. ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდგორის ბრძოლის თარიღად მიჩნეულია 1121 წელი, რადგან, როგორც აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი წერს, „ქართველი ისტორიკოსიც (1121 წ.), იბნ. ალასირიც (1120—1121 წწ.), მათე ურჰაელიც (1121 წ.) ერთ მხრივ 1121 წელს სდებენ თარიღად"[1]. ნ. ურბნელი კი ამბობს, რომ „უცილობლად არ შეიძლება ითქვას, თუ რა დროს მოხდა ეს შესანიშნავი ბრძოლა, თუმცა სინამდვილეზე უფრო ახლო იქნება, უკეთუ ამ დროდ 1122 წ. მივიღებთ"[2]. ნ. ურბნელს განმარტებული არა აქვს თავისი მოსაზრება. ამიტომ ძნელია გავარკვიოთ, რას ემყარებოდა ამ შემთხვევაში იგი. ჩვენი აზრით, მას აშკარა შეცდომა მოსდის.

ნ. ურბნელი ეხება დიდგორის ბრძოლის მიზეზებსა და საბაბს და ერთსაც და მეორესაც სწორ დასაბუთებას აძლევს. აი, რას ამბობს იგი ამ ბრძოლის მიზეზის შესახებ: „რასაკვირველია, საზოგადო მიზეზი საქართველოს და სპარსეთის ურთიერთ მტრობა და დაეით აღმაშენებლის სამხედრო ძლევამოსილება იყო. საქართველოს მეფე მეტად საშიში შეიქმნა მაჰმადიანებისათვის[3]. ურბნელმა კარგად იცის, რომ საქართველოს დამარცხება, მისი გზიდან ჩამოშორება ხელს გაუხსნიდა თურქ მმართველებს. მას ესმის, რომ დიდგორის ბრძოლის ერთ-ერთი მიზეზი საგარეო ვითარებაც იყო, და როცა თურქთა კოალიცური ლაშქრის მეთაურის ნემჯ-ად-დინ ილღაზის შესახებ ლაპარაკობს, აღნიშნავს, რომ მას სურდა „ანტიოქია და იერუსალიმი ჯვაროსნებისათვის წაერთმია"-ო[4]. დიდგორის ბრძოლის საბაბად ნ. ურბნელს მიჩნეული აქვს დავითის ისტორიკოსის ცნობა, რომ დავითის მიერ „შეიწრებულნი თურქმანნი და კუალად ვაჭარნი განძელ-ტფილელ-დმანელნი წარვიდეს სულტანსა წინაშე, და ყოველსა სპარსეთსა შეიღებნეს შავად, რომელთამე პირნი, და რომელთამე ჴელები, და რომელნიმე სრულიად; და ესრეთ მიუთხრნეს ყოველნი ჭირნი, მოწევნულნი მათ ზედა, რომლითა აღრძნეს წყალობად თჳსა"[5]. თუმცა თურქი მმართველები უამისოდაც მტრულად

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. ტ. II, 1965, გვ. 203.
[2] ნ. ურბნელი. დასახ. ნაშრომი, გვ. 62.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 63.
[5] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 340.

იყენენ განწყობილი დავით აღმაშენებლის მიმართ, ამის შემდეგ კიდევ უფრო სასტიკად განრისხდენო, — ამბობს ნ. ურბნელი [1]. და მართლაც, როგორც პროფ. შ. მესხია განმარტავს, „თურქთა სულთანს საქართველოს მეფესთან თავისი ანგარიშებიც ჰქონდა და საქართველოს წინააღმდეგ გალაშქრების ასეთ ხელსაყრელ მომენტს, როცა ქვეყნის შიგნით ძლიერი ქალაქები მის მომწვეევად და დამხმარეებად გამოდიოდნენ, ცხადია, ხელიდან არ გაუშვებდა“ [2].

ნ. ურბნელი, როგორც აღვნიშნეთ, დიდგორის ბრძოლის შესახებ მსჯელობისას სხვადასხვა ავტორებს ეყრდნობა, მაგრამ ყოველთვის როდი იზიარებს მათ აზრს. პროფ. შ. მესხია აღნიშნავს, რომ ალ-ფარიკი და გოტიე თურქთა კოალიციური ლაშქრის მთავარ ინიციატორად ილღაზს მიიჩნევენო [3]. როგორც ჩანს, ურბნელი კარგად იცნობს გოტიეს ამ აზრს, მაგრამ მას დავითის ისტორიკოსის ცნობა— „მაშინ სულტანმან მოუწოდა არაბეთისა მეფესა დურბეზს, სადაყას ძესა, და მოსცა ძე თვისი მალიქი და ყოველი ძალი მისი; და აჩინა სპასალარად ელღაზი“ [4]. უფრო სანდოდ მიიჩნია და სამართლიანად ფიქრობს, რომ სულთანი იყო კოალიციური ლაშქრის ორგანიზატორი და სწორედ მან „მხედართმძღვარობა“, ანუ ლაშქრის უფროსობა უბოძა ელღაზს. „კაცსა მრავალღონიერსა ყოველსა მხედრობად შემძლებელსა“ [5].

როცა მკვლევრები განიხილავენ დიდგორის ბრძოლას, აქვე ეხებიან საკითხს როგორც ქართველთა, ისე თურქთა კოალიციური ლაშქრის რაოდენობისა და ნაციონალური შემადგენლობის შესახებ. აქ მეტად საინტერესოა ერთი გარემოება. როგორც პროფ. შ. მესხია აღნიშნავს, „დიდგორის ბრძოლაში გამოყენებული ქართული ლაშქრის რაოდენობისა და შედგენილობის შესახებ ცნობა, გარდა მათე ურჰაელისა, არავის მოეპოვებოდა. მათე ურჰაელის თხზულების როგორც იერუსალიმის 1869 წლის, ისევე ვაღარშაპეტის 1898 წლის გამოცემებში კი, რომლებითაც ამ მკვლევრებს უსარგებლიათ, გარკვეეითაა მითითებული დიდგორის ბრძოლაში არა ხუთი ათასი, არამედ მხოლოდ ხუთასი ალანის მონაწილეობის შესახებ. ასევე გადმოწერა და თარგმნა ეს ცნობა თავის დროზე მ. ბროსემ, მაგრამ ესეც მხედველობაში არ იქნა მიღებული და დღეს-

---

[1] ნ. ურ ბ ნ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 63.
[2] შ. მ ე ს ხ ი ა, დიდგორის ბრძოლა, 1965, გვ. 46.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 51.
[4] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 340.
[5] ნ. ურ ბ ნ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი. გვ. 65.

დე ჩვენს სამეცნიერო თუ სასწავლო ლიტერატურაში დამკვიდრდა მათე ურჰაელის ცნობის ასეთი არასწორი ინტერპრეტაცია" [1]. იმ ავტორთა აბსოლუტურ უმრავლესობას, ვინც შეხებია დიდგორის ბრძოლაში საქართველოს სამეფო ლაშქრის შემადგენლობას, ალანთა რაოდენობა განსაზღვრული აქვს 5000-ით. ნ. ურბნელს კი მოცემული აქვს აღნიშნულ ომში 500 ალანის მონაწილეობა და მხარს უჭერს მათე ურჰაელის მონაცემებს. რომ არაფერი ვთქვათ დ.ბაქრაძეზე [2], ნ. ურბნელის შემდეგდროინდელ ისტორიკოსებსაც არ გაუზიარებიათ მათე ურჰაელის, მ. ბროსესა და ს. ურბნელის აზრი აღნიშნულ საკითხზე. ალანთა მონაწილეობის საკითხი დიდგორის ბრძოლაში კი აუცილებლად დამაფიქრებელი მოვლენაა და აი, რატომ. ჩვენ ვიცით, რომ 1121 წლისათვის დავით აღმაშენებელს ყივჩაღთაგან უკვე შეეძლო გამოეყვანა 40000 მეომარი და, მიუხედავად ამისა, ალანთა (ოსთა) დაქირავებული რაზმი გამოჰყავს ბრძოლაში. გასაგებია, რომ „შემთხვევითი არ იყო ხუთასი ოსი მოლაშქრის დაქირავება და საამისოდ თანხის გაღება, მაშინ როცა მეფეს რეზერვში ოცდახუთი ათასი მუდმივი მოლაშქრე ყივჩაღი ჰყავდა. ესეც, ცხადია, დავითის სათანადო ტაქტიკური გეგმის მიხედვით იყო გაკეთებული და გარკვეულ მიზანს ემსახურებოდა" [3].

მაინც რა უნდა ყოფილიყო ეს „მიზანი"? ჩვენ ხომ ვიცით, რომ, როგორც ნ. ურბნელი მიუთითებს, „ომის დროსაც კი ყივჩაღნი შფოთსა და უწესობას არ სტოვებდნენ, ქართველ ჯარს უსიამოვნებას აყენებდნენ. შუღლს უწევდნენ. ასეთი გაუწრთვნელობა საქმეს აფერხებდა და ხანდახან მტერს შველას აძლევდა" [4].

ისიც ხომ ცნობილია, რომ შირვანში დავითის ბოლოდროინდელი გალაშქრებისას ქართველებს და ყივჩაღებს შორის უთანხმოება ჩამოვარდნილა [5]. რა თქმა უნდა, დავით აღმაშენებელი გაითვალისწინებდა ყივჩაღთაგან მოსალოდნელ რაიმე უმსგავსოებას და ადრეე იზრუნებდა მის აღსაკვეთად, მაგრამ რა გზით? ვფიქრობთ, შეიძლება დაეუშვათ მოსაზრება, რომ საქართველოს ლაშქარში მყოფი ხუთასი ალანი მეფის საგანგებო რწმუნებით ყოფილიყვნენ აღჭურვილნი და მათ დავალებული ჰქონდათ უწესობის იმთავითვე აღკვეთა, თუკი ასეთი წარმოიშობოდა ყივჩაღთა და ქართველთა შო-

---

[1] შ. მ ე ს ხ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 62—63.

[2] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, 1885, შენიშვნები, გვ. 181.

[3] შ. მ ე ს ხ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

[4] ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 55.

[5] რ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, დავით აღმაშენებელი, 1965, გვ. 73.

რის. ალანები ამ საქმეს ლაშქარში მით უფრო კარგად შეასრულებდნენ, რომ ისინი გაცილებით მიუდგომელი იქნებოდნენ ქართველთა და ყივჩაღთა შორის რაიმე დავის გადაწყვეტის შემთხვევაში. თუ ჩვენი მოსაზრება, რომელიც საკარაულო ფარგლებს ვერ გასცდება, სინამდვილესთან ახლოა, მაშინ ხუთასი ალანი საკმარისი იქნებოდა აღნიშნული მისიის შესასრულებლად.

როგორც აღვნიშნეთ, ქართველთა ლაშქრობის რაოდენობისა და შედგენილობის შესახებ დიდგორის ბრძოლაში ცნობა აქვს მათე ურჰაელს. იგი კი ამ ბრძოლის მონაწილედ 100 ფრანგს ასახელებს. გოტიეც კი, „რომელიც ყოველნაირად აზვიადებდა ფრანგების როლს და ერთი-ორად ზრდიდა დიდგორის ბრძოლის მონაწილეთა რიცხვს, მხოლოდ ორას ფრანგს ასახელებდა ამ ომის მონაწილედ“ [1]. შეიძლება გოტიე ფრანგების რიცხვს მაინც და მაინც ორასით იმიტომ განსაზღვრავდა, რომ მათ დამსახურებად გამოეცხადებინა იმ 200 მეომრის გმირობა, რომლებიც პირველნი შეიჭრნენ მტრის ლაშქარში. მაგრამ, ასეა თუ ისე, საფუძველი არ არსებობს ისტორიულ ლიტერატურაში გვხვდებოდეს 1000 ფრანგის მონაწილეობა დიდგორის ბრძოლაში. ვფიქრობთ, ამ ბრძოლაში 100 ფრანგის მონაწილეობა უფრო მორალური მხარდაჭერა უნდა ყოფილიყო ქართველი ლაშქრისათვის. რადგან თურქებს სულაც ვერ შეაშინებდა 100 ფრანგი. ფრანგი ჯვაროსნები მათთვის ახალი ხილი არ იყო. ერთი სიტყვით, ნ. ურბნელი ქართული ლაშქრის რაოდენობისა და შემადგენლობის განსაზღვრისას სამართლიანად ემყარება მათე ურჰაელის ცნობას და წერს: „ჩვენს მეფეს შედარებით ცოტა ჯარი ჰყავდა: საბრძოლველად გამოიყვანა ორმოცი ათასი ქართველი, თხუთმეტი ათასი ყივჩაღი, ხუთასი ოსი და ასი ფრანგი. სულ ორმოცდათხუთმეტი ათასი და ექვსასი მეომარი“ [2]. ეს ცნობა ყველაზე უფრო იმსახურებს ნდობას და იგი ასე უნდა იყოს შესული ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში.

რაც შეეხება თურქთა კოალიციური ლაშქრის რაოდენობას, ნ. ურბნელი წერს: „გოთიეს გაუზვიადებია ლაშქრის სიმრავლეო, მიაჩნია რომ „იმათი“ ლაშქარი 200000-ზე მეტიც იქნებოდაო“ [3].

ნ. ურბნელი დიდგორის ბრძოლას რომ აღწერს, შემდეგ დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის აღებას მოგვითხრობს. ცხადია, მას კარგად ესმის, რომ „დიდგორის ველზე არსებითად გადაწყდა თბი-

---

[1] შ. მ ე ს ხ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

[2] ნ. ურ ბ ნ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი. გვ. 65.

[3] იქვე, გვ. 64.

ლისის... ბედიც“ [1]. ამიტომაც წერს: „დიდგორის ბრძოლის შემდეგ ბენი-ჯაფარიანთ იგრძნეს, რომ იმათი ბატონობის დასასრულიც მოახლოვდა“ [2]. როცა ურბნელი თბილისის აღებას ეხება, მოაქვს ერთი მნიშვნელოვანი ცნობა, რომ მეფის ჯარმა „გაუქლიტა ქართველი მცხოვრებნი, რომელთაც სჯული ჰგმეს და მაჰმადიანობა მიიღეს, დასწვა იმათი მიზგითი და ბევრი დაატყვევა. შიშისა და კრძალვის დასანერგავად, ხუთასი ურწმუნო ჩამოჰკიდეს სახრჩობელაზეო“ [3]. იგი ამ განცხადების წყაროდ სომეხი ისტორიკოსის — ვარდანის შრომას მიუთითებს, მაგრამ სინამდვილეში ვარდანი არაფერს ამბობს ქართველი მოსახლეობის დასჯის შესახებ. ისე კი აღნიშნავს, რომ თბილისის აღების დროს დავითმა ხუთასი კაცი სახრჩობელაზე ჩამოჰკიდაო [4]. დავით აღმაშენებელმა შეიძლება მართლაც დასაჯა ქართველი მოსახლეობა, მაგრამ ამის მიზეზი არ უნდა ყოფილიყო „სჯულის“ დაგმობა და „მაჰმადიანობის მიღება“, როგორც ეს ურბნელსა აქვს აღნიშნული. როცა თბილისელი მოსახლეობა საქართველოს მეფის წინააღმდეგ იბრძოდა, როგორც ჩანს, „გადამწყვეტი როლი ეკუთვნოდა დამოუკიდებელი თვითმმართველობის შენარჩუნების ინტერესებს და არა ქალაქის მუსულმანური ან რომელიმე სხვა მოსახლეობის ინტერესებს“ [5]. ისეთ პირობებში, რა თქმა უნდა, ქართველი მოსახლეობის ნაწილიც გამოვიდოდა მეფის წინააღმდეგ და, ბუნებრივია, დავით აღმაშენებელი მათაც დასჯიდა და, უნდა ვიფიქროთ, რომ უფრო მკაცრადაც დასჯიდა, ვიდრე მაჰმადიანებს. ნ. ურბნელის აზრით, საქართველოს სამეფო კარის ძლიერებას დიდად შეუწყო ხელი ქვეყანაში დავით აღმაშენებლის მიერ დამყარებულმა სასტიკმა პოლიტიკურმა რეჟიმმა. მეფე რომ შიშის ზარს სცემდა ყველას, ვინც „იკადრებდა უწესოდ სელას“, მას არც დავითის ისტორიკოსი მალავს და საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მეფის აუგს გულშიც კი ვერავინ გაივლებდა, ხოლო მის წინააღმდეგ სიტყვის თქმა საშიში და დამღუპველი იყო, რადგან „მტკიცედ უწყოდა ყოველმან კაცმან, რომელ პირით აღმოსლვასაცე თანა სიტყჳ-

---

[1] შ. მ ე ს ხ ი ა, დიდგორის ბრძოლა, 1965, გვ. 77.

[2] ნ. ურ ბ ნ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 67; ნ. ურბნელი, ისე როგორც მისი წინამორბედი ისტორიკოსები, არაფერს ამბობს „ქართლის მატიანეში“ მოხსენებულ „ტფილელ ბერთა“ შესახებ. მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ თბილისში, რადგან ამირის უფლება და ღირსება დამცირებული იყო, უწესობა და აღრევა სუფევდაო.

[3] ნ. ურ ბ ნ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 68.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 69.

[5] შ. მ ე ს ხ ი ა, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, 1962, გვ. 91.

სასა საცნაურქმნილ არს უეჭველად წინაშე მეფისა"[1]. და ამის გამო იყო, რომ „შიში დიდი და ზარი მისი განითქუა კიდეთა ქუეყანისათა, და განკრთეს ყოველნი მკვდრნი ქუეყანისანი"[2]. ნ. ურბნელი შემაძრწუნებლად ხატავს მსგავს ვითარებაში საზოგადოებრივ ცხოვრებას. მას მიაჩნია, რომ პიროვნების თავისუფლებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია ასეთი სასტიკი რეჟიმის დროს... აი, რას წერს იგი: „როცა აკვირდები ამ სასტიკ გამგეობას, ამ შიშსა და ზარს, თვალწინ უნებურად შემაძრწუნებელი სურათი გიდგება. გამგებლობა სულთამხუთავივით დასწოლია კაცის კერძო ცხოვრებას და თავისუფლებას ყელში უჭერდა"[3]. როგორც ვხედავთ, ნ. ურბნელი დემოკრატიის ნასახსაც კი ვერ ხედავს დავით აღმაშენებლის მმართველობის სისტემაში. მას მიაჩნია, რომ მეფე ყოველთვის სამეფო კარის ინტერესებიდან გამოდიოდა. რომ იგი ივიწყებდა ჰუმანიზმს, „ზნეობას", როცა საქმე საკუთარი ავტორიტეტის შელახვას შეეხებოდა, და დიდ გულისწყრომას იჩენდა, როცა ტახტსა და დარბაზს პატივით და მორჩილებით არ ეექცეოდნენ"[4].

ნ. ურბნელი სავსებით სწორია, როცა მონარქის მოქმედებაში დემოკრატიული ქცევის გამოვლინების ვერავითარ კვალს ვერ ხედავს. მაგრამ ამისათვის იგი როდი კიცხავს თვითმპყრობელ მეფეს. მას მიაჩნია. რომ დავითის სასტიკ „გამგეობას" ამ შემთხვევაში ისტორიული სიტუაციის ობიექტური ლოგიკა განსაზღვრავდა. კერძოდ, იგი აღნიშნავს: „მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მხოლოდ ასეთმა გამგეობამ აღმოფხვრა სასულიერო წოდების უწინდელი სილაღე, კადნიერება და თავგასულობა"[5]. ნ. ურბნელმა, რასაკვირველია, იცის, რომ ამგვარმავე პოლიტიკურმა რეჟიმმა „დროებით მაინც" ალაგმა „განდგომის" მოსურნე დიდაზნაურები და მეფეს შესაძლებლობა მისცა, „ნამდვილ თვითმპყრობელობაზე დაემყარებინა საქართველოს დიდება"[6]. რაც. მისი აზრით, საქართველოს გაერთიანებისათვის აუცილებელი იყო და ამდენად იმ დროისათვის — პროგრესული მოვლენაც. მით უმეტეს, რომ, როგორც პროფ. მ. ლორთქიფანიძე განმარტავს, „საქართველოს გაერთიანების ერთერთი ძირითადი თავისებურება სწორედ ისიცაა, რომ ბრძოლა ქვეყნის გაერთიანებისათვის სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 355.
[2] იქვე, გვ. 356.
[3] ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 79.
[4] იქვე.
[5] იქვე,
[6] იქვე, გვ 27.

ხასიათს ატარებდა, რაც აპირობებდა საზოგადოების ძირითადი ფენების მონაწილეობას ამ ბრძოლაში. ასეთ ვითარებაში განსაკუთრებით მკაფიოდაა წარმოდგენილი ფეოდალური საქართველოს გაერთიანების პროგრესული მნიშვნელობა" [1]. „საქართველოს დიდებაში" კი ურბნელი აუცილებლად გულისხმობს ქვეყნის გაერთიანებას, ძლიერი მონარქის ხელში სამეფო კარის შეუვალ ბატონობას მთლიან საქართველოზე.

ნ. ურბნელს კარგად ესმის, რომ დავით აღმაშენებელს სასულიერო წოდების დაკნინება და მისთვის უფლებების აყრა სულაც არ აძლევდა ხელს. როცა მან ეკლესიას სასტიკად შეუტია, ამით სურდა მისი მორჩილებაში მოყვანა, სახელმწიფოს სამსახურში ჩაყენება. მეფეს სჭირდებოდა ისეთი ეკლესია, რომელიც მთლიანად თავს იდებდა კლასობრივი იდეოლოგიის როლს, იქადაგებდა მეფის მორჩილებას. ერთი სიტყვით, მეფეს აუცილებლად სჭირდებოდა ღმერთის ავტორიტეტი. „თუმცა სასტიკმა გამგეობამ მეტად შეავიწროვა და შეეხუთა სასულიერო წოდება, მაგრამ მეორეს მხრით, მეფე არც პატივს და მფარველობას აკლებდა ამ წოდებას" [2]. პატივი და წყალობა, როგორც ურბნელი ამბობს, არც სხვა მეფეების დროს აკლდა ეკლესიას, მაგრამ „ასეთი მზრუნველობა უფრო ღვთისმოსაობის ნაყოფს წარმოადგენდა... მხოლოდ დავით აღმაშენებელმა იგი მზრუნველობა აღიარა საზოგადო საქმედ საგნად და ფართო მნიშვნელობა მისცა, სამეფო მეურნეობად გარდაქმნა. ამ შემთხვევაშიც მეფემ ჩვეულებრივი გამჭრიახობა გამოიჩინა და ნათლად დაინახა, თუ რა ძლიერი იარაღია „უზრუნველყოფილი ყოველთა საჭიროთაგან" სასულიერო წოდება" [3]. ნ. ურბნელმა იცის, რომ ეკლესიას მეფემ მკაცრად განუსაზღვრა თავისი მოქმედების სფერო და სისტემატური მეთვალყურეობითა და კონტროლით მისი საქმიანობა ქართული ფეოდალური სახელმწიფოს ძლიერების ერთ-ერთ წყაროდ აქცია.

როგორც ვიცით, დავით აღმაშენებლის დროს საქართველოს სამეფოს საზღვრები ძალიან გაფართოვდა და მის შემადგენლობაში ან მფარველობაში მოაქცია განსხვავებული სარწმუნოების ბევრი ეროვნება. ქართულ ეკლესიას კი აუცილებლად უნდა გამოეჩინა დახვეწილი ტაქტი, რათა რელიგიური უკმაყოფილება არ დაეთესა მოსახლეობაში. სხვათა შორის, ამ მიზეზითაც აიხსნება მეფის მიერ

---

[1] მ. ლორთქიფანიძე. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, 1963, გვ. 137.

[2] ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 80.

[3] იქვე.

განსაკუთრებული ზრუნვა არა მარტო სასულიერო კადრების შერჩევის დროს, არამედ მღვდელთმსახურების წესების მტკიცედ დაცვა-გატარებაშიც. საქმე იქამდეც კი მისულა, რომ, როგორც დავითის ისტორიკოსი აღნიშნავს, «მონასტერნი და საეპისკოპოსონი და ყოველნი ეკლესიანი წესსა და რიგსა ლოცვისასა და ყოველსა საეკლესიოსა განგებისასა დარბაზის კარით მიიღებიან. ვითარცა კანონსა უცთომელსა" [1]. ისტორიკოსის ამ განცხადებიდან ნათელია, რომ ეკლესიის საქმიანობას ერთი წუთითაც არ აშორებდა თვალს სამეფო კარი და მეფეც, რა თქმა უნდა, მუდამ საქმის კურსში იყო.

ნ. ურბნელს საკუთარი კარგად აქვს შეგნებული, რომ დავით აღმაშენებლის განსაკუთრებული ყურადღება ეკლესიის მიმართ მხოლოდ ზემოაღნიშნული მოსაზრებებით როდი იყო განპირობებული. იგი მიუთითებს, რომ როცა მეფემ — „მონასტერნი და ლავრანი გაათავისუფლა ხარჯი"-საგან, ამის მიზეზი „საღმთო მსახურება" კი არ იყო, არამედ მეფის „განკარგულებას უფრო დიდი აზრი ჰქონდაო", კერძოდ ის, რომ მეფემ შესანიშნავად „უწყოდა", რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სასულიერო წოდებას ერის „გონებრივ" წარმატებაზე. იგი სამართლიანად აღნიშნავს: „არც ლავრა-მონასტერში გაისმოდა მარტო ღვთის ვედრება და დიდება. იქაც სახორციელო და საქვეყნო საქმე საკმაოდ მოიპოვებოდა... და ამიტომ მეფემ ბერმონაზონის მყუდრო სადგური სამეფო მეურნეობის სახლადაც გადააქცია და საიქიოს შემყურებელს სააქაოსთვის ზრუნვა ვალად დასდო" [2]. ნ. ურბნელმა კარგად იცის, რომ უცხოური კულტურის გავლენა ქართულ კულტურაზე აუცილებელი და სასარგებლო იყო, რომ დავით აღმაშენებელი — ეს ფრიად განათლებული პიროვნება — მუდამ მზად იყო უცხოური კულტურის ნერგი მიეღო და ქართულ ეროვნულ ნიადაგზე გაეხარებინა. „დავით აღმაშენებლის ღვაწლი განათლების ასპარეზზედ და მისგან დაარსებული „ათინა" უნებლიედ გაგონებთ ბაღდადის დიდს აკადემიას. რომელიც „მეცნიერების თავადმა" ნიზამ ელ მულქმა ააშენა" [3].

ნ. ურბნელს ქართული ეკლესიის აუცილებელ მოვალეობად მიაჩნია ქრისტიანობის გავრცელება. მან იცის, რომ ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს სახელმწიფოს ძლიერებისათვის. იგი შესანიშნავად ჩასწვდომია დავითის ისტორიკოსის აზრს. სადავო არაა ურბნელის მითითება, რომ დავითის მიერ ეკლესიისადმი დასახულ პროგრამაში დიდი ადგილი ეჭირა „ქრისტიანების გამ-

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 352.

[2] ნ. ურ ბ ნ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი. გვ. 81.

[3] ი ქ ვ ე. გვ. 82.

რავლებას". ამ საკითხს, ამბობს ურბნელი, „მეფეც დიდ ყურადღებას აქცევდა. სასულიერო წოდება გულმხურვალედ და ბეჯითად მოეკიდა თავის მოვალეობას... „მრავალნი ნათესავნი წარმართაგანი შვილად წმინდისა ემბაზისად" შექმნეს, შეაწყნარეს ქრისტესა". „ყივჩაღნიცა უმრავლესნი ქრისტიან იქნებოდეს დღითი-დღე და სიმრავლე ურიცხვი შეეძინებოდა ქრისტესაო" [1].

სიტყვას არ გავაგრძელებთ იმის შესახებ, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თუნდაც ყივჩაღების გაქრისტიანებას. ფეოდალური საქართველოსათვის ეს თითქმის გაქართველებას ნიშნავდა. ხომ ვერ უარვყოფთ ქართული ეკლესიის როლს როცა ისტორიისათვის მოკლე დროში სახელწოდება „ყივჩაღი" ტერმინმა „ნაყივჩაღარმა" შეცვალა.

დიდ შეფასებას აძლევს ნ. ურბნელი იმასაც, რომ მეფე დავითმა ბევრი შრომა გასწია ქრისტიანობის გასავრცელებლად მთაში. თურმე დავით აღმაშენებელს იმ წმინდა „მამის" სულის მოსახსენებელი დღესასწაულიც კი დაუნიშნავს ვინც პირველად იქადაგა ქრისტიანობა მთიულეთსა და არაგვის ხეობაში [2]. დავით აღმაშენებლის მოღვაწეობა ამ მხრივ მართლაც დიდი ყურადღების ღირსია და შემდგომ საუკუნეებშიაც ამ საქმისათვის საქართველოს მეფეებს ყურადღება რომ მიექციათ და სისტემატური ღონისძიება გაეტარებინათ, ქართული ეკლესია უდავოდ გაიმრავლებდა მრეველს კავკასიაში მცხოვრები ბევრი ტომის ხარჯზე, რაც საქართველოს სამეფო პოლიტიკაში დიდსა და დადებით როლს ითამაშებდა.

ნ. ურბნელი საესებით სამართლიანად ამახვილებს ყურადღებას მონასტრების საგანმანათლებლო მუშაობის შესახებ და იმდროინდელი სწავლა-განათლების საქმეში ფასდაუდებელ სამსახურს თითქმის მთლიანად საეკლესიო დაწესებულებებს მიაწერს. მართლაც, ძნელია დავამციროთ მაშინდელი სამონასტრო ცენტრების მნიშვნელობა. ჩვენი ქვეყნის კულტურული აღმავლობისათვის „საბერძნეთსა და მახლობელ აღმოსავლეთის განათლების მნიშვნელოვან ცენტრებში სავანეების ქონებამ საქართველოს საშუალება მისცა ყველაფერი სცოდნოდა, რაც-კი რამ საუკეთესო იყო მაშინდელს მსოფლიოში, და ამ გარემოებამ შეაძლებინა თავისი კულტურული წარმატება სწრაფად და შეუჩერებლივ განევითარებინა თვით საქართველოშიც და საქართველოს გარეშე მდებარე ცენტრებშიც" [3].

---

[1] ნ. ურ ბ ნ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 82.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 83.

[3] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია. 1965, გვ. 345.

როგორც ვიცით, ასეთი ცენტრები მაშინდელ საქართველოს ბევრი ჰქონდა როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. მაგალითად, გავიხსენოთ ათონის მონასტერი საბერძნეთში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, რომლის დამაარსებელია ქართველთა მოღვაწე იოანე მთაწმინდელი (მეათე საუკუნის დამლევს). ამ სავანეში მოღვაწეობდნენ შემდგომში სახელგანთქმული ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები, რომლებმაც დიდი ღვაწლი დასდეს როგორც მშობლიურ, ისე ბერძნულ ლიტერატურას.

ნ. ურბნელს კარგად აქვს შეგნებული ის დაუფასებელი ამაგი, რაც უცხოეთის ქართველთა სავანეებმა იტვირთეს ქართული კულტურისა და განათლების საქმეში. ამიტომ, ამბობს იგი, „უცხოეთში მდებარე ქართულმა მონასტრებმა დიდი ღვაწლი დასდეს ჩვენს მწიგნობრობას და განათლებას“ [1]. ნ. ურბნელი საზღვარგარეთ არსებულ ქართულ მონასტრებს ქართული კულტურის გადამრჩენლის როლს აკუთვნებს და წერს, რომ ზოგიერთი ასეთი მონასტერი „მეთერთმეტე საუკუნიდან დაწყებული ექვსასი წლის განმავლობაში უხვად ფენდნენ საქართველოს განათლების სხივებს და იქაც რომ მნათობი გამქრალიყო, იქნება ივერია უმეცრების წყვდიადს შთაენთქა, რადგანაც ის დრო შავი და ბნელი იყო ჩვენი სამშობლოსათვის“ [2]. „შავ და ბნელ დროში“ ნ. ურბნელი გულისხმობს XIII საუკ. 30-იან წლებიდან მოყოლებული გარეშე მტერთა ხანგრძლივ ბატონობას ჩვენს ქვეყანაში, როცა კულტურული საქმიანობა თვით საქართველოში მეტ-ნაკლებად ჩაკვდა. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, ქართული კულტურული ცენტრების არსებობა საზღვარგარეთ დიდი სასოება და იმედი იყო ქართული სულიერი კულტურის დაცვისა და შენარჩუნებისათვის.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ქართული კულტურული ცენტრების არსებობა საქართველოში თუ საზღვარგარეთ დიდად უწყობდა ხელს არა მხოლოდ ქართული კულტურის დაცვა-პატრონობას, არამედ იმასაც, რომ „ქართულმა ენამ შემოგვინახა ისეთი თხზულებები ბიზანტიური მწერლობისა, რომელთა ბერძნული დედნები დაკარგულია. მათი აღდგენა შეიძლება მხოლოდ ქართული თარგმანებით. ქართულ ენაზე შემონახული ცნობები ზოგიერთი ბიზანტიელი ავტორის შესახებ ავსებენ და სულ ახალ ასპექტში აშუქებენ მათ ცხოვრებასა და შემოქმედებას: ქართულ ენაზე დაცულია ცნობები ბიზანტიური მწერლობის სრულიად უცნობი მწერლების შე-

---

[1] ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 83.
[2] ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 84—85.

სახებ. ბიზანტიური ლიტერატურის ზოგი ნაწარმოები ქართულ ენაზე მიღწეულია ისეთი ვარიანტებით, რომლებიც სხვა აზრსა და მნიშვნელობას აძლევენ ამ ნაწარმოებს; ამასთანავე, ქართველი ხალხის კულტურული სახე ვერ მოთავსდება ხალხთა ბერძნულ-ქრისტიანული ოჯახით შემოსაზღვრულ ჩარჩოებში. ქართულმა მწერლობამ სპარსული და არაბული ლიტერატურის შესანიშნავი ძეგლებიც შემოგვინახა" [1]. უფრო მეტიც, ზოგი ნაწარმოები ევროპისათვის ცნობილი გახდა ქართველი მწერლების, ქართული ენის საშუალებით. მაგალითად, „სიბრძე ბალავარისა" აკადემიკოსების შ. ნუცუბიძის და ს. ყაუხჩიშვილის გამოკვლევით „ქართული ენიდან... ბერძნულად იქნა „შეწყობილი", ბერძნულიდან — ლათინურად გადათარგმნილი, ხოლო ლათინურიდან ის გადაითარგმნა ევროპის ყველა ენაზე და საუკეთესო საკითხავ წიგნად ითვლებოდა საშუალო და ახალი საუკუნეების მანძილზე" [2]. სად დუღდა ზემოთ აღნიშნული დიდმნიშვნელოვანი ლიტერატურული ცხოვრება? — უპირველეს ყოვლისა, სამონასტრო-საეკლესიო კულტურის ცენტრებში. ამიტომ, შენიშნავს ურბნელი, დავით აღმაშენებლის დროს „ლავრა-მონასტრების აყვავებას თან მოჰყვა გონებრივი მოძრაობა, განათლების აღორძინება, უკვე არსებულ ლიტერატურას ფრთები შეესხა, წარმატება და წინმსვლელობა დაეტყო. საქართველომ შეითვისა და შეიძინა თითქმის მთელი იმდროინდელი მეცნიერება" [3].

როგორც ვხედავთ, ნ. ურბნელს მშვენივრად ესმის, რომ უკვე დიდი ისტორიის მქონე ქართული ლიტერატურა დავით აღმაშენებლის დროს ახალ საფეხურზე ავიდა და „ამავე ხნის ბერძნულ-ბიზანტიურ ლიტერატურასთან ერთად, დგას საშუალო საუკუნეების ევროპული მსოფლიოს ლიტერატურათა რიგებში" [4]. როგორც აკად. ალ. ბარამიძე მიუთითებს, „საერო მწერლობის აღმოცენება-განვითარების საკითხები ყოველთვის იპყრობდა ქართული სულიერი კულტურის მკვლევართა შეუნელებელ ყურადღებას" [5].

ნ. ურბნელიც შეეხო ამ მნიშვნელოვან საკითხს და ქართული საერო მწერლობის აღმოცენების ხანად XII საუკუნის დასაწყისი მიიჩნია. მან აღნიშნა, რომ „საერო პოეზიასაც დავით აღმაშენებ-

---

[1] შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ქართული ენის თავგადასავალი, 1969, თბ., გვ. 15—16.
[2] სიბრძნე ბალავარისა, 1937, შესავალი, გვ. V.
[3] ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 88.
[4] ბ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, გიორგი მერჩულე, 1945, გვ. 552.
[5] ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1966, გვ. 6.

ლის დროს ჩაედგა სული“ [1]. დღეს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში სწორედ ასეა დადგენილი ქართული საერო მწერლობის დასაწყისი“ [2].

ავიღოთ ერთი საკითხიც — ახალი ქართული სალიტერატურო ენის წარმოქმნა. აკად. არნ. ჩიქობავა საგანგებოდ აღნიშნავს, რომ: „დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის განთავისუფლება თურქთაგან 1122 წელს და პოლიტიკური და კულტურული ცენტრის ქუთაისიდან თბილისში გადმონაცვლება (აქედან გამომდინარე ყველა შედეგით) ის დიდმნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენაა, რომელმაც ახალი ქართული სალიტერატურო ენის წარმოქმნა შეაპირობა“ [3]. ნ. ურბნელმა კარგად იცის, რომ დავით აღმაშენებლის მეფობის პერიოდი განსაკუთრებით აღინიშნება ქართული ფილოსოფიური სკოლის საოცარი განვითარებით. „როცა მოწინავე ქართველთა გონებრივმა სამფლობელომ აზროვნების უმწვერვალეს ხარისხს მიაღწია და საფილოსოფო მწერლობას დაეწაფა“ [4] „საქართველოს სიძლიერის ამ ხანაში“ ფილოსოფიას და ლიტერატურას ჯერ კიდევ ფარავდა საეკლესიო რელიგიური სამოსელი, მაგრამ უკვე ვეღარ მალავდა თავს, თუ შეიძლება ასე ითქვას, „საერო“ აზროვნება. „დავით აღმაშენებლის მეფობა შესანიშნავია ქართული ლიტერატურისთვისაც, მაშინ იღვწოდნენ სახელოვანნი კლასიკნი, რომელთაც ააყვავეს მშობლიური მწერლობა და ფართო მიმდინარეობა მისცეს გონებრივს სელას. ზოგნი იმ კლასიკთაგანი უფრო ფილოსოფიას და საერო მეცნიერებას მისდეევდნენ, სხვანი კი საღვთისმეტყველო სწავლას ემსახურებოდნენ. მაგრამ რადგანაც იმ დროს ღვთის მეტყველებას მაინც უპირატესობა ეკუთვნოდა, თვით ფილოსოფოსნიც ღვთის მეტყველებდნენ“-ო [5] — მოსწრებულად და სამართლიანად აღნიშნავს ნ. ურბნელი.

როცა ნ. ურბნელი აფასებს XI—XII საუკუნეების ქართული ფილოსოფიური სკოლის შესანიშნავი წარმომადგენლების მოღვაწეობას, მათ ფასდაუდებელ ამაგს ქართული აზროვნების წინაშე, საგანგებოდ და განსაკუთრებით გამოყოფს იოანე პეტრიწს, როგორც ყველაზე ნიჭიერსა და «პირველ ფილოსოფოსს“. ნ. ურბნელი ფიქ-

---

[1] ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 101.

[2] ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1966, გვ. 18.

[3] არნ. ჩიქობავა, დიალექტიზმების საკითხისათვის ეეფხისტყაოსანში: ენიმკის მოამბე, II, 1938, გვ. 227.

[4] ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, II, გვ. 298.

[5] ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 92.

რობს, რომ თუ არა პეტრიწის „დიდი ნიჭი და შრომა, იქნება ქართულ სიტყვიერებას არ მიეღწია იმ სიმშვენიერებამდე, რომლითაც შოთა რუსთაველი... ხიბლავს მსმენელსა“ [1]. ასეთი დამსახურების მიწერა მხოლოდ პეტრიწის მოღვაწეობისათვის არ იქნებოდა სწორი. ერთი კი ნათელია: ქართულმა ფილოსოფიურ-ლიტერატურულმა სკოლამ, რომლის ბრწყინვალე წარმომადგენელია იოანე პეტრიწი, საშუალო საუკუნეებში მოამზადა ნიადაგი ისეთი მსოფლიო მნიშვნელობის ლიტერატურული მოვლენისათვის, როგორიც არის „ვეფხისტყაოსანი“.

როდესაც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მეფის კულტურულ მოღვაწეობას ეხება, საგანგებოდ მიუთითებს, რომ დავით აღმაშენებელმა „კუალად სხუა მოიგონა საქმე, შემსგავსებული მოწყალისა და ტკბილისა ღმრთისა სახისა, კაცთმოყუარებისა თჳსისა: აღაშენა ქსენონი ადგილსა შემსგავსებულსა და შუენიერსა“ [2], სადაც თურმე შეკრებილი იყო ავადმყოფი ხალხი, რომელთაც მეფე „მამებრ“ უვლიდა.

მემატიანეს მიერ ნახსენები ქსენონის შესახებ ნ. ურბნელს გამოთქმული აქვს ფრთხილი, მაგრამ მეტად საინტერესო მოსაზრება. აი, რას წერს იგი: „წინათ მოვიხსენიეთ, რომ იმ დროს მკურნალობას, დოსტაქრობას და სხვა ამგვარ მეცნიერებას ქსენონებში ასწავლიდნენ, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ დავით აღმაშენებლისაგან დაარსებული დიდი ქსენონი სამკურნალო აკადემიასაც შეადგენდა“ [3]. ქსენონების დაარსება შუა საუკუნეებში ახალი ამბავი არ ყოფილა და, საქართველოს გარდა, სხვა ქვეყნებშიაც ეხვდებით. მაგალითად, როგორც შლოსერი მიუთითებს, ქ. შირაზში“ [4]. დავითის ისტორიკოსის ნათქვამი კი, მეფემ „კუალად სხუა მოიგონა საქმეო“, იქნებ მართლაც მიუთითებდეს განსაკუთრებული ქსენონის დაარსების შესახებ, რომელიც, როგორც ურბნელი ვარაუდობს, „სამკურნალო აკადემიასაც შეადგენდა“. ასეთი აკადემიის დაარსება საქართველოში, განსაკუთრებით დავითის მეფობის ხანაში, რომელიც საესე იყო გარეშე თუ შინაურ მტერთან ბრძოლებით, რასაც, ბუნებრივია, აუარება ხალხის დაკრა-დასახიჩრებაც მოჰყვებოდა, რაც აუცილებლად მოითხოვდა სამკურნალო მეთოდების გაუმჯობესებას და სამედიცინო მომსახურეობის მაღალ დონეზე აყვანას, არ იქნებოდა საფუძველს მოკლებული. რასაკვირველია,

---

[1] ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 92.

[2] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 331.

[3] ნ. ურბნელი, დასახელებული ნაშრომები, გვ. III, იხ. სქოლიო.

[4] Шлоссер, Всемирная история, т. II, 1969, стр. 348.

საქართველოს ეკონომიური დოვლათიანობაც ამის საშუალებას იძ-
ლეოდა (მაშინ ხომ დიდი ეკონომიური სახსრები იხარჯებოდა კულ-
ტურული კერების შესაქმნელად). ერთი სიტყვით, ურბნელის ვა-
რაუდი დავით აღმაშენებლის მიერ სამკურნალო აკადემიის დაარსე-
ბისა შეიძლება მართლაც საგულისხმო და ანგარიშგასაწევი იყოს.

ასეთია ძირითადად ის საკითხები, რომელიც ნ. ურბნელმა წა-
მოაყენა და განიხილა თავის ისტორიულ მონოგრაფიაში— „მეფე
დავით აღმაშენებელი და მისი დრო“.

## თავი IV

### XIV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიის საკითხები ნ. ურბნელის ნაშრომებში

„ვითარ ცნა მეფემან რუსუდან მოახლება თათართა, დაუტევა ტფილისი და წარვიდა ქუთაისს, და ტფილისის მცველად დაუტევა მუხას-ძე, და ამცნო, რომელ უკეთუ დმანისამდე მოვიდენ თათარნი, რომელ მოწუას ტფილისი თუნიერ ნიტისა და ისანთა, რომელ არღარა იპყრან სახლად ვითარ ხუარაზმელთა.

რაჟამს ცნა მუხა-ძემან მოახლოება თათართა, მოწუა სრულიად ქალაქი და თუთ პალატი და ისანნი და ესრეთ მოოჴრდა ქალაქი ტფილისისა“ [1]. ჟამთა აღმწერლის მიერ გადმოცემული ამ ტრაგედიის შემდეგ ჩვენს ქვეყანას მთელი ერთი საუკუნის მანძილზე მონღოლთა ბატონობისაგან მოსვენება აღარ უნახავს. საქართველო ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენდა. მონღოლთა უღელქვეშ გაატარა საკმაოდ დიდი დრო შუა აზიის, კავკასიის და აღმოსავლეთ ევროპის ბევრმა ხალხმა და რომ მონღოლთა ბატონობა არა, აღნიშნული ხალხების ისტორიული ბედი სულ სხვანაირად შეიძლებოდა წარმართულიყო. სწორედ ესაა იმის მიზეზი, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფია დიდ ყურადღებას უთმობს მონღოლთა დაპყრობებისა და მათი საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიის შესწავლას. ისტორიკოსთა უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ მონღოლთა განუწყვეტელ თარეშსა და გაუთავებელ ომებს მათ მიერ დაპყრობილი ხალხებისათვის მხოლოდ უბედურება მოჰქონდა. ქართული ისტორიოგრაფია მონღოლთა ბატონობის შესახებ სწორედ ასეთი აზრისაა.

მონღოლთა ისტორიის და მონღოლთა ბატონობის საკითხს შეეხო ნ. ურბნელი ნაშრომში — „გიორგი ბრწყინვალე — მეფე საქართველოსი“ და შეეცადა მოეცა სურათი. თუ როგორ შეაფერხა

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. II, 1959, გვ. 187.

მრისხანე მტრის ბატონობამ საქართველოს კულტურულ-პოლიტიკური განვითარება, როგორი იყო მათი ბატონობის შედეგი და რა ღვაწლი მიუძღვის მეფე გიორგი V მონღოლთა უღლის გადაგდების საქმეში. ვიდრე ნ. ურბნელის თვალსაზრისის ანალიზს შეუღგებოდეთ აღნიშნულ საკითხზე, გვინდა მოკლედ შეეჩერდეთ იმ ზოგიერთ ძირითად წყაროზე, რომლებიც ცნობებს გვაწვდიან მონღოლთა ძველი ისტორიის შესახებ. «Золотая Орда и зависевшие от нее владения, в совокупности именовавшиеся улусом Джучи, как известно, не имели своих летописей, по крайней мере, они до нас не дошли»[1].

როგორც პროფ. ი. ცინცაძე აღნიშნავს, მონღოლებს მე-13 საუკუნეში „წერილობით ჩამოუყალიბებიათ ჩინგიზ-ყაენის მიერ დამტკიცებული კანონთა კრებული — იასაღი მონღოლთა ჩვეულებისა და ადათების კრებული“ [2]. აღნიშნულ იასაღს, რა თქმა უნდა, დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო მონღოლთა ყოფა-ცხოვრების შესწავლისათვის, მაგრამ იგი ადრევე დაკარგულა. ამიტომ მონღოლთა შესახებ მსჯელობისას ისტორიკოსები ძირითადად [illegible] კულტურული ხალხების ისტორიკოსთა შრომებს ეყრდნობიან, რომლებიც მონღოლებმა დაიპყრეს. და რა თქმა უნდა, დასავლეთ ევროპელ ისტორიკოსთა ცნობებსაც მონღოლების შესახებ, მონღოლთა შესახებ ცნობები პირველად ჩნდება ჩინურ ენაზე და ეს სავსებით გასაგებია. მონღოლთა დაპყრობები ხომ ჩინეთში შეჭრით დაიწყო. ჩინეთის — ამ უძველესი კულტურული ქვეყნის დამორჩილება მონღოლებისათვის მეტად სასარგებლო იქნებოდა კულტურის ათვისების თვალსაზრისითაც. როგორც ცნობილია, ჩინგიზ-ყაენმა, მართლაც, იქიდან მრავალი სხვადასხვა საქმის სპეციალისტი წამოიყვანა თან. ჩინელი სპეციალისტები ეხმარებოდნენ მონღოლებს ოავიანთი ისტორიის შედგენაში და საკვირველი არც არის, რომ ჩინგიზ-ყაენის სალაშქრო მოღვაწეობის შესახებ ჩანაწერები ჩინურ ენაზეა მოღწეული ჩვენამდე. ჩინურ ენაზე დაწერილ ამ ძეგლს „იუან-ჩაო-ბი-ში“ ჰქვია. მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მონღოლთა ძველი ისტორიის შესასწავლად. მონღოლთა ლაშქრობებს შეეხნენ მაჰმადიანი ისტორიკოსებიც — იბნ-ალ-ასირი, ახმედ ან ნესეევი და ალ-ჯუზჯანი. სამივე ამ ისტორიკოსის ცნობები მონღოლთა შესახებ მეტად საინტერესო და უმეტეს შემთხვევაში ნდობაგაზიარების ღირსია. მონღოლთა ბრძოლების და საზოგადოებრივი

---

[1] В. Г. Тизенгаузен, Сборник материалов, относящихся к истории Золотой Орды. М.-Л., 1941, Предисловие, стр. 3.

[2] ი. ცინცაძე, მონღოლები და მონღოლთა დაპყრობები, თბ., 1960, გვ. 7.

ცხოვრების შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე სპარსი ისტორიკოსის რაშიდ-ედ-დინის ნაშრომს. რომელსაც „მატიანეთა კრებული“ ეწოდება. რაშიდ-ედ-დინი მის მიერ აღწერილი ბევრი ამბის თვითმხილველია, რადგან იგი, როგორც ცნობილია, ყაზან-ყაენის კარზე თანამდებობის პირი ყოფილა.

მონღოლთა უზარმაზარმა სახელმწიფომ ასპარეზზე გამოსვლისთანავე მიიპყრო ევროპის ყურადღება. ევროპის ბევრ ქვეყანას მონღოლთა გამოჩენამ თურქ სელჯუკთა წინააღმდეგ მათი გამოყენების პერსპექტივა ჩაუსახა [1], რამაც, ბუნებრივია, აღძრა დიდი სურვილი მათი ვინაობისა და რაობის გარკვევისა, მათი ისტორიის შესწავლისა. მონღოლთა სახელმწიფოში ზედიზედ იგზავნებოდნენ ევროპის სახელმწიფოთა ელჩები თუ მისიონერები, რომლებსაც მონღოლთა ცხოვრების შესწავლისათვის ფასდაუდებელი ცნობები ჩაჰქონდათ თავიანთ სამშობლოში. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ მონღოლთა შესახებ ძვირფას ცნობებს გვაწვდიან პლანო-კარპინი და გუილიომ რუბრუკვისი. ორივე ეს მოგზაური მათ მიერ აღწერილი მოვლენების თვითმხილველი მწერლები არიან და, გასაგებია, რომ უმეტეს შემთხვევაში ნდობას იმსახურებენ.

როგორც ვიცით, ქართველი და სომეხი ხალხები დიდხანს იყვნენ მონღოლთა ბატონობის უღელქვეშ და, ბუნებრივია, რომ ამ უძველესი კულტურული ხალხების განვითარებულმა იმდროინდელმა ისტორიულმა მეცნიერებამ ძვირფასი ცნობები შემოგვინახა მონღოლთა შესახებ, პირველ რიგში გასაკუთრებით აღსანიშნავია ქართველი „ყამთააღმწერელი“. სომეხი კირაკოს განძაკელი და ვარდანი. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ იმ ხალხთა პატიანეებში, რომლებიც მონღოლებმა დაიპყრეს, ვერ იქნებოდა დაცული მონღოლთა შესახებ ობიექტური ცნობები, მაგრამ ეს რომ ასე არაა, ამის საუკეთესო დადასტურებას წარმოადგენს „ყამთააღმწერლის“ ცნობები მონღოლთა ცხოვრების თითქმის ყველა წვრილმანზე. რაც სხვა წყაროებთან შეჯერებით უმეტეს შემთხვევაში სავსებით დასტურდება. ჩვენ მოვიხსენიეთ ზოგიერთი ძირითადი წყარო მონღოლთა ისტორიის შესახებ, რომლითაც შეეძლო ესარგებლა ნ. ურბნელს თავის ნაშრომის — „გიორგი ბრწყინვალე — მეფე საქართველოსი“ — დაწერისათვის. ამათგან იგი ძირითადად ეყრდნობა ქართველი ისტორიკოსის — „ყამთააღმწერლის“ ცნობებს. ამიტომ, ვფიქრობთ, საჭიროა გადავხედოთ, თუ რამდენად სარწმუნოა ქართ-

---

[1] შ. ხანთაძე, ნარკვევი ევროპული ქართველოლოგიის ისტორიიდან, ქართული ისტორიოგრაფია, 1968, გვ. 114.

ველი მემატიანის თხზულება როგორც მონღოლთა ბატონობის, ისე მეფე გიორგი ბრწყინვალის მოღვაწეობის შესახებ.

ქართული ისტორიოგრაფია მუდამ დიდ ინტერესს იჩენდა და იჩენს ამ თხზულებისადმი, რომელიც მოიცავს მთელ XIII საუკუნეს და მომდევნო საუკუნის დასაწყისს საქართველოს ისტორიისას. ამ პერიოდის ქართული ისტორიის მკვლევრები არაერთხელ შეჰხებიან ყამთააღმწერლის ვინაობას, მსოფლმხედველობის, განათლების, მის მიერ გამოყენებული წყაროების მეთოდოლოგიისა და მ ·ისი თხზულების მნიშვნელობის საკითხს. ყამთააღმწერელი ანონიმი ავტორია. ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად მას ეს სახელი შეარქვა აკად. ივანე ჯავახიშვილმა[1] და მას შემდეგ აღნიშნული ისტორიკოსი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ყამთააღმწერელად იხსენიება. აკად. ივ. ჯავახიშვილი, რა თქმა უნდა, გამოდიოდა იმ ფაქტიდან, რომ ჩვენთვის უცნობი ავტორი თავის თხზულებას და, საერთოდ, საისტორიო მწერლობას ყამთააღმწერლობას უწოდებს. მისი „თხზულება შინაარსიანი ნაწარმოებია და თვით მოთხრობის ასპარეზიც ფართოა. საქართველოს მარტო პოლიტიკური თავგადასავალი კი არ არის აღწერილი, არამედ სახელმწიფო ცხოვრება და წესწყობილებაც ცხოვლად არის დახატული. მრავალი ძვირფასი ცნობები მოიპოვება მოხელეობისა და მართვა-გამგეობისა, გადასახადებისა და ბეგარისა, მეხარკეობის შესახებ, საეკლესიო საქმეებიც, ქვეყნის ზნეობრივი მდგომარეობაც, შინაური საცოლქმრო ვითარებაც საკმაოდ არის დასურათებული. ჩვენი ავტორის ისტორია აუარებელ ცნობებს შეიცავს და მისი ღირსება იმიტომ უფრო ორკეცდება, რომ XIII საუკ. საბუთები ცოტაა შერჩენილი და ბევრს შემთხვევაში ეს თხზულება მკვლევართათვის ერთადერთი წყაროა"[2] — წერს აკად. ი. ჯავახიშვილი. ყამთააღმწერელი, როგორც ჩანს, კარგად იცნობდა ზოგიერთ ისეთ ავტორს, რომლებიც მონღოლთა შესახებ ცნობებს იძლეოდნენ და უხვადაც უსარგებლია მათი ნაშრომებით, კერძოდ, სპარსი ისტორიკოსის ალა ედდინ ათა მალიქ ჯუეინის თხზულებით, რომელსაც ქვეყნის დაპყრობის ისტორია ეწოდება. ეს რომ ასეა, ეს დამაჯერებლად და შესანიშნავად დაამტკიცა

---

[1] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 249.

[2] ი ქ ვ ე ე, გვ. 262.

მკვლევარმა რ. კიკნაძემ [1]. მანვე აღნიშნა, რომ ქამთააღმწერელს უნდა ესარგებლა აგრეთვე რაშიდ-ად-დინის „ისტორიათა კრებულით“ [2]. ქამთააღმწერელს რომ სპარსული ენა უნდა სცოდნოდა, ეს ადრევე აღნიშნა აკად. ივ. ჯავახიშვილმა. იგი წერს: „ჩვენს ავტორს, რასაკვირველია, სპარსულიც ეცოდინებოდა და სცოდნია კიდეც. მას მოყვანილი აქვს ერთი სპარსული წინადადება და თანაც მისი თარგმანი დაურთავს. მეჰლიდმა, რომელმაც მონღოლთა სარდალი ჩაღატა ღამე ფარულად წუთისოფელს გამოასალმა, თავი გამოყო „ლერწმოანითგან“ სადაც დამალულიყო მკვლელობის შემდგომ და სისხლიანი ლახვრითურთ ხელში მიუახლოვდა თათრებს. მიაძახა „ჩენ ქუშტამ ჩაღატარ“. როჰელ არს ენითა სპარსულითა, „მე მოვკალ ჩაღატარ“ [3].

ქამთააღმწერელს კარგად სცოდნია ბერძნული საისტორიო მწერლობაც და თანამედროვე მონღოლებისა და მათ მეტომეთა საისტორიო მწერლობაც შესწავლილი ჰქონია. მას, სხვათა შორის, სცოდნია უიღურთა ანბანი და „წერილი“. ეი, რას ამბობს იგი ამის შესახებ: „მოიპარეს წერილიცა ამათ მცირედიცა ასოთა, რამეთუ ათექვსმეტითა ასოთა დასწერენ წიგნსა, რომელ ადვილ სასწაველოცა არს და ადვილ გულისხმის საყოფიო“ [4].

აკად. ს. ყაუხჩიშვილის აზრით, ქამთააღმწერელი ბიზანტიურ წყაროებსაც იცნობდა [5].

ქამთააღმწერელს სომხური წყაროებიც უნდა გამოეყენებინა. მკვლევარ ნ. ბოშიაშვილის მიერ დადგენილია, რომ ქამთააღმწერელი იცნობდა გრიგოლ აკანელის თხზულებას ან მის წყაროს. „მას უნდა სცოდნოდა აგრეთვე სხვა სომეხი ავტორებიც: სტეფანოს ორბელიანი, ვარდანი, კირაკოს განძაკეცი და სხვა“ [6].

ქამთააღმწერელი თავისი წინამორბედი ავტორების საისტორიო თხზულებებს ყოველთვის როდი ენდობა და თავისი ნაწარმოების შესაესებად და გასამართავად მათ მხოლოდ სათანადო კრიტიკული ანალიზის შემდეგ იყენებს. ქამთააღმწერელი ყოველთვის ცდი-

---

1 რ. კიკნაძე, ქამთააღმწერლის სპარსული წყაროები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის კავკასიურ-აღმოსავლური კრებული, II, თბ., 1962, გვ. 131.

2 იქვე, გვ. 155.

3 ივ. ჯავახიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 260.

4 იქვე, გვ. 258.

5 ს. ყაუხჩიშვილი, ფირესტე ორესტე: ლიტერატურული ძიებანი, II, 1944, გვ. 159, 165.

6 კ. გრიგოლია, ქამთააღმწერელი და მისი თხზულების სამეცნიერო მნიშვნელობა; ქართული ისტორიოგრაფია, I, თბ., 1968, გვ. 90.

ლობს, როცა, რა თქმა უნდა, ამის შესაძლებლობა აქვს, ისტორიული სიმართლე პირველწყაროებზე დაყრდნობით გააშუქოს. თუმცა ეს ასეა, მაგრამ მის თხზულებაში ჩვენ მაინც ვხვდებით დაუჯერებელ ზღაპრულ ადგილებს, რაც გაოცებას იწვევს. ქამთააღმწერელი ისე მსჯელობს უსაბუთო მტკიცებისა და დაუჯერებელი ამბების ისტორიად გასაღების წინააღმდეგ, რომ მის ნაშრომში შეტანილი ზოგიერთი მსგავსი ამბები, როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი განმარტავს, არ უნდა იყოს ავტორისეული. „პირდაპირ გასაოცარია, როგორ მოხდა და როგორ შეიტანა მანვე თავის თხზულებაში ის მართლაც და ზღაპარნი, რომელიც მოთხრობილია ლაშა-გიორგის ძისადმი ხაროში მყოფი გველების სიყვარულის შესახებ, ან სამფეხა ცხენზე სამი დღე და ღამე ჭენება, ან კიდევ ადამიანთა ძაღლური ყეფისაგან გარემოცული ქალაქის ზღუდეების ორგან გარღვევა და დაცემა. ამიტომ უნებლიედ ეჭვი ებადება მკვლევარს, მერმინდელ გადამწერის ჩამატებული ხომ არ არის ეს ადგილები?“ [1].

ქამთააღმწერელი უდავოდ განათლებული, ნიჭიერი ისტორიკოსია. იგი საქართველოს პოლიტიკური ისტორიის გარდა, საკმაოდ საფუძვლიანად ეხება ქართველთა ცხოვრების ბევრ სხვა მხარესაც, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მის მიერ აღწერილი ეპოქის ყველა დროის მკვლევართათვის. ერთი სიტყვით, თხზულება ძირითადად სანდო და საინტერესო ისტორიულ წყაროდ უნდა ჩაითვალოს.

6. ურბნელმა კარგად იცოდა ქამთააღმწერლის, როგორც ისტორიკოსის, ყველა ღირსება. შეგნებული ჰქონდა მისი თხზულების მეცნიერული ღირებულება და თავისი შრომაც — „გიორგი ბრწყინვალე მეფე საქართველოსი“ — ძირითადად მასზე დაყრდნობით დაუწერია. როგორც ვიცით, მონღოლები საქართველოში ჯერ კიდევ ლაშა გიორგის მეფობის ხანაში, XIII საუკუნის 20-იან წლებში გამოჩნდნენ, აქ ისინი ხვარაზმის შაჰის — მუჰამედის და მისი ვაჟის — ჯალალედინის დევნამ მოიყვანა. ამ დროისათვის მონღოლებს თავიანთი მცირერიცხოვნების გამო არ შეეძლოთ საქართველოს დაპყრობა და ალბათ ამიტომაც მათ მიზანს არც შეადგენდა იგი. იმ ოციათასიანი ლაშქრის სარდლებისა ჯებე და სუბუდაისათვის, რომლებიც 1220 წელს საქართველოში გამოჩდნენ, როგორც რაშიდ-ედ-დინი გადმოგვცემს, ჩინგიზ-ყაენს საგანგებოდ დაუვალია; Силою бога великого, пока не возьмете его (Мухамеда) в руки, не возвращайтесь»[2].

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 261.

[2] Рашид-ед-Дин, Сборник летописей, т. I, кн. 2, М.-Л., 1952, стр. 209.

მონღოლთა ზემოაღნიშნული ლაშქრის რაოდენობის ზუსტად განსაზღვრა დღემდე არ ხერხდება, მაგრამ ყველაზე უფრო საიმედო უნდა იყოს მაჰმადიანი ისტორიკოსების ცნობა, რომ მონღოლთა ლაშქარი თავიდანვე 20000 ცხენოსნისაგან შედგებოდა. ამ ცნობას ადასტურებს სომეხი ისტორიკოსი ვარდანიც. უდავოა, რომ მონღოლთა ლაშქარს, რომელიც ხვარაზმის შაჰს მოსდევდა, გზადაგზა ბრძოლა უხდებოდა და, ბუნებრივია, მათი რაზმები გზაში შეთხელდებოდა. ასე რომ, თუ თავდაპირველად 20000 ცხენოსნისაგან შედგებოდა, საქართველოში თითქოს უფრო ნაკლები უნდა მოსულიყვნენ. მაგრამ პროფ. ი. ცინცაძე ყურადღებას მიაქცევს ერთ მეტად მნიშვნელოვან გარემოებას, რის გამოც შესაძლოა მონღოლთა ლაშქრის რაოდენობა გაზრდილიყო. როგორც პროფ. ი. ცინცაძე აღნიშნავს, „მონღოლები ძალიან უფრთხილდებოდნენ თავიანთი მეომრების სიცოცხლეს. ამის აშკარა მაჩვენებელია „ჰაშარის“ რაზმების შექმნა. ყოველი ციხე-სიმაგრისა და ზღუდიანი ქალაქის აღების დროს ისინი პირველ რიგში დაპყრობილი ადგილიდან საგანგებოდ გამოყვანილ მამაკაცებს გზავნიდნენ. „ჰაშარში“ მიჰყავდათ და ბრძოლის დროს ამ უბედურებს საფრად იყენებდნენ“ [1]. ისიც გათვალისწინებულია, რომ „აზერბაიჯანის მაშინდელ მაჰმადიანურ მოსახლეობას საქართველოს ლაშქრობაში მონაწილეობა არასოდეს არ დაზარებია“ [2]. უნდა გავითვალისწინოთ იბ-ალ-ასირის ცნობაც, რომ მონღოლებს „შეუერთდა კიდევ თურქი ყმა. უზბეგის ერთი მონათაგანი, სახელად აქუში, რომელმაც შეკრიბა ამ მხარის მთებისა და ტრამალების მცხოვრებნი — თურქმენები, ქურთები და სხვები. აქუშთან თავი შეიყარა მრავალრიცხოვანმა ხალხმა და მოლაპარაკება გამართა თათრებთან მოკავშირეობის თაობაზე. ისინი (თათრები) დათანხმდნენ ამ წინადადებაზე, რადგანაც ერთიმეორის მიმართ კეთილად იყვნენ განწყობილი, როგორც ერთი მოდგმისანი. გაერთიანდნენ ისინი და თათრების მეთაურობით ქართველებზე გაემართნენ-ო“ [3]. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მონღოლთა ლაშქარი საქართველოში მოსვლისას ბევრად აღემატებოდა ოცი ათასს. მიუხედავად ამისა, მონღოლებს ამჯერად მაინც არ შეეძლოთ ძლიერი, ხალხმრავალი და სახელგანთქმული საქართველოს სამეფოს დაპყრობა. ვიმეორებთ, რომ მონღოლებს ასეთი მიზანი ამჯერად არც უნდა ჰქონოდათ. „ჩინგისხანის დავა-

---

[1] ი. ცინცაძე, მონღოლები და მონღოლთა დაპყრობები, 1960, თბ., გვ. 120.

[2] იქვე.

[3] ციტატი მოყვანილია ი. ცინცაძის დასახელებული წიგნიდან.

ლებით ცნობების შეგროვების შემდეგ, მას (მონღოლთა ჯარს — გ. ნ.) უნდა პირი ისევ თავის სამშობლოსაკენ ებრუნებინა და ჩრდილოეთის გზით მონღოლეთში მისულიყო. ერანიდან მომავალთ, მათ კავკასიონის ქედი უნდა გადაელახათ; ასე და ამგვარად, მონღოლები 20 ათასი ჯარისკაცითურთ საქართველოს საზღვარს მოადგნენ უმთავრესად საჭირო საძოვრების საძებნელად" [1].

საქმის ასე წარმოდგენა, თითქოს „მონღოლებმა, ოთ̆ლებმაც თავზარი დასცეს ჩინეთს, შუა აზიასა და სპარსეთს, არა ერთი მაჰმადიანური სახელმწიფო მოშალეს და დააუძლურეს, საქართველოშიც მოაღწიეს და, როგორც იტყვიან, აქ ფეხი მოიტეხეს" [2], არ იქნებოდა სწორი. მონღოლთა 20000-იანი და თუნდაც 30000-იანი ლაშქრის დამარცხებას ქართველთა ჯარის მიერ მონღოლთა სახელმწიფოს სერიოზულ მარცხად ვერ ჩავთვლით. ეს ასეა, მაგრამ ზოგჯერ სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით მეორე უკიდურესობასაც ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, აშკარა გაუგებრობას. „შუა აზიისა და ამიერკავკასიის დაპყრობის შემდეგ მონღოლთა რაზმები უკვე ძალიან დაუახლოვდნენ რუსეთის მიწა-წყალს. ჩინგიზ-ყაენის ჯარებმა გადალახეს კავკასიის მთები და სამხრეთ რუსეთის სტეპებში შეიჭრნენ. აქ ისინი შეხვდნენ ყივჩაღებს. ყივჩაღების ხანებმა დახმარებისათვის რუსეთის მთავრებს მიმართეს. თუ არ დაგვეხმარებით, დღეს ჩვენ ამოგვჟლეტენ, ხვალ კი თქვენო, განაცხადეს ყივჩაღთა ელჩებმა. მთავრებმა გადაწყვიტეს ერთად გამოსულიყვნენ ჩინგიზ-ყაენის რაზმების წინააღმდეგ და შებრძოლებოდნენ მათ ყივჩაღთა მიწა-წყალზე. 1223 წ. მაისში ბრძოლა მოხდა მდინარე კალკასთან. რუსეთის რაზმები სასტიკად დამარცხდნენ. ამ შემთხვევაში მონღოლებმა ვერ განიმტკიცეს თავიანთი გამარჯვება, უკან გაბრუნდნენ აზიაში და თორმეტი წლის განმავლობაში არაფერი ისმოდა მათ შესახებ"-ო[3]—ასეა აღნიშნული საშუალო სკოლის სსრკ ავშირის ისტორიის სახელმძღვანელოში.

გამოდის, რომ 1223 წელს მონღოლებს უკვე დაპყრობილი ჰქონდათ საქართველო. როგორც იტყვიან, აქ კომენტარი ზედმეტია. შეცდომა აუცილებლად უნდა გამოსწორდეს. საშუალო სკოლაში შეთვისებული ცოდნა ადამიანს ზოგჯერ მთელი სიცოცხლის მან-

---

1 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართველი ერის ისტორია. III, თბ., 1966, გვ. 321.

2 დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1962, გვ. 158.

3 ვ. ვ. ნ ე ჩ კ ი ნ ა, პ. ს. ლ ე ი ბ ე ნ გ რ უ ბ ი. სსრკ ისტორია. VII კლასის დამხმარე სახელმძღვანელო, 1970, გვ. 99—100.

ძილზე თან სდევს და, რასაკვირველია, საშუალო სკოლის სახელმძღვანელოს ავკარგიანობას განუზომელი მნიშვნელობა ენიჭება მომავალი თაობის აღზრდისათვის. სავსებით მართალი იყო ბესარიონ ბელინსკი, როცა წერდა: „ისტორიის კურსი საშუალო სასწავლებელში მოწაფისათვის უნდა იყოს მოსამზადებელი ისტორიის საძირკველზე აგებული სახლი. აქ მოწაფე უკვე აზროვნებს იმ ფაქტების საფუძველზე, რომლებიც მას თავდაპირველად შეუცნობლად, მოწაფური რუტუნით შეუძენია, და ამავე საფუძველზე აფართოებს თავისი ფაქტიური ცოდნის წრეს. თუ იგი უნივერსიტეტის კურსს აღარც კი მოისმენს, მან მაინც დიდი რამ შეიძიაა“ [1].

მონღოლთა პირველ გამოჩენას საქართველოს სამეფოსათვის სერიოზული საფრთხე არ შეუქმნია. ეს გარემოება ჯერ კიდეე 1839 წელს აღნიშნა ნ. ურბნელმა. იგი სავსებით სამართლიანად წერს, რომ მონღოლთა ლაშქრობამ XIII საუკუნის 20-იან წლებში „დიდი ენება და ზარალი არ მოგვიტანა, მხოლოდ ჩვენი თავმოყვარეობა შელახა. მარტო სახელი და აბრე გაგვიტეხა მეზობლებში“ [2].

მდ. კალკაზე ბრძოლის შემდეგ, 1223 წელს, როცა მონღოლთა ლაშქარი ჯებეს და სუბუდაის მეთაურობით შეხვდა რუსთა და ყივჩაღთა გაერთიანებულ ჯარს და გაიმარჯვა, სამშობლოში დაბრუნდა და დიდი ხნის განმავლობაში საერთოდ აღარ გამოჩენილან რუსეთსა და ამიერკავკასიაში. როგორც ცნობილია, ჩინგიზ-ყაენი გარდაიცვალა 1227 წელს და ყაენის ტახტი დაიკარა მისმა შვილმა უგედემ, რომელსაც საგანგებო ზომები მიუღია ახალ დაპყრობათა საწარმოებლად.

«Курилтай, на котором в ханы был избран Угодей, состоялся в 1229 г. и за то время монгольские войска были оттянуты с фронтов, Чжурчжэни и мусульмане успели отправиться и потеснить монгольские заслоны. Но с 1230 г. монголы опять перешли в наступление, докончили покорение Чжурчжэнем в Китае и, разбив в 1230 г. Джалял ад-дина, ворвались в Переднюю Азию, где подчинили себе всех мусульманских владетелей, исключая багдадского Халифа. В 1235 г., после победы над чжурчжэнями, в построенной Чингисханом монгольской столице, Карикоруме, был собран курилтай, постановивший довести до конца войну с половцами, болгарами и поддержавшими их русскими. В «западный поход» были направлены войска от всех четырех улусов Монгольской империи.

---

[1] ბ. გ. ბ ე ლ ი ნ ს კ ი, რეცენზიები 1842 — 1845 წწ., ისტორიის წიგნებზე, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, თბ., 1948, გვ. 470.

[2] ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი, გიორგი ბრწყინვალე მეფე საქართველოსი, ტფ., 1889, გვ. 3.

Высшее командование принадлежало Бату-хану, а для фактического руководства операцией ему был придан лучший из монгольских полководцев Субутей. Отдельными корпусами командовали сын Угедея — Гуюк, сын Чагатая — Бури и сын Толуя — Мунке. К основным регулярным войскам были присоединены отряды среднеазиатских тюрок, бродивших без дела после разгрома Хорезма»[1].

როგორც მოტანილი ციტატიდან ჩანს, მონღოლებს დაუმარცხებიათ ხვარაზმის შაჰის მუჰამედის შვილი, თუმცა თვით ხვარაზმი გაცილებით ადრე დაეცა. საქმე ისაა, რომ მუჰამედის დამარცხების შემდეგ ხვარაზმეთში მეტად ენერგიულად მოქმედებდა შაჰი მუჰამედის ერთ-ერთი შვილი ჯალალედინი, რომელსაც, როგორც ჩანს, მონღოლთა მიერ განაწამები ხალხი ემბრობოდა. მონღოლებს კარგად ესმოდათ, თუ რა უსიამოვნების მიყენება შეეძლო მუჰამედის შვილს მათთვის და საგანგებო ზომები უბრძანეთ მისი საბოლოო განადგურებისათვის. 1235 წელს კი ყარაყორუმში მოწვეულ ყურულთაიზე მონღოლებს დაუდგენიათ ყიჯაღეთის, ბულგარეთისა და რუსეთის დაპყრობა და სათანადო არმიაც გაუგზავნიათ ამ მისიის შესასრულებლად ბათო ყაენის სარღლობით, როგორც ჩანს, ჯალალედინის წინააღმდეგ გაგზავნილ ლაშქარი 1230—1235-იან წლებში საქართველოს მოსაზღვრე მაპმადიანურ სამფლობელოებსაც იმორჩილებდა და ნიადაგს ამზადებდა საქართველოს დასაპყრობად. „წარმოვიდეს ესე ოთხნი ნოინნი— ჩორმაღანი, ჩაღატა, იოსური და ბიჩიო, გამოელეს ჯეონი და ხუარასანი ვითარ ორმოცი ათასი კაცითა და დედაწულითა მივიდეს ქვეყანასა ალმოთისასა და წინა განეწყუნეს, და დიდად ავნეს, და წარვიდეს მიერ ქუეყანად ერაყისა და მოაოკრეს. რომელი მივიდის, შეიწყალიან და მერმე მოვიდეს ადარბადაგანს, რომელ არს თავრეჟი წინ მიეგებნეს ყოველნი ადარბადაგანელნი ძღუენითა ურიცხჳთა. მიერ მივიდეს ქალაქად არდაველისა, იგინიცა მოეგებნეს. გაელეს რახსი და მივიდეს განძად, რომელი-იგი მტკიცედ განმაგრებულ იყო, და სამთა დღეთა რა შინა ბრძოლა უყვეს თათართა, მყის აელთ იგდეს. და შიგან ქალაქსა ძევიდეს“[2] — მოგვითხრობს ჟამთააღმწერელი.

1235 წელს ყურულთაიზე მიღებული გადაწყვეტილებისა და ბათო-ყაენის არმიის მოქმედების დაწყებისთანავე მონღოლები სა-

---

[1] Л. Н. Гумилев. Поиски вымышленного царства. М., 1970. стр. 193.

[2] ქართლის ცხოვრება. II, 1959. ეკ. 184—185.

ქართველოში შემოჭრილან. 1235 წელს მონღოლთა მოსვლა არაფერით არ ჰგავდა ლაშა გიორგის დროინდელ მათივე ლაშქრობას საქართველოში. ამჯერად მათი მიზანი გარკვეული იყო და წინასწარ შემუშავებული გეგმის განხორციელებას ისახავდა. კერძოდ, საქართველოს დაპყრობა-დახარკვას. მონღოლთა მიზანი ადვილი მისაღწევი იყო იმის გამო, რომ საქართველოს სამეფო დაასუსტა და დაშალა ჯალალედინის ხუთწლიანმა თარეშმა, როცა ჯალალედინმა საქართველოს აოხრებას მიჰყო ხელი, ამით მან საბედისწერო შეცდომა ჩაიდინა; ჯერ ერთი, საქართველოში დაყოვნებით და აქ სისხლისმღვრელი ბრძოლების გაჩაღებით თავის დაუძინებელ მტრებს, მონღოლებს, საშუალება მისცა გამაგრებულიყვნენ შუა აზიაში. «Ему пришлось потратить время и силы на войну с Грузией, вследствие чего он потерял темп наступления, что позволило монголам закрепиться в Средней Азии»[1]. მეორეც, საქართველოს აოხრებით ჯალალედინმა თავისი მტრების გასაკეთებელი საქმე გააკეთა. „რა იცოდა ჯალალედინმა, როდ თავის ლაშქრობითა, ხოცვა-ყლეტითა და ცარცვა-გლეჯით ადარბაგანში და საქართველოში ის თავის დაუძინებელ მტრებს, მონღოლებს, უმზადებდა ნიადაგს და ამ ქვეყნების აოხრებითა და დასუსტებით ის მონღოლებს საუკეთესო სამსახურს უწევდა. იქ, სადაც ხვარაზმშაჰის ულმობელ და გამაოხრებელ ლაშქარს თავისი მსახვრელი ფეხი შეუდგამს, მონღოლებისათვის სამხედრო მოქმედება გაადვილებული იყო“ [2]. ბუნებრივია, ხვარაზმელთა მიერ აოხრებული და დასუსტებული საქართველო მონღოლებს საჭირო წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა. საქართველოს სამეფო კარი იმდენად თავზარდაცემული ყოფილა ხვარაზმელთა სისხლიანი ლაშქრობით, რომ საქართველოს მეფეს, რუსუდანს, მხოლოდ ჯალალედინის სიკვდილიდან ორი წლის შემდეგ გაუბედნია ქუთაისიდან თბილისში დაბრუნება. რუსუდანს არც უცდია მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლის მოწყობა, ისევ ქუთაისს დაბრუნებულა. ჩანს, საქართველოს პოლიტიკური წრეები კარგად იყვნენ ინფორმირებული, თუ რა სისასტიკეს იჩენდნენ მონღოლები წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, და ნაწილობრივ მაინც ამით უნდა იყოს გამოწვეული საქართველოს თავკაცთა აშკარა პასიურობა მტრის წინააღმდეგ. ერთი სიტყვით, საქართველოს სამეფო კარის დაბნეულობა ძვირად დაუჯდა ქართველ ხალხს. მონღოლებმა მნიშვნელოვანი სტრატეგიული ცენტრები

---

[1] Л. Н. Гумилев, Поиски вымышленного царства. М., 1970, стр. 190.

[2] ი. ჯაჯანიშვილი. ქართული ერის ისტორია. III, ვ. 76.

ჩაიგდეს ხელთ და მათი ძალაც აშკარად გამოიკვეთა. გასაგებია, ამის შემდეგ მტერი ქართველებს საშუალებას აღარ მისცემდა თავისი სამხედრო ძალის გაერთიანებისათვის. ცალ-ცალკე ბრძოლას კი მხოლოდ ზიანის მოტანა შეეძლო. თუ პლანო კარპინს დავუჯერებთ და გავიზიარებთ მის ცნობას იმის შესახებ, რომ მონღოლები „არავისთან ზავს არ სდებენ იმათ გარდა, ვინც მათ დაემორჩილება" [1], ნაშინ ურბნელი სწორი უსდა იყოს, როცა აღნიშნავს, რომ „სისხლისგან დაცლა სიკვდილის მომავლინებელი ბოროტება იქნებოდა და ამიტომაც ძლეულმა ერისთავებმა ზავი მოსთხოვეს გამარჯვებულ მტერს" [2]. ასეთივე აზრისაა ამ საკითხზე აკად. ივ. ჯავახიშვილი. აი, რას წერს იგი: „ავაგ ამირსპასალარი დარწმუნდა, რომ ხსნა არ იყო და მონღოლნი კაენთანაც გაიმარჯვებდნენ, შეხიზნული ხალხი კი ტყუილ-უბრალოდ იტანჯებოდა. ყველა ამ ბოროტსა ხედვიდა ამირსპასალარი ავაგ. ძე ივანე ათაბაგისა და ამიტომ დამორჩილება ამჯობინა" [3]. ავაგ ამირსპასალარის კვალს მიჰყვნენ სხვა ქართველი დიდებულებიც და არცთუ დიდი ხნის წინანდელი ძლიერი და ბევრი ყმადნაფიცი ქვეყნის მყოლი საქართველოს სამეფო სხვისი ხელის შემყურე და სხვისი ნების აღმსრულებელი შეიქმნა. სამცხის დამორჩილებამ წერტილი დაუსვა აღმოსავლეთ საქართველოს დამხობას მონღოლთა მახვილის წინაშე.

ურბნელს კარგად აქვს შემჩნეული, რომ მონღოლთა ბატონობამ, სხვათა შორის, თავისი დაღი დაასვა საქართველოს სოციალურ წყობილებას. მან იცის, რომ მონღოლთა უზარმაზარი სახელმწიფო სამხედრო მართვა-გამგეობის პრინციპზე იყო აგებული, რაც ხელს უწყობდა საქართველოში უგვარო სამხედრო პირთა აღზევება-გადიდკაცებას. „ამ მხრივ საგულისხმოა ბაკურციხელის დაწინაურება, რომელიც მონღოლებს სწორედ XIII საუკუნის შუა წლებისათვის პირველ „დუმნისთავად" დაუყენებიათ და მისთვის ჰერეთ-კახეთ-კამბეჩოვნის ლაშქარი ჩაუბარებიათ — ტფილისითგან და აღმართ ვითარ მთამდე შამახისა. ამის შემდეგ ეგარსლანი კიდევ უფრო განდიდებულა და უმეფობის ხანაში უმაღლესი ხელისუფლება, მეფობა, კინაღამ ჩაუგდია ხელთ" [4]. რასაკვირველია, ასეთი

---

[1] მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. II, 1942.

[2] პლანო კარპინი, ისტორია მონღოლებისა, რომელთაც ჩვენ თათრებს ვუწოდებთ, გვ. 39.

[3] ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 5.

[4] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 100.

[4] კ. გრიგოლია, ყამთააღმწერელი და მისი თხზულებების სამეცნიერო მნიშვნელობა. ქართული ისტორიოგრაფია, 1968, გვ. 99—100.

მოვლენები აძნელებდა წინანდელი წოდებრივი მდგომარეობის შენარჩუნებას. დაიყვეს თუ არა საქართველო,—წერს ურბნელი,—„მონღოლებმა მაშინვე სალაშქროდ მოაწყვეს მისი [illegible]ართვა. მთელი საქართველო თუმნებად გაჰყვეს: თუმანი კიდევ სამხედრო საერისთაოს შეადგენდა, სალაშქრო სამოურავოს, თუ შეიძლება ასე ითქვას, თუმნის მთავარს, ათი ათასი მხედარი ებარა და ეს მხედრობა სალაშქროდა უნდა გამოეყვანა, როცა უბრძანებდნენ. უწინდებური მთავარ-ერისთავი თემის სრული მმართველი იყო და სამხედრო საქმეებს გარდა სხვაც ბევრი ეკითხებოდა, მრავალი მოვალეობა და უფლება ჰქონდა მინიჭებული. ეხლა კი იგივე მთავარ-ერისთავი მარტო ჯარის უფროსი შეიქმნა. რადგანაც პირველად ნოინებმა ერთმანეთში გაინაწილეს დაპყრობილი საქართველო, ამიტომ თითოეულის ნოინს რამდენიმე თუმნის მთავარი კოგო წილში. მთელის ქვეყნისაგან ერთი უზარმაზარი ბანაკი შესდგა, სადაც საუკეთესო ვაჟკაცობა ყოველ წამს მზად იყო სალაშქროდ. მონღოლებიც, რასაკვირველია, მარტო ამას ეძებდნენ. რადგანაც მათი სიცოცხლე მთლად განუწყვეტელ ლაშქრობას უნდებოდა“ [1].

როგორც ცნობილია, ფეოდალური ხანის ურთიერთობის აუცილებელი პირობაა, რომ დამპყრობელი დაპყრობილს აუცილებლად სთხოვს გადასახადს. მაგრამ მონღოლები ამ მხრივ განსაკუთრებულ სიხარბეს იჩენდნენ და არ თაკილობდნენ გადასახადში აეღოთ ყველაფერი, რასაც ოდნავ მაინც ღირებულება ჰქონდა. რა თქმა უნდა, იმ ძირითადი გადასახადების გარდა, რომლებიც მძიმე ტვირთად აწვებოდა დაპყრობილ მოსახლეობას. ცნობილია, რომ მონღოლები ქვეშევრდომ მოსახლეობას აიძულებდნენ მიეცათ მათთვის ერთი შეხედვით ისეთი უმნიშვნელო ნივთები, როგორიცაა ტომარა, ცხენის ნალი, მშვილდის ლარი, თოკი, ისარი და სხვა.

რით უნდა აიხსნას მონღოლთა ასეთი დაწვრილმანება გადასახადების საკითხში?

აი, რას წერს ნ. ურბნელი ამის შესახებ: „მთელი მათი სიცოცხლე ომიანობას უნდებოდა, მაგრამ ომიანობისათვის, მახვილისა და მკლავის გარდა, სარჩო და სურსათია საჭირო. ხოლო იგი ხალხი, რომელიც განუწყვეტლივ ომიანობას მისდევს და სხვა ერთა დამონავება და ელეტა ხელობად გარდაუქმნია, თვითონ მოკლებულია ეკონომიურს ძალ-ღონეს და სხვების პირში შემაცქერალია, დაელასა და ძარცვაზე უპირავს თვალი. ასეთნი იყვნენ მონგოლებიც. ისტორიულს ასპარეზზედ გამოსვლის უმალვე მათ სხვების დამონაევება

---

[1] ნ. ურბნელი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 23.

დაიწყეს, ომს მიჰყვეს ხელი, სარჩო-საბადებლად კი „ხარაჯა“ და-დაელა გაიხადეს. ამიტომაც ვისაც კი დაიპყრობდნენ, მაშინვე ხარაჯით დატვირთავდნენ ხოლმე და რადგანაც მონღოლთა ქონებრივი სალარო თითქმის სულ ცარიელი იყო, მათ არც მრეწველობა და არც სხვაგვარი წარმოება არ მოეპოვებოდათ. ამიტომ ხარაჯას დიდს ადებდნენ დაპყრობილ ხალხს“.[1]

როგორც ვხედავთ, ნ. ურბნელი მონღოლთა მიერ დაპყრობილ ხალხებზე გაწერილი მრავალგვარი და მძიმე გადასახადის არსებობას მონღოლთა სახელმწიფოს თავისებურებით ხსნის, კერძოდ, იმით, რომ მონღოლთა სახელმწიფოში, რომელიც გამუდმებულ მძარცველურ ომებს აწარმოებდა, ვერ განვითარდა საწარმოო ძალები და ამიტომ ისინი მუდამ დაპყრობილი ხალხების ხარჯზე ცხოვრობდნენ და ხარკად ადებდნენ ყველაფერს, რაც საჭირო იყო მათი არსებობისათვის. მონღოლთა ადრეფეოდალურ სახელმწიფოში ამ ფაქტის არსებობა აღნიშნა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური კომიტეტის 1962 წლის III პლენუმმა, რაც შემდეგ საგანგებოდ დაიმოწმა ისტორიკოსმა ს. ტიხვინსკიმ სტატიაში «Татаро-монгольские завоевания в Азии и Европе»: «Грабительские войны Чингизхана повели к упадку производительных сил самой Монголии, принесли монгольскому народу неимоверные страдания»[2]. „ყოველწლიურად საქართველოს სამეფოდან მონღოლთა ლაშქრობებში მონაწილეობას იღებდა 90000 კაცი. ეს ვებერთელა არმია არა მარტო წყდებოდა თავის საკუთარ მეურნეობას, არამედ მისი დიდი ნაწილი ფიზიკურადაც ისპობოდა“[3]. ეს კი იწვევდა მწარმოებელი ძალის შემცირებას და ქვეყნის ეკონომიურ დაქვეითებას. „ეკონომიური უღელი ნაკლებად მძიმე არ იყო სამხედრო ბეგარაზედ; ამ უღელს ხალხი კიდევ როგორმე აიტანდა, თუ საუკეთესო მშრომელი ვაჟკაცობა მუდამ იარაღის ქვეშ არა მდგარიყო, ძაგრამ საქმეც ისაა, რომ სამხედრო ბეგარას ზედ „ხარაჯაც“ დერთო. საქართველო ორგვარად შეხუთეს, სისხლის დენას არ დაანებერეს, ქონებაც ხელიდან გამოაცალეს. სისხლის ნიაღვარს თან მიჰქონდა ქართველის სარჩო-საბადებელიც და ყოველსავე ამას ჰყლაპავდა იგი ვეშაპი, რომელსაც საერთოდ მონღოლი ეწოდება. ხარბი და გაუმაძღარია ეს ვეშაპი და როცა აკვირდები, თითქო უძირო

---

[1] ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 29.

[2] С. Л. Тихвинский, Татаро-монгольские завоевания в Азии и Европе, М., 1970, стр. 13.

[3] დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1962, გვ. 209.

სტომაქი აქვსო. მთელი სისხლის ზღვა შესვა ამ ვეშაპმა, აუარებელი სურსათი შესჭამა და მოინელაო"[1] — გადაუჭარბებლად გადმოგვცემს ნ. ურბნელი მონღოლთა ბატონობის შესახებ საშინელ სიმართლეს. „უდიდესი ზიანი მიაყენეს მონღოლებმა ამიერკავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ფეოდალურ მეურნეობას და ეკონომიურ ცხოვრებას, მონღოლთა ბატონობის უშუალო შედეგი იყო ფეოდალურად განვითარებული ქვეყნების ეკონომიურად დაქვეითება"[2].

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ მონღოლთა ბატონობის შედეგების შესახებ ისტორიკოსთა უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ მათ ბატონობას უბედურება მოჰქონდა დაპყრობილი ხალხებისათვის. მაგრამ ზოგიერთ ავტორს მონღოლთა ლაშქრობები პროგრესული და რეფორმირებული ხასიათის მოვლენად მიაჩნია. ასეთი აზრისათვის კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა სასტიკად გააკრიტიკეს ჰეგელი[3].

ისტორიკოს ა. ნ. ნასონოვს მონღოლთა საშინელი ბატონობის დასახასიათებლად თავის წიგნში „Монголы и Русь" საგანგებოდ მოაქვს კ. მარქსის სიტყვები: „Монгольские татары установили режим систематического террора, орудием которого были грабежи и массовые убийства"[4]. 1954 წელს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა ავტორთა კოლექტივის შრომა „История Монгольской Народной Республики", რომელშიც საგანგებოდაა აღნიშნული, რომ მონღოლებმა ასპარეზზე გამოსვლისთანავე „направили всю энергию молодой, только что сложившейся монгольской народности на захватнические войны и порабощение других народов Азии и Европы"[5]. ეს შეხედულება დღეს ეჭვს აღარ იწვევს. აუცილებლად ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ მონღოლთა მიერ უზარმაზარ სახელმწიფოს შექმნას შედეგად მოჰყვა სხვადასხვა სარწმუნოების და მოდგმის ხალხების ურთიერთგაცნობა-დაახლოება. ევროპის ქვეყნების ცხოველი ინტერესი აღმოსავლეთის ქვეყნებისადმი, გეოგრაფიული ცოდნის გაფართოება. ყველაფერ ამას, როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს „ცხადია, შეუძლებელია, კარგი შედეგი არ მოჰყოლოდა, რამდენადაც მსოფლმხედველობა და ცოდნაც უნდა გაფართოებუ-

---

[1] ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 29—30.

[2] ივ. ჯავახიშვილი, მონღოლები; ნარკვევები მახლობელი აღმ ისტორიიდან, 1954, გვ. 157.

[3] К. Маркс и Ф. Энгельс, Немецкая идеология, Соч., т. III, М., 1955, стр. 151.

[4] А. Н. Насонов, Монголы и Русь, М.-Л., 1940. стр. 3.

[5] История Монгольской Народной Республики, 1954, стр. 93.

ლიყო, მაგრამ ეს მონღოლთა შეგნებული პოლიტიკური საქმიანობისა და მზრუნველობის შედეგი კი არ არის, არამედ მოვლენათა უნებლიეთი, თავისთავადი შედეგი იყო. ისტორიულ მოვლენათა შორის ჩვენ უნდა განვარჩიოთ მიზანშეწონილი პოლიტიკის შედეგები მოვლენათა უნებლიეთი შედეგებისაგან. ის კარგი მხარე, რომელიც მონღოლთა ბატონობას უნებლიეთ თან სდევდა და მის შედეგად იქცა, მონღოლთა ღვაწლად არ შეიძლება მიჩნეული იყოს"[1].

თვით მონღოლებს საქართველოში თითქმის არც ერთი სასარგებლო წესი არ შემოუღიათ, არავითარი კულტურა არ მოუტანიათ და არც შეიძლება მოეტანათ. საქართველო ხომ გაცილებით მაღლა იდგა მათზე როგორც სულიერი კულტურით, ისე განვითარებული ეკონომიკით. ამიტომაც იყო მონღოლთა ბატონობა განსაკუთრებულად საშინელი და ძნელად მოსანელებელი, მონღოლები: „Огню и мечу предавались города и села, старая культура и цивилизация разрушались: то, что создавалось в течение веков, исчезало под ударами монгольских завоевателей. Монгольское иго, которое переживали культурные народы Азии и Восточной Европы, надолго затормозило их развитие и вызвало экономическое и культурное отставание"[2].

ნ. ურბნელი სევდანარევი სინანულით აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ მონღოლთაგან არავითარი სარგებლის ნახვა არ შეეძლო საქართველოს და წერს: „კიდევ კარგი, რომ მონღოლებს რაიმე სასარგებლო წესი შემოეღოთ, რომელიმე გამოსადეგი დაწესებულება დაემყარებინათ საქართველოში. ყოვლად შეუძლებელი და მოულოდნელი იყო მათგან ქვეშევრდომ ერს რაიმე სიკეთე ენახა, გამოსადეგი რაიმე ესწავლა, გადმოეღო. და ეს იმიტომ, რომ თვითონ მონღოლებს არა მოეპოვებოდათ რა. მთელს იმათს ავლადიდებას შეადგენდა თითო-ოროლა ნაწყვეტი ჩინური სიბრძნისა და საომარი წესწყობილება"[3]. მიუხედავად ასეთი ძსჯელობისა ნ. ურბნელი მაინც იმ აზრისაა, რომ მონღოლები ზავის პირობას მტკიცედ იცავდნენ და წერს: „რაკი ერთხელვე პირობით შეეკვროდნენ ვისმე, ზავის სიმტკიცეზედ თავის გამოდება იცოდნენო".[4]. ნ. ურბნელის ეს აზრი ჩვენ არ მიგვაჩნია გასაზიარებლად. ნ. ურბნელის ზემოთ აღნიშნული მოსაზრება ეყრდნობა ქამთააღმწერლის სიტყვებს. „ხოლო ფიცთა სიმტკიცედ ოქრო წმიდა სამჯერ წყალსა ჩაყონ, და განავ-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 396.
[2] Э. М. Мурзаев, Монгольская Народная Республика, 1952, стр. 64.
[3] ნ. ურბნელი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 21.
[4] იქვე, გვ. 5, 6.

ლონ იგი შეასუან, და მინდობილნი შეიწყნარონ და ამა ფიცსა არა ეცრუვნენ. სიტყუა ტყუვილი არა ამოვიდეს პირით მათით. მეკობრე და მბორგველი კაცი განუკითხავად მოკლიან, და სხუანი მრავალნი კეთილნი წესნი განეჩინნეს ზემო ხსენებულსა მას მთავარსა ჩინგიზ-ყაენს" [1]. „ფიცთა სიმტკიცე" მონღოლებს ავტორიტეტის მოსაპოვებლად ჭირდებოდათ და ისინი ზოგჯერ მართლაც მიმართავდნენ ამ ხერხს მტრის მისანდობად, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში უცერემონიოდ და უხეშად არღვევდნენ მოცემულს ფიცსა და სიტყვას, ამის საუკეთესო მაგალითია, როცა ჯებემ და სუბუდაიმ ყივჩაღებს საჩუქრები და ელჩები გაუგზავნეს და მოუატყუეს ჩვენ ურწმუნო ოსების დასასჯელად მოვედით, თქვენთან კი მშვიდობა გვწყურიაო. ყივჩაღებმა მონღოლებს დაუჯერეს და მათ მიერ მიტოვებული ოსები მონღოლებმა სასტიკად დაამარცხეს. ამის შემდეგ მონღოლებს არც გახსენებიათ თავიანთი ფიცი და ხელშეკრულება. „ყივჩაღები კი, საზაეო ხელშეკრულებით დაიმედებულნი, სრულიად მოუმზადებელნი შეხვდნენ შემოსეულ მონღოლებს. რაღა თქმა უნდა, დაუნდობლად გაჟლიტეს და გაძარცვეს მონღოლებმა ყივჩაღების მრავალრიცხოვანი ტომები და ყოველივე ის, რაც საჩუქრად მიიღეს მონღოლთაგან, მონღოლებმა ისევ უკან დაიბრუნესო, — შენიშნავს სპარსთა ისტორიკოსი" [2]. მონღოლები არაფრად აგდებდნენ მიცემულ ფიცს, თუ ამ ფიცის დარღვევა მათთვის ხელსაყრელი იყო. უფრო მეტიც, როგორც გუილიომ რუბრუკვისი მოგვითხრობს, „თათრები არასოდეს ამა თუ იმ ქვეყანას არ იპყრობდნენ თუ არ თვალთმაქცობით; და როდესაც ისინი ვინმესთან მშვიდობიანობას ამყარებდნენ. ამას მის მოსასპობად იყენებდნენ" [3]. პლანო კარპინი კი საერთოდ უარყოფს მონღოლთა მიერ არა მარტო მიცემული სიტყვის დაცვას, არამედ ამბობს, რომ „დედამიწაზე არ მოიპოვებიან მათი მსგავსი მატყუარები სხვების მიმართ, მათგან თითქმის ვერასოდეს მართალს ვერ გაიგებთ. თავდაპირველად ისინი ალერსიანი არიან, მაგრამ ბოლოს მორიელებივით იკბინებიან, ვერაგები და მზაკვრები არიან და თუ მოახერხეს, ყველას ეშმაკობით ატყუებენ" [4]. გამოდის, რომ ყამთააღმწერლის ზემოაღნიშნული მტკიცება. — მონღოლები თავისი სიტყვის პატრონები იყვნენო, —

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 189—190.

[2] ი. ცინცაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 130.

[3] მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი V, თბ., 1942; გუილიომ რუბრუკვისი, მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში. გვ. 138.

[4] პლანო კარპინი, დასახ. ნაშრომი, გვ. 16.

აშკარად არ შეეფერება სიმართლეს. და, რა თქმა უნდა, ნ. ურბნელი სწორი არაა, როცა ავტორის აზრს იზიარებს აღნიშნულ საკითხზე. ისტორიული მეცნიერება ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდა საკითხისადმი. თუ როგორ შეძლეს მონღოლებმა, რომ ეკონომიურად და კულტურულად მათზე გაცილებით განვითარებული ქვეყნები თავიანთი ბატონობის ქვეშ მოექციათ. ეს საკითხი ნ. ურბნელსაც მსჯელობის საგნად გაუხდია და უნდა ითქვას, რომ იგი სწორად ხსნის მონღოლთა გამარჯვების მიზეზს. მას მიაჩნია, რომ განვითარებული ფეოდალური ქვეყნისათვის დამახასიათებელია შინაფეოდალური შუღლი და მტრობა, რაც სახელმწიფოს პოლიტიკურ სხეულს ასუსტებს და ბრძოლის და გამარჯვების უნარს ართმევს მას. ამიტომ იყო, რომ, როგორც ნ. ურბნელი წერს, „თვით მონგოლებიც ეხმარებოდნენ და ხელს უწყობდნენ ფეოდალების გაძლიერებას, რადგან ეს მათთვის სასარგებლო იყო... ეს უკანასკნელი ხო ასუსტებდა ერის ძალ-ღონეს და უცხოელი მტრობის ბატონობას უფრო ფრთებს ასხამდა. მონგოლების დროსაც ასე იყო. და. რასაკვირველია. რომ იგინი ზრუნავდნენ, შეფოთი და შინაური აღრევა არ დაჰკლებოდა საქართველოს“.[1] მონღოლები, როცა ისინი საერთაშორისო ასპარეზზე გამოვიდნენ და თავიანთი დაპყრობებით თავზარი დასცეს ბევრ კულტურულ ქვეყანას, თვითონ საზოგადოებრივ-ეკონომიური თვალსაზრისით განვითარების უმდაბლეს საფეხურზე იდგნენ, მაგრამ ამ გარემოებას მათთვის ხელი არ შეუშლია სამხედრო წარმატებაში, რადგან „მონღოლთა დაპყრობითი ომების წარმატებებს მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი დაპყრობილი ქვეყნების შინაგანმა ვითარებამ, ფეოდალურმა ომებმა, გამწვავებულმა კლასობრივმა ბრძოლამ“,[2] რაც მონღოლთა ადრეფეოდალური სახელმწიფოსთვის ჯერ კიდევ ადრე იყო, მაგრამ როცა მათ სახელმწიფოშიც ანალოგიური პროცესები დაიწყო, ფეოდალური შუღლი და მტრობა ჩამოვარდა, როცა მონღოლ ყაენებს თავის დღით სიკვდილი სანატრელი გაუხდათ, მათ მიერ შექმნილი უზარმაზარი სახელმწიფო კი ფეოდალურ სამთავროებად დაიშალა—„...на отдельные независимые части, главным образом потому, что основана была не только на родовом, но и на феодальном принципе“[3].

---

[1] ნ. ურბნელი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 17—18.

[2] ვ. გაბაშვილი, მახლობელი აღმოსავლეთი მონღოლთა შემოსევის პერიოდში,მონღოლები, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან. 1957, გვ. 162.

[3] Г. Я. Владимиров, Общественный строй монголов, Л., 1934, стр. 124.

ეს მოვლენა კარგად აქვს დანახული ნ. ურბნელს და სწორედ ამით ხსნის იგი გიორგი ბრწყინვალის გამარჯვებას: „ფრთხილი მეფე მარჯვე დროს ელოდა და საბედოდ დროც მალე დაუდგა. საქმე ისაა, რომ საყენეროში შფოთი და განხეთქილება ასტყდა. ნოინებმა მოჰკლეს მცირეწლოვანი მუსაით ყაენი, თვით მძლავრი ჩოფანი ყაენ აბუ-საიდის ბრძანებით დაარჩეს 1327 წ. ქ. ჰერათში და მონგოლთა სამფლობელო ექვს ნაწილად განიყო, ყაენის ძალა შემცირდა“ [1].

როგორც ვხედავთ, ნ. ურბნელი საკმაოდ კარგად ერკვევა სოციალურ-საზოგადოებრივ კანონზომიერებაში და ამ კანონზომიერებით განპირობებულ მოვლენათა ახსნაში. მან ისიც კარგად იცის, რომ მახვილით და შიშველი ძალით გაერთიანებული სახელმწიფოების არსებობას დიდი დღე არ უწერია, რომ იგი ბოლოს და ბოლოს ისევ მახვილის მსხვერპლი ხდება. ამიტომ როცა მონღოლთა სახელმწიფოს დაცემის საკითხს ეხება, ნ. ურბნელი წერს: „მთელი მათი სიცოცხლე ომიანობასა და სისხლის ღვრაში დაილია და ბოლოს ხომ, რაც მახვილით დაარსდა, მახვილმავე შთანთქა და იმსხვერპლა“ [2].

ვერ გავიზიარებთ ნ. ურბნელის აზრს იმის შესახებ, რომ ქართველთა „ომსა შინა სიმტკიცეს მონგოლებიც ხედავდნენ და ქართველობა ლაშქრობის დროს მოწინავე რაზმად ჰყვანდნენ კიდეც. ამას თანამედროვენიც ჰმოწმობენ“-ო, თავისი აზრის დასამტკიცებლად ნ. ურბნელი ხომეხ ისტორიკოსს, მალაქიას, იმოწმებს. აქ სადავო ის კი არაა, რომ ქართველთა რაზმს მონღოლები წინა რიგებში აბრძოლებდნენ თუ არა (ეს ფაქტი თავისთავად მართალია), არამედ სადავოა ამ ფაქტის ახსნა იმ გარემოებით, თითქოს მონღოლები მოხიბლული იყვნენ ქართველთა ვაჟკაცობით და მხოლოდ ამიტომ უშვებდნენ მათ თავიანთ რაზმებზე წინ. ეს მოსაზრება არაა სწორი. მონღოლები ასევე წინა რიგებში გზავნიდნენ ბრძოლის დროს რუსთა, სომეხთა და სხვა დაპყრობილი ქვეყნიდან გამოყვანილ რაზმებს. როგორც პლანო კარპინი მოგვითხრობს, ისინი „მტრის წინააღმდეგ ტყვეებისა და სხვა მათთან მყოფი ადამიანების რაზმებს იფარებენ. ხანდახან ამ მოწინავე რაზმში თათრებიც ურევიან“ [4]. პლანო კარპინის მიერ დამოწმებული მონღოლთა ასეთი ხერხი ბრძოლის დროს, როგორც ჩანს, ნაკარნახევი იყო საკუთარი სიცოცხლის შენარჩუნების ინსტინქტით, ხოლო მათთვის ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, საფარი რაზმები მამაცებისაგან იქნებოდ-

---

[1] ნ. ურ ბ ნ ე ლ ი. დასახ. ნაშრომი, გვ. 73—74.

[2] ი ბ ი ვ ე, გვ. 22.

[3] ი ბ ი ვ ე, გვ. 25.

[4] პ ლ ა ნ ო კ ა რ პ ი ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 33.

ნენ შედგენილი თუ არა. მით უმეტეს. რომ აღნიშნულ რაზმებს უკან დახევის და საერთოდ თავისუფალი მოქმედების საშუალება მოსპობილი ექნებოდათ. ამ მიზნით ერივნენ ალბათ აღნიშნულ რაზმებში, როგორც პლანო კარპინი ამბობს, თვით მონღოლთა მეომრებიც. რომლებიც უკან იშვიათად იხევდნენ, რადგან: „железная дисциплина в Чингисовых войсках поддерживалась под страхом смертной казни за малейшие нарушения"[1].

როგორც ცნობილია, საქართველოში მეფე რუსუდანის გარდაცვალების შემდეგ უმეფობის ხანა ჩამოვარდა, ვინაიდან დავით რუსუდანის ძე დიდ ურდოში, ყაენის კარზე იყო გაგზავნილი და მისი ბედის შესახებ საქართველოში დანამდვილებით არაფერი იცოდნენ. როგორც ქამთააღმწერელი გვაუწყებს, „მაშინ შეკრბეს დიდებულნი ამის სამეფოსანი, რამე თუ ეგულებოდა მთავარ ყოფა მათ ზედა ეგარსლანისი, არა მათგან უგუარიანესისა კაცისა; ამისთჳს შეკრბეს მთავარნი ამერის საქართველოსანი; შანშე, ვარამ გაგელი, ყუარყუარე ჯაყელი, სარგის თმოგუელი, კაცი მეცნიერი და ფილოსოფოსი და რიტორი, სურამელი გრიგოლ, ქართლის ერისთავი გამრეკელი თორელი, ორბელნი, და მრავალნი ერისმთავარნი, და ძებნა ყეენ ლაშას ძისა დავითისათჳს"[2]. შემდეგ კი, როგორც ქამთააღმწერელი გადმოგვცემს, ქართველ თავკაცებს მონღოლებისათვის მიუმართავთ და დავით ლაშას ძე მეფედ დასამტკიცებლად გაუგზავნიათ ბათო ყაენთან. ბათოს კი თავის მხრივ იგი მანგუ ყაენთან გაუგზავნია დიდ ურდოში. ამ დროს მონღოლებთან მყოფი დავით რუსუდანის ძე ცოცხალი და ჯანმრთელი ყოფილა და, როგორც პლანო კარპინი გადმოგვცემს, თურმე დავით რუსუდანის ძეს ბევრი საჩუქრები დაურიგებია ყაენის კარზე, რომ საქართველოს მეფედ დაემტკიცებინათ. „განსაკუთრებით ბევრი საბოძვარი გასცა კანონიერმა ვაჟმა, რომელიც ითხოვდა, რომ მისთვის დაებრუნებიათ მამის მიერ დავითისათვის დატოვებული მამული, ვინაიდან, მისი სიტყვით, ის მრუშობის ნაყოფი იყო და არ შეეძლო მისი ფლობა. დავითი კი უპასუხებდა: თუმცა მე ხასის შვილი ვარ, მაგრამ სამართალს ვთხოულობ თათრების კანონის მიხედვით, რომელიც არავითარ განსხვავებას არ ხედავს კანონიერი ცოლისა და მხეველის მიერ დაბადებულ ვაჟებს შორისო[3] — მოგვითხრობს პლანო კარპინი, პლანო კარპინის ცნობას

---

[1] Ш. Сандаг, Образование единого Монгольского государства и Чингизхан. Татаро-монголы в Азии и Европе, М., 1970, стр. 39.

[2] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 217—218.

[3] პლანო კარპინი, დასახ. ნაშრომი, გვ. 37.

ადასტურებს ქამთააღმწერელიც და იგი დაწვრილებით მოგვითხრობს ორ დავითს შორის დავას, რომელთაც, რა თქმა უნდა, თავთავისი მომხრეები ჰყავდათ და ორივე მხარეს თავიანთი საბუთები მოჰქონდათ, თუ ვის ერგებოდა ტახტი — დავით გიორგის ძეს, თუ დავით რუსუდანის ძეს. საბოლოოდ საქმე ასე გადაწყვეტილა. ყაენს უნებებია ორივე დავითი მეფედ დაემტკიცებინა და საქართველოში გამოეგზავნა.[1]

ისმის კითხვა, რატომ დაამტკიცეს მონღოლებმა ორივე დავითი საქართველოს მეფეებად. რით ხელმძღვანელობდა ამ შემთხვევაში ყაენი? ნ. ურბნელის აზრით, ყაენმა საქართველოში ორი მეფე იმიტომ დაამტკიცა, რომ მათ შორის მტრობა ჩამოეგდო, რაც საქართველოს სახელმწიფოს ძლიერებას მუდმივ საფრთხეს შეუქმნიდა. მონღოლებს კი საბაბს მისცემდა ყოველთვის ჩარეულიყვნენ საქართველოს სამეფოს შინაურ საქმეებში. როცა მონღოლებმა „ერთად ორი მეფე დააბრძანეს ტფილისში, ორსავეს ერთნაირი უფლება აქვთო!... დიდი ჭირი და სენი შესძღვნა ამ ამბავმა ჩვენს სამშობლოს"[2]—წერს ნ. ურბნელი. მას მიაჩნია, რომ ორმეფობა საქართველოში „პირდაპირი შედეგი იყო მონღოლების ბატონობისა და იმათის პოლიტიკურის მანქანებისა. აქ, ამ ბატონობასა და მანქანებში ჩაისახა პოროტება, რომელიც ნელ-ნელა ასუსტებდა და ჰღრღნიდა ჩვენს ერთობას".[3] იმ საკითხს, თუ, რატომ სჭირდებოდათ მონღოლებს საქართველოში ერთ და იგივე დროს ორი მეფის დასმა, ეხება განსვენებული პროფესორი დავით გვრიტიშვილი. აი, რას წერს იგი: „როგორც ვიცით, დავით ლაშას-ძე და დავით რუსუდანის-ძე გიუქ ყაენმა ორივე საქართველოს მეფედ დაამტკიცა. მაშინ ორმეფობას საქართველოს ორ სამეფოდ გაყოფა არ მოჰყოლია. ვიცით, რომ მონღოლთა თვალში დავით ლაშას-ძე უფროსი იყო და დავით რუსუდანის-ძე — უმცროსი. იბადება კითხვა: მონღოლებმა ყოველივე ეს ხომ არ გააკეთეს იმიტომ, რომ ამ ორ მეფეს შორის შინაგანი მტრობა ჩამოეგდოთ? უნდა ვიფიქროთ, რომ გააკეთეს".[4]

ჩვენი აზრით, დავით ლაშას ძესა და დავით რუსუდანის ძეს შორის მდგომარეობა ჯერ კიდევ მაშინ გამწვავდებოდა, როცა ისინი ყაენის კარზე თავიანთი უფლებებისათვის იბრძოდნენ. საერთოდ კი საეჭვოა, საქართველოს ორ მეფეს ერთმანეთის გვერდით სრუ-

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 226.

[2] ნ. ურ ბ ნ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 15.

[3] ი ქ ვ ე.

[4] დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, 1962, გვ. 213.

ლი თანხმობით ეცხოვრათ და ერთნაირი საშინაო და საგარეო პოლიტიკა ეწარმოებიათ. ამ ეჭვს ისიც აძლიერებს, რომ, როგორც ქამთააღმწერელი მოგვითხრობს: „ესენი უმრავლესსა ქამსა ულო ყაენს წინაშე იყვნენ და ულო ლაშას ძისა დავითისთჳს უმეტეს მოყვარულ იყო, და რუსუდანის ძისა დავითისთჳს მოძულე“ [1]. აკად. ივ. ჯავახიშვილმაც საგანგებოდ აღნიშნა, რომ ორ მეფესა და მათ მომხრეებს შორის, „შუღლი“ და „აშლილობა“ სუფევდა [2]. ასე რომ არ ყოფილიყო და ორივე დავითს თანხმობითა და სიყვარულით განეგოთ საქართველოს ტახტი, ეს მონღოლთათვის მოულოდნელი იქნებოდა. ასე რომ, ნ. ურბნელის მტკიცება იმის შესახებ, რომ მონღოლთა ყაენს საქართველოს სამეფო ტახტზე ორი პიროვნების დასმით საქართველოს დასუსტება და შინაური აშლილობის გამოწვევა სურდაო, მართებული უნდა იყოს. ნ. ურბნელს ერთ ადგილას აღნიშნული აქვს: „არ შეიძლება ვსთქვათ, რომ მონღოლებს სამხედრო ნიჭი და აღღო აკლდათ“.[3] გარდა ამისა, იგი მონღოლთა მოქმედებაში, მათს საზოგადოებრივ-პოლოტიკურ წყობილებაში, მათ მიერ წარმოებულ ომებში ქცევისა და ყოფა-ცხოვრების ხასიათში ბევრს ვერაფერს ხედავს დადებითს, ამავე დროს ქამთააღმწერლის მისამართით წერს: „ჩვენი მატიანე ქებით იხსენიებს მონღოლებს, მაგ., ყოველი სიბრძნე იპოებოდა მათ შორის და ყოველი გონიერება მოეგოთ და სხვა“.[4] მართალია, ნ. ურბნელი საგანგებოდ არ აკრიტიკებს ქამთააღმწერელს მონღოლთა ასეთი ქებისათვის, მაგრამ რაკი თვითონ მსგავს ღირსებას არასოდეს მიაწერს მათ, აშკარაა, რომ ქამთააღმწერლის საქციელი არ მოსწონს, არ იზიარებს ამ შემთხვევაში მის შეხედულებას და მიაჩნია, რომ რაღაც სუბიექტური მიზეზის გამო ქამთააღმწერელი მონღოლებს დაუმსახურებლად აქებს. მართლაც, ქამთააღმწერლის თხზულებაში არც ისე ძნელია ეიპოვოთ მონღოლთა ღირსებების აღნიშვნა, რაც სხვა წყაროთა ჩვენებებს არ ემთხვევა და რასაც, ჩვენი აზრით, მხოლოდ ამ ნიჭიერი, განათლებული, განსწავლული და დაკვირვებული ისტორიკოსის მიუხვედრელობით, ანდა მის მიერ მონღოლთა ზნე-ჩვეულებების ნაკლები ცოდნით ვერ ავხსნით, მით უმეტეს, რომ, როგორც პროფ. ქ. გრიგოლია აღნიშნავს, „მის თხზულებაში. მართლაც მონღოლუ-

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 228.

[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 170—171.

[3] ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი. გვ. 25.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 5.

რი ენის, მათი ყოფის და ისტორიის საფუძვლიანი ცოდნის მაუწყებელი მაგალითები საკმაოდ მოგვეპოვება".[1]

ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა მსჯელობა იმ საკითხზე, თუ როგორ „სიმტკიცეს" იჩენდნენ მონღოლები საზავო ხელშეკრულების თუ მიცემული სიტყვის შესრულების დროს და ვნახეთ, რომ პლანო კარპინი და გუილიომ რუბრუკვისი, რომლებიც გასაოცარი დაკვირვების ნიჭს იჩენენ და რომლებსაც ვერავითარი გაჭირვება, სიცივე, უბინაობა, დაღლილობა, სიკვდილის შიში ხელს ვერ უშლის მონღოლთა სახელმწიფოში მოგზაურობის დროს შეკრიბონ და მოგვაწოდონ მონღოლთა შესახებ ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული და ისტორიული ცნობები, ერთხმად აღიარებენ მონღოლთა გაუტანლობას, მატყუარობას, ზავისა და ხელშეკრულების არად ჩაგდებას, როცა ეს მათთვის სასარგებლოა. ქამთააღმწერელი კი, პირიქით, მონღოლთა ერთ-ერთ საუკეთესო თვისებად სწორედ იმას მიიჩნევს, რომ ისინი არასოდეს სტყუიან ფიცის შესრულების დროსო და ამბობს „სიტყვა ტყუვილი არა ამოვიდეს პირით მათითო". მონღოლებმა კი პირველივე გამოჩენისთანავე ამიერკავკასიაში თავიანთი მოქმედებით არა ერთგზის დაამტკიცეს, რომ მათი ნდობა და მათთვის დაჯერება დაღუპვას უდრიდა. აი, ორი მაგალითიც: «После взятия Шемаха, Джебе и Субедей двинулись на север. На пути их стояли неприступные укрепления Дербента. Джебе и Субедей обратились к его правителю ширваншаху Рашиду с предложением заключить мир. Поверив им, Рашид направил к монголам 10 послов. Но одного из них монголы убили, а остальных заставили под угрозой смерти указать им горные проходы мимо дербентских укреплений»[2].

„Их единственной целью было покорить себе всех. Чтобы достичь этого, они не брезгали никакими средствами. Так, например, все те князья, которые в первый период подчинялись монголам и верно служили им, все равно были уничтожены"[3].

პლანო კარპინი კი საგანგებოდ აღნიშნავს: როცა მონღოლები „ციხე-სიმაგრესთან სდგანან, ალერსიანი სიტყვებით ატყუებენ ალყა შემორტყმულთ და მრავალ რამეს აღუთქვამენ ხოლ, რათა ისინი დანებდნენ. ხოლო თუ მართლა დანებდნენ, ეუბნებიან გამოდით, რათა აღვრიცხოთ ჩვენი წესის მიხედვით. როცა ისინი გამოდიან, თათრები ჰკითხავენ, რომელმა თქვენგანმა იცით რამე ხელობაო და ასეთებს

---

[1] ქართული ისტორიოგრაფია, I, 1968, გვ. 90.

[2] История СССР, т. II, 1966, стр. 39.

[3] А. Галстян, Завоевание Армении монгольскими войсками. Татаро-монголы в Азии и Европе, 1970, стр. 171.

სტოვებენ: სხვებს კი, იმათ გარდა. რომელთაც მონებად იხდიან, ნაჯახით თავს სჭრიან"[1]. პლანო კარპინის აზრს იცავს გუილიომ რუბრუკვისიც მონღოლთა „პირის სიმტკიცის" შესახებ[2]. ამ მოგზაურთა ცნობები კი აუცილებლად ანგარიშგასაწევი და უმეტეს შემთხვევაში სანდოა". „Особенно яснымн и точными сведениями отличается отчет Вильгельма Рубруквиса, хорошо подготовившегося к далекому путешествию. Он отличал выдумку от правды, тщательно выбирая крупинки истины для своего отчета"[3]. როგორც აღნიშნეთ, ქამთააღმწერელი კარგად იცნობს მონღოლებს, მათ ზნე-ჩვეულებებს, ყოფაცხოვრებას. ჩვენ ვიტყოდით, რომ იშვიათია საერთოდ მონღოლთა შესახებ დაწერილი ნაშრომი, სადაც თუნდაც მათი ფიზიკური დახასიათება ისეთი სისრულით იყოს წარმოდგენილი, როგორც ეს ქამთააღმწერელსა აქვს მოცემული. საოცარ სიზუსტეს იჩენს იგი მონღოლთა ფიზიკური აღნაგობის გადმოცემისას, როცა წერს: „თუალითა მცირე ჭურიტ და გრემან, განზიდულ და საჩინო; თავითა დიდ, თმითა შავ და ყშირ, შუბლბრტყელ, ცხვრითა მდაბალ ესოდენ, რომელ ღაწუნი უმაღლეს იყვნიან ცხვირთა და მცირედნი ოდენ ნესტუნი ჩნდიან ცხვირთა, ბაგენი მცირე, კბილნი შეწყობილნი და სპეტაკ. ყოვლად უწუერული"[4]. ერთი სიტყვით, ქამთააღმწერელი კარგად იცნობს მონღოლებს და, მიუხედავად ამისა, ხშირად მათ მიაწერს ბევრ ისეთ თვისებას, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. ჩვენი აზრით, ეს უნდა აიხსნას წინასწარი განზრახვით და არა სინამდვილის უცოდინრობით. მაგალითად, როცა ქამთააღმწერელი ამტკიცებს, რომ მონღოლები არასოდეს სტყუიან ფიცის მიცემის შემთხვევაში და თავიანთ ხელშეკრულებას მტკიცედ იცავენო, ამით მას სურს გაამართლოს ამირსპასალარ ავაგ ივანეს ძის მოქმედება და უნდა დაუმტკიცოს მკითხველს, რომ ავაგ ივანეს ძე ბრმად კი არ მინდობია მონღოლებს, არამედ ეს მისი მოფიქრებული პოლიტიკური ნაბიჯი იყო, რადგან მან კარგად იცოდა, რომ მონღოლები ზავისა და ფიცის დადების დროს არ სტყუოდნენო. ეს ტექსტიდანაც კარგად ჩანს. ქამთააღმწერელი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ: „ამით ოქროთა საფიცრითა დაუმტკიცეს მოციქულთა ავაგისთა ფიცი, რომლითა დაჯერებულ იქმნა, ამისთვს რომელ არა იყო ტყუვილი, არცა სიცრუე ფიცთა მათ შორის"[5].

---

[1] პლანო კარპინი, დასახ. შრომა, გვ. 34.

[2] გუილიომ რუბრუკვისი, დასახ. შრომა. გვ. 138.

[3] Э. М. Мурзаев, Монгольская Народная Республика. М., 1952, стр. 65.

[4] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 158.

[5] იქვე, გვ. 190.

საერთოდ, ჟამთააღმწერელი მეფეთა და დიდაზნაურთა სამხედრო პოლიტიკურ მოღვაწეობას აღწერს; ესაა მისი, როგორც ისტორიკოსის ძირითადი ამოცანა. ამიტომ, ბუნებრივია, მათი მოღვაწეობის გამართლებისათვის ზოგჯერ იგი სიმართლეს ღალატობს. გარდა აღნიშნული მოტივისა, კიდევ ერთი გარემოებით უნდა იყოს გამოწვეული ჟამთააღმწერლის, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ლიბერალიზმი" მონღოლების მიმართ. აი, რა მიგვაჩნია ჩვენ ასეთ გარემოებად. ჟამთააღმწერელი სასულიერო პირი ჩანს (ეს აზრი დღეს შეწყნარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში როგორც პროფ. კ. გრიგოლია ამტკიცებს: „რადგანაც ჩვენ ჟამთააღმწერლის მედასეობის საკითხი გამორკვეული გვაქვს და მისი მაღალი სამღვდელოებისადმი კუთვნილებაში ეჭვი არ გვეპარება, ვფიქრობთ, არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ ის XIV საუკუნის შუა წლების ერთ-ერთი მაწყველელი ან უფრო ოპიზარ-მაწყველელი უნდა ყოფილიყო" [1]). ამასთან ერთად, ცნობილია, რომ მონღოლები სასულიერო პირთ ნაკლებად ერჩოდნენ და ეკლესიის მიმართ ნაკლებ სიმკაცრეს იჩენდნენ, განსაკუთრებით თავიანთი ბატონობის პირველ პერიოდში. მონღოლთა აღნიშნული მოქმედება ალბათ გამოწვეული იყო წინდახედული პოლიტიკის შედეგად. ისინი ვარაუდობდნენ, რომ ეკლესია ასეთ შემთხვევაში ნაკლებ თაოსნობას გამოიჩენდა აემხედრებინა ხალხი დამპყრობელთა ბატონობის წინააღმდეგ. რასაც, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მტრების სასარგებლოდ. ჟამთააღმწერელი კი, როგორც ჩანს, ეკლესიის მიმართ მონღოლთა შედარებით ლოიალურ დამოკიდებულებაში თითქოს უფლის ნებას ხედავს და ამბობს: „ხოლო ითქვა ესეცა, ვითარმედ ჩინგიზ-ყაენი აღვიდა მთასა მაღალსა, და გამოუჩნდა უფალი იესო ქრისტე, ღმერთი ყოველთა, და მან ასწავა სამართალი, სჯული, სიწმინდე და სიმართლე, ტყუილისა, პარვისა და ყოვლისა ბოროტისაგან განშორება და რქუა: „თუ მცნებანი ესე დაიმარხე, ყოველი ქუეყანა შენთჳს და ნათესაჳსა შენისათჳს მიეცემიეს, წადი და აღიღე ყოველი ქუეყანა, რაოდენი გეძლოს" [2].

ნაკლებ საჩოქნონო იქნება, თუ ჟამთააღმწერლის მიერ აღნიშნული ზღაპრის სინამდვილედ გასაღებას მისი გულუბრყვილობით ავხსნით. ცხადია, ჟამთააღმწერელი ამას შეგნებულად აკეთებდა. ამ მხრივ ჟამთააღმწერელი გამონაკლისს არ წარმოადგენს. მონღოლების შესახებ მსგავსი ცნობები დაცულია ძველ სომხურ წყაროებშიც.

---

[1] ქართული ისტორიოგრაფია, I, 1968, გვ. 80.

[2] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 162.

მაგალითად, სომეხი ეპისკოპოსი სტეფანოსი აბაღა ყაენის სიკვდილთან დაკავშირებით წერს: „Умер в Хемиане (Хамадан — А. Г.) добрый мироотворец наш Абагахан"[1]. ხომ ფაქტია, რომ სტეფანოსი აქ აბაღა ყაენის შესახებ სიმართლეს არ წერს. ერთი სიტყვით, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჟამთააღმწერლის თხზულებაში არ უნდა იყოს მოულოდნელი მონღოლთა არც თუ იშვიათი ქება, რაც სიმართლეს არ შეეფერება. ამიტომ ნ. ურბნელის პოზიცია გამართლებულად მიგვაჩნია, როცა ის არ იზიარებს ჟამთააღმწერლის ზოგიერთ ცნობას მონღოლ დამპყრობთა სიავკარგის შესახებ. ნ. ურბნელი საფუძვლიანად და ფართოდ განიხილავს გიორგი ბრწყინვალის ღვაწლს, რამდენადაც წყაროები ამის საშუალებას იძლევა.

როგორც ვიცით, გიორგი ბრწყინვალის პიროვნების შესახებ ძუნწი ცნობები მოგვეპოვება. გიორგი ბრწყინვალის მოღვაწეობის მეცნიერული შესწავლისათვის ნ. ურბნელს აუცილებლად მიაჩნია, უპირველეს ყოვლისა. განხილულ იქნეს საქართველოს მდგომარეობა მონღოლთა უღელქვეშ და მონღოლთა ბატონობის შედეგები. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი აზრით, ძნელი შესაფასებელია გიორგი V მოღვაწეობა და მისი დამსახურება სამშობლოს წინაშე. ჟამთააღმწერლის თხზულებაშიც ძალიან უმნიშვნელო ცნობები მოიპოვება გიორგი ბრწყინვალის ეპოქაზე. როგორც ჩანს, „ქართლის ცხოვრების" ეს ნაწილი დაკარგულია. მაგრამ ნ. ურბნელი შეცდილა ეპოქის მოვლენების ანალიზის საფუძველზე შეძლებისდაგვარად წარმოეჩინა და დაეხასიათებინა ამ ნიჭიერი სახელმწიფო მოღვაწის საშინაო და საგარეო პოლიტიკა.

როგორც აღვნიშნეთ, ნ. ურბნელი, უპირველეს ყოვლისა, აღწერს, თუ რას წარმოადგენდა საქართველოს სახელმწიფო მეფე გიორგი დემეტრეს ძის ტახტზე ასვლის წინ. იგი შემაძრწუნებლად გვიხატავს მონღოლთა ბატონობის შედეგს და წერს: „თვით-არსებობის მოსპობა, ყმობა ერისა სხვა ფერსა სდებს მის შინაურ ცხოვრებას, მაშინ ერის მთელი აგებულება მოდუნებულია, ყველა ძარღვი მოშლილია. ცხოვრება რიგსა და წესზე არ მიმდინარეობს. ზნეჩეულება, სარწმუნოება, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც კი ერის „წმინდათა წმინდას" შეადგენს, შერყეული და დარღვეულია. ეს ბოროტება თან მოჰყვა, რასაკვირველია, მონგოლების ბატონობასაც. ასეც უნდა მომხდარიყო, რადგანაც უცნაურმა და სასტიკმა ქარიშხალმა დაჰბერა ჩვენს ცხოვრებას და ეს უკანასკნელი წალეკა და სახე უცვალა, რაკი ქარიშხალის გამო ცხოვრების ჩარხი უკუღმა

[1] А. Галстян, Завоевание Армении монгольскими войсками. Татаро-монголы в Азии и Европе, М., 1970, стр. 171.

დატრიალდა, ცხოვრებასაც ყველაფერში უკულმართობა დაეტყო"[1]. და მართლაც, მონღოლების ბატონობას საქართველოში შეუძლებელია არ მოჰყოლოდა პოლიტიკური, ეკონომიური თუ მორალური დაქვეითება-დაცემა. როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, „მონღოლთა ყაენების ბატონობას მთელი საშინელება თვით მონღოლთა მთავრობის სათავეში მდგომ აბუსაიდ ყაენის იმ იერლაყშიც (ანუ სიგელში) არის კარგად აღბეჭდილი, რომელიც 1319 წლის ახლო ხანში გამოცემული იყო და რომლის სპარსულად დაწერილი ტექსტი სხვათა შორის ანისის მანუჩეს მიერ აგებულ მიზგითის კედლებზედაც იყო გამოკვეთილი. აბუსაიდ ბაჰადურ ყაენს ამ თავის ბრძანებაში ნათქვამი აქვს, რომ საქართველოში და საქართველოს ქალაქებში, მათ შორის ანისშიც, ისეთი უწესობა ყოფილა, რომ კანონით განსაზღვრულ გადასახადს დამღასა და სამართლიან ბაეს გარდა, თურმე სრულებით თვითნებურად და უკანონოდ მოხელეების მიერ მრავალი სხვადასხვა გადასახადი და გამოსაღებელიც იკრიბებოდა. ამ მდგომარეობაში მყოფი საქართველოს ქალაქების მოსახლეობა ისე ყოფილა შევიწროებულ-შეწუხებული, რომ ხალხიო, ნათქვამი აქვს იერლაყში. ქალაქებიდან და სოფლებიდან გარბისო. მან თავისი უძრავი და მოძრავი ქონება, სახლკარი მიატოვა და აიყარაო"[2].

როგორც ეხედავთ, საქართველოს მცხოვრებნი იძულებული ხდებოდნენ სახლ-კარი, მამული მიეტოვებინათ და გაქცეულიყვნენ. ამაში ხედავდა ხალხი გამოსავალს, რომ თავი დაეღწია მტრის ბატონობასა და შეუბრალებელი ხოცვა-გლეჯისაგან. როგორც ვიცით, ყაზან-ყაენმა სცადა მდგომარეობა გამოესწორებინა. ეს, უპირველეს ყოვლისა, ყაზან-ყაენს სჭირდებოდა მონღოლთა საყაენოს ძლიერების შენარჩუნებისათვის, მაგრამ „საბოლოო ანგარიშში ყაზან-ყაენის „რეფორმებმა" მარცხი განიცადა"[3]

დასახელებული ადგილების გაუკაცრიელება კვლავ გრძელდებოდა. „შინაურმა უწესობამ და გარეშე მტრის ულმობელმა მოპყრობამ შეარყია საეკლესიო წესწყობილება და ბიწიერების გზაზედ დააყენა... ჩვენი წარსული ცხოვრება გვიმტკიცებს, რომ როცა მეფობა დასუსტებულა და უწესობას დარჩენია ბურთი და მოედანი, მაშინ სარწმუნოებაც შელახულა... მონგოლების ბატონობა ხელს უწყობდა ამგვარ მდგომარეობას და არა თუ მარტო საქალაქო ცხოვ-

---

[1] ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 35.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, 1966, გვ. 395—96.

[3] ვ. გაბაშვილი, ილხანთა ირანი XIV ს-ის პირველ ნახევარში. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, 1957, გვ. 212.

რებაში, არამედ სასულიერეროშიაც უწესობა და უკუღმართობა განხორციელდა".[1]

უდავო ფაქტია, რომ მონღოლთა ბატონობამ საქართველოში თავისი „მსახვრალი" გავლენა მოახდინა და ხანგრძლივი დროით დაამუხრუჭა საქართველოს ეკონომიური, საზოგადოებრივი თუ კულტურული განვითარება. მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ყველაფერი ჩაკვდა, რომ „მთლად დაიშალა და დაირღვა სახელმწიფო ცხოვრება და როცა ამ ყოფა-ცხოვრებას თვალს ადევნებთ, ისე გგონიათ, თითქო ეს რაინდული და ოდესმე ბრწყინვალე დიდ-კაცობა განადირდა და გაველურდაო".[2] ეს რომ ასე ყოფილიყო, ერთი ადამიანის. თუნდაც ისეთი ნიჭიერი პიროვნების, როგორიც იყო გიორგი V. მოღვაწეობის მოკლე დრო არ იქნებოდა საკმაო იმისათვის, რომ უკვე გიორგი V მეფობის ხანაში თბილისისათვის რომის პაპს „იოვანე XXII „საუკეთესო, მეტად შესანიშნავი, ერით სავსე მარჯვე და სიმდიდრით უხვი ქალაქი"[3] ეწოდებინა. ჩანს, საქართველოს სახელმწიფო და ქართველი ხალხი მონღოლთა ბატონობის ძნელბედობის პერიოდშიც ინარჩუნებდა გარკვეულ ეკონომიურ-კულტურულ პოტენციალს, რამაც ხელი შეუწყო ჩვენი ქვეყნის სწრაფ მოღონიერებას, მონღოლთა უღლის გადაგდების პირველსავე წლებში. ნ. ურბნელს კარგად აქვს შეგნებული გიორგი ბრწყინვალის დამსახურება, სათანადოდ აქვს შეფასებული მისი ნიჭიერება, კარგი პოლიტიკური ალღო და. საერთოდ, გიორგი ბრწყინვალის მოღვაწეობის შედეგებიც სავსებით რეალურად აქვს ნაჩვენები. ჩვენ ვფიქრობთ რომ ნ. ურბნელის მიერ გიორგი ბრწყინვალის ღვაწლის შეფასება არ შეიძლება გაბაჟარბებულად მიიღოს საქართველოს ისტორიის აღნიშნული ეპოქის მკვლევარმა. აი, რას წერს ნ. ურბნელი გიორგი ბრწყინვალის შესახებ: „იმ დიდსა და გრძელს სივრცეზედ, რომელიც მონღოლების მფლობელობას უჭირავს, გიორგი V განმარტოებით სდგას და აღმოსავლეთის ვარსკვლავივით ჰბრწყინავს, ელვარე სხივსა ჰფენს წინაპართა სამეფო გვირგვინს. მთელს ოცდარვა წელს სამეფო ტახტითგან ეს ვარსკვლავი აციმციმებდა სამშობლოს და ამ დროის განმავლობაში თვით სამშობლოც ფენიქსებრ განახლდა, განსპეტაკდა, პატივი და დიდება მოიხ-

---

1 ნ. ურ ბ ნ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 38.

2 ი ქ ვ ე, გვ. 19.

3 მღვდელი მ ი ქ ე ლ თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკოსისა ქართველთა შორის, ტფ., 1902, გვ. 32.

ვეჭა... არ ვიცით, რა უფრო უნდა გვაკვირვებდეს — იმისი ძლიერება, თუ სიბრძნე-გონიერება".[1]

ქამთააღმწერელიც ხომ ასევე აღფრთოვანებულია გიორგი V პიროვნებით, როცა აღტაცებით მოგვითხრობს: „ოამეთუ მარტო იყო ძე დედისა, მარტო შვა დედამან; ვითარცა მარგალიტისათჳს თქჳულ არს მარტოება უმჯობესისათჳს, ეგრეთვე გიორგი იპოვა უმჯობესი ყოველთა კაცთა მის ქამისათა, არა ოდენ ქელმწიფეთა, არამედ ყოველთა კაცთა".[2]

ნ. ურბნელმა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ასე წარმოაჩენს გიორგი V პიროვნებასა და მის დამსახურებას, კარგად იცის, რომ აღნიშნული მეფის წარმატებები სახელმწიფოებრივ სარბიელზე განაპირობა არსებულმა ისტორიულმა მდგომარეობამ; ამიტომ არის, რომ მას უპირველეს ყოვლისა საჭიროდ მიაჩნია განიხილოს ის ისტორიული სიტუაცია, რამაც ხელი შეუწყო მეფის ნიჭიერების გამოვლინებას. მას მიაჩნია, რომ თუ ტალანტს არა აქვს გამოვლინების ობიექტური პირობები, იგი უკვალოდ და უსახელოდ კვდება და იკარგება. ნ. ურბნელი გიორგი ბრწყინვალის მოღვაწეობას ადარებს და ამსგავსებს დავით აღმაშენებლის მოღვაწეობას. მას აღნიშნული აქვს: „ბევრი საერთო თვისება და ღირსება მოიპოვება მათ შორის, დიდად მოგვანან იგინი ერთმანეთს, თითქო განგებამაც ერთნაირი ხვედრი არგუნა ამ ორ შესანიშნავ მეფეს, თითქო ბედის წერამ ერთსა და იმავე გარემოებაში ჩააყენა და მოათავსა ეს ორი საკვირველი ადამიანი" [3].

განუზომელია გიორგი ბრწყინვალის ბრძოლა საქართველოს საჰელმწიფოსათვის XII საუკუნის დროინდელი საერთაშორისო „წონისა" და პოზიციების დასაბრუნებლად, მტრის წინააღმდეგ მოქნილი და მრავალგვარი პოლიტიკის საწარმოებლად, შინაური მტრების ასალაგმავად, სამართლისა და კანონის წონასწორობის აღსადგენად.

დავით აღმაშენებელმაც ხომ არსებითად მსგავსი პრობლემების გადაწყვეტას შეალია სიცოცხლე. ამიტომ ძნელი არაა, აღნიშნულ მეფეთა ეპოქების შესწავლისას მკველვარმა მათ მოღვაწეობაში მსგავსება აღმოაჩინოს, საერთოდ კი, გიორგი ბრწყინვალეს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ძველი საქართველოს პოლიტიკურ ისტორიაში და ამ მხრივ აქაც ნ. ურბნელის მიერ მინიშნებული მისი მსგავსება დავით აღმაშენებელთან მართებული უნდა იყოს.

---

[1] ნ. ურბნელი, დასახელებული ნაშრომ, გვ. 6—7.

[2] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 286.

[3] ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრომი. გვ. 8.

ნ. ურბნელი, როგორც წესი, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გამოჩენილი პიროვნების (მეფე იქნება იგი თუ სხვა ვინმე) აღზრდას, განათლებას, მწიგნობრობას, ზნეობას, კულტურას და სხვა ღირსებებს. გიორგი V შესახებ ჩვენმა საისტორიო მწერლობამ, როგორც ამას ნ. ურბნელი საგანგებოდ აღნიშნავს, ძალიან ცოტა რამ შემოგვინახა და თითქოს არაფერი ვიცით მეფის ბავშვობის წლების, მისი განათლების შესახებ. ბუნებრივია, ნ. ურბნელი ამ შემთხვევაში ვერ დაემყარებოდა ვერავითარ წყაროს, მაგრამ იგი მაინც ცდილობს შექმნას გარკვეული აზრი. თუ რა განათლება უნდა მიეღო მას. ქამთააღმწერლის თხზულებიდან ვიცით, რომ დემეტრე II უფლისწული გიორგი შეეძინა ბექას ასულისაგან. „ხოლო ასულმან ბექასამან ნათელ უშვა ძე მხოლო გიორგი, რომელი უკანასკნელ ძმათა მისთა მეფე იქმნა".[1] ქამთააღმწერელი გვაწვდის ასეთ ცნობასაც: როცა დემეტრე ყაენთან გამგზავრებულა და, რა თქმა უნდა, არ იცოდა დაბრუნდებოდა თუ არა ცოცხალი, თავისი ოჯახისათვის უზრუნია და პატარა გიორგი იშხანის ციხეში გაუგზავნია: „ხოლო ყრმა მცირე გიორგი წარგზავნა ტაოს, იშხანის ციხესა, ასპარაშენს და თჳთ წარეიდა ურდოსა".[2] როგორც ჩანს დემეტრე მეორეს თავისი ქონების ნაწილიც სიმამრთან, ბექა ჯაყელთან გაუგზვნია და შემდეგ ეს ქონება ბექას დემეტრეს ძის დავით მეექვსისათვის გამოუგზავნია თავისი შვილის სარგის ჯაყელის ხელით. „წარმოუგზავნა ძე თვისი სარგის უხუცესი და ყოველი საჭურჭლე დიმიტრი მეფისა და სარტყელიცა იგი ძვირფასი"-ო,[3] წერს ვახუშტი.

როგორც ვიცით, დემეტრე II მონღოლეთიდან აღარ დაბრუნებულა. არღუნ ყაენმა იგი 1289 წელს სიკვდილით დასაჯა. ამის შემდეგ, ბუნებრივია რომ გაელენიანი და ძლიერი ფეოდალი — ბექა ჯაყელი იზრუნებდა თავისი შვილიშვილის გიორგის ბედზე, მის აღზრდაზე, ვახუშტი საგანგებოდ აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ „გიორგის ზრდიდა პაპა თვისი ბექა ჯაყელი"[4] და გასაგებია ბექა შვილიშვილს „წვრთნას" არ მოაკლებდა მით უფრო, რომ იგი საქართველოს სამეფო ტახტის კანონიერი მემკვიდრე იყო. სწორედ ეს მოტივი მიაჩნია ნ. ურბნელს მის გარანტიად, რომ გიორგი V ბავშვობაში კარგი განათლება უნდა მიეღო. ნ. ურბნელი წერს: „არაა მოხსენებული, თუ როგორ აღიზარდა გიორგი V, თუმცა კი შეიძლება

---

[1] ქართლის ცხოვრება, გვ. 288.
[2] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ისტორია. ნაწ. I. ტფ., 1885. გვ. 201.
[3] ი ქ ვ ე.
[4] ი ქ ვ ე.

ვიფიქროთ, რომ მეფეს დროს შესაფერად საუკეთესო აღზრდა უნდა მიეღო. ამ აზრს ჩვენ ბექას ცხოვრებასა და ხასიათზედ ვაფუძნებთ“ [1].

ბავშვის აღზრდაზე, მის სულიერ ჩამოყალიბებაზე დიდ გავლენას ახდენს საზოგადოება, რომელშიც იგი იზრდება და, ნ. ურბნელის აზრით, მომავალი მეფე ამ მხრივ უზრუნველყოფილი იყო. მას თვალწინ ჰქონდა „პაპას სახელოვანი ცხოვრება, თითონ სახლში კიდევ სამაგალითო ოჯახობა — განა ყველა ეს საუკეთესო სკოლა არ იყო? კერძო ცხოვრებაშიაც ბექა ხასიათითა და თვისებით აღემატებოდა ყველა თანამედროვე მთავარს,... კაცი წარმატებელი ყოველსა შინა, სიკეთე აღმატებული საღმთო საკაცობითა საქმეთა.... იმ დროის აღზრდა და განათლება თხოულობდა, დიდის ოჯახის შვილი ყოფილიყო ნამდვილი ქრისტიანე, საღმთოს მცოდნე და მერე მეომარი“ [2]. ყველა ეს თვისება და ღირსება, ნ. ურბნელის აზრით, პატარა გიორგის შეეძლო თავისი პაპის — ბექა ჯაყელის სახლში მიეღო და შეეთვისებინა. „რასაკვირველია, — წერს ნ. ურბნელი, — საბუთების უქონლობის გამო, მარტო ისტორიულს სინტეზსს ვერ ვენდობით და გადაჭრით ვერ ვიტყვით, რა სწავლა და მიმართულება შეიძინა გიორგიმ პაპის სახლში, მაგრამ ის კი უტყუარია, რომ მას ბევრი თვისება და ხასიათი გამოჰყვა თავისის პაპისა. აბა კარგად ჩაუკვირდით მეფის სულსა და გულს, თუ დიდი მსგავსება რა ჰპოვოთ“ [3].

როგორც ვიცით „ძეგლის დება“ მრავალმხრივ საყურადღებო ნაშრომია და პირველ რიგში მას ძველი ქართული სამართლის შესასწავლად ენიჭება დიდი მნიშვნელობა. უნდა ვიფიქროთ, რომ სამართლის ცოდნა უცხო არ უნდა ყოფილიყო გიორგი ბრწყინვალისათვის, რომლის მეფობის ხანაში შეიქმნა სამართლის ეს საყურადღებო ძეგლი. ნ. ურბნელი გიორგი V განათლებას და ცოდნას სამართლის დარგში მეფის ბავშვობის წლებს უკავშირებს და მიაჩნია. რომ პაპის ოჯახში, სადაც განუწყვეტლივ არსებობდა სჯულისა და კანონის სიყვარული, ოჯახში, რომელიც „თითქოს იურიდიულ სკოლად გადაიქცა“ და შემდგომში „ბექა მეორემ და აღბუღამ მთელი სამართლის წიგნი დაუტოვეს სამშობლოს, გიორგი მეფესაც სამართლის მოქმედება დასჩემდა და, ვინ იცის, იქნება ძეგლის დების ავტორი პაპის სახლშიაც სწავლობდა კანონ-მდებლობას“ [4]. ჩვენ ხომ

---

[1] ნ. ურ ბ ნ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 46.

[2] ი ქ ვ ე. გვ. 50—51.

[3] ნ. ურ ბ ნ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 52.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 53.

ვიცით, რომ ბექამ შეადგინა სამცხის ფეოდალური სამთავროს სჯულმდებლობა „წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოველსავე“. შემდეგ ბექა-აღბუღას სამართალი ხომ სამართლის შესანიშნავი ძეგლია. მართალია, რომ ჯაყელების განთქმულ ოჯახში იმთავითვე არსებობდა სამართლის სწავლისა და ცოდნის ტრადიცია, როცა მომავალი მეფე თავისი პაპის „ბექა I“ სახლში იზრდებოდა. ქამთააღმწერელიც ხომ თითქოს საგანგებოდ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ გიორგი V თავისი პაპის, დიდი ბექას, აღზრდილია. „აქა დაიწყო აღმოცისკრებად ძემან მეფისამან გიორგი, რომელი აღეზარდა პაპასა მისსა დიდსა ბექასა“ [1]. ქამთააღმწერელი, როგორც ვხედავთ, ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ გიორგი V დიდმა ბექამ აღზარდა. ამ განცხადებით იქნებ უფრო მეტის თქმა სურდა ისტორიკოსს, ვიდრე უბრალოდ ფაქტის აღნიშვნა წარმოადგენს. ბექას ხომ მთელი საქართველო იცნობდა და აფასებდა. ქამთააღმწერელიც, ალბათ, მისგან აღზრდილს, თუნდაც უფლისწულისას, აღზრდილის პრივილეგიად მიიჩნევდა.

მართალია, ჩვენ მიერ მოყვანილი ნ. ურბნელისეული არც ერთი მოსაზრება გიორგი ბრწყინვალის ბავშვობისდროინდელი განათლების შესახებ წყაროებს არ ეყრდნობა. მაგრამ მაინც ვფიქრობთ, რომ აღნიშნული მოსაზრებანი საეარაუდოა, და თუ საერთოდ პიროვნების ჩამოყალიბებისათვის მისივე საკუთარ ბიოგრაფიას მნიშვნელობა ენიჭება, რაშიც ეჭვის მიტანა ძნელია. ნ. ურბნელის ზემოხსენებულ სავარაუდო მოსაზრებებსაც გიორგი ბრწყინვალის პიროვნების შესწავლისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს.

ნ. ურბნელს კარგად აქვს გაანალიზებული თუ რა პოლიტიკურმა გარემოებებმა შეუწყო ხელი ჯერ კიდევ პატარა გიორგის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლას. როგორც ვიცით, 1297 წელს ყაზანყაენმა დავით VI დემეტრეს ძე თავისთან დაიბარა. დავითმა ყაენის სურვილი არ შეასრულა. მიუხედავად არა ერთგზის დაპირებისა, საქართველოს მეფის ურდოში ჩასვლას ვერა და ვერ ეღირსა ყაზანყაენი, ყაენი მიხვდა, რომ დავით VI არ აპირებდა თავისი სიტყვის ასრულებას და გადაწყვიტა მისთვის ტახტი წაერთმია. თავის მიზნის განსახორციელებლად ყაზან-ყაენმა მცირეწლოვანი გიორგი მოსთხოვა ბექას და იგი გაამეფა. ნ. ურბნელის აზრით, „პირველი მეფობისას“ გიორგის არაფრის გაკეთება არ შეეძლო. თავი რომ დავანებოთ მეფის მცირეწლოვანებას, რის გამო მას არ შეეძლო ნამდვილი მეფე ყოფილიყო. საქართველო ამ დროს მეტად მძიმე მდგომარეობაში

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 322.

იმყოფებოდა. დავით VI კი ცეცხლზე ნავთს ასხამდა. „იგი ურჩობასა და ყაენის ღალატზე ხელს არ იღებდა. ჯიბრით მონღოლებმა ორჯერ კიდევ დასწვეს და დასდაგეს უამისოდაც დარბეული და აოხრებული ქართლი".[1]

ნ. ურბნელი ვრცლად მსჯელობს დავით VI მოუსვენარი ცხოვრების შესახებ, რომელიც სავსეა მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლებით. თითქოს ეს საქებარი საქციელი უნდა იყოს დავით VI, თუმცა მას ნ. ურბნელი „ვიწრო ჭკუისა" და საცოდავი „პოლიტიკოსის" ეპითეტებით ნათლავს, რადგან იგი საკუთარი „ტყავის" გადარჩენისათვის მონღოლებს თავის სამშობლოს აოხრებინებდაო.

მართალია, ნ. ურბნელს მოსწონს, რომ მთიულეთში გამაგრებულმა დავით VI მონღოლთა ლაშქარს დამარცხება აგემა და ამით მათი ავტორიტეტი შელახა, მაგრამ, ამასთან ერთად, ნ. ურბნელი გულისწუხილით აღნიშნავს, რომ გაგულისებულმა მონღოლებმა შური ქართლზე იძიესო: „მართალია, ჩვენმა მთიულებმა დაამარცხეს თავხედი და უშიშარი ნოინი, მაგრამ უფრო ცუდია, რომ ძლეული ხუტლუშა გულის ჯავრს ქართლზედ იყრიდა. საშინელი ტანჯვა და ვაება დაადგა ქართლს".[2]

ნ. ურბნელის შეხედულება დავით VI მოქმედების შესახებ საგართლიანი უნდა იყოს. მართალია, დავით VI ენერგიულად ებრძოდა მონღოლ ნოინებს და ასეთი პატარა მოწინააღმდეგის დაუძლეველობა მონღოლთა ავტორიტეტს ლახავდა (რასაც იმედი უნდა ჩაესახა ქართველთათვის მონღოლთა წინააღმდეგ პერსპექტიული ბრძოლისა), მაგრამ, დავით მეექვსისათვის ეს მოულოდნელი შედეგი იყო. იგი უფრო საკუთარი თავის გადასარჩენად იბრძოდა და მისმა „პოლიტიკამ" დიდი ზარალი მოუტანა აღმოსავლეთ საქართველოს, რომელსაც ხუთი წლის განმავლობაში ცეცხლითა და მახვილით აოხრებდნენ აჯანყებული მეფის მადევარი მონღოლები.

ნ. ურბნელი სწორად აღნიშნავს, რომ გიორგი V მისი პირველი მეფობის დროს არავითარი პოლიტიკური როლის შესრულება არ შეეძლო. მას შემდეგ, რაც დემეტრეს უფროს შვილთა შორის — დავით VI და ვახტანგს შორის — შუღლი ჩამოვარდა, ვახტანგი ყაენს ეახლა ილხანთა ურდოში. ყაზან-ყაენს, რა თქმა უნდა, ხელს აძლევდა ვახტანგის უკმაყოფილება ძმის მიმართ. მას საშულება ეძლეოდა ვახტანგი დავით VI წინააღმდეგ გამოეყენებინა. ამიტომ, როგორც ნ. ურბნელი აღნიშნავს, როცა „დავითის ძმა ვახტანგ ურდოში ეახ-

---

[1] ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 58.

[2] იქვე, გვ. 59.

ლა ყაზანს, სალამი მიართვა, მუხლ-მოდრეკით ერთგულება განუცხადა... ტახტი და მეფობა ვახტანგ მესამეს დაულოცეს".[1] როცა ვახტანგ III საქართველოში ჩამოვიდა. „ამ დროიდან მოყოლებული გაურკვეველ ხანამდე მის შესახებ (ე. ი. გიორგი V შესახებ — გ. ნ.) აღარაფერი ისმოდა"[2]. როგორც ნ. ურბნელი აღნიშნავს. გიორგი თავისი პაპის — ბექა ჯაყელის ოჯახში დაბრუნებულა სამცხეში.[3] „მკვლევართა შორის ერთიანი აზრი არ არსებობს გიორგი ბრწყინვალის ხელმეორედ (რეალურად) გამეფების თარიღის შესახებ. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, რომელიც, ივანე ჯავახიშვილის აზრით, რომელიმე კინკლოსურ ან სხვა საისტორიო წყაროს უნდა ემყარებოდეს, გიორგი V 1318 წელს გამეფდა. სოფ. დაბის (ბორჯომის ხეობაში) ეკლესიის წარწერაზე დაყრდნობით თ. ყორდანია თვლიდა, რომ გიორგი ბრწყინვალე 1314 წელს გამეფდა, ხოლო ვახუშტი ბაგრატიონის მიერ მოცემული თარიღი, მისივე აზრით, გიორგის შემდგომში კვლავ გამეფებას გულისხმობს. ქამთააღმწერლის ბოლო ნაწილში გიორგი VI დავითის ძე (მცირე) და გიორგი ბრწყინვალე ერთმანეთშია არეული. სრულიად არ ჩანს დასასრული დავითის ძის გიორგი VI მეფობისა"-ო[4]—წერს მკვლევარი ჯ. ოდიშელი. იგი ფიქრობს, რომ „სხვაობა ვახუშტი ბაგრატიონთან დაცულ თარიღსა და დაბის ეკლესიის თარიღს შორის შეიძლება შეესაბამებოდეს სხვაობას — გიორგი ბრწყინვალის. გიორგი VI მეფრვის, ფორმალურად მეფედ კურთხევასა და იმ დროს შორის, რა დროიდანაც ანგარიშობს. იგი მის მიერ სრული სამეფო ძალაუფლების ხელში აღებას გიორგი VI (მცირის) შემდეგ".[5] ნ. ურბნელი ვახუშტის აზრს. რომ გიორგი ბრწყინვალე ტახტზე (რეალურად — გ. ნ.) 1318 წელს ავიდა[6]. იზიარებს, რაც. როგორც ივ. ჯავახიშვილიც აღნიშნავს, სწორი უნდა იყოს[7]. ნ. ურბნელი, ეხება რა გიორგი ბრწყინვალის ტახტზე ასვლის თარიღს, დაბეჯითებით წერს: „ეს ამბავი მოხდა 1318 წელს და ამ დროიდან მეფესაც მეფური პატივი და დიდება დაეტყო"[8]. მართალია, როგორც ქამთაღმწერელი გვაუწყებს. ყაენმა გიორგი V „მო-

---

1 ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრომი. გვ. 5—9.

2 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. ტ. III. გვ. 387.

3 ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 59—60.

4 ჯ. ოდიშელი, აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის (XIV — XVIII სს.), XIV — XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, თბ., 1964, გვ. 77.

5 იქვე.

6 ვახუშტი, საქართველოს ისტორია, გვ. 276.

7 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. გვ. 253.,

8 ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

ცა ყოველი საქართველო და ყოველნი მთავარნი საქართველოსნი და შვილნი დავით მეფისანი, და მესხნი, შვილნი ბექასანი“ [1]. მაგრამ ურბნელის სამართლიანი შენიშვნით, „მიცემა და ხელთ დაპყრობა ერთსა და იმავეს არ ნიშნავდა, ჯერ საჭირო იყო სამეფოს შეკრება, მისი ნაწილების შეერთება და მერე კიდევ ყოვლის საქართველოს დამორჩილება. ყველაფერი ეს ხომ დიდ ძალასა და შრომას თხოულობდა“ [2].

როცა გიორგი V სამეფო ტახტზე ავიდა, აღმოსავლეთ საქართველო მძიმე ეკონომიურ კრიზისს განიცდიდა. იგი პოლიტიკურ ერთეულებად განცალკევებულ და დაქსაქსულ ქვეყანას წარმოადგენდა, რასაც ხელი შეუწყო დავით VI მიერ წარმოებულმა პოლიტიკამ ხუთი მოუსვენარი წლის განმავლობაში. აღმოსავლეთ საქართველოში ძალმომრეობა, ღალატი, ურთიერთგაუტანლობა, შუღლი და ქიშპობა ჩვეულებრივ მოელენად იყო გადაქცეული. ასეთ პირობებში ძალიან ძნელი იყო მეფისათვის სწორი პოლიტიკური გეზის არჩევა და აქ იჩინა თავი გიორგი V სახელმწიფოებრივი მმართველობის დიდმა ნიჭმა, რისთვისაც მას მეტსახელად ბრწყინვალე შეარქვეს. გიორგი V გადაწყვიტა, რომ ილხანთა საყაენოსთან აშკარა ომი ომის დასუსტებულ და აშლილ ქვეყანას კარგს ვერაფერს მოუტანდა. მას წინ ედგა მაგალითი, თუ რა შესძინა საქართველოს დავით VI საგარეო პოლიტიკურმა კურსმა. დავით მეექვსისა, რომლის მოქმედებამ, ნ. ურბნელის სამართლიანი თქმით, „სასე და ფერი შეუცვალა შინაურს ცხოვრებას, მთლად დაასუსტა. ხუთ წელიწადს განუწყვეტლივ სისხლი სდიოდა ერს“ [3].

მართალია, ირანის ილხანთა სახელმწიფოც აღარ წარმოადგენდა ძლიერსა და თავისთავად პოლიტიკურ ერთეულს, ისიც დასუსტებული და დაშლილი იყო, მაგრამ მის წინააღმდეგ აშკარა ბრძოლა ჯერ კიდევ მაინც არ იყო ხელსაყრელი საქართველოს სამეფოსათვის. ამიტომ იყო, რომ გიორგი ბრწყინვალემ მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლა ფრთხილი და მშვიდობიანი პოლიტიკით დაიწყო.

ნ. ურბნელი საკმაო სიზუსტით აფასებს გიორგი ბრწყინვალის სახელმწიფოებრივ ნიჭსა და პოლიტიკურ სიტუაციას, შეგუებულ სწორ საგარეო პოლიტიკას. მისი აზრით, „გიორგი ბრწყინვალე უხვად იყო ცხებული სახელმწიფოებრიეის ნიჭით. სახელმწიფო ასპარეზზედ მან შემოქმედებითი ძალა გამოიჩინა და, რასაკვირველია, საკუთარი მიმართულებაც ჰქონდა, საკუთარს სისტემას მისდევდა.

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 325.

[2] ნ. ურბნელი, დასახ. შრომა, გვ. 63.

[3] იქვე. გვ. 66.

ეს მიმართულება და სისტემა ორის სიტყვით გამოითქმის: ომ-სიბრძნე-გონიერება და მერე მოქმედება. მეფე გარემოებას აკვირდებოდა, დროების შესაფერად იქცეოდა"[1].

ეჭვგარეშეა, რომ გიორგი ბრწყინვალემ კარგად იცოდა ილხანთა ირანში მიმდინარე საშინელი შინაბრძოლების შესახებ. ამ ბრძოლებში, ამა თუ იმ პარტიის მოთავეს აუცილებლად სჭირდებოდა საქართველოც და ასეთ შემთხვევაში საქართველოს პოლიტიკური წონა იზრდებოდა. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმას, თუ ვის მხარეზე იქნებოდა საქართველოს მეფე. როგორც პროფ. ვ. გაბაშვილი აღნიშნავს, ყაენ ოლჯეითუს (1304—1317 წწ.) გარდაცვალების შემდეგ ილხანთა ირანში ბრძოლა განსაკუთრებით გამწვავდა მომიჯნავე არისტოკრატიასა და ადგილობრივ ფეოდალებს შორის. „მონღოლურ-თურქული არისტოკრატიის პირველმა მიმართულებამ კვლავ გადასწონა მეორე მიმართულებას. ამ ბრძოლიდან გამარჯვებული ამირ-ჩოფანი გამოვიდა, რომელიც ილხან აბუსაიდის დროს სახელმწიფოს ფაქტიური მმართველი შეიქმნა"[2].

ჩოფანს კარგად ესმოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს მეფეს იმ პოლიტიკურ ბრძოლაში, რომელიც მას მოელოდა წარმოშობით თავისი თანასწორი ფეოდალების წინააღმდეგ, რომელთაც გულზე არ ეხატათ ჩოფანის ესეოდენი აღზევება. ამ გარემოებით უნდა აიხსნას ჩოფანის განსაკუთრებული „სინაზე" გიორგი V მიმართ. ამის გამო იყო, რომ, როცა გიორგი მასთან მივიდა, „განიხარა ჩოფან და შეიტკბო ვითარცა შვილი, და მისცა ყოველი საქართველო"[3]. საქართველოს მეფისადმი პოლიტიკურმა ალღომ არ უმტყუნა. მან სწორად გაისიგრძეგანა ჩოფანთან „მეგობრობის" ყველა შედეგი, რის გამოც სწორედ ამ ძლიერსა და გაელენიან პიროვნებას მიემხრო, მისი ნდობა მოიპოვა და თავისი საშინაო პოლიტიკის გატარებაში შედარებით თავისუფალი მოქმედების საშუალება მიიღო. ასეთ ვითარებაში, რასაკვირველია, გიორგი ბრწყინვალეს მოქნილი და „დროების" შესაფერისი პოლიტიკა უნდა ეწარმოებინა. გასაგებია, ჩოფანს იგი ხელს ვერ ჰკრავდა. მით უმეტეს, რომ მონღოლ ხელისუფლებთან კარგი ურთიერთობა თავის დრომდე გიორგი მეფეს აუცილებლად სჭირდებოდა. შემდეგ კი, როცა გიორგი ბრწყინვალემ თავისი ქვეყნის გაერთიანება და გაძლიერება მოახერხა, გონიერად ისარგებლა ილხანთა ირანის პოლი-

---

[1] ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 67.

[2] ვ. გაბაშვილი, ილხანთა ირანი XVI ს-ის პირველ ნახევარში: ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, 1957, გვ. 212.

[3] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 325.

ტიკური დასუსტებით და მონღოლთა უღლის გადაგდება რეალურ საქმედ აქცია. მან „მტრის მღელვარებაზე დააფუძნა თავისის ერის მყუდრო ცხოვრება და ოდესმე მრისხანე მეტოქის დასუსტება სამშობლოს აღორძინების საძირკვლად ჩასდო“ [1], სამართლიანად აღნიშნავს ნ. ურბნელი.

გიორგი მეფე სწორი პოლიტიკური გეზის შერჩევის უტყუარმა ალღომ გადააქცია ნიჭიერ სახელმწიფო მოღვაწედ. იგი პატარა საქმით იწყებდა და დიდით ამთავრებდა, მეფეს, ნ. ურბნელის აზრით, არც ვაჟკაცობა აკლდა და არც შემართების უნარი, მაგრამ „სიბრძნისა და სიფრთხილის მიმყოლი მეფე ჯერ პატარა საქმეს შეუდგებოდა ხოლმე და მერე მძიმეზედ გადადიოდა. ჯერ ცოტა და მერე ბევრიო, — აი იმისის მოქმედების გეგმა“ [2].

ნ. ურბნელს კარგად ესმის, რომ საქართველოს მეფეებს ძალიან უჭირდათ ურჩი ფეოდალების დასჯა. რადგან საქართველოს ტახტის ძლიერების მოძულე დიდ აზნაურებს მუდამ აქტიურად უჭერდა მხარს გარეშე მტერი. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა მონღოლთა ბატონობის ხანა, რომლის დროსაც დაბალი წრიდან გამოსულმა მოხელეებმაც კი დიდ პოლიტიკურ აღზევებას მიაღწიეს და მეფის ხელისუფლებას ოპოზიციაში ჩაუდგნენ. გიორგი V — ეს ძლიერი და ჭკვიანი მეფე კი იძულებული იყო, „ყაენის რიდით“ დროებით აეტანა თავგასული ფეოდალების პარპაში და იგი შესაფერ დროს ელოდა. და აი, მაშინ, როცა ირანის ილხანთა სახელმწიფოში შინაური ბრძოლა ატყდა, როცა საქართველოს მეფის წინააღმდეგ მტრულად განწყობილ დიდგვაროვან ხელისუფალთ მონღოლთა დახმარების იმედი გადაეწურათ, გიორგი V უკიდურეს და გადამწყვეტ საშუალებას მიმართა: ეს ფეოდალები მან ციხის მთაზე „დარბაზობად“ მოიწვია და ურჩი თავები დააყრევინა.

ნ. ურბნელს მეფის ასეთი ღონისძიება შემაძრწუნებელ ფაქტად მიაჩნია, მაგრამ იქვე დასძენს: „რას იზამს კაცი, როცა საჭიროება და სამშობლოს სარგებლობა ბევრჯელ თვით ბოროტებასაც კეთილად ქმნის“ [3].

გიორგი ბრწყინვალე საქართველოს გაერთიანების გეგმის განხორციელებას ძალიან ფრთხილად და დაკვირვებულად აწარმოებდა. მან, რასაკვირველია, იცოდა იმერეთის ტახტისათვის ძმათა აშლილობის ამბავი, მაგრამ საქმეში ჩარევას არ ჩქარობდა. როც იმერე-

---

[1] ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 94.
[2] იქვე, გვ. 94.
[3] იქვე, გვ. 75.

თის მეფე მიქაელი გარდაიცვალა და მან ტახტზე თავისი მცირეწლოვანი მემკვიდრე ბაგრატი დატოვა, მაშინ კი იმერეთში გადავიდა, იქიდან ბაგრატი თან წამოიყვანა და ორმეფობასაც ბოლო მოეღო.

ნ. ურბნელს ძირითადად კარგად აქვს გაგებული იმერეთის სამეფოს ის პოლიტიკური სიტუაცია, რამაც გიორგი ბრწყინვალეს გაუადვილა მისი შემოერთება. იგი იმერეთის სამეფოს შესახებ წერს — „თითოეული მთავარ-ერისთავი განუდგა მეფეს, თავისის სამთავროში დამოუკიდებელი შეიქმნა და როგორც ენება, ისე განაგებდა ქვეყნის საქმეს. მეფე ვის ახსოვდა, იმას ვინღა რამედ აგდებდა... და ეს დამცირება იქამდე მივიდა, რომ როცა მიქაელ გარდაიცვალა, იმისმა შვილმა ბაგრატმა ვერ იკადრა მეფობა სხვათა შორის, დაუმორჩილებლობით მთავართა. ამგვარი მდგომარეობა სწორედ საადვილოდ ხდიდა იმერეთის შემოერთებას და გიორგი ბრწყინვალემაც ადვილად შეასრულა ეს საქმე“ [1].

საქართველოს გაერთიანების პოლიტიკის გამტარებელმა მეფემ მესხეთიც თავის გაელენის ქვეშ მოაქცია. ნ. ურბნელს მიაჩნია, რომ რაკი ჯაყელები ნათესავები იყვნენ მეფისა, მესხეთის შემოერთება ამიტომ ადვილი საქმე იყო. „თვით განდიდებული სამცხე-კლარჯეთიც შეუერთდა საქართველოს და ეს მით უფრო. რომ მეფე იქ აღზრდილი იყო და ბექას მემკვიდრენი ბიძის გაძლიერებისა და დიდების წინააღმდეგნი არ შეიქმნენ“-ო [2] — წერს ურბნელი; რასაც, რა თქმა უნდა, ვერ გავიზიარებთ. სინამდვილეში საქმე ასე მარტივად არ წარმართულა, როგორც ნ. ურბნელს ჰგონია. რა თქმა უნდა, მესხეთის მორჩილებას საქართველოს სამეფო კარის წინაშე, ჯაყელებთან გიორგი V ნათესაობით ვერ ავხსნით. მუდამ ფრთხილმა გიორგი მეფემ კარგად უწყოდა აღნიშნული სამთავროს ძლიერება, პოლიტიკური წონა და სწორედ ამიტომ მის დასამორჩილებლად უფრო „ლოიალური“ საშუალება იხმარა, ვიდრე შიშველი ძალა. „ძალის და ხელისუფლების ჩამორთმევის მაგიერ, 1334 წ., როდესაც მესხეთის მთავარი სარგისი გარდაიცვალა, მისი შვილი ყუარყუარე მეფემ უკვე თითონ დასვა“ [3] ათაბაგად, რითაც როგორც ჩანს, თავისი სურვილიცა და ძალაც გამოხატა და მესხეთის ცალკე პოლიტიკურ არსებობას ზღვარი დაუდო. საქართველოში შინაური

---

[1] ნ. ურ ბ ნ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 87.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 70.

[3] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 263.

აშლილობისა და მშვიდობიანობის დასამყარებლად აუცილებელი იყო ქართლში ოსთა გაუთავებელი თარეშის მოსპობა.

როგორც ცნობილია, ოსების ქართლის შუაგულში შემოჭრა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, რასაც დიდი ზიანი მოჰქონდა. გიორგი მეფეს კარგად ესმოდა, რომ აუცილებელი იყო ქართლს აღედგინა საზოგადოებრივი განვითარების ნორმალური პირობები. ამიტომ მან გადაუდებელ ამოცანად მიიჩნია ოსთა თარეშის მოსპობა. ნ. ურბნელის აზრით, ასეთი ღონისძიება მეფისათვის განსაკუთრებულ სიძნელეს არ წარმოადგენდა და მის განსახორციელებლად მეფეს დიდი ჯაფა და ღონე არ დასჭირებია[1], ნამდვილად კი მეფემ სწორედ რომ დიდი ჯაფა და ღონე შეალია აღნიშნული საქმის გადაწყვეტას. როგორც „ძეგლი ერისთავთა" მოგვითხრობს, გიორგი მეფე „მოადგა ოვსთა გორს მყოფთა, და ჰბრძოდა სამ წელ"[2].

ამ ცნობის სისწორეს ივ. ჯავახიშვილიც იზიარებს. იგი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „ოსთა სამხედრო ძალა გორში იყო გამაგრებული, ამიტომ გორს ალყა შემოარტყა და, სამი წლის ბრძოლის შემდგომ, გორის აღება მოახერხა და ოსები იქიდან განდევნა"[3]. მარტო ის ფაქტი, რომ გიორგი ბრწყინვალემ სამი წელი მოანდომა გორიდან ოსების განდევნას, თავისთავად მეტყველებს მეფის „ჯაფასა" და „შრომაზე" ქართლის შუაგულში მშვიდობის დასამყარებლად.

ნ. ურბნელმა ყურადღება მიაქცია მონღოლების ბატონობის დროინდელ ერთ მეტად მნიშვნელოვან მოვლენას — ეკლესია-მონასტრების ქონებისა და მიწა-მამულის დატაცება-მითვისებას. ამ ფაქტს ქამთააღმწერელი ხაზგასმით აღნიშნავს: „მთავართა იწყეს ჯელის შეხებად საყდართა და მონასტერთა, და იწყეს მიტაცება სოფელთა და აგარაკთა". ნ. ურბნელი ამ ფაქტს, როგორც ალვნიშნეთ, ყურადღებას აქცევს, მაგრამ მოვლენის სწორ ახსნას ვერ იძლევა. მისი აზრით, სარწმუნოების დამცირებამ და ეკლესიის ავტორიტეტის შელახვამ განაპირობა ასეთი „უკეთურობა". „სარწმუნოება ისე დამცირდა, ისე ძლიერ აეხადა პატივი და სიყვარული, რომ ეკლესიებისა და მონასტრების ძარცვას ხელი მიჰყვეს... და ვინ? მთავართა იწყეს ხელის შეხებად საყდართა და მონასტერთა" — წერს ნ. ურბნელი.

---

[1] ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 76.

[2] შ. მესხია, ძეგლი ერისთავთა: მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 350.

[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 401.

ურბნელის აზრით ,ეკლესიის საკუთრების ხელყოფას აგრეთვე ხელს უწყობდა მეფის ძალაუფლების დამცირება, რომ მას ძალა აღარ შესწევდა წინ აღდგომოდა მთავართა თავგასულობას და აღეკვეთა მსგავსი უმსგავსობა. ნამდვილად კი, როგორც ავამთაღმწერელი აღნიშნავს, თვითონ მეფეებიც არ უკადრისობდნენ ეკლესიისათვის ოდესღაც შეწირული მამულების უკანვე წართმევას. იგი სწორედ ამ მიზეზით კიცხავს ულუ დავითს. როცა მის შესახებ წერს „ეამსა სიბერისა მისისასა არა მართლად ვიდოდა წინაშე ღმრთისა, და მძლავრებისაგან თათართასა უცალო ქმნილმან, იწყო შლად საყდართა საეპისკოპოსოთა რომელი სანატრელთა მეფეთა შესავალნი მიენიჭეს, განსცემდა. აგრეთვე მონასტერთა“ [1].

როგორც ჩანს, შეწირული ადგილ-მამულების უკან გამოწირვა მთავრობის საგანგებო ღონისძიება ყოფილა. ეს განპირობებული უნდა ყოფილიყო იმითაც, რომ მონღოლთა ბატონობის პერიოდში, როცა სამეფო სალარო დაცარიელდა და თავისუფალი მიწები შემცირდა, მეფეს სხვა გზით აღარ შეეძლო თავისი ერთგული აზნაურების დაჯილდოება, თუ არა და ეკლესიის სიმდიდრის ხარჯზე. როგორც ჩანს, საქართველოს სამეფო კარს აღნიშნული ღონისძიებების გატარება აიძულებდა მძიმე ეკონომიური კრიზისი და არა ნ. ურბნელის ზემოხსენებული მოტივი, თითქოს ეკლესია-მონასტრების ქონების დატაცება-მითვისება, მამულების გამოწირვა და გასხვისება გამოწვეული ყოფილიყოს სარწმუნოების „დამცირებით“ და მისთვის „პატივის““ ახდით. ერთი სიტყვით, აღნიშნული მოვლენის გაანალიზების დროს აშკარა ხდება, რომ უფრო რთულ სოციალურ-ეკონომიურ მიზეზებთან გვაქვს საქმე. ვიდრე ეს ნ. ურბნელს წარმოუდგენია.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ „ფეოდალური არისტოკრატია ხშირად მიმართავდა შემოსავლის გადიდების მიზნით მიწა-მამულების გაყიდვის ხერხსაც: ხოლო ფეოდალთა მიერ მამულების გაყიდვას. მამულების ე. წ. ამოძრავებას საბედისწერო შედეგები მოჰყვა“ [2]. მოსახლეობის დიდი ნაწილი უმიწოდ დარჩა და, როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, ამან განაპირობა, რომ „უმიწაწყლოდ დარჩენილი მოსახლეობისათვის მიწის დასარიგებლად წინანდელ მეფეთაგან ეკლესიისათვის შეწირული მიწები ყოფილიყო გა-

---

[1] ქართლის ცხოვრება, გვ. 256.

[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია. III. გვ. 263.

მოყენებული. საქართველოს მთავრობამ ამ საშუალებით სცადა ეკონომიური კრიზისი შეენელებინა“ [1].

გიორგი ბრწყინვალე მარტო საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების და ქვეყანაში მშვიდობის დამყარებით არ შემოფარგლულა. საქართველოს ნორმალურად განვითარებისათვის აუცილებელი იყო მეფეს მონღოლთა ბატონობის მიერ შელახული კანონისა და სამართლის აღდგენისათვისაც მიექცია ყურადღება. თანამედროვე ისტორიულ ან იურიდიულ მეცნიერებას შესაძლებლობა არა აქვს მთელი სისრულით წარმოადგინოს, თუ რა ღვაწლი მიუძღვის გიორგი ბრწყინვალეს სამართლის სფეროში; მაგრამ ზოგი რამ მაინც შეიძლება გავიგოთ იმდროინდელი მოქმედი სამართლის შესახებ. ამ შესაძლებლობას ჩვენ სხვათა შორის გვიქმნის „ძეგლის დადება“ „ეს სამართლის წიგნი გიორგი ბრწყინვალისაგან მოწვეული სახელმწიფო დარბაზის საკანონმდებლო კრებისაგან არის შედგენილი და არაგვისა და ქსნის ხეობის მთიულთა თემისათვის იყო გაჩენილი“ [2].

„ძეგლის დების“ შესავალში აღნიშნულია, რომ მეფეს თვითონ უმოგზაურია არაგვისა და ქსნის ხეობაში, საკუთარი თვალით შეუმოწმებია აღნიშნული ხეობის მცხოვრებთა მდგომარეობა და საჭიროება. აი, რა წერია „ძეგლის დადების“ შესავალში: „წარვედით ტახტით ჩუენით ქალაქით და შეევედით სასახლესა ჩუენსა ჟინვანსა და მუნით მივედით ჯადა-ცხაოტს და მოვახსენეთ ყოველნი მუნებურნი ჭევისბერნი და ჰეროვანნი, და გავიგონეთ მათნი საქმენი, დავსხედით მათსა სასაქმოსა“ [3]. „ძეგლის დადების“ შესავლიდანვე ჩანს, რომ მეფე დარიალამდე მისულა, ლომისაზე გაუვლია ცხრაზმის ხევი ჩამოუვლია და მუხრანზე გამოვლით თბილისში დაბრუნებულა [4]. თავის თვალით ნახახისა და მოსმენილის შემდეგ სამეფო დარბაზთან ერთად ნ. ურბნელის ვარაუდით ქსნისა და არაგვის რამდენიმე ხეობისათვის სამართლის წიგნი შეუდგენია.

„ძეგლის დადების“ შესახებ მრავალი მოსაზრება არის გამოთქმული სხვადასხვა მკვლევრის მიერ. აუცილებლად აღნიშვნის ღირსია, რომ ნ. ურბნელი იყო პირველი მკვლევარი, რომელმაც საგანგებო შრომა („ძეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი“) მიუძღვ-

---

1 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი; საქართველოს ისტორია უძველესი ხანიდან ჩვენს დრომდე, თბ., 1940, გვ. 201.

2 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 263.

3 ქართული სამართლის ძეგლები, I, ძეგლის დადება მეფეთ-მეფის გიორგის მიერ, 1963, გვ. 401; ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ.

4 ი ქ ვ ე.

ქნეინა ოლღამ მოუწონეს ნიკოს ეს განზრახვა. ოლღამ ურჩია ნიკოს ლიზაც წაიყვანე, მსახიობია, კარგია მაგისთვის, თეატრებს ნახავს და გაეცნობაო. ეს ბედიც მეწვია და 1903 წლის 4 ივნისს გავემგზავრეთ საზღვარგარეთ"-ო [1].

სხვა ადგილას ელ. ჩერქეზიშვილი წერს: „ილია საზღვარგარეთ რომ წავიდა სამკურნალოდ, ნიკოს უთხრა, კარგს საჩუქარს ჩამოგიტანო" [2]. ვფიქრობთ, ეს ცნობები ცხადად გვიჩვენებს, რომ ნ. ურბნელი საზღვარგარეთ წასულა 1903 და არა 1900 წელს.

იმის გამო, რომ ნ. ურბნელის ლიტერატურულ-მეცნიერული მემკვიდრეობა ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი, ზოგჯერ მის შრომებს მიაწერენ სხვებს ან, პირიქით. მაგალითისათვის ავიღოთ პროფ. ალ. ხახანაშვილის ორი გამოკვლევა: „წოდებათა ისტორია საქართველოსი" და „იმუნიტეტი საქართველოში", რომელიც ღაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. როგორც ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი არჩილ ბარამიძე მიუთითებს, „მუზეუმის კატალოგების მიხედვით ისინი ნ. ურბნელს მიეკუთვნებიან, მაგრამ ხელნაწერთა შესწავლა ცხადყოფს, რომ ამ გამოკვლევათა ავტორია პროფ. ალ. ხახანაშვილი" [3]. აღნიშნული გამოკვლევები შეტანილია ნ. ხიზანაშვილის შრომების სიაში, რომელიც ერთვის მისსავე წიგნს „ეთნოგრაფიულ ნაწერებს". [4]

ალ. ხახანაშვილის წიგნის — „ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის" — მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „ავტორს არ შეუცვლია თავისი შეხედულობა ბატონყმობის შექმნასა და განვითარებაზე. ბატონყმობის ისტორიის შესავსებლად და გასაშუქებლად მან დაურთო ორი მცირედი კარი: „წოდებათა ისტორია საქართველოსი" და „იმუნიტეტი საქართველოში". პირველი დაბეჭდილი იყო „კვალში" (1899 წ.) და მეორე „ცნობის ფურცელში" (1901 წელი) [5]. ორივე ეს გამოკვლევა შეტანილია ხახანაშვილის აღნიშნულ წიგნში და, რა თქმა უნდა, ალ. ხახანაშვილის ავტორობაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია.

1969 წელს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" [6] გამო-

---

[1] ელ. ჩერქეზიშვილი, შოგონებანი, თბ., 1941, გვ. 27.

[2] იქვე, გვ. 28.

[3] არჩილ ბარამიძე, შეცდომა უნდა გასწორდეს, გაზ. „ლიტერატურული საქართველო", № 32, 1963.

[4] ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, 1940, გვ. 173.

[5] ა. ხახანაშვილი, ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის (წინასიტყვაობა მეორე გამოცემისა), ქუთაისი, 1910.

[6] ელ. აბრამიშვილი, ეკა-ფშაველას ერთი ფსევდონიმისათვის, „ლიტერატურული საქართველო", № 44, 1969.

ნა გიორგი ბრწყინვალის აღნიშნულ ღონისძიებას სამართლებრივ სფეროში. ნ. ურბნელის შრომა დაიბეჭდა თბილისში 1890 წელს.

„ძეგლის დადება", როგორც მისი წინასიტყვაობიდან ირკვევა, მხოლოდ მთიულეთის ტერიტორიის ნაწილზე ვრცელდებოდა და, რასაკვირველია, მისი ანალიზის საშუალებით არ შეიძლება განვსაზღვროთ გიორგი ბრწყინვალის დროინდელი ფეოდალური საქართველოს სამართლის განვითარების დონე, თუმცა „ამავე დროს გიორგი ბრწყინვალის სამართალი შეიცავს რაოდენიმე შეტად საყურადღებო ნორმას" (მუხ. 15, 16, 27, 45 და სხვა), რომლებიც შეიძლება დამახასიათებლად მივიჩნიოთ განვითარებული ქართული ფეოდალური სამართლის ინსტიტუტებისათვის საერთოდ" [1]. როცა მკვლევრები ეხებიან გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადებას". ბუნებრივია, მათ წინაშე ისმის კითხვა: ამოიწურება თუ არა აღნიშნული ძეგლით მეფის მოღვაწეობა სამართლის დარგში.

ნ. ურბნელს მიაჩნია, რომ გიორგი ბრწყინვალის ხანაში ჰქონია სამართალი მთლიანი საქართველოსათვის, მაგრამ იგი დაიკარგა და ჩვენამდე მხოლოდ „ძეგლის დადებამ" მოაღწია. ნ. ურბნელი კატეგორიულად აცხადებს: „ჩვენი ისტორიისა და სჯულმდებლობის მკვლევართათვის ახლა შეურყეველ ჭეშმარიტებად უნდა ჩაითვალოს, რომ ბრწყინვალე მეფემ საერთო სჯული დაუდგინა მთელს თავის სამეფოს... სამწუხაროდ, დროთა და ჟამთა ბრუნვის გამო, იგი საერთო სჯული დაიკარგა და ჯერჯერობით ვერსად უპოვნიათ" [2].

თავისი ასეთი განცხადების დასადასტურებლად ნ. ურბნელს აღნიშნული აქვს „ცალკე სჯული მეფეს ყოველი საქართველოსათვისაც განუჩენია. ამას, სხვათა შორის, ამტკიცებს წინასიტყვა, რომელიც მოსეს სამართალშია ჩართული და რომლისთვისაც, სამწუხაროდ, აქამდე ჯეროვანი ყურადღება არ მიუქცევიათ. წინასიტყვაობაში პირდაპირ მოხსენებულია, რომ მეფემ ისეთი სამართალი დაწერა, რომელსაც შემდეგში საქართველოს საშვილო სამეფო ჰხმარობდაო" [3].

ნ. ურბნელი ცდილობს განამტკიცოს თავისი აზრი და ამისათვის კიდევ ერთი არგუმენტი მოაქვს. იგი წერს: „სხვათა შორის, ვახტანგი საკუთარ თავისს სამართალში იხსენიებს ერთს საყურადღებო ამბავს — მეფემან პატრონმან გიორგიმ განაწესა, რომ შუათანა ძმასაც ერთს რასმე მისცემენ და ეს ამბავი ნათელს ჰფენს ხსენე-

---

1 ი. დ ო ლ ი ძ ე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, 1957, გვ. 3.
2 ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი, ძეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, 1890, გვ. 1.
3 ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი, გიორგი ბრწყინვალე — მეფე საქართველოსი, გვ. 102.

ბულ საგანს“ [1]. ნ. ურბნელის მიერ მოტანილი არგუმენტები ისე რომ გავიგოთ, როგორც ეს მას ესმის, რა თქმა უნდა, მათ ექნებოდათ მნიშვნელოვანი ძალა ურბნელისეული მოსაზრების დამტკიცებისათვის. მაგრამ აკად. ი. დოლიძის მტკიცებით, მოსეს სამართლის შესავალში აღნიშნული დიდის მეფეთ-მეფის გიორგის მიერ თქმული სამართალნი ის საკანონმდებლო ძეგლია, რომელსაც ვახტანგის კანონთა კრებულის ხელნაწერებში სამართალი მეფის გიორგისა ეწოდება... ძეგლის დადება ადგილობრივი მნიშვნელობის ძეგლია, რომელიც შედგენილია მთიელთათვის. ამ კანონების მოქმედების ტერიტორიული ასპარეზი ზუსტად განსაზღვრულია ძეგლის შესავალში. ძეგლის დადების სამოქმედო ასპარეზი მხოლოდ მთიულეთით, არაგვის რამდენიმე ხეობით შემოიფარგლებოდა [2]. ხოლო ამ აზრის გაზიარება, თითქოს გიორგის სამართლით „სჯიდენ სამნივე ესე სამეფონი ქართლისანი“ შეუძლებელია, რადგან „ძეგლის დადება“ შექმნილი იყო ჩამორჩენილი კუთხისათვის და იგი „არ გამოდგებოდა საქართველოს სოციალურად და კულტურულად დაწინაურებულ სხვა კუთხეებისათვის“ [3].

რაც შეეხება ნ. ურბნელის მოსაზრებას იმის შესახებ, თითქოს ვახტანგის სამართლის 102-ე მუხლში ნათქვამი სიტყვები — „ახლა მეფემან პატრონმან გიორგიმ განაწესა, რომე შუათანა ძმებსაც ერთს რასმე მისცემენო“ — მიუთითებდეს გიორგი ბრწყინვალის მიერ მთლიანი საქართველოსათვის სამართლის შექმნის სასარგებლოდ, აკად. ი. დოლიძე არ იზიარებს. მას მიაჩნია, რომ ვახტანგის სამართლის 102-ე მუხლის სიტყვები — „ახლა მეფემან პატრონმან გიორგიმ განაწესა“ — პირდაპირ მიუთითებს, რომ აქ კანონმდებელს მხედველობაში ჰყავს მისი თანამედროვე მეფე-პატრონი გიორგი XI“ [4]. როგორც ჩანს, ნ. ურბნელის მიერ დამოწმებული წაბუთები არ იძლევა საფუძველს ისეთი კატეგორიული განცხადებისათვის, თითქოს „შეურყეველ ჭეშმარიტებად უნდა ჩაითვალოს, რომ ბრწყინვალე მეფემ საერთო სჯული დაუდგინა მთელს თავის სამეფოს“ [5].

ეხებოდა რა ივ. ჯავახიშვილი გიორგი ბრწყინვალეს „სამართლის სფეროში“ მოღვაწეობის საკითხს, დიდ შეფასებას აძლევდა „ძეგლის დადებას“ და ძვირფას წყაროს უწოდებდა მას. სამართლის

---

1 ნ. ურ ბ ნ ე ლ ი, გიორგი ბრწყინვალე — მეფე საქართველოსი, გვ. 103.
2 ი. დ ო ლ ი ძ ე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, გვ. 21—22.
3 ი ქ ვ ე.
4 ი ქ ვ ე.
5 ნ. ურ ბ ნ ე ლ ი. ძეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი. გვ. 1.

სფეროში მეფის დანარჩენი ღვაწლის შესახებ იგი წერდა: „გიორგი ბრწყინვალის მთელი იმ ღვაწლის შეფასება კი, რომელიც მას ზოგადს ქართულს სამართალში მიუძღვის, მხოლოდ მომავალში იქნება შესაძლებელი, ისიც მარტო იმ შემთხვევაში, თუ რაიმე ამისათვის გამოსადეგი ახალი მასალები და ფაქტები აღმოჩნდა" [1].

აკად. ივ. ჯავახიშვილი სავსებით სწორი იყო. დაბეჯითებით რაიმე აზრის გამოთქმა იმის შესახებ, შეიქმნა თუ არა გიორგი ბრწყინვალის ხანაში რაიმე სხვა სამართალი, გარდა „ძეგლის დადებისა", შეუძლებელია სათანადო საბუთების უქონლობის გამო. მაგრამ, ვფიქრობთ, ამ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების გამოთქმა მაინც შეიძლება. ფეოდალურ საქართველოს რომ გიორგი ბრწყინვალემდე ჰქონდა სამართალი, ეს საეჭვო არ უნდა იყოს და „ძეგლის დადების" შესავლიდანაც აშკარად ჩანს. სადაც ნათქვამია: „და მივედით დარიალამდის და ვსცანით ესე რომელ ღმერთმან გვერგვინოსანთა და სანატრელთა ჩვენთა ჩამომავალთა მეფეთაგან ამად არ გასჩენოდა ძეგლითა გაჩენითა და დადებითა სისხლისა და სხეულთა მრავალთა უწესოთა მიმძლავრებულთა საქმეთა" [2].

როგორც ვხედავთ, აქ ლაპარაკია მოიულეთა შესახებ და აღნიშნულია, რომ ჩვენი წინაპრებისაგან მხოლოდ ამათ არ გასჩენოდათ სამართალი. ბუნებრივია, იგულისხმება, რომ „დანარჩენ საქართველოს დიახაც გააჩნდათ გიორგი ბრწყინვალის წინამორბედი მეფეებისაგან „გაჩენილი" სამართალი. მაგრამ ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ გარემოებას.

საეჭვაუდოა, რომ მონღოლთა ბატონობის ხანაში ქართული სამართალი შეიბღალებოდა და მისი მოქმედების ძალა შესუსტდებოდა. „ძეგლის დადების" შესავალშიც ჩანს, რომ კანონმდებელი ხაზს უსვამს მონღოლთა ბატონობის შედეგად დამკვიდრებულ სოციალურ სენს, რომელსაც მთაშიც კი შეუღწევია. და საგანგებოდ აღნიშნავს, მთიულეთში სუფევდა „მრავალფერი ულუსობანი"-ო და მისი აღმოფხვრა კანონის სახელით გადაუდებელი ამოცანა ყოფილა.

თუ მთაში, სადაც მონღოლებს ნაკლებად მიუწვდებოდათ ხელი, მათი ბატონობის კვალი ასეთი აშკარა იყო, ბუნებრივია, ბარში უფრო მეტად იქნებოდა გავრცელებული მახინჯი მოვლენები და მაშინ, როცა მონღოლთა ბატონობას ბოლო მოეღო, გიორგი ბრწყინვალე იზრუნებდა კანონისა და სამართლის განახლებისათვის.

სწორედ სამართლის აღდგენით და მისი სახელით შეეძლო მე-

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 264.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, I, 401.

ფეს სახელმწიფოში აღმოეფხვრა განდევნილი მტრის ბატონობის დარჩენილი კვალი. იქნებ გიორგი ბრწყინვალემდე არსებული სამართლის განახლებას და ძველ უფლებებში აღდგენას და არა საკუთრივ ახალი კანონმდებლობის შექმნას გულისხმობდეს (როგორც ეს ურბნელს ჰგონია) გიორგი ბრწყინვალის მისამართით ვახუშტის მიერ ნათქვამი სიტყვები „სჯული და სამოქალაქო წესი განაბრწყინვა"-ო.

საგულისხმოა, რომ აღნიშნულ სიტყვებს უშუალოდ მოსდევს „ეკლესიანი დარღვეულნი და მოოხრებულნი აღაშენა. განაახლა და განანათლნა"-ო [1].

სიმართლესთან ახლო უნდა იყოს იმის ვარაუდი, რომ მეფემ ისევე როგორც „ეკლესიანი", განაახლა და „განაბრწყინვა" „სჯული და სამოქალაქო წესი" კანონი და სამართალი, რომელიც მტრის ასწლიანი ბატონობის შედეგად იყო შერყეული და დაქვეითებული. ნ. ურბნელი დიდად აფასებს „ძეგლის დადების" ისტორიულ მნიშვნელობას და სამართლიანად აღნიშნავს, რომ თუმცა იგი საქართველოს ტერიტორიის მცირე მონაკვეთისათვის იყო გამიზნული „მაგრამ ძეგლის დება დიდის ყურადღების ღირსია. და მნიშვნელოვანი ნაშთია ძველის სჯულდებლობისა, რადგანაც ნაოელს ჰფენს ჩვენის წარსულის წყვდიადს და ცხოვლად გვიხატავს შორეულის სურათს" [2].

„ძეგლის დადების" შედგენა გამოწვეული უნდა იყოს მთიულეთში შექმნილი მდგომარეობით. არაგვის ერისთავი. ხევისბერები თუ ხევის განმგებლები დაჟინებით ცდილობდნენ მთიულეთში განვითარებული ფეოდალური საქართველოს წესების შემოღება-განმტკიცებას. ბეგარისა და სალაშქრო სამსახურის სავალდებულოდ გადაქცევას, მთის მოსახლეობისათვის მეფის ხელისუფლების სასარგებლოდ. მთის მოსახლეობა კი ვერ ეგუებოდა მათთვის „უცხო" წესებს და, ბუნებრივია, ხელისუფალთა და მოსახლეობას შორის არსებული ასეთი წინააღმდეგობა იწვევდა გამძაფრებულ ბრძოლას, რომელიც არც ისე იშვიათად მკვლელობითა და აკლებით აღინიშნებოდა. ყველაფერი ეს კარგად ჩანს როგორც „ძეგლის დადების" შესავლიდან, ისე მისი შინაარსიდანაც. ერთი სიტყვით, როგორც ნ. ურბნელი აღნიშნავს, „მხოლოდ საჭიროება და ცხოვრების მოთხოვნილება ჰბადავს სჯულმდებლობას. ეს საზოგადო მოვლენაა... მეფე გიორგი ბრწყინვალემაც საჭიროების გამო დასდო თავისი ძეგ-

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ისტორია, გვ. 280.

[2] უ რ ბ ნ ე ლ ი, ძეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, გვ. 4.

ლი: ყოლ სამართალი აღარ იყო-ღა აღარ იქნებოდა განაჩენ დაუდებლობაო“ [1].

როგორც ცნობილია, კლასობრივი საზოგადოების დროს კანონი იცავს გაბატონებული კლასის ინტერესებს და ამ მხრივ „ძეგლის დადებაც „არაა გამონაკლისი და იგი, რა თქმა უნდა, ჩაგრული გლეხებისათვის თავისუფლების დაკარგვას თუ არა, მის შეზღუდვას მაინც გულისხმობდა. ეს კარგად ესმის ნ. ურბნელს, მაგრამ მეფის პიროვნებით აღფრთოვანებული მკვლევარი გიორგი ბრწყინვალის მისამართით წერს: „სახელოვანმა ხუროთ მოძღვარმა (ასე უწოდებს ჩვენი მემატიანე მეფე გიორგი ბრწყინვალეს!) მართლაც და ხელოვნებით ააგო ადმინისტრაციული შენობა, რომელშიც ლაღი მთიული შეუვიწროებლად მოთავსდა თავისის ჩვეულებებით“ [2].

უნდა ითქვას, რომ მთიელთა „ჩვეულება“, ადათები და წესები მართლაც გათვალისწინებულია „ძეგლის დადებაში“, მეფემ მთიელთა სოციალური წყობისა და ყოფის შესაფერისი სამართალი შეადგინა, მაგრამ „ლაღი მთიული“ მაინც ვერ მოთავსდებოდა მეფის მიერ აგებულ ადმინისტრაციულ შენობაში გაუჭირვებლად, „შეუვიწროებლად“ — თუნდაც იმიტომ, რომ აქამდე თავისუფალი მთიელი ამიერიდან დაძახებისთანავე უნდა გამოცხადებულიყო ლაშქრობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში კანონით მკაცრად დაისჯებოდა. აი, რას აკანონებს „ძეგლის დადება“: „რომელიც ქუეყანა და თემი აწეივნეს ბრძანებითა ერისთავმან და განმგებელმან და ყამიერად არ გამოვიდნენ ქუეყანამან თუ სოფელმან და ანუ ერთმან კაცმან, — და რაზომცაღა კაცმან დააკლოს ლაშქრობა, ერთს წელიწადს არ შეენდოს და მამული დაეჭიროს სასეფეოდ. და თვითო ჯარი წაეგუაროს სასეფოდ“ [3].

ნ. ურბნელი ეხება „ძეგლის დადების“ შედგენის დროსაც და მიაჩნია, რომ გიორგი ბრწყინვალეს აღნიშნული ძეგლი მას შემდეგ უნდა შეედგინა, როცა მან საქართველოს სამეფო პოლიტიკურად გააერთიანა, აღადგინა [4]. მართლაც, „ძეგლის დადების“ წინასიტყვაობაში პირდაპირაა ნათქვამი: „დავდეევით ძეგლი — განაჩენი ესე მას ჟამსა, ოდეს შეეედით მთიულთა შიგან მოსავლელად ღმრთის მო-

---

1 ნ. ურ ბ ნ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 4.

2 ი ქ ვ ე, გვ. 7.

3 ქართული სამართლის ძეგლები. I. სამართალი მეფის გიორგისა, გვ. 410—412.

4 ნ. ურ ბ ნ ე ლ ი, გიორგი ბრწყინვალე — მეფე საქართველოსი, გვ. 99.

წყალებითა ყოველგნით აუცილებლად ქონებასა შინა სამეფოსა ჩუენისასა და უცილობლად პყრობისა ტახტისა და სკიპტრისასა"[1].

ნ. ურბნელი „ძეგლის დადების" შედგენის კონკრეტულ თარიღს არ შეხებია[2].

როგორც ვხედავთ, გიორგი ბრწყინვალეს „ძეგლის დადების" დროისათვის უკვე შეეძლო საქვეყნოდ განეცხადებინა საქართველოს „უცილობლად ქონება" და, ბუნებრივია, მეფის მტკიცე ხელისუფლება ვერ მოითმენდა თავისი ქვეყნის რომელიმე ნაწილის ურჩობას და სამეფო კარისადმი დაუმორჩილებლობას. ეს უნდა იყოს ძირითადი მიზეზი „ძეგლის დადებისა", რომელიც აწესრიგებდა მთიულთა ცხოვრების ყოველგვარ მხარეს და კანონის სახელით აიძულებდა „ძეგლის" გავრცელების ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას დამორჩილებოდა ერთიანი, მთლიანი საქართველოს სამეფო კარის მტკიცე ხელისუფლებას. ხომ ცნობილია, რომ მთიულები არც ისე იშვიათად არ ემორჩილებოდნენ საქართველოს სამეფო კარის განკარგულებას და თვითნებურად იქცეოდნენ ომისა და მშვიდობის დროს. ასეთ შემთხვევებს გიორგი ბრწყინვალის მეფობის ხანაშიც კი ჰქონია ადგილი. როგორც „ძეგლი ერისთავთა" მოგვითხრობს, გორიდან ოსების განდევნის დროს განსაკუთრებით უსახელებიათ თავი ქსნის ერისთავს — ვირშელს და მის ლაშქარს, რასაც არაგველთა შური გამოუწვევია. ეს კი მათ შორის შეიარაღებული შეტაკების საბაბი გამხდარა. მიუხედავად მეფის ძის დავითის მუდარისა, ბრძოლა არ შეწყვეტილა. აი, რას მოგვითხრობს „ძეგლი ერისთავთა": „ხოლო დავით, ძე მეფისა მუჴლთა დაუყრიდა და ლომისას მყოფნი ხატთა დაუსუენებდეს და ეევდრებოდეს, რათა არა სდევნენ, ხოლო მათ არა ისმინეს, არამედ მრავლითა გონებითა მოსზახდეს და საგორავისა სიმრავლესა ჩამოჰყრიდეს"[3].

როგორც პროფ. შ. მესხია აღნიშნავს, „XIV საუკუნე ქსნის საერისთავოს ჩამოყალიბების და გაფორმების საუკუნეა. ქსნის ერისთავებმა ამ დროისათვის უკვე გაიჩინეს რეზიდენცია „დარბაზოვანი" და „თავადი ციხე" ქვენიფლევისა, საგვარეულო ძონასტერი ლარგვისისა. ე. ი. ყველაფერი ის, რაც ფეოდალურ საქართველოში დიდებული თავადის აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა"[4].

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, I, გვ. 401.

[2] აკად. მ. დოლიძის ეარაუდით, „ძეგლის დადება" შედგენილი უნდა იყოს 1335 წელს (ი. დოლიძე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, გვ. 15).

[3] შ. მესხია, ძეგლი ერისთავთა: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1954, გვ. 351.

[4] იქვე. გვ. 316.

ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, გიორგი ბრწყინვალის მიერ საკანონმდებლო ძეგლის შედგენა, რომლის გავრცელების ტერიტორია ზემოთ აღნიშნული საერისთავოს სამბრძანებლოში შედიოდა, ბუნებრივი და აუცილებელი იყო. გიორგი ბრწყინვალემაც მთიულთა პოლიტიკური და სოციალური ცხოვრებისათვის შესაფერისი „ძეგლის დება" შეადგენინა, რითაც განსაზღვრა მთიულთა სოციალური ურთიერთობის ნორმები და მათი ვალდებულება საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს წინაშე.

ერთხელ კიდევ საგანგებოდ გვინდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ნ. ურბნელს კარგად ესმის პიროვნების როლი ისტორიაში და ამ მხრივ იგი ჩვენი თანამედროვეობის სიმაღლეზე დგას. გიორგი ბრწყინვალის მოღვაწეობას ნ. ურბნელი ძალიან მაღალ შეფასებას აძლევს. მას მიაჩნია, რომ საქართველოს ისტორია ბევრი რამით არის დავალებული ამ „კურთხეული" მეფისაგან და მონღოლთა ბატონობის ბნელით მოსილ ხანას „მხოლოდ გიორგი მეხუთე აბრწყინვალებს და ამიტომაც ერმა ბრწყინვალე უწოდა. და განა ერის განაჩენს, სხვა ვინმე, თუ არა უღირსი და უკეთური. წუნს დასდებს" [1].

მიუხედავად გიორგი ბრწყინვალის პიროვნებით ასეთი აღფრთოვანებისა, ნ. ურბნელმა კარგად იცის, რომ პიროვნების როლი ისტორიაში განსაზღვრულია პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიური თუ სხვა საზოგადოებრივი მოვლენების განვითარებით. რომ პიროვნება მაშინ იმსახურებს პატივისცემას და იმოსება დიდებით, როცა გამოამჟღავნებს ნიჭს აღღო აუღოს შექმნილ სიტუაციას და ხელიდან არ გაუშვას შემთხვევა ხელსაყრელი მდგომარეობის გამოყენებისა.

ნ. ურბნელის მართებული გაგებით, არც ერთ დიდ ადამიანს არ შეუძლია თვითნებურად გააუქმოს ან შექმნას საზოგადოებრივი მოვლენები, თუ ამისათვის არ არსებობს აუცილებელი ისტორიული პირობები. მისი აზრით, არ შეიძლება პიროვნების ნამოქმედარ დიდ საქმეებს ჩრდილი მიადგეს იმის გამო, რომ ამ საქმეების შესრულებას ხელი შეუწყო არსებულმა ისტორიულმა სიტუაციამ. პირიქით, ამბობს ურბნელი, ვერც ერთი დიდი ადამიანი ვერ შეძლებს თავისი სურვილის განხორციელებას ასეთი სიტუაციის გარეშე. აი, რას წერს იგი გიორგი ბრწყინვალის პიროვნების, მისი ნამოღვაწარის და ხელშემწყობი მიზეზების შესახებ: „ერთი გარემოება პირველის შეხედულებით თითქოს ამცირებს მეფის ძლიერებასო. იგი ასპარეზზე

---

[1] ნ. ურ ბ ნ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 117.

გამოვიდა მაშინ, როცა მონგოლების ბატონობას ფრთები ჩამოეარ-
და და, მაშასადამე, ადვილი იყო მათი მორევაც. მართალია, მარჯვე
დრო ეხმარებოდა გიორგი ბრწყინვალეს და იმანაც ამიტომ ასე ად-
ვილად შეასრულა მძიმე საქმე, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ
მისი წინაპარნიც უფრო ჟამთა ვითარების გამო ძლევდნენ ხოლმე
ძლიერს გარეშე მტრებს. თუ არა მარჯვე დროს, საქართველოს არ
შეეძლო განედევნა მონგოლნი, რომელთაც, აზიას გარდა, შუაგულ
ევროპამდე მიიტანეს იერიში. საქმე იმაშია, რომ მეფემ ხელიდამ
არ გაუშვა შემთხვევა და მტერს მხოლოდ მაშინ გაემკლავა, როცა
შესაძლო იყო. ასე იქცეოდა თითოეული ჩვენი დიდებული და წარ-
ჩინებული მეფე, რომელმაც კი ძლევით შეჰმოსა სამშობლო და
თვით უდიდესი დავით აღმაშენებელი ამ გზას მისდევდა და სხვას
არაფერს, დროთა და ჟამთა ვითარებას ვერავინ წაუვა" [1].

როგორც ვხედავთ, ნ. ურბნელი ისტორიაში პიროვნების როლის
მნიშვნელობის განსაზღვრისას თითქმის არ ცდება, რითაც ვერ დაიკ-
ვეხნის არა მარტო XIX საუკუნის, არამედ თანამედროვე ბურჟუა-
ზიული ისტორიოგრაფიაც.

---

[1] ნ. ურბნელი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 112—113.

## დასკვნა

ნ. ურბნელი XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის გამოჩენილი მოაზროვნეა, რომლის მოღვაწეობის ფართო დიაპაზონმა და დიდმა ნიჭმა სიცოცხლეშივე პოვა აღიარება, რაც არაერთხელ აღინიშნა იმდროინდელ მოღვაწეთა მიერ მისი შემოქმედების შეფასებისას.

ნ. ურბნელის მეცნიერული მემკვიდრეობა დღემდე ინარჩუნებს დიდ ღირებულებას საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიის, იურისპრუდენციისა, თუ ქართველი ხალხის ყოფის სხვადასხვა სფეროს მეცნიერულად შესწავლისათვის.

ჩვენი მიზანი იყო ნ. ურბნელის მეცნიერული ნააზრევისა და იდეური მემკვიდრეობის მხოლოდ ერთი უბნის შესწავლა, საკითხთა გარკვეული ნაწილის წარმოჩენა. მოცემულ პირობებში ჩვენ შესაძლებლად მივიჩნიეთ განგვეხილა ნ. ურბნელის კვლევის მეთოდები, ისტორიული კონცეფცია, საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი და, რაც მთავარია, საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი საკითხების ურბნელისეული კვლევის სიღრმე, მისი მეცნიერული მნიშვნელობა ქართული ისტორიოგრაფიის უკეთ შესწავლისათვის.

შრომის შესავალში დადგენილია ნ. ურბნელის ბიოგრაფიული ცნობების რამდენიმე დეტალი და კრიტიკულადაა განხილული მისი შემოქმედების შესახებ გამოთქმულ სხვადასხვა ავტორთა არასწორი შეხედულებანი, რაც, ბუნებრივია, ხელს უშლის ნ. ურბნელის ბიოგრაფიისა, თუ მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლას.

პუბლიცისტური მოღვაწეობის დასაწყისში ნ. ურბნელი ქართულ ხალხსნურ პოზიციებზე იდგა, შემდგომში კი მისი მსოფლმხედველობა გარკვეულად შეიცვალა.

საინტერესოა ნ. ურბნელის შეხედულება საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა საკითხზე.

იგი დიდ როლს აკუთვნებს სკოლას ადამიანის გონებრივი და

სულიერი ჩამოყალიბებისათვის. ადამიანის აღზრდის ქვაკუთხედად, უპირველეს ყოვლისა, ზნეობრივი პრინციპები მიაჩნია. ნ. ურბნელს სწამს, რომ საერთოსაკაცობრიო კულტურის შექმნაში ყველა ხალხს მიუძღვის წვლილი და თითოეულ ერს აქვს ეროვნული სიამაყის კანონიერი უფლება. იგი ილაშქრებს ყოველგვარი შოვინიზმის წინააღმდეგ, რადგან შოვინიზმი მას მიაჩნია საზოგადოებრივ საშუალად.

საყურადღებოა ნ. ურბნელის შეხედულება მწერლის დანიშნულებაზე. მას სწამს, რომ შემოქმედი ცხოვრებას უნდა ასახავდეს რეალურად, საზოგადოებას იდეურ საზრდოს უნდა აწვდიდეს, ხელს უნდა უწყობდეს სოციალური, თუ სხვაგვარი უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლის სურვილის გაღრმავებას. ნ. ურბნელმა იცის, რომ ლიტერატურის პროგრესისათვის აუცილებელია ლიტერატურული კრიტიკა, რომ ყოველგვარი მეცნიერება შემოქმედებითი და ცვალებადია, როგორც ყველაფერი სამყაროში.

ნ. ურბნელი კარგად ასაბუთებს საზოგადოებრივი თაოსნობის უდიდეს მნიშვნელობას ცხოვრების უკეთ მოწყობისათვის. იგი ნათლად ხედავს კლასთა ბრძოლას საქართველოს წარსულსა და აწმყოში და იმ ბრძოლის საფუძვლად ეკონომიურ-სოციალური უთანასწორობა მიაჩნია. მას შეგნებული აქვს, რომ ერის ისტორიისათვის სოციალური ბრძოლის ფაქტს დადებითი მნიშვნელობა ენიჭება და წოდებათა შორის „მამაშვილური" დამოკიდებულების თეორია სულაც არ გამოხატავს ამა თუ იმ ხალხის სათნოებასა და ნიჭს.

ნ. ურბნელს სწამს, რომ ძველი და ახალი იდეების ბრძოლა შობს ახალ თაობას, რომელიც თავის იდეებით უპირისპირდება ძველ თაობას, ძველ იდეებს. ახალს კი მუდამ სიცოცხლის მეტი უნარი აქვს და ამიტომ მისი სიმპათია მუდამ ახლის მხარეზეა.

ნ. ურბნელი, მართალია, შესამჩნევად განსხვავდება ძველი სკოლის ისტორიკოსებისაგან და მიაჩნია, რომ ერის ისტორიაში უპირველესი ადგილი უნდა მიენიჭოს უბრალო ხალხის სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების შესწავლას, მაგრამ თავის შრომებში მან მთლიანად ვერ დააკმაყოფილა ისტორიკოსისათვის მართლაცდა აუცილებელი ეს მოთხოვნა.

ნ. ურბნელი თავისი დროის რუსულ და ევროპულ მწერლობაში გაბატონებული სოციოლოგიური და შედარებითი სკოლის და მეთოდის მიმდევარი იყო და ამ სკოლის როგორც უარყოფითი, ისე დადებითი გავლენა აშკარად შეიმჩნევა მის შემოქმედებაში.

ნ. ურბნელმა, როგორც ისტორიკოსმა გამოამჟღავნა ისტორიუ-

ლი წყაროებისადმი კრიტიკული დამოკიდებულების შესანიშნავი უნარი. მან აღნიშნა საქართველოს ძველი ისტორიის ძირითადი წყაროს „ქართლის ცხოვრების“ ბევრი ნაკლი, რამაც, ჩვენი აზრით, თავის დროზე ხელი შეუწყო ამ შესანიშნავი ისტორიული თხზულების მეცნიერულ შესწავლა-დამუშავებას.

წყაროებზე დაყრდნობა ნ. ურბნელისათვის, როგორც ისტორიკოსისა და პუბლიცისტისათვის უცილობელი თვისებაა. ამიტომაც მისი ნაშრომები უმეტეს შემთხვევაში ნდობას იმსახურებს.

ნ. ურბნელს ისტორიის მამოძრავებელ ძალად ხალხის მასები მიაჩნია. იგი, რა თქმა უნდა, არც ცალკეული პიროვნებების როლს უარყოფს, მაგრამ პიროვნების მოქმედებას, მის წარმატებას ისტორიის ასპარეზზე პოლიტიკურ-ისტორიული მომენტით ხსნის.

ნ. ურბნელის აზრით, დიდი ისტორიული პიროვნება მას უნდა ეწოდოს, ვინც თავისი მოქმედებით ხელს უწყობს საზოგადოებრივ პროგრესს; პიროვნება კი, ვისი მოქმედებაც მიმართულია პროგრესის წინააღმდეგ, არ შეიძლება დიდი იყოს, მიუხედავად მისი თუნდაც დიდი ბუნებრივი ნიჭისა.

ნ. ურბნელს გარკვეული აზრი აქვს სამართლიანი და უსამართლო ომების შესახებ. მისი აზრით, ისტორია მარტო გამარჯვებულებს არ აჯილდოებს. მას მიაჩნია, რომ გამარჯვება მხოლოდ მაშინაა ზეიმის ღირსი, როცა გამარჯვებისათვის ბრძოლის მიზანი ჰუმანური და სამართლიანია. მისი კონცეფციით დამარცხება ზოგჯერ საპატიოა და ისტორია მას შარავანდედით მოსავს, გამარჯვებულს კი იგივე ისტორია კიცხავს, თუ მის მოქმედებას ბრძოლაში განაპირობებს არაჰუმანური და უსამართლო მიზნები.

ნ. ურბნელის შეხედულებები, მისი ისტორიული კონცეფცია შორს არაა რევოლუციურ-დემოკრატიული მსოფლმხედველობისაგან. მის ნაშრომებში ხშირად ვხვდებით ისტორიული მატერიალიზმის მეთოდის მომარჯვება-გამოყენებას.

მას შესანიშნავად ესმის ხალხისა და პიროვნების როლი ისტორიაში. ნ. ურბნელი თავისი იდეური მემკვიდრეობით ახლოს დგას ქართველ სამოციანელებთან, მაგრამ მას ახასიათებს აზროვნების მტკიცე ინდივიდუალობა და თავისთავადობა, რაც, ბუნებრივია, ორგინალობას ანიჭებს მის ნააზრევს.

ნ. ურბნელს მონოგრაფიაში „მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო“ დაწერილებით აქვს განხილული დავით აღმაშენებლის ეპოქა და მისი მოღვაწეობის ყველა მხარე. ნ. ურბნელი შეეხო დავით აღმაშენებლის ცნობილ ანდერძს, სადაც მეფე თავის უფროს შვილს დემეტრე I უბარებს, რომ მან, ე. ი. დემეტრემ სამეფო

ტახტი დაუტოვოს არა თავის შვილს, არამედ უმცროს ძმას ცვატას (ვახტანგს).

ნ. ურბნელი სამართლიანად გამოთქვამს გაკვირვებას იმის გამო, თუ რად უნდა შეეცვალა მემკვიდრეობის წესი დავით აღმაშენებელს და ცდილობს ახსნას მისი ასეთი საქციელი. ჩვენი აზრით, ნ. ურბნელმა წამოაყენა ერთ-ერთი გასაზიარებელი აზრი; მისი ვარაუდით დავით აღმაშენებელს სურდა ყივჩაღთა გულის მოგება და ამიტომ მან თავის ანდერძში ისურვა დემეტრეს შემდეგ ცვატას გამეფება. ცვატა ხომ შვილიშვილი იყო ყივჩაღთა ბელადის ათრაქა შარღანისძისა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში გაზიარებულია აზრი, რომ 1130 წელს დემეტრე I წინააღმდეგ აჯანყება მოაწყო მისმა უფროსმა შვილმა დავითმა. ჩვენი აზრით, 1130 წელს აჯანყება არ მომხდარა, იგი უფრო გვიან — 1145 წელს უნდა მომხდარიყო და ამ აჯანყების მოთავე ანდერძში მოხსენიებული ცვატა, ანუ ვახტანგი უნდა იყოს და არა დავით დემეტრეს ძე.

ნ. ურბნელი შეეხო დავით აღმაშენებლის საეკლესიო რეფორმას და თავისდროინდელი ისტორიკოსებისაგან განსხვავებით, სავსებით სწორი შეფასება მისცა მას.

როცა ნ. ურბნელი ეხება დიდგორის ომში მონაწილე ქართული სამეფო ლაშქრის ნაციონალურ შემადგენლობას და რაოდენობას, იგი სამართლიანად ემყარება მათეოს ურჰაელის ცნობას და წერს, რომ დავით აღმაშენებელმა აღნიშნულ ომში გამოიყვანა ორმოცი ათასი ქართველი, თხუთმეტი ათასი ყივჩაღი, ხუთასი ოსი, ასი ფრანგი (და არა ათასი, როგორც მკვლევართა უმრავლესობას მიაჩნია— გ. ნ.), სულ 55600 მეომარი.

ნ. ურბნელის ეს ცნობა ყველაზე უფრო იმსახურებს ნდობას და იგი ასე უნდა იყოს შეტანილი ჩვენს სამეცნიერო, თუ სასწავლო ლიტერატურაში.

ნ. ურბნელი შეეხო საქართველოში მონღოლთა ბატონობის ხანას და გიორგი ბრწყინვალის მოღვაწეობას. ნ. ურბნელმა ძირითადად სწორად შეაფასა მონღოლთა ბატონობის უარყოფითი შედეგი, მათ მიერ დაპყრობილი ხალხების საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების ბედზე.

როგორც ცნობილია, მონღოლები დაპყრობილ ხალხებს ბეგრავდნენ მრავალგვარი გადასახადით და ზოგი საბის გადასახადი უმნიშვნელოდაც გვეჩვენება. მაგ., ცხენის ნალი, თოკი, ისარი და სხვა. ნ. ურბნელი სავსებით სწორად ხსნის ამ „უცნაურობის" მიზეზს; „ისტორიულის ასპარეზზედ გამოსვლის უმალვე მათ სხვების დამო-

ნაევება დაიწყეს, ომს მიჰყვეს ხელი, სარჩო საბალებლად კი „ხარაჯა“ და დავლა გაიხადეს... მათ არც მრეწველობა და არც სხვაგვარი წარმოება არ მოეპოვებოდათ“ [1] — სამართლიანად შენიშნავს ნ. ურბნელი.

ნ. ურბნელი ეხება საკითხს, თუ როგორ შესძლეს მონღოლებმა ეკონომიურად და კულტურულად მათზე გაცილებით განვითარებული ქვეყნები თავიანთი ბატონობის ქვეშ მოექციათ.

მას სამართლიანად მიაჩნია, რომ განვითარებული ფეოდალური ქვეყნისათვის დამახასიათებელია შინაფეოდალური ბრძოლები, შური, მტრობა, რაც სახელმწიფოს პოლიტიკურ სხეულს ასუსტებს.

ვერ გავიზიარებთ ნ. ურბნელის აზრს იმის შესახებ, თითქოს მონღოლები „რაკი ერთხელვე პირობით შეეკვროდხენ ვისმე, ზავის სიმტკიცეზე თავის გამოდება იცოდნენო“ [2]. ნ. ურბნელი ამ შემთხვევაში ქამთააღმწერლის აზრს იზიარებს, რაც არ არის სწორი.

არაა მართებული ნ. ურბნელის მოსაზრება, თითქოს ქართველთა „ომსა შინა სიმტკიცეს მონღოლებიც ხედავდნენ და ქართველობა ლაშქრობის დროს მოწინავე რაზმებად ჰყვანდნენ კიდეც“. მონღოლები ასევე ექცეოდნენ დაპყრობილი ქვეყნებიდან თავიანთ არმიაში გაწვეულ ყველა რაზმს. ურბნელისეული მოსაზრებით ამ ფაქტის ახსნა არ შეიძლება.

ნ. ურბნელი ხშირად არ იზიარებს ქამთააღმწერლის შეხედულებას და კრიტიკულად ეკიდება მისეულ ცნობებს, მაგრამ ყოველთვის ვერ ახერხებს აღნიშნულის გაკეთებას, რაც, ბუნებრივია, უარყოფითად მოქმედებს ნ. ურბნელის მიერ მიღებულ დასკვნებზე ზოგიერთი საკითხის გაშუქების დროს.

ნ. ურბნელს კარგად აქვს შეგნებული გიორგი ბრწყინვალის დამსახურება, სათანადოდ აქვს შეფასებული მისი ნიჭიერება, კარგი პოლიტიკური ალღო და მისი მოღვაწეობის დადებითი შედეგები. მან იცის, რომ სახელმწიფოებრივ სარბიელზე გიორგი ბრწყინვალის წარმატებები განაპირობა არსებულმა ისტორიულმა პირობებმა. ნ. ურბნელმა ყურადღება მიაქცია გიორგი ბრწყინვალის მოღვაწეობას სამართლებრივ დარგში და ბევრ საინტერესო და გასაზიარებელ მოსაზრებასთან ერთად აღნიშნა, თითქოს გიორგი ბრწყინვალემ მთლიანი საქართველოსთვის შექმნა „ახალი სამართალი“, რისი გაზიარებაც ასეთის არარსებობის გამო შეუძლებელია.

---

[1] ნ. ურ ბ ნ ე ლ ი, გიორგი ბრწყინვალე — მეფე საქართველოსი, ტფ., 1889, გვ. 21.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 5—6.

რაც შეეხება ჩვენამდე მოღწეულ „ძეგლის დადებას“, მისი შედგენა გამოწვეული უნდა იყოს მთიულეთში შექმნილი განსაკუთრებული მდგომარეობით. არაგვის ერისთავი თუ ხევის განმგებლები დაჟინებით ცდილობდნენ მთიულეთში განვითარებული ფეოდალური საქართველოს წესების შემოღება-განმტკიცებას, ბეგარისა და სალაშქრო სამსახურის სავალდებულოდ გადაქცევას, რაც, ბუნებრივია, ხელს აძლევდა საქართველოს სამეფო კარს და რამაც უკარნახა გიორგი ბრწყინვალეს შეექმნა „ძეგლის დება“, რომელიც გამიზნული იყო მხოლოდ მთიულეთის განსაზღვრულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის.

ნ. ურბნელის, ამ შესანიშნავი მოაზროვნის შემოქმედების გარკვეული უბნის შესწავლაც, ვფიქრობთ, უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ იგი, როგორც მოაზროვნე და ისტორიკოსი, თავისი ეპოქის მოთხოვნათა დონეზე იდგა. მეტად დიდი სიმკაცრე იქნებოდა მისი მოღვაწეობა მხოლოდ თანამედროვე მოთხოვნათა თვალსაზრისით შეგვეფასებინა. ჩვენ მოკრძალებითა და პატივისცემით უნდა მოვეკიდოთ ნ. ურბნელის ნააზრევში იმ დადებითს, რაც ნამდვილად ხელს უწყობდა ეპოქის მიერ აღძრული მნიშვნელოვანი საკითხების სწორად გაშუქებას.

ვფიქრობთ, რომ ნ. ურბნელის მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლა აუცილებელია XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ისტორიული აზრის უკეთ გაგებისათვის.

## წყაროები და ლიტერატურა

### მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები


ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 17, მე-4 გამოცემა.
კ. მ ა რ ქ ს ი, თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა, თბ., 1932.
კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. II.
К. Маркс, Ф. Энгельс, Немецкая идеология, Соч., т. 3, М., 1955.


### წ ყ ა რ ო ებ ი


1. ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი, მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო, ტფ., 1894.
2. ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი, გიორგი ბრწყინვალე — მეფე საქართველოსი, ტფ., 1889.
3. ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი, ჩვენი ცხოვრების ეეოლეეცია, „იეერია", № 5, 1902.
4. ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი, მესხური კილო და მისი მოსარჩლე, „ეეერია", № 205, 1898.
5. ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი, გეჯრები ა. ხახანაშეილისა, „ეეერია", № 68, 1892.
6. ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი, ლიტერატურული მიმოხილეა, „დროება", № 172, 1883.
7. ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი, ეხლანდელი საშწერლო ენა, „ეეერია", № 166, 1888.
8. ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი, კრწანისის ბრძოლა, „ეეერია", № 194, 1895.
9. ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი, ქართული ენის შემოღების გამო, „დროება", № 187, 1893.
10. ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი, ეკონომია თუ აგრონომია, „დროება", № 283, 1883.
11. ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი, ძეგლის დადება მეფე ვიორგი ბრწყინვალესი, 1890.
12. ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი, საფუძვლები სახალხო განათლებისა, „იმედი", № 7, 1882.
13. ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი, ძველი და ახალი თაობა, „დროება", № 94, 1883.
14. ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი, ჩვენი გლეხკაცობა და ახალი სამართალი, „იმედი", № 3, 1882.
15. ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი, ჩვენი საეკლესიო სჯულმდებლობა, „ძეგლისწერა", „ეეერია", № 46, 1888.
16. ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი, ჩვენს ლიტერატურულ კეთილსინდისიერებაზედ, „დროება", № 99, 1883.
17. ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი, უფლება და კანონი ძველ საქართველოში, „იმედი", № 11, 1882.
18. ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი, შრომა იურიდიული სიბრძნე, „დროება", № 105, 1883.
19. ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი, ხმა პროვინციიდან, „დროება", № 166, 1883.
20. ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი, ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, ტფ., 1890.
21. ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი, მგზავრის შენიშვნებიდან, „დროება", № 129, 1883.
22. ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი, ჩვენი საეკლესიო სჯულმდებლობა, „ეეერია", № 38, 1888.

23. ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, გ. ჩიტაიას შესავალი წერილი, თბ., 1940.
24. აკად. კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტი, დიმიტრი ბაქრაძის პირადი საარქივო ფონდი, № 11 (ყოფ. — 526-1).
25. პლანო კარპინი, ისტორია მონღოლებისა, რომელთაც ჩვენ თათრებს ვეწოდებთ. მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, წ. II, 1942.
26. თ. ეორდანია, ქრონიკები, ტ. II, ტფ., 1897.
27. რუბრუკვისი გუილიომ, მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, მასალ. საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნ. V, 1942.
28. მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, ტფ., 1882.
29. ქართლის ცხოვრება, ტ. I და II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, 1959.
30. ძველი საქართველო, I, 1909.
31. ძეგლი ერისთავთა, შ. მესხიას პუბლიკაცია, მასალ. საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნ. 30, 1954.
32. ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1963.
33. ი. დოლიძე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ., 1957.
34. ქართული სამართლის ძეგლები, 1965.
35. სიბრძნე ბალავარისა, შ. ნუცუბიძის და ს. ყაუხჩიშვილის შესავალი წერილი, თბ., 1937.
36. Всеобщая история Вардана Великого, М., 1861.
37. Рашид-ед-дин, Сборник летописей, т. I, кн. 2, М.-Л., 1952.
38. Сборник материалов, относящихся к истории Золотой Орды, II, собранный В. Г. Тизенгаузеном, М.-Л., 1941.

## ლიტერატურა

39. აბაშმაძე ვ., ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბ., 1969.
40. აბრამიშვილი ვ., ილია ჭავჭავაძე და ნიკო ხიზანაშვილი, „მნათობი", № 7, 1968,
41. ანთელავა ი., საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან საქართველოში, თბ., 1967.
42. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. I, თბ., 1965.
43. ბერძენიშვილი ნ., დუმბაძე მ., დონდუა ვ., მელიქიშვილი გ., მესხია შ., რატიანი პ., საქართველოს ისტორია, ტ. I, თბ., 1958, 1968.
44. ბელინსკი ბ., რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, თბ., 1948.
45. ბარამიძე ა., შეცდომა უნდა გასწორდეს, „ლიტერატურული საქართველო", № 32, 1963.
46. გაბაშვილი ვ., ილხანთა ირანი XIV საუკუნის I ნახევარში, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957.
47. გვრიტიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1962.
48. გორგილაძე ლ., იდეოლოგიური ბრძოლის ისტორიიდან საქართველოში, თბ., 1963.

49. გ ო რ გ ი ლ ა ძ ე ლ., ნაროდნიკობა საქართველოში, თსუ შრომები, XXXII, 1947.
50. გ რ ი გ ო ლ ი ა კ., ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954.
51. გ რ ი გ ო ლ ი ა კ., ქამთააღმწერელი და მისი თხზულების სამეცნიერო მნიშვნელობა, ქართული ისტორიოგრაფია, ტ. I, თბ., 1968.
52. დ ო ნ ა ძ ე ვ., ქართველი სამოციანელები ახალი ისტორიის პრობლემების შესახებ, თბ., 1970.
53. დ უ მ ბ ა ძ ე მ., ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, ბათუმი, 1950.
54. ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ისტორია, ნ. II, ტფ., 1885.
55. ზ ა რ დ ა ლ ი შ ვ ი ლ ი გ., ვინ თქვა „ადვილ", „ცისკარი", № 11, 1968.
56. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902.
57. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ე., მოგონებები, „მნათობი", № 1, 1958,
58. კ ა ჭ ა რ ა ვ ა ი., ქართული ისტორიოგრაფიის საკითხები, თბ., 1962.
59. კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ეტიუდები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბ., 1945.
60. კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1958.
61. კ ა კ ა ბ ა ძ ე ს., დავით აღმაშენებლის მემატიანის ვინაობა, 1913.
62. კ ი კ ვ ი ძ ე ა., საქართველოს ისტორია XIX—XX სს., ტ. II, თბ., 1959.
63. კ ი კ ვ ი ძ ე ა., დავით აღმაშენებელი. თბ., 1942.
64. კ ი კ ნ ა ძ ე რ., ქამთააღმწერლის სპარსული წყაროები, კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, II, თბ., 1962.
65. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა პ., გიორგი მერჩულე, თბ.. 1945.
66. ლ ა ი ს ტ ი ა., საქართველოს გეოლ, თბ, 1963.
67. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი ი., არსენ ბერისა და დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ვინაობისათვის, „ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა და გეოგრაფია სკოლაში", № 3, 1966.
68. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე მ.. ჯეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963.
69. მ ა ნ ს ვ ე ტ ა შ ვ ი ლ ი ი., მოგონებანი, თბ., 1936.
70. მ ე ს ხ ი ა შ., დიდგორის ბრძოლა, თბ., 1965.
71. მ ე ს ხ ი ა შ., თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნ. I, 1939.
72. მ ე ს ხ ი ა შ., საქალაქო კომუნა შუაკეკუნეების თბილისში, თბ., 1962.
73. მ ა კ ა ლ ა თ ი ა ს., დავით აღმაშენებელი, თბ., 1944,
74. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი რ., საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხის დათარიღებისათვის, „მნათობი", № 6, 1970.
75. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი რ., დავით აღმაშენებელი, თბ., 1965.
76. მ ე ძ ვ ე ლ ი ა კ., თერგდალეულები და რუსეთის სამოციანი წლების რეოლუციონერი მოღვაწეები, ტ. I, თბ.. 1959.
77. ნ ე ჩ კ ი ნ ა მ., ლ ე ი ბ ე ნ გ რ უ ბ ი პ., სსრკ ისტორია, მე-7 კლასის სახელმძღვანელო, 1970.
78. ო დ ი შ ვ ი ლ ი ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის, XIV—XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, თბ., 1964.
79. ს ა ხ ო კ ი ა თ., ჩემი საუკუნის ადამიანები, თბ., 1969.
80. ს ტ ე ფ ნ ა ძ ე ჯ., საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა კავკასიის ხალხებთან XII საუკუნეში (საკანდიდატო დისერტაცია, ინახება ი. ჯავახიშ-

ვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში), თბ., 1970.
81. სურგულაძე ივ., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, თბ., 1952.
82. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, ალ. ბარამაძის რედაქციით, თბ., 1966.
83. ქრონიკა, გაზეთი „მეგობარი", № 68, 1906.
84. ყაუხჩიშვილი ს., ფორესტე ორესტე, ლიტერატურული ძიებანი, II, 1944.
85. ყიფშიძე გ., ხიზანაშვილ., და მისი სალიტერატურო მოღვაწეობა, ალმანახი, „ქართველი ერი", № 1, 1909.
86. ჩადუნელი ე., ჟურნალ „იმედის" საზოგადოებრივ-ეკონომიური შეხედულებანი, თბ., 1961.
87. ჩიქობავა ა., დიალექტიზმების საკითხისათვის ეფეზისტყაოსანში. ენიმკის მოამბე, II, 1938.
88. ჩერქეზიშვილი ე., მოგონებანი. თბ., 1941.
89. ძიძიგური შ., ქართული ენის თავვადასავალი, თბ., 1969.
90. ცინცაძე ი., ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X — XVI სს.), თბ.. 1956.
91. ცინცაძე ი., მონღოლება და მონღოლთა დაპყრობები, თბ., 1960.
92. ცინცაძე ი., აღა-მაჰმად ხანის თავდასხმა საქართველოზე, თბ., 1969.
93. ჭავჭავაძე ი., ერი და ისტორია, თხზ. სრ. კრებული, ტ. II, თბ., 1941.
94. ჭავჭავაძე ი., თხზ. სრული კრ., ტ. 10.
95. ჭავჭავაძე ი., დავით აღმაშენებელი, თხზ. სრ. კრებული, ტ. II, თბ., 1941.
96. ჭავჭავაძე ი., პედაგოგიის საფუძვლები, ტ. II, 1941.
97. ჭავჭავაძე ი., სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი, ტ. II, 1941.
98. ჭავჭავაძე ი., თავადაზნაურობის გულგრილობა სწავლა-განათლების საქმეში, ტ. II, 1941.
99. ხახანაშვილი ა., ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის, ტფ., 1910.
100. ხანთაძე შ., მარი ბროსე, თბ., 1966.
101. ხანთაძე შ., ნარკვევი ევროპული ქართველოლოგიის ისტორიიდან, ქართული ისტორიოგრაფია, ტ. I, 1968.
102. ხომლელი, რჩეული ნაწერები, თბ., 1963.
103. ხუნდაძე ს., სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტ. II, ტფ., 1927.
104. ხუნდაძე ტ., ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში, თბ., 1951.
105. ჯავახიშვილი ი., ქართული სამართლის ისტორია, წ. I, თბ., 1929.
106. ჯავახიშვილი ი., ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1954.
107. ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1966.
108. ჯავახიშვილი ი., მამულიშვილობა და მეცნიერება, ტფ., 1904.
109. ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბ., 1965.
110. ჯავახიშვილი ი., ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, თბ., 1935.
111. ჯავახიშვილი ი., საქართველოს ეკონომიური ისტორია, თბ., 1930.

112. ჯავახიშვილი მ., თხზ. სრ. კრებული. ტ. VI, თბ., 1967.
113. ჯანაშია ს., გეორგი შერვაშიძე, კულტურულ-ისტორიული ნარკვევი, სოხუმი, 1946.
114. ჯანაშია ს., შრომები, II, თბ., 1952.
115. ჯანაშვილი მ., საქართველოს ისტორია, ტ. I, ტფ., 1906.
116. Владимирцов, Общественный строй монголов, Л., 1934.
117. Галстян А., Завоевание Армении монгольскими войсками, Татаро-монголы в Азии и Европе, М., 1970.
118. Гумилев Л., Поиски вымышленного царства, М., 1970.
119. Гуттен Ульрих, Диалоги, публицистика, письма, М., 1959.
120. Иоселиани П., Краткая история грузинской церкви, СПб., 1843.
121. Иоселиани П., Описание города Душета, Тифлис, 1848.
122. История Монгольской Народной Республики, М., 1954.
123. История монголов по армянским источникам. под редакцией К. Патканова, СПб., 1874.
124. История СССР, т. II, М., 1966.
125. Мурзаев Э. М., История Монгольской Народной Республики, М., 1952.
126. Сандаг Ш., Образование единого Монгольского государства и Чингиз-хан. Татаро-монголы в Азии и Европе. М., 1970.
127. Тихвинский С., Татаро-монгольские завоевания в Азии и Европе, Татаро-монголы в Азии и Европе, М., 1970.

## ს ა რ ჩ ე ვ ი


წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა 3

შ ე ს ა ვ ა ლ ი . . 8

თ ა ვ ი I. ნ. ურბნელის კვლევის მეთოდები. ისტორიული კონცეფცია 15

თ ა ვ ი II. ნ. ურბნელის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი 40

თ ა ვ ი III. ნ. ურბნელი დავით აღმაშენებლისა და მისი დროის შესახებ 55

თ ა ვ ი IV. XIV საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიის საკითხები ნ. ურბ-
ნელის ნაშრომებში . . . . . 98

დ ა ს კ ვ ნ ა . . 147

წ ყ ა რ ო ე ბ ი და ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა 153

გამომცემლობის რედაქტორი ლ. ბახტაძე
ტექრედაქტორი ი. ხუციშვილი
კორექტორი მ. ჯანელიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/IX-73
ქაღალდის ფორმატი 60×90/16
ნაბეჭდი თაბახი 10
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8,8!

შეკვეთა 1046 უე 11808 ტირაჟი 2000
ფასი 1 მან. 17 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Типография Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 1.